

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
LEPL GORI STATE UNIVERSITY



სამეცნიერო კვლევების ჟურნალი

JOURNAL OF SCIENTIFIC RESEARCHES

ტომი VI, №1

Volume VI, No 1

2024

სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის - „სამეცნიერო კვლევების ჟურნალი“ წინამდებარე ნომერში ქვეყნდება გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2023 წლის 15 დეკემბერს ჩატარებულ მეთექვსმეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე - „განათლება და მეცნიერება ციფრულ ეპოქაში: გამოწვევები და პერსპექტივები“ წარმოდგენილი ნაშრომები განათლებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით (გარდა ისტორიის სექციაზე წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომებისა, რომლებიც იბეჭდება გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის მიერ მომზადებულ შრომების კრებულში).

In the current issue of LEPL – Gori State University Scientific Journal “Journal of Scientific Researches” are published the Education and Humanities sphere works, that were presented at the The Sixteenth International Scientific Conference “Education and Science in the Digital Age: Challenges and Perspectives”, held by Gori State University on December 15, 2023. The History sphere scientific works are not included in the Journal, as they are published in the proceedings of Gori State University History and Archeology Center.

**სარედაქციო კოლეგია:**

- ალექსანდრე მღებრიშვილი - სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე (საქართველო);
- გიორგი სოსიაშვილი (საქართველო);
- ვიანორ ახალაია (საქართველო);
- გიზო გოგიჩაიშვილი (საქართველო);
- გიორგი გოგიჩაძე (საქართველო);
- იან მალიცკი (პოლონეთი);
- თეიმურაზ მთიბელაშვილი (საქართველო);
- დიმიტრი ნადირაშვილი (საქართველო);
- იურგიტა რაუდელიუნიენე (ლიტვა);
- ზვიად როგავა (საქართველო);
- მანანა რუსიეშვილი (საქართველო);
- სოსო სიგუა (საქართველო);
- იანის სტრადინში (ლატვია);
- ომარ ფურთუხია (საქართველო);
- ჰარუნ ჩიმქე (თურქეთი);
- ჯემალ მაგანია (საქართველო);
- ქეთევან ჭკუასელი (საქართველო);
- მიხეილ ჯიბუტი (საქართველო).

**ტექნიკური რედაქტორი:** გიორგი ყაზიშვილი,  
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**EDITORIAL BOARD:**

- Aleksandre Mgebrishvili - Chairman of the Editorial Board (Georgia);
- Giorgi Sosiashvili (Georgia);
- Vianor Akhalaia (Georgia);
- Gizo Gogichaishvili (Georgia);
- Giorgi Gogichadze (Georgia);
- Jan Malicki (Poland);
- Teimuraz Mtibelashvili (Georgia);
- Dimitri Nadirashvili (Georgia);
- Jurgita Raudeliuniene (Lithuania);
- Zviad Rogava (Georgia);
- Manana Rusieshvili (Georgia);
- Soso Sigua (Georgia);
- Janis Stradinsh (Latvia);
- Omar Purtukhia (Georgia);
- Harun Chimke (Turkey);
- Jemal Dzaganian (Georgia);
- Ketevan Chkuaseli (Georgia);
- Mikheil Jibuti (Georgia).

**TECHNICAL EDITOR:**

Giorgi Kazishvili, Gori State University

გამოქვეყნებული სტატიის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. მისი პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს სარედაქციო კოლეგიის შეხედულებებს.

ჟურნალის რედაქცია პასუხს არ აგებს სტატიის გამოქვეყნების შედეგად გამოწვეულ შესაძლო ზარალზე. იმ შემთხვევაში, თუ სტატიის გამოქვეყნების შედეგად დაირღვა საავტორო ან სხვა უფლება, რედაქცია უფლებამოსილია გამოქვეყნებული სტატია ამოიღოს მონაცემთა ბაზიდან.

The author is liable for the accuracy of the published article. His views may not coincide with the ideas of editorial board.

Editorial Board is not responsible for the possible damage caused by the publication of the article. In case the author's or other rights are violated after the publication of the article, the editorial board is authorized to remove the published article from the database.

# შინაარსი

## ფილოლოგია

- თამარ ანთია – პიერ კორნელის „პომპეუსის სიკვდილის“ დრამატურგიული სპეციფიკის საკითხისათვის – 6
- ზურაბ არჩვაძე – ფრანგული კლასიციზტური ტრაგედია: დილემა და კრიზის-მენეჯერები (პ. კორნელის „სიდის“ მიხედვით) – 11
- მაია ბოლაშვილი, ნანა მაზმიშვილი, რუსუდან ბერიძე – იდიომების და ფიქსირებულ გამოთქმათა ტრანსლატაციის სირთულეები და სტრატეგიები (დ. ჰ. ლორენსის მცირე პროზის მიხედვით) – 17
- თამარ გოგოლაძე – კულტურათმორისი (ქართულ-უნგრული) ურთიერთობის ძირითადი კონცეპტი თანამედროვე ეპოქაში – 22
- თენგიზ გუმბერიძე – „ხალხთა ძმობის მომღერალი“ (ოვანეს თუმანიანი სიკო ფაშალიშვილის მემუარებში) – 25
- ნინო დავითაშვილი – „დიდი დეპრესია“, „დიდი გეცბი“ და სიმბოლიზმი (ინგლისურ ენაზე) – 30
- თეიმურაზ დოიაშვილი – ილია ჭავჭავაძის ცნობილი სტატიის რემინისცენციები გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „რაა მასზე გულდამწყვეტი“ – 32
- ანა იმნაძე – მე-20 საუკუნის 90-იანი წლები ნინო ხარატიშვილისა და ლაშა ბულაძის რომანების მიხედვით (ისტორიული ფაქტი და ლიტერატურული რეფლექსია) – 37
- ვახტანგ ინაური – გიორგი რუსის სახე შალვა დადიანის რომანში „უბედური რუსი“ – 44
- მარიამ კობერიძე – სიტყვათა რიგის საკითხი მეცხრამეტე საუკუნის ქართულ გრამატიკებში – 48
- ალექსანდრე მღებრიშვილი – სალიტერატურო ცხოვრების ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდის შესახებ ცხინვალში (XX საუკუნის შუა წლები) – 52
- ნიკოლოზ ოთინაშვილი – სუფიქსებით ნაწარმოები გეოგრაფიული და ადამიანის სახელები ქსნის ხეობის „ხალხის აღწერის მასალებში“ – 59
- ნათია სიხარულიძე – გალაკტიონ ტაბიძის ერთი ლექსის გენეზისისათვის – 62
- აზა ქადარია – ილია ჭავჭავაძის ეროვნული კონცეფცია (პუბლიცისტური და მხატვრული ნააზრების მიხედვით) – 68
- ეკატერინე წულაძე – თანამედროვე ლინგვისტიკა ახალი პარადიგმების ჭრილში (ინგლისურ ენაზე) – 72
- გიორგი ხორბალაძე – სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართების მარადიული პრობლემა ნოდარ დუმბაძის რომანში „მზიანი ღამე“ – 76

## განათლება

- ლალი აზმაიფარაშვილი, თამარ მურალოვა – პედაგოგიური პროცესი და მისი სისტემები – 84
- მანანა ზანძელაძე, დარეჯან ჩხიროძე – განათლება, ზნეობა და ციფრული ტექნოლოგიები – 86
- ციური ბაქრაძე – ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დიფერენცირების შესაძლებლობები – 89
- ნათელა ბერიძე – უნივერსიტეტი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ცნობიერების განვითარების კონტექსტში – 92
- მზია ზანგალაძე, თამუნა ხეთაგური – დომინაცია და მისი სწავლება – 95
- რუიზან მექვაბიძე – უმაღლესი განათლების რეფორმისათვის: კვლევის კომპეტენციების ჩართვა სწავლება-სწავლის პროცესში კარიერის განვითარებისათვის (ინგლისურ ენაზე) – 99
- ნოდარ მირაზანაშვილი, მანანა მიჩიტაშვილი – დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებთან მუშაობა დაწყებით საფეხურზე – 102
- გიორგი მძინარაშვილი – ფიზიკური მომზადების როლი თავისუფალ ჭიდაობაში – 106
- ბექა ტოლიაშვილი – ქცევითი პრობლემების მიზეზები სასწავლო პროცესში – 108
- რუსუდან ფიფია – ჯეფრი გლანცი წარმატებული მასწავლებლის და პროფესიული განვითარების შესახებ – 112
- ზაქარია ქიტიაშვილი, ნინო ჩახუნაშვილი, მარინე გოგნელაშვილი – სწავლება ციფრულ ეპოქაში - თსუ-ის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა პედაგოგიური საქმიანობის რეფლექსია – 115

**ნელი ჭამპურიძე** – ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სასკოლო კურიკულუმის სოციალური ასპექტები – 122

**ნათელა ხინჩაგაშვილი** – თამაშების ტიპოლოგია და მათი გამოყენების თავისებურებები რუსულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში (რუსულ ენაზე) – 125

# CONTENTS

## Philology

- Tamar Antia** – *For the Issue of Dramaturgical Specificity of Pierre Corneille's "the Death of Pompey"* – 6
- Zurab Archvadze** – *The Tragedy of French Classicism: Dilemma and Crisis Managers (by "Le Cid" Pierre Corneille)* – 11
- Maia Bolashvili, Nana Mazmishvili, Rusudan Beridze** – *Difficulties and Strategies of Translating Idioms and Fixed Expressions (According to D. H. Lawrence's Short Stories)* – 17
- Tamar Gogoladze** – *Basic Concept of Intercultural (Georgian-Hungarian) Relations in the Modern Era* – 22
- Tengiz Gumberidze** – *"Singer of the Brotherhood of the People"(Ovanes Tumaniani in the Memoirs of Siko Pashalishvili)* – 25
- Nino Davitashvili** – *"Great Depression, The Great Gatsby and "Symbolic Glow" (in English)* – 30
- Teimuraz Doiashvili** – *Reminiscences of Ilia Chavchavadze's Famous Article Resonate within Galaktion Tabidze's Poem "What is Heartbreaking about Him"* – 32
- Ana Imnadze** – *The 90s of the 20th Century According to the Novels of Nino Kharatishvili and Lasha Bugadze (Historical Fact and Literary Reflection)* – 37
- Vakhtang Inauri** – *The Face of George the Rus' in the Novel of Shalva Dadiani "Unfortunate Russian"* – 44
- Mariam Koberidze** – *The Issue of Word Order in Georgian Grammars of the Nineteenth Century* – 48
- Aleksandre Mgebrishvili** – *About One Important Episode of Literary Life in Tskhinvali* – 52
- Nikoloz Otinashvili** – *Geographical and Human Names of Ksani Valley Produced with Suffixes in the "Population Census Materials"* – 59
- Natia Sikharulidze** – *For the Genesis of a Poem by Galaktion Tabidze* – 62
- Aza Kadaria** – *National Concept of Ilia Chavchavadze (According to Publicist and Artistic Thinking)* – 68
- Ekaterine Tsuladze** – *Modern Linguistics in Terms of New Paradigms (in English)* – 72
- Giorgi Khorbaladze** – *The Eternal Problem of Reciprocity of Kindness and Evil in the Novel "The Sunny Night" by Nodar Dumbadze* – 76

## Education

- Lali Azmaiparashvili, Tamar Muralova** – *Pedagogical Process and its Systems* – 84
- Manana Bandzeladze, Darejan Chkhirodze** – *Education, Morality and Digital Technology* – 86
- Tsiuri Bakradze** – *Opportunity for Differentiation Within the Individual Curriculum* – 89
- Natela Beridze** – *University of Information Technology in the Context of Consciousness Development* – 92
- Mzia Zangaladze, Tamuna Khetaguri** – *Domination and its Teaching* – 95
- Ruizan Mekvabidze** – *Implementation of Research Competencies in the Teaching-Learning Process for Career Development (For the Project Proposal in the Higher Education) (in English)* – 99
- Nodar Mirazanashvili, Manana Michitashvili** – *Work with Students of Low Academic Performance at the Elementary Level* – 102
- Giorgi Mdzinarashvili** – *The Role of Physical Training in Freestyle Wrestling* – 106
- Beka Toliashvili** – *Causes of Behavioural Issues in the Learning Process* – 108
- Rusudan Pipia** – *Jeffrey Glantz on Being a Successful Teacher and Professional Development* – 112
- Zakaria Kitiashvili, Nino Chakhunashvili, Marine Gognelashvili** – *Teaching in Digital Age – A Reflection on the Teaching Activity of the Graduates of TSU Teacher Preparation Program* – 115
- Neli Champuridze** – *Social Aspects of the School Curriculum of the Primary Level of General Education* – 122
- Natela Khinchagashvili** – *Typology of Games and Features of Their Application in the Process of Teaching Russian as Foreign Language (in Russian)* – 125

# ფილოლოგია Philology

თამარ ანთია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## პიერ კორნელის *პომპეუსის სიკვდილის* დრამატურგიული სპეციფიკის საკითხისათვის

**საკვანძო სიტყვები:** პომპეუსის სიკვდილი, პიერ კორნელი, დრამატურგიული სპეციფიკა, ფრანგული კლასიკური ტრაგედია.

### 1. შესავალი

პ. კორნელის ტრაგედია *პომპეუსის სიკვდილი* - *La mort de Pompée* დაიწერა 1643 წელს და იმავე წელს პარიზში, მარეს თეატრში (théâtre du Marais) დაიდგა. ტრაგედია, რომელიც XVII საუკუნიდანვე შედევრად მიიჩნეოდა, პირველად 1644 წელს გამოქვეყნდა ანტუან დე სომავილისა და ავგუსტინ კურბეს (Antoine de Sommaville, Augustin Courbé) რედაქტორობით.

*პომპეუსის სიკვდილის* შექმნისთვის პ. კორნელს შემდეგი მიზეზი ჰქონდა: თანამედროვენი დრამატურგს გამუდმებით თავს ესხმოდნენ და ადანაშაულებდნენ, რომ მისი ტრაგედიები ზედმეტად ვაჟკაცური და ჰიპერბოლიზებული იყო, ხოლო მისი პერსონაჟები - არაჩვეულებრივი, ზებუნებრივი ადამიანები.

*მატყუარას* წინასიტყვაობაში პ. კორნელი აღნიშნავს, რომ მან *პომპეუსის სიკვდილი* შექმნა იმისთვის, რათა დაეკმაყოფილებინა იმ მაყურებელთა მოთხოვნა, რომლებსაც მიაჩნდათ, თითქოს *პოლიევქტის* ლექსები *ცინას* ლექსებზე ნაკლები სიძლიერის იყო. პ. კორნელს სურდა მათთვის დაემტკიცებინა, რომ თვით მოქმედი პირის ტანჯვაშიც კი, შეიძლება იყოს რაღაც პომპეუსური (Corneille, 1998: 4).

ცნობილია, რომ მოგვიანებით, კლასიციზტური კომედიის მეტრი, თავად უბადლო მსახიობი ჟან ბატისტ მოლიერი *პომპეუსის სიკვდილში* იულიუს კეისრის როლს ასრულებდა.

*პომპეუსის სიკვდილს*, ისევე როგორც დანარჩენ ტრაგედიებს, პ. კორნელმა თან დაურთო მიძღვნა - ყველაზე წარჩინებულს - კადინალ მაზარინს (*À Monseigneur Le éminentissime Cardinal Mazarin*), საიდანაც ვგებულობთ, რომ მან ტრაგედია საფრანგეთის პირველ მინისტრსა და ფაქტობრივ მმართველს, კარდინალ რიშელიეს გარდაცვალების შემდეგ აბსოლუტიზმის ხელისუფლების მხარდამჭერსა და განმტკიცებელს, კარდინალ მაზარინს მიუძღვნა.

*თქვენო უმაღლესობავ, წარმოგიდგენთ დიდ პომპეუსს, ძველი რომის ისტორიიდან ყველაზე დიდ პიროვნებას და ახალთა შორის ყველაზე მეტად გამორჩეულს.*

*(Je présente le grand Pompée à Votre Éminence, c'est-à-dire le plus grand personnage de l'ancienne Rome au plus illustre de la nouvelle)* (Corneille, 2013: 4).

მიმართავს პ. კორნელი კარდინალ მაზარინს და დასძენს, რომ პომპეუსი თავისი კეთილშობილური ქმედებებით მრავალ მეფეთა მფარველი და მხარდამჭერი იყო, ამასთანავე იგი თავად გახლდათ თავისი ახალგაზრდა მინისტრების მეფე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ XVII საუკუნის დასაწყისში ფარსალოსის ბრძოლა, სადაც ერთმანეთს რომაელი მხედართმთავარი გნეუს მაგნეუს პომპეუსი და რომის კეისარი - იულიუს დაუპირისპირდნენ, ფრანგებისთვის აქტუალურ თემას წარმოადგენდა, რადგან იგი თანამედროვე ეპოქის საფრანგეთის პოლიტიკური პრობლემების ნაწილობრივ ახსნის საშუალებას იძლეოდა. გამოჩენილი ისტორიკოსები, მთარგმნელები, დრამატურგები ფარსალოსის ომის ამბავს ხშირად იმ მიზნით მიმართავდნენ, რომ ხელი შეეშალათ არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლებისათვის. ფრანგი ისტორიკოსები, მთარგმნელები და დრამატურგები, რომლებიც რომის სამოქალაქო ომებით იყვნენ დაინტერესებულნი, თავიანი ნაწარმოებების წინასიტყვაობებში ხაზს უსვამდნენ იმას, რომ ისინი უპირველეს ყოვლისა, ერთპიროვნულ სახელმწიფო მმართველს და სამოქალაქო მშვიდობას უჭერდნენ მხარს. ასე მაგალითად, ანტუან დე ბანდოლე თავისი თარგმანის - *დიონ კასიუსის ამბავი*

წინასიტყვაობაში, მეფის კანცლერ სილერისადმი მიმართვაში წერს, რომ მთარგმნელის ყველაზე დიდი სურვილია იხილოს გამარჯვებული მეფის ტრიუმფით დაბრუნება პარიზში (Cassius, 1610: 2).

შარლ შოლმერი, რომელმაც თავის დრამა *პომპეუსის სიკვდილი* კარდინალ რიშელიეს მიუძღვნა, კარდინალის ღირსებებს პომპეუსის ღირსებებს ადარებს, კარდინალის საქმეებს განადიდებს და გმობს ყველას, ვინც ცენტრალიზებულ ხელისუფლებას ეწინააღმდეგება (Chaulmer, 1638: 1).

ამგვარად, ზემოხსენებულ ავტორთა ნაწარმოებების სახით პიერ კორნელს უკვე ჰქონდა თავისი ტრაგედიის შექმნის წინაპირობა.

## 2. *პომპეუსის სიკვდილის* დრამატურგიული სპეციფიკა

1640 წლამდე დაწერილ შედეგებში *ჰორაციუსი* და *ცინა* პ. კორნელის დრამატული ფორმულა შედგება ორი ძირითადი თემისაგან:

1. პოლიტიკური პრობლემა, რომლის გადაწყვეტა იწვევს ფიზიკურ კონფლიქტს დაპირისპირებულ ძალებს შორის.

2. მორალური პრობლემა, რომელიც პოლიტიკური პრობლემისგან წარმოიშვება და შინაგან ფსიქოლოგიურ კონფლიქტებს იწვევს.

1643-1651 წლებში შექმნილ პოლიტიკურ ტრაგედიებში, რომელთა შორის ერთ-ერთი გახლავთ *პომპეუსის სიკვდილი* (1643), შესამჩნევია რამდენიმე დრამატურგიული ცვლილება:

1. მორალური საკითხები ჩანაცვლებულია პოლიტიკური პრობლემებით.

2. შინაგანი, ფსიქოლოგიური კონფლიქტების ნაცვლად ამ პერიოდის ტრაგედიებში შეინიშნება კონფლიქტი და ფიზიკური დაპირისპირება განსხვავებული პოლიტიკური მრწამსის მქონე ძალებს შორის.

3. პ. კორნელს ტრაგედიაში შემოაქვს ასევე გარკვეული სასიყვარულო ელემენტი, რაც კლასიციზმის პოეტიკის კანონების მიხედვით აკრძალულია (კეისრისა და კლეოპატრას სიყვარულის ამბავი).

*პომპეუსის სიკვდილი* არის ხუთმოქმედებიანი ტრაგედია, რომლის I-IV მოქმედებები ოთხი სცენისაგან შედგება, ხოლო V მოქმედება - ხუთი სცენისაგან. ტრაგედიის მოქმედების ადგილია ეგვიპტის დედაქალაქი - ალექსანდრია, სახელდობრ, ეგვიპტის მეფის - პტოლომეუსის სასახლე (*La scène est à Alexandrie, dans le palais de Ptolomé*) (Corneille, 2013: 13).

*პომპეუსის სიკვდილი* ორ ტრაგიკულ მომენტს მოიცავს:

1. მეფე პტოლომეუსის ტრაგედიას, რომელიც I მოქმედებაში იწყება და IV მოქმედებაში ვითარდება.

2. კეისრის ტრაგედიას, რომელიც პიესაში არსად ხდება, მაგრამ მაყურებელი მას ერთგვარი წინასწარი მინიშნებების საშუალებით იხსენებს. შესაბამისად, *პომპეუსის სიკვდილში* ერთმანეთს გადაკვეთს ორი ინტრიგა და კრიტიკული დება კითხვებზე: რა შედეგს ელოდება პომპეუსის სიკვდილისგან ეგვიპტის მეფე პტოლომეუსი? და რა შედეგს მოუტანს პომპეუსის სიკვდილი იულიუს კეისარს?

*პომპეუსის სიკვდილი* მიეკუთვნება 1630-50 წლებში დაწერილ ფრანგული ტრაგედიების სერიათა ნაწილს, რომლებშიც საუბარია მთავარი გმირის ტრაგიკულ სიკვდილზე, როგორებიცაა მაგალითად, *კეისარის სიკვდილი*, *აგრიპინის სიკვდილი*, *ბრუტუსის შვილები* და სხვა.

პ. კორნელის პიესის *პომპეუსის სიკვდილის* მრავალ თავისებურებათა შორის მთავარი დრამატურგიული სპეციფიკა არის ის, რომ პომპეუსის პერსონაჟი სცენაზე არსად ჩანს, ანუ ტრაგედიის მოქმედი პირი პომპეუსი პიესაში ფაქტობრივად არ არსებობს.

ტრაგედიაში მთავარი გმირის, პომპეუსის არარსებობის საკითხი მკვლევართა შორის შემდეგ შეკითხვას აჩენს: *პომპეუსის სიკვდილი* პომპეუსის დაკრძალვის სიმღერაა თუ იულიუს კეისრისათვის ნაწინასწარმეტყველები ტრაგედია? ზემოთაღნიშნულ შეკითხვას პიერ კორნელი თავის *განხილვაში*, რომელიც წინ უძღვის *პომპეუსის სიკვდილს*, შემდეგნაირად პასუხობს:

*არის რაღაც არაჩვეულებრივი ამ ლექსის სათაურში, რომელიც ატარებს გმირის სახელს, ვინც მასში საერთოდ არ ფიგურირებს. მიუხედავად ამისა, ის მთავარი მოქმედი პირია, რადგან მისი სიკვდილი არის ერთადერთი მიზეზი იმისა, რაც მთელ პოემაში ხდება.*

*Il y a quelque chose d'extraordinaire dans le titre de ce poème, qui porte le nom d'un héros qui n'y parle point ; mais il ne laisse pas d'en être, en quelque sorte, le principal acteur, puisque sa mort est la cause unique de tout ce qui s'y passe* (Corneille, 2013:11).

ლუი ერლანის აზრით, პომპეუსის არყოფნა ნაწარმოებში ადასტურებს იმას, რომ ტრაგედიის მთავარი თემა არა დიდი რომაელი მხედართმთავრის - პომპეუსის სიკვდილი, არამედ პოლიტიკური მოვლენა, რომელიც მისი მკვლელობითაა წარმოდგენილი (Herland, 1950: 5).

ტრაგედიის სათაურზე დაკვირვება მიუთითებს პოლიტიკურ კრიზისზე, რომელიც მის პროტაგონისტებს აიძულებს, რომ შეცვალონ, როგორც თავიანთი ადგილი სამყაროში, ასევე დამოკიდებულებები, გეგმები და პოლიტიკა. რაც შეეხება პომპეუსის სიკვდილს, იგი ერთადერთი მიზეზია იმ პირველი ტრაგედიის, რამაც ეგვიპტის მეფე პტოლომეუსი სიკვდილამდე მიიყვანა და მეორე, კეისრის მოსალოდნელი სიკვდილის ტრაგედიის, რაც ნაწარმოებში აღწერილი არ არის, მაგრამ რაც მომავალში აუცილებლად მოხდება.

პ. კორნელის მტკიცებით, ტრაგედიის მნიშვნელოვანი გმირი არის პომპეუსი, თუმცა ერთი შეხედვით ჩანს, რომ პიესის მთავარი გმირი არის იულიუს კეისარი. ეს იმით აიხსნება, რომ კორნელმა თავისი ტრაგედია ორმაგ პრობლემაზე - ეგვიპტელთა და რომაელთა პრობლემაზე ააგო. ტრაგედიის I და II მოქმედებებში პტოლომეუსი და კლეოპატრა მსჯელობენ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეხვდნენ და მიიღონ პომპეუსი, რომელიც კეისართან დამარცხების შემდეგ მათთან თავშესაფრის საძებნელად მოდის. IV და V მოქმედებებში დომინირებს რომაელებს - კეისარსა და კორნელიას შორის რეპლიკების გაცვლები და აქცენტი მშვიდობის აღდგენის პრობლემაზე კეთდება. III მოქმედება არის პიესის მთავარი ნაწილი, რომელშიც ეგვიპტელთა ქმედების შედეგები ვითარდება და სადაც კეისრის წინაშე დგას პრობლემა, თუ როგორ მოიქცეს პომპეუსის სიკვდილთან დაკავშირებით.

პ. კორნელის დანარჩენი ტრაგედიების მსგავსად *პომპეუსის სიკვდილის* დრამატურგიულ სპეციფიკას აწმყო და წარსული დროების პერსპექტივების ურთიერთმიმართების საკითხი წარმოადგენს.

ანალიზებს რა პ. კორნელის ტრაგედიებში ისტორიასა და აუდიტორიას შორის დინამიურ ურთიერთქმედებას ჯონ დ. ლაიონზი ხაზგასმით აღნიშნავს რომ: პ. კორნელის ტრაგედიები იმგვარადაა აგებული, რომ მათი საწყისები ერთმანეთს ეწინააღმდეგება (Lyons, 1996: 14).

ვეყრდნობით რა ჯონ დ. ლაიონზის ანალიზს, *პომპეუსის სიკვდილში* დროის ოთხ განზომილებას გამოვყოფთ:

I - წარსულის განზომილება- მოქმედება ხდება რომში, 48 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

II - მინიშნებები წარსულში მომხდარ ამბებზე - პროტაგონისტები საუბრობენ თავიანთ წარსულში არსებულ მომენტებზე, რომლებიც მათ თვალწინ არის სტრუქტურირებული: :ფარსალოსის ბრძოლა, რომლითაც პიესა იწყება, პომპეუსისა და კეისრის მიერ პტოლომეუსის მამისადმი დახმარება ტახტზე ძალაუფლების აღდგენაში, რასაც კლეოპატრა შეახსენებს თავის ძმას - მეფე პტოლომეუსს, რომელიც იმ დროისთვის დახე ბევრად უმცროსი იყო, მამის დანაბარები რომ ხსომებოდა.

III - მინიშნებები ისტორიულ პერსონაჟთა მომავალზე.

IV - მაყურებელთა მეხსიერება, სადაც შენახულია მინიშნებები მომავლის შესახებ.

ტრაგედიაში განვითარებულ მოვლენათა მომავალ მოსალოდნელ შედეგზე პ. კორნელი წინასწარმეტყველებების საშუალებით მიანიშნებს. იულიუს კეისრის მოსალოდნელი სიკვდილის შესახებ მინიშნებები გვხვდება კლეოპატრასა და კორნელიას მიერ წარმოთქმულ წინასწარმეტყველურ ტაეპებში. ტრაგედიის დასაწყისში, II მოქმედების II სცენაში კლეოპატრა, რომელმაც აქორეასგან შეიტყო პომპეუსის მკვლელობის ამბავი, ამბობს:

*Ainsi finit Pompée ; et peut-être qu'un jour*

*César éprouvera même sort à son tour*

*Rendez l'augure faux, dieux qui voyez mes larmes. (V. 587-589)*

*ასე დაიღუპა პომპეუსი და შესაძლოა, ერთ დღეს*

*კეისარსაც იგივე ბედი ეწიოს.*

*ღმერთებო, რომლებიც ჩემს ცრემლებს ხედავთ, ისე მოახდინეთ, რომ ეს წინასწარმეტყველება მცდარი გამოდგეს.*

ტრაგედიის ბოლოს, V მოქმედების IV სცენაში, კორნელიას წინასწარმეტყველება ზუსტად გადმოსცემს კეისრის სიკვდილის მიზეზს. რომელიც კორნელია კეისარს მოსალოდნელი სიკვდილის შესახებ აფრთხილებს და ეუბნება, რომ *რომაელი ახალგაზრდობა (la jeunesse romaine)* ვერ შეეგუება კეისრის დაქორწინებას ეგვიპტის დედოფალზე, რაც ფაქტობრივად კლეოპატრას გადედოფლებას ნიშნავს და ისინი შურს იძიებენ მასზე:

*Mais sache aussi qu'alors la jeunesse romaine*

*Se croira tout permis sur l'époux d'une reine,*

*Et que de cet hymen tes amis indignés*

*Vengeront sur ton sang leurs avis dédaignés. (V. 1749-1752)*

*მაგრამ ისიც იცოდე, რომ მაშინ რომელიც ახალგაზრდობა*

*იფიქრებს, რომ ყველაფერი დასაშვებია დედოფლის ქმრისათვის,*

*ამ ქორწინებით აღშფოთებული შენი მეგობრები,*

*რომელთა რჩევა უარყავი, შენზე შურის იძიებენ.*



მართლაც, რომაელმა სენატორებმა მოკლეს იულიუს კეისარი, რადგან მათ ეწინააღმდეგებოდნენ, რომ კეისარი, რომელიც უვადო დიქტატორად იყო არჩეული, თავს მეფედ გამოაცხადებდა და მონარქიას დაამყარებდა. ნათელია, რომ კლეოპატრასა და კორნელიას წინასწარმეტყველებანი საეჭვოს ხდიან პროტაგონისტთა გეგმებს, რომლებსაც თავიანთი მომავალი წარუმატებლობის აღიარება არ სურთ.

ისტორიულ ამბავთა დროითი პერსპექტივა სცენაზე ყურადღებას ამახვილებს მიზეზ-შედეგობრივ ურთიერთობაზე, რომელიც გმირებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ, თუ სურთ, რომ მათი პოლიტიკა წარმატებული იყოს.

ამგვარად, შეხსენებამ კეისრის მკვლელობის შესახებ, შესაძლებელია დიდი გავლენა მოახდინოს თეატრის მაყურებელზე, რომელთათვის ისტორია მომავალი ცხოვრების გაკვეთილების მასწავლებელია.

*პომპეუსის სიკვდილში* ტრაგედიის გმირები ერთმანეთს ახასიათებენ ტირადებით, რომლებიც პროტაგონისტთა შესახებ მოგვითხრობენ. მაგალითად, აქორეას თხოვრა პომპეუსისა და ეგვიპტის მეფის - პტოლომეუსის შესახებ რომაელი მხედართმთავრის და ეგვიპტის მეფის საუცხოო დახასიათებას წარმოადგენს.

კლასიციკური დრამის წესების შესაბამისად *პომპეუსის სიკვდილში* სცენაზე არანაირი სისხლიანი სანახაობა არ არის წარმოდგენილი. ტრაგედიის პერსონაჟები საკმარის სულიერ სიმშვიდეს და მოთმინებას იძენენ იმ მოვლენათა განვითარების მიმართ, რაც მთელი მოქმედების მანძილზე ხდება.

*პომპეუსის სიკვდილი* საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეძლო პ. კორნელის გენიამ რამდენიმე ისტორიული ამბის ერთ სიუჟეტად გამთლიანება.

საუბრობს რა *პომპეუსის სიკვდილის* სიუჟეტური ერთიანობის შესახებ, ჰენრი ლანკასტერი აღნიშნავს, რომ *პომპეუსის სიკვდილი* ლოგიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული მოვლენების მარტივი თანმიმდევრობით გამოირჩევა, რაც ტრაგედიის კომპოზიციის მთლიანობის საფუძველს ქმნის (Lancaster, 1942: 235).

რობერ ბრაზილაკი (Robert Brasillach) პ. კორნელის *პომპეუსის სიკვდილს* უწოდებს მყარ, მდიდარ გობელენს, ან უფრო სწორად, *ეგვიპტურ ფრესკას (une fresque égyptienne)*, სადაც სახეები პროფილით წარმოგვიდგებიან, მათი ტორსი კი - არა. ამ ფრესკაზე რამდენიმე იეროგლიფი ბრძოლისა და სიკვდილის სიმღერას მღერის. პიერ კორნელმა - აღნიშნავს რ. ბრაზილაკი - ტრაგედიის კომპოზიციაში მთელი თავისი ოსტატობა ჩააქსოვა. *პომპეუსის სიკვდილი* მხოლოდ ტრაგედია როდია, ეს არის მჭევრმეტყველი და ცარიელი სიმღერა, რომელიც გვთავაზობს დალატის, სამგლოვიარო კოცონის, ზღვის, დამარცხების, აჯანყებისა და ლაჩრობის ხანგრძლივ, გამანადგურებელ და უმოძრაო ტირადების თავბრუსხვევს სურათებს (Brasillach, 1955: 179).

*პომპეუსის სიკვდილის* ერთერთი სპეციფიკაა ისიც, რომ იგი პერსონაჟთა სიმრავლით გამოირჩევა. ტრაგედიის თორმეტ მოქმედ პირთაგან შვიდი მნიშვნელოვანი ისტორიული ფიგურა გახლავთ. ესენია: პომპეუსი, პტოლომეუსი, კეისარი, კორნელია, კლეოპატრა, მარკ ანტონი და ლეპიდუსი. პ. კორნელი ასევე მოიხსენიებს რომაელთა და ეგვიპტელების ჯარებს, რომლებიც სცენის მიღმა მოქმედებენ. ინფორმაციას რომაელთა და ეგვიპტელების ბრძოლის შესახებ პერსონაჟთა მონათხრობიდან ვიგებთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, *პომპეუსის სიკვდილში* ტრაგედიის მთავარი გმირი- პომპეუსი საერთოდ არ მონაწილეობს, უფრო მეტიც, ტრაგედიაში აღწერილია არა ერთი მოვლენა, არამედ რამდენიმე ამბავი, თუმცა მთავარი დრამატული მოვლენა არის პომპეუსის სიკვდილი. დანარჩენი ამბები, როგორებიცაა - პომპეუსის ეგვიპტეში გაქცევა, იულიუს კეისრის ჩამოსვლა ალექსანდრიაში, კეისრისა და პტოლომეუსის შეხვედრა, კეისრისა და კლეოპატრას სასიყვარულო სცენა, ეგვიპტელთა მიერ ეგვიპტელთა აჯანყება, კორნელიას მიერ კეისრის გაფრთხილება აჯანყების შესახებ, უკავშირდება პომპეუსის სიკვდილს და ქმნის ტრაგედიის მთლიან სიუჟეტურ ხაზს.

### 3. დასკვნა

ამგვარად, პომპეუსის სიკვდილის დრამატურგიულ თავისებურებათა ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ *პომპეუსის სიკვდილი* პ. კორნელის ადრინდელი *რომაული ტრაგედიებიდან - ჰორაციუსი, ცინა*, შემდეგი დრამატურგიული მახასიათებლებით განსხვავდება:

*პომპეუსის სიკვდილში* მორალური პრობლემების ნაცვლად წინა პლანზე პოლიტიკური პრობლემები დგას, რაც იწვევს არა მხოლოდ სიტყვიერ, არამედ ფიზიკურ დაპირისპირებას განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების მქონე პერსონაჟთა შორის.

2. პ. კორნელს *პომპეუსის სიკვდილში* შემოაქვს სასიყვარულო მომენტები, რასაც ადასტურებს არის ტექსტში არსებული მრავალი ლირიკული ელემენტი (რომლის ადგილიც კლასიციკურ ტრაგედიაში ჩვეულებრივ არ არის ხოლმე).

3. *პომპეუსის სიკვდილი* ორ ტრაგიკულ მოქმედებას მოიცავს: 1. მეფე პტოლომეუსის სიკვდილს და 2. კეისრის ტრაგედიას, რომელიც არ მომხდარა, მაგრამ რომლის მოლოდინი მთელი პიესის მანძილზე იგრძნობა.

4. *პომპეუსის სიკვდილი* აერთიანებს დროის ოთხ განზომილებას. პირველ განზომილებაში წარსულის ამბებია მოთხრობილი. მეორე განზომილებაში კი არის მინიშნებები წარსულში მომხდარი ამბების შესახებ. მესამე დროითი განზომილება ეხება ისტორიულ პიროვნებათა ამბების აღწერას. ხოლო მეოთხე განზომილებას წარმოადგენს მაყურებელთა მეხსიერება, სადაც შენახულია მინიშნებები ტრაგედიის მოქმედ პირთა მომავლის შესახებ.

5. *პომპეუსის სიკვდილი* არის ტრაგედია, რომელშიც ყველაზე მეტი ისტორიული ფიგურა მონაწილეობს.

6. *პომპეუსის სიკვდილში* თავად პომპეუსი, როგორც ტრაგედიის მთავარი მოქმედი პირი, არსად ჩანს, თუმცა ლოგიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული მოვლენები, რომლებსაც პ. კორნელი ტრაგედიის მანძილზე მოგვითხრობს, პომპეუსის სიკვდილს უკავშირდება. შესაბამისად, ტრაგედიის მთავარი დრამატული მოვლენა არის პომპეუსის სიკვდილი, რაც სხვა დრამატულ მოვლენებს იწვევს.

დაბოლოს, როგორც მარი ოდილ სვისტერი აღნიშნავს *პომპეუსის სიკვდილის* მნიშვნელოვანი თავისებურება მკაფიოდ გამოიხატება იმაში, რომ ტრაგედია შედგება მკაცრ დიქტომიათა სერიისგან, რომელიც გამორიცხავს მოქმედების საბოლოო დასასრულს. მთელი ტრაგედიის მანძილზე დრამატული კონფლიქტის სტრუქტურის განვითარებაზე ზეგავლენას ახდენს დიქტომიათა სერია (Sweetser, 1962: 127).

მართლაც, *პომპეუსის სიკვდილში* არ შეინიშნება მოქმედების მშვიდობიანად დასრულების შესაძლებლობა, რითაც იგი პ. კორნელის *ბედნიერი დასასრულის რომაული ტრაგედიების - ცინასა და პორაციუსისგან* მკვეთრად განსხვავდება.

#### **ბიბლიოგრაფია**

- Brasillach, R. (1955). *Pierre Corneille*. Paris: Librairie Arthème Fayard.
- Cassius, D. (1610). *L'histoire de Dion Cassius de Nycaee: contenant les vies des vingt-six empereurs qui ont regné depuis Jules Caesar*. Paris: Jean Richer.
- Chaulmer, Ch. (1638). *La mort de Pompée*. Paris: Anthoine de Sommaville.
- Corneille, P. (1998). *Le menteur*. Paris: Bordas.
- Corneille, P. (2013). *La mort de Pompée*. Paris: Hachette.
- Herland, L. (1950). *Les éléments précornéliens dans La mort de Pompée de Corneille*. *Revue d'Histoire littéraire de la France*, 50e Année, No. 1. 1-15.
- Lyons, J. D. (1996). *Tragedy of Origins. Pierre Corneille and Historical Perspective*. Stanford: Stanford University Press.
- Lancaster, H. (1942). *A History of French Dramatic Literature in the Seventeenth Century*. Part V. Baltimore: The Johns Hopkins University Press.
- Sweetser, M.-O. (1962). *Les Conceptions dramatiques de Corneille*. Genève: Droz.

**Tamar Antia**

*Akaki Tsereteli State University*

### **FOR THE ISSUE OF DRAMATURGICAL SPECIFICITY OF PIERRE CORNEILLE'S THE DEATH OF POMPEY RESUME**

The article examines the dramatic specificity one of the *Roman tragedies* of Pierre Corneille *The death of Pompey*.

P. Corneille, like other classicist took the plots of their tragedies from antiquity By processing ancient stories and making certain changes to them, he created his original tragedies.

*The Death of Pompey* which was written in 1643, sharply differs from his earlier tragedies *Horace* and *Cinna* in the following features:

1. Unlike *Horace* and *Cinna*, in *the death of Pompey*, instead of moral problems, political problems are at the forefront, which causes not only verbal, but also physical confrontation between characters with different political views.

2. P. Corneille introduces elements of love and lyric into *The Death of Pompey*.

3. *The death of Pompey* includes two tragic events: 1. the death of King Ptolemy and 2. the tragedy of *Caesar*, which did not happen, but which is anticipated throughout the play.

*The death of Pompey* combines four dimensions of time. In the first dimension are narrated stories of the past. In the second dimension there are hints of events that happened in the past. The third time dimension relates to the description of the stories of historical figures. And the fourth dimension is the memory of the audience, where hints about the future of the heroes of the tragedy are stored.

*The death of Pompey* is a tragedy in which the largest number of historical figures are involved.

In *the death of Pompey*, the main character of the tragedy- Pompey does not exist at but almost all the characters of the tragedy tell us about him.

However the logically related events that P. Corneille narrates in the tragedy are connected with the death of Pompey. Accordingly, the main dramatic event of the tragedy is the death of Pompey, which causes other dramatic events.

**Key words:** The death of Pompey, Pierre Corneille, Dramatic specificity, French classical tragedy.

ზურაბ არჩვაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ფრანგული კლასიციზტური ტრაგედია: დილემა და კრიზის-მენეჯერები (პ. კორნელის *სიდის* მიხედვით)

**საკვანძო სიტყვები:** ფრანგული კლასიციზტური ტრაგედია, სიდი, პიერ კორნელი, კრიზის-მენეჯერები, დილემა.

### 1. შესავალი

XVII საუკუნის ფრანგულმა მწერლობამ, სხვადასხვა ჟანრის მრავალი შედეგური მოგვცა, მაგრამ ლიტერატურული მოძრაობის ეპიცენტრში მაინც დრამატურგიაა, ეს გარემოება კი მთელმა რიგმა ფაქტორებმა, უპირველეს ყოვლისა კი, სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ინტერესებმა განაპირობეს (Bertière & Vidal, 1993: 47-49). პირველი დიდი შემოქმედი, ვინც ეს ზემოხსენებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესები გაითავისა, იყო ფრანგული კლასიციზტური ტრაგედიის მამად წოდებული პიერ კორნელი (Pierre Corneille, 1606-1684).

პიერ კორნელი ფრანგული კლასიციზტური ტრაგედიის სათავეებთან კი დგას, მაგრამ კლასიციზმი, როგორც XVII-XVIII საუკუნეების ევროპის ხელოვნებაში გაბატონებული მხატვრული სტილი, კორნელამდეც იყო და მის შემდეგაც აგრძელებდა სიცოცხლეს (Chaunu, 1984: 19-34).

კლასიციზმის მნიშვნელოვანი მახასიათებელი ნიშანია ანტიკური ხელოვნების ნიმუშთა იდეალურ-ესთეტიკურ ეტალონებად, ნორმად გამოცხადება. კლასიციზტები ცდილობდნენ, რომ მხატვრული ფორმები აეგოთ ანტიკური ხელოვნების კანონების მიხედვით.

კლასიციზტები ძირითადად ანტიკურ სიუჟეტებს იყენებდნენ ხოლმე, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ წარსული ეპოქიდან სხვა, არაანტიკური სიუჟეტური მასალა არ გამოეყენებინათ. მთავარი იყო ლიტერატურული ნაწარმოები ანტიკური ლიტერატურის საზომებით გამართულიყო.

ასე მოხდა პიერ კორნელის *სიდის* შემთხვევაშიც, რომელიც ფრანგულ თეატრში დადგმული კლასიციზტური სტილის პირველი სახელგანთქმული პიესაა. ამ პიესის უშუალო წყარო იყო ესპანელი

გილიონ დე კასტროს დრამა *სიდის სიჭაბუკე* (Curial, 1993: 24-27), მაგრამ *სიდის* მხატვრული სინამდვილე აგებული და გამართულია ანტიკური ლიტერატურული ძეგლების პოეტიკის მრავალი წახნაგის გათვალისწინებით. ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პრობლემა კი, ანტიკურ, შესაბამისად ფრანგულ კლასიციზტურ ტრაგედიაში, არის დილემის პრობლემა (Scherer, 1964: 337).

## **2. დილემის არსებობის აუცილებლობა ფრანგულ კლასიციზტურ ტრაგედიაში**

ფრანგულ კლასიციზტურ დრამაში, კერძოდ კი ტრაგიკომედიებსა და ტრაგედიებში, აუცილებლად ფიგურირებს დილემა. ეს იმიტომ, რომ ჯერ უნდა წარმოიშვას ტრაგიკული პრობლემა და მის შემდეგ ტრაგედიის მთელი არსენალი უნდა მოხმარდეს მხატვრულ სინამდვილეში არსებული დილემის გადაჭრის ხერხებსა და საშუალებებს.

როგორც ცნობილია, კლასიციზტური ტრაგედიის მთავარი ღერძია მოვალეობისა და გრძნობის კატეგორიების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. დეკარტეს რაციონალიზმზე დაყრდნობით უნდა გაიმარჯვოს მოვალეობის კატეგორიამ -გონების მეუფება ამარცხებს პროტაგონისტების პირად გრძნობებს (Truchet, 1975: 32).

კლასიციზტურ ტრაგედიაში მთავარია არა გმირის „მე“ -მისი პირადი გრძნობები და ინტერესები, არამედ სახელმწიფოსა და საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესები. კლასიციზმში, როგორც აბსოლუტიზმის იდეოლოგიის გამომხატველი, ავალდებულებს კლასიციზტური ტრაგედიის ავტორს, რომ აუცილებლად წინა პლანზე დადგეს მოვალეობის კატეგორია და მას შეეწიროს პროტაგონისტთა ადამიანური გრძნობებიც კი (Prigent, 1986 :78).

თუ გონების პრიმატის ნაცვლად „მეს“ გრძნობები და მათგან გამომდინარე ინტერესები წამოიწვევდა წინა პლანზე, მაშინ ნებისმიერი ეცდებოდა საკუთარი ინტერესების გამარჯვებას, ამ დროს კი აბსოლუტის ინტერესები შეილახებოდა, რაც შედეგად გამოიწვევდა იმას, რომ ძალაუფლებაშეილახული ერთპიროვნული მმართველის დროს ქვეყანა ცენტრალიზებული კი არა, არამედ ნაწილებად დაყოფილ შიდა ომების კერად გადაიქცეოდა (Curial, 2006: 47-52).

სწორედ ამ მიზეზის გამო საფრანგეთის აკადემიამ, შაპლენის მეთაურობით, კლასიციზტ მწერლებს დაუკანონა გარკვეული წესები, რომელთაგან უმთავრესია, მოვალეობის და გრძნობის კატეგორიების მართვა მოვალეობის კატეგორიის გამარჯვების წინაპირობით.

კლასიციზტურ ტრაგედიებში, სანამ მოვალეობის კატეგორია გაიმარჯვებდეს, მოვალეობისა და გრძნობის კატეგორიებს შორის მუდმივი, დამაბული ურთიერთჭიდილია. ამ ურთიერთჭიდილის დროს წარმოიშობა კრიზისული სიტუაციები და დილემის წინაშე მდგარი პერსონაჟები (რეალურად კი ავტორი, რომელსაც ევალება აბსოლუტიზმის იდეოლოგიის გატარება) ეძიებენ გზებს პრობლემის გადასაჭრელად. ამ დროს არსებული კრიზისული მომენტების გადაჭრის მრავალი შესაძლებლობა ჩნდება. ამიტომ, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, დილემის დასაძლევად ფრანგულ კლასიციზტურ ტრაგედიებში არსებული კრიზის-მენეჯერები სხვადასხვა დონეზე რანჟირდებიან, თუმცა რანჟირების განსხვავებული დონეების მიუხედავად, კრიზის-მენეჯერთა უმეტესობის უმთავრესი მიზანია ცდა არ დააკლოს, ამა თუ იმ სახით, ტრაგედიის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე, დაიძლიოს კრიზისული სიტუაცია- ვიმეორებთ, მხოლოდ ერთი პირობით- უნდა გაიმარჯვოს გონმა, ანუ მოვალეობის კატეგორიამ.

## **3. კრიზისული სიტუაციების მომგვარებელი კრიზის- მენეჯერების ტიპები**

ფრანგული კლასიციზმის მიერ ეტალონებად გამოცხადებული ანტიკური ლიტერატურის ნიმუშები სავსეა ადამიანური არსებობის მრავალგვარი პრობლემით. შესაბამისად, კლასიციზტური ტრაგედიებიც დახუნძლულია ადამიანურ ურთიერთობათა, როგორც ტექსტში გაცხადებული, ასევე მხატვრული სინამდვილის ქვეტექსტში „ამოსაკითხი“ პრობლემებით (Zuber & Cuénin, 1999: 52).

როგორც ანტიკურ ლიტერატურაში, ასევე ფრანგულ კლასიციზტურ ტრაგედიებში, ძალზედ მნიშვნელოვანია შექმნილი კრიზისული სიტუაციების საკითხები. ამ პრობლემური საკითხების გადაჭრა კი, იქაც და აქაც, კრიზის-მენეჯერების მთავარი საზრუნავია.

ანტიკური ლიტერატურის ნიმუშების მსგავსად, კრიზის-მენეჯერები კრიზისული სიტუაციების მოგვარების საკითხს ფრანგულ ლიტერატურაში ძირითადად შემდეგი პრინციპების მიხედვით ახერხებენ:

1. საკითხის მოგვარება ბრძოლისა და სისხლისღვრის გარეშე.
2. საკითხის მოგვარება შურისძიების აღსრულების გარეშე.
3. საკითხის მოგვარების მთავარი იარაღია დიპლომატიური საუბრები.
4. საკითხის მოგვარება ყოვლისშემძლის (მეფის, მონარქის...) გულმოწყალების საშუალებით.
5. საკითხის მოგვარება დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გონივრულად მართვის ხარჯზე.

სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური, ისტორიულ-ფილოსოფიური მომენტების შესაბამისად, კრიზის-მენეჯერებს თავიანთი განსაზღვრული, მყარი ადგილი ენიჭებათ ტრაგედიაში. არ შეიძლება მოსამსახურემ, რიგითმა ადამიანმა, იგივე ფუნქცია იკისროს, რაც დაევალება ხოლმე დიდგვაროვანს ან თუნდაც სულაც ხელმწიფეს. ამიტომ უფრო მართებულად მიგვაჩნია კრიზის მენეჯერების ინსტიტუტის საფეხურებრივი დაყოფა, რასაც მათი ფაქტობრივი სოციალური მდგომარეობა განსაზღვრავს.

1. დაბალი საფეხური: აღმზრდელები, ძიძვები, ჯარისკაცები, მხედრები, მსახურნი, მესაიდუმლეები, სეფექალები და ა. შ.

2. საშუალო საფეხური: დიდგვაროვნები.

3. მაღალი საფეხური: სამეფო ოჯახის წარმომადგენლები.

ყველა ტიპის საფეხურის კრიზის-მენეჯერთა ხერხები და საშუალებები ინდივიდუალურია, მაგრამ მათ აერთიანებთ ერთი რამ - ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე რჩევის მიცემა.

რჩევის მიცემა არ შეიცავს ბრძანების ელემენტებს - არც პირდაპირ და არც მოიარებით - ყველა კრიზისული სიტუაცია მოსმენის, გაგების, კეთილი ნებისა და უმჯობესის გააზრებით შეიძლება განიმუხტოს.

ბუნებრივად ისმის კითხვა - ყველა კრიზის-მენეჯერი წარმატებით აღწევს მიზანს? ფრანგულ კლასიციტურ ტრაგედიებში კრიზის-მენეჯერები უმეტესად დადებითად წყვეტენ პრობლემურ საკითხებს, მათი მცირე ნაწილი კი ურყოფითად ეკიდება (არ სურთ და იმიტომ!) კრიზისული სიტუაციის მოგვარების საკითხს.

#### 4. პიერ კორნელის *სიდის პრობლემატიკა*

ამ სტატიაში დასმული საკითხი იმდენად მოცულობითია, რომ ამჯერად ჩვენ მხოლოდ პიერ კორნელის *სიდი*თ შემოვიფარგლებით.

მართალია, *სიდი*ს ტარაგიკომედია ეწოდება, მაგრამ არსებითად იგი ნამდვილი ტრაგედიაა თავისი კონფლიქტებით, სახეებით და თემატიკით. *სიდის* მხოლოდ ბედნიერი დასასრული იძლევა საშუალებას იმისას, რომ ეს პიესა ტარაგიკომედიის ჟანრს დაუვახლოვოთ.

*სიდის* გმირები - როდრიგო და ხიმენე, თავიანთ ქცევებში ღირსების პრინციპის დაცვით ხელმძღვანელობენ. ღირსება მათთვის ადამიანის პირადი და საზოგადოებრივი ქველობის სიმბოლოა. როდრიგო საკუთარი მამის შეურაცხყოფლის მოკვლით თავის ღირსებას იცავს და ამით იძენს ხიმენეს პატივისცემის და სიყვარულის უფლებას. ხიმენესაც სურს შური იძიოს მამის მოკვლისთვის, იმიტომ, რომ როდრიგოს სიყვარულის ღირსი გახდეს.

*სიდის* დრამატული კონფლიქტის გადაჭრა შეუძლებელი გახდა მესამე ძალის ჩარევის გარეშე - ასეთი მესამე ძალა მეფე დონ ფერნანდო, რომელიც გონიერ სახელმწიფო მმართველს განასახიერებს.

*სიდი*ში ჟღერს პატრიოტული თემა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის უშუალოდ მეფის სამსახურთან დაკავშირებული. მასში საგვარეულო მოვალეობის იდეა უპირისპირდება სახელმწიფოს წინაშე მოვალეობის იდეას, ფეოდალური ღირსება ადგილს უთმობს სამოქალაქო ღირსებას, სამშობლოს სამსახურს, ადამიანური ღირსების ინდივიდუალურ კულტს (Cuprie, 1989: 47).

1638 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა შაპლენის მიერ რედაქტირებული *საფრანგეთის აკადემიის აზრი ტარაგიკომედია სიდის შესახებ*. აკადემიამ მთლიანად დაგმო *სიდის* ყველა ის ღირსება, რომლითაც ეს ბრწყინვალე ტრაგედია დღესაც აღაფრთოვანებს თეატრალური საზოგადოების ფართო ფენებს (არჩვამე & ლეონიძე, 2019: 8-9).

რა თქმა უნდა, *სიდის* უარყოფითი შეფასების მიზეზი პოლიტიკური ხასიათის იყო - აბსოლუტიზმის იდეოლოგიის გამტარებელი ფრანგული აკადემია თვლიდა, რომ *სიდი*ში ხიმენესა და როდრიგოს შორის წარმოქმნილი კონფლიქტური სიტუაცია ორი დიდი გვარის (შესაბამისად მათი სამფლობელოების) ურთიერთბრძოლის მაგალითით პარტიკულარიზმისადმი მოწოდებად აღიქმებოდა, შიდა ომები კი ხელს არ აძლევდა აბსოლუტს.

#### 5. დაბალი საფეხურის კრიზის მენეჯერები *სიდის* მიხედვით

*სიდი*ში დაბალი საფეხურის კრიზის - მენეჯერები არიან: ელვირა-ხიმენეს აღმზრდელი და ლეონორა - ინფანტას აღმზრდელი.

**ელვირა:** *სიდის* დასაწყისიდანვე აშკარად იკვეთება ელვირას სახე- იგი მოწოდებულია არ შეიქმნას კონფლიქტური, დამაბული ურთიერთობები. სწორედ მან, ლავირებულად, დიპლომატიური საუბრის წყალობით, „გააკეთებინა“ არჩევანი დონ გომესს ორ პოტენციურ სასიძოს შორის; დონ გომესი დონ როდრიგოსკენ უფრო იხრება, ვიდრე ხიმენეს უიღბლო მიჯნურ დონ სანჩოსკენ:

*მეტადრე გვხიბლავს დონ როდრიგო, მის სიქველეში*

*გვარწმუნებს მისი დახვეწილი სახის ნაკვთები.<sup>1</sup> (გვ. 38)*

ხიმენე მეტად კმაყოფილია ელვირას დიპლომატიური სვლით, თუმცა ის შინაგანად აფორიაქებულია, როდრიგოსთან მიმართებაში თავიდანვე გრძნობს რაღაც ცუდს. და აი, მოხდა კიდევაც საშინელება - დონ როდრიგომ მოკლა ხიმენეს მშობელი მამა - დონ გომესი. უკვე ტრაგიკული სიტუაცია შევლას, გამოსავლის ძიებას „ითხოვს“ და *სიდის* კრიზის-მენეჯერებიც შესაბამისად აქტიურობენ.

ელვირას, როგორც დაბალი საფეხურის წარმომადგენელ კრიზის-მენეჯერს, ტრაგედიის პრობლემური დილემის გადაჭრის საკითხში არ ეკუთვნის გადამწყვეტი სიტყვა, მაგრამ ტრაგედიის მთელ მანძილზე იგი ცდას არ აკლებს, რომ ეს ტრაგედია ჩაცხრეს, როგორმე გადაილახოს. ამიტომ, ხიმენესთან მოსულ როდრიგოს ელვირა ურჩევს:

*არ დაენახო, გაექეცი მის მრისხანებას,  
თორემ ხიმენას გააფთრება თავს დაგატყდება,  
ჯერ მოერიდე გაშმაგებულს, ის გირჩევნია;  
სანამ დაცხრება, წადი, წადი, ნუ ერვინები.*

*{...} რომ გაუფრთხილდე, დაიძალე, სწრაფად, როდრიგო. (გვ. 70-71)*

სასახლიდან დაბრუნებულ ხიმენეს კი ელვირა ურჩევს ხელი აიღოს შურისძიებაზე:

*ო, ქალბატონო, მოიშორეთ ეგ სატანჯველი,  
არ აღასრულოთ ჩვეულება უსასტიკესი. (გვ. 73)*

ელვირას კარგად ესმის ხიმენეს ტრაგედიის სიმძიმის- ხიმენეს უნდა შური იძიოს მამის მკვლელობისთვის, მაგრამ ამავე დროს, მას ძლიერ უყვარს მამის მკვლელი როდრიგო. ამ ურთულეს სიტუაციაში ელვირას, როგორც ხიმენეს აღმზრდელის თითოეულ სიტყვას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება და ელვირაც ცდილობს როგორმე განმუხტოს ხიმენე.

როდრიგოსა და ხიმენეს უნუგემო შეხვედრის შემდეგ ელვირა დიდი სიფრთხილით, წინასწარი გათვლით შეახსენებს აღზრდილს:

*როცა გვგონია, რომ იმედი აღარსად არის... (გვ. 81)*

ელვირას ეს მინიშნებით ნათქვამი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ცუდ დღეში ჩავარდნილი ხიმენესათვის, რომლის გულის სიდრმეში იმედი სულ არის. ამ იმედის აღსრულებაში ელვირას, როგორც ხიმენეს აღმზრდელს, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს - თავისი მოზომილი გონივრული რჩევებითა და დიპლომატიური საუბრებით ხიმენესთან.

**ლეონორა:** როგორც ცნობილია კლასიციზმის ესთეტიკა მოქმედების ერთიანობას მოითხოვს, მაგრამ პ. კორნელმა *სიდში* გადაუხვია მოქმედების ერთიანობის მაგისტრალურ ხაზს, როცა პირველი მოქმედების მეორე გამოსვლით *სიდის* სტრუქტურაში ჩასვა ინფანტას მხატვრული სახე. კასტილიის პირველი მეფის - დონ ფერნანდოს ქალიშვილს, კასტილიის ინფანტა დონა ურაკას სიგიჟემდე უყვარს დონ როდრიგო, მაგრამ რადგან ეს უკანასკნელი არ არის სამეფო გვარის წარმომადგენელი, ინფანტა მას საქმროდ ვერ დაიგულვებს. დონა ურაკა თავის სიყვარულს „უთმობს“ ხიმენეს, ამით სურს თავი დააღწოს საკუთარ მოვალეობას სამეფო ოჯახის წინაშე. დონა ურაკას აღმზრდელი ლეონორა ცდილობს ყოფა შეუმსუბუქოს თავის აღზრდილს. თავდაპირველად ის გმობს ინფანტას როდრიგოსადმი სიყვარულს, მაგრამ როცა ისიგრძეგანებს თუ რა დღეში ჩააგდო იგი მოვალეობის გამო მიჯნურის „დათმობამ“, უძალო, სწორი გადაწყვეტილების ვერმიძღვები ლეონორა წუხს:

*რა ვენა, რა გითხრათ, ქალბატონო, რით განუგემოთ.*

*მე მსურს იცოდეთ, თქვენთან ერთად მეც ვიტანჯები.*

*გვიცხავდით წელან, მებრალეობით ახლა უზომოდ. (გვ. 43)*

თუმცა ტრაგიკულ სიტუაციაში ჩავარდნილ დონა ურაკას რჩევებისა და კეთილი სურვილების გარეშე არ ტოვებს. ლეონორამ კარგად იცის რა ძალა აქვს დროულად ნათქვამ საჭირო სიტყვებს და ამიტომ ეუბნება თავის აღზრდილს:

*სიმშვიდეს ისევ დაიბრუნებს თქვენი გონება.*

*იმედი გქონდეთ სათნოების და კიდევ ჟამის.*

*და კიდევ უფლის, იგი არის სამართლიანი,*

*უმანკოებას ტანჯვისაგან ის თუ დიხსნის. გვ. 42*

თითქოს უმნიშვნელოა ლეონორას კრიზის- მენეჯერული ფუნქცია, მაგრამ მისი სიტყვები იმის გარანტიაა, რომ დონა ურაკა კვლავ მოიპოვებს სულიერ სიმშვიდეს და უფალი მას არასოდეს დატოვებს მარტო - ყოველთვის დაიხსნის ტანჯვისაგან მის უმანკოებას.

## **6. საშუალო საფეხურის კრიზის მენეჯერები *სიდის* მიხედვით**

<sup>1</sup> ყველა ციტატა აღებულია პიერ კორნელის *სიდიდან*. (კორნელი, 1982).

სიღში კრიზის-მენეჯმენტის საშუალო საფეხურზე დგანან დიდგვაროვანი კრიზის-მენეჯერები:

**დონ დიეგო** - წარსულში სახელგანთქმული მეომარი, ვინც განამტკიცებდა მეფის ხელისუფლებას. იგი შინაგანი მოწოდებით ვალდებულიც კი არის მშვიდობა დაიცვას ქვეყანაში, მაგრამ ხიმენეს მამისგან შეურაცხყოფილი შვილს - დონ როდრიგოს მოუწოდებს: „მოკვდი ან მოჰკალ“. საკუთარი გადაწყვეტილებებით იგი ფაქტობრივად ხელს უწყობს ტრაგიკული სიტუაციის კიდევ უფრო გაღრმავებას და ამდენად მისი კრიზის-მენეჯერული ფუნქცია ნულოვანია.

**დონ გომესი** - კასტილიის ჯარების მოქმედი მთავარსარდალი, სიფიცხის გამო ვერ აკონტროლებს საკუთარ ქმედებებს და მის მიერ დონ დიეგოს შეურაცხყოფას მისივე სიკვდილი მოჰყვა, რამაც წარმოშვა მრავალწახნაგოვანი ტრაგიკული სიტუაციები. საკუთარი მდგომარეობით გაამპარტავნებული, ამბიციებით სავსე, ჯიუტი ხასიათის დონ გომესი არავის რჩევას უგდებს ყურს და ნაცვლად იმისა, რომ კრიზისული სიტუაციიდან გამოსასვლელი გზები ეძებოს, საკუთარი გადაწყვეტილებებით კიდევ უფრო ართულებს ტრაგიკულ მომენტებს, რომელთა შესაძლო წარმოშობის შესახებ წარმოდგენაც კი არა აქვს. მისი კრიზის-მენეჯერული ფუნქციაც ნულოვანია.

**დონ არიასი:** დონ არიასი დონ გომესს ურჩევს საკუთარი სიფიცხის ნიადაგზე მომხდარი შეხლა-შემოხლის შემდეგ პატიების სათხოვნელად მივიდეს მეფესთან, ვინც:

*თუნდ ქვეშევრდომი სახელოვნად მოემსახუროს,  
ხელმწიფე მაინც არ იქნება დავალებული. (გვ. 52)*

მაგრამ გრაფი ჯიუტად არის დარწმუნებული, რომ საკუთარი დამსახურების გამო მას მეფე დანაშაულს აპატიებს, რადგან:

*გაუვარდება ჩვენს ხელმწიფეს უჩემოდ სვიპტრა,  
მე ვარ იმისი დასაყრდენი და თუ დაგორდა  
ეს თავი, მეფეს არ შერჩება ოქროს გვირგვინი. (გვ. 52)*

დონ არიასი, ვინც მოწოდებული იყო კრიზისული სიტუაციიდან გამოსავალი ეპოვა, გაწბილებული მიმართავს დონ გომესს:

*„მშვიდობით, ვატყობ, მე თქვენ ვეღარ დაგიყოლიებთ,  
მეხს დაელოდეთ დაფნის ხეებს შეფარებული. (გვ. 53)*

**დონ სანჩო:** თავდაპირველად დონ სანჩო მზად არის ორთაბრძოლაში (რასაც ხიმენე მეფისგან „სამართლიანი დუელის გზით“ ითხოვს) დაამარცხოს დონ როდრიგო და ამით ტრაგედიის ღერძი ჩამოშალოს, მაგრამ როცა ამ დუელის გამო თავად დამარცხდა (იგი დონ როდრიგომ შეიბრალა და სიცოცხლე აჩუქა), იმ მომენტიდან მოყოლებული იგი მზად არის ტრაგედიის კრიზისული სიტუაცია დაიძლიოს შეყვარებული წყვილის „შერიგებით“.

## 7. მაღალი საფეხურის კრიზის მენეჯერები სიღის მიხედვით

ბოლო, მესამე მაღალ საფეხურზე მყოფი კრიზის-მენეჯერები არიან: ინფანტა დონა ურაკა და კასტილიის პირველი მეფე დონ ფერნანდო.

**დონა ურაკა:** მიუხედავად იმისა, რომ თავად უყვარს დონ როდრიგო, მისი თავი ინფანტამ ხიმენეს „დაუთმო“. ტრაგედიის შემდეგ ინფანტა ეძებს გამოსავალს კრიზისული სიტუაციიდან, ამიტომ იგი ხიმენეს ურჩევს ხელი აიღოს შურისძიებაზე, მით უფრო, რომ მავრებთან ბრძოლაში გამარჯვებული დონ როდრიგო უკვე მოიაზრება კასტილიის მხსნელად და როდრიგოს სიკვდილით დასჯის მოთხოვნა ხიმენესგან ნიშნავს სახელმწიფოს უშიშროების საფრთხეში ჩაგდებას. ინფანტა პირად გრძნობებს უმორჩილებს სახელმწიფო ინტერესებს და ხიმენესთან დიპლომატიური საუბრით ცდილობს კრიზისული სიტუაციიდან გამოსავლის პოვნას.

**დონ ფერნანდო:** სიღში გადამწყვეტი სიტყვა დონ ფერნანდოს ეკუთვნის, რადგან სხვა კრიზის-მენეჯერების დახმარებით დილემა ვერ დაიძლია. დონ ფერნანდო ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას: მაშინ, როცა მას შეეძლო დაესაჯა დონ როდრიგო და ხიმენე (სახელმწიფოს ინტერესების ბოლომდე გაუცნობიერებლობის გამო), მისი კეთილი ნების წყალობით ტრაგედია შეყვარებული წყვილის ბედნიერებით მთავრდება: ხიმენეს სურვილიდან გამომდინარე, ერთი წლის შემდეგ, დროის მდინარებით განკურნებული ხიმენე შემდეგს როდრიგოსთან იქორწინოს.

სიღის ბედნიერი დასასრული კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ ეს ტრაგედია, მიუხედავად მრავალი შინაგანი ტრაგიკული კონფლიქტისა, შეიძლება ტრაგიკომედიის ჟანრის სრულყოფილ ნიმუშადაც მივიჩნიოთ.

## 8. კრიზისული სიტუაციების სხვადასხვა დონეები კლასიციტურ ტრაგედია სიღში

გასათვალისწინებელია ის მომენტი, რომ კრიზისული ანუ მოსაგვარებელი სიტუაციები კლასიციტურ ტრაგედიებში სხვადასხვა კატეგორიის დონეზე წარმოიქმნება. რაც შეეხება სიღს, აქ

შემდეგი მთავარი კრიზისული დონეები გვაქვს:

1. კრიზისული სიტუაციის ერთერთი გამოვლინება დაკავშირებულია სიყვარულის კატეგორიასთან. რა თქმა უნდა, ხიმენესთვის უმძიმესია მამის მკვლელს გაჰყვეს ცოლად, მაგრამ რა უყოს ყოვლისმძლე, გონს დაუმორჩილებელ სიყვარულის კატეგორიას? ამ შემთხვევაში იგი გულის ხმას მიენდობა და არა გონების მეფეებას.

2. *სიდში* კრიზისული სიტუაციის მეორე მნიშვნელოვანი დონე უკავშირდება მოვალეობის კატეგორიას. ასეთ შემთხვევაში, მოვალეობის კატეგორიის რომელი ასპექტიც გადაძალავს, გმირიც იქითქვენ მიდის. მაგალითად, მოვალეობის გამო ხიმენე ვალდებულია შური იძიოს მამის მკვლელზე (როდრიგოზე), ამავე მოვალეობის გამო ის ვალდებულია მიჯნურის (როდრიგოს) ინტერესებსაც გაუწიოს ანგარიში - ხიმენეს მამის მოკვლით როდრიგო ხომ საკუთარი ღირსების პრინციპს იცავს, უღირსი საქმრო ხომ არც ხიმენეს სურს რომ ჰყავდეს.

3. *სიდში* კრიზისული სიტუაციის ყველაზე მნიშვნელოვანი დონეა პოლიტიკური კრიზისის დონე. სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე (პარტიკულარიზმი რომ გამორიცხოს) კასტილიის მეფე დონ ფერნანდო „იძულებულია“ შეძლოს შეუძლებელი - შეარიგოს ორი დიდი გვარის წარმომადგენელი და პოლიტიკური ქორწინების ხარჯზე უზრუნველყოს ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფო, სადაც შინაომები არ იქნება.

უნდა აღინიშნოს, რომ მოვალეობის კატეგორია კლასიციტურ ტრაგედიაში არ არის ერთსახოვანი - იგი საოცრად განტოტვილია და შედგება პიესის მოქმედ პირთაგან გამომდინარე ათასგვარი „წვრილმანი“ მოვალეობის სრული თავმოყრით, რის საშუალებითაც დაიდგება ამა თუ იმ სახის კრიზისული სიტუაცია.

*სიდში* სიყვარულის კატეგორიასთან დაკავშირებული კრიზისული სიტუაცია იქმნება ხიმენეს, როდრიგოს, დონა ურაკას და დონ სანჩოს პერსონაჟებიდან გამომდინარე.

ამავე ტრაგედიაში მოვალეობის კატეგორიასთან დაკავშირებული კრიზისული დონე ეხება პიესის ყველა მოქმედ პირს (რადგან თითოეული მათგანი მოვალეა ვიღაცის ან რაღაცის მიმართ).

*სიდში* პოლიტიკური კრიზისის დონე უკავშირდება მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურს - მეფე დონ ფერნანდოს, რადგან მისი პრეროგატივაა ერთპიროვნულად გადაჭრას სახელმწიფოს ინტერესებთან შესათავსებელი პრობლემები.

## 9. დასკვნა:

*სიდში* წამოჭრილი დილემის დაძლევის გზებს ეძიებენ კრიზის მენეჯერები, რომლებიც *სიდის* მიხედვით, თავიანთი სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე კრიზის-მენეჯმენტის შემდეგ სამ საფეხურზე თავსდებიან:

1. დაბალი საფეხური (აღმზრდელები, მხედრები, პაჟები, მესაიდუმლეები, ძიძები და ა.შ.) - ელვირა, ლეონორა.

2. საშუალო საფეხური (დიდგვაროვნები) - დონ დიეგო, დონ გომესი, დონ არიასი, დონ სანჩო.

3. მაღალი საფეხური (სამეფო ოჯახი) - დონ ფერნანდო, ინფანტა.

რაც შეეხება წამოჭრილ კრიზის-მენეჯმენტის პრობლემას, *სიდის* ყველა მნიშვნელოვანი პერსონაჟი ვალდებულია მოვალედ ჩათვალოს თავი, შესაძლებლობის ფარგლებში, კრიზის-მენეჯერის ფუნქცია იტვირთოს. *სიდში* მხოლოდ ორმა პერსონაჟმა არ და ვერ გაისიგრძეგანა კრიზის-მენეჯერის ფუნქცია-ესენი არიან დონ გომესი და დონ დიეგო, დანარჩენმა კრიზის-მენეჯერებმა კი შესაძლებლობებიდან გამომდინარე გაართვეს თავი ამ კეთილშობილურ ფუნქციას.

## ბიბლიოგრაფია

- არჩვამე, ზ., & ლეონიძე, ნ. (2019). *ფრანგი დრამატურგები საქართველოში*. ქუთაისი: აწსუ გამომცემლობა.
- კორნელი, პ. (1982). *სიდი*. ფრანგულიდან თარგმნა გივი გეგეჭკორმა, წიგნში: *ფრანგული დრამა, პიერ კორნელი, ჟან რასინი, ჟან ბატისტ მოლიერი*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- Bertière, S., & Vidal, L. (1993). *Anthologie de la littérature française, XVIIe siècle*. Paris: Broché.
- Chaunu, P. (1984). *La civilisation de l'Europe classique*. Paris: Arthaud.
- Curial, H. (2006). *La politique dans le Cid*. Paris: Hatier.
- Curial, H. (1993). *Profil d'une Oeuvre: Corneille: Le Cid*. Paris: Hatier.
- Cuprie, A. (1989). *Le Cid, une étude littéraire, historique et dramaturgique de la pièce*. Paris: P.U.F.
- Prigent, M. (1986). *Le héros et l'État dans la tragédie de Pierre Corneille*. Paris: P.U.F.
- Scherer, J. (1964). *La dramaturgie classique en France*. Paris: Nizet.
- Truchet, J. (1975). *La Tragédie classique en France*. Paris: P.U.F.
- Zuber, R., & Cuénin, M. (1999). *Histoire de la Littérature Française: Le Classicisme*. Paris: Flammarion.



**Zurab Archvadze**  
*Akaki Tsereteli State University*  
**THE TRAGEDY OF FRENCH CLASSICISM: DILEMMA AND CRISIS MANAGERS**  
**(BY *LE CID* PIERRE CORNEILLE)**  
**RESUME**

French classicism considers samples of antic literature as standards. French classicists not only bring stories from ancient literature, but also build artistic forms based on the principles of antic art. As for the tragicomedy *Le Cid* by Pierre Corneille, its plot was taken by Corneille from *The Youth of Cid* by the Spanish author Guillen de Castro

P. Corneille created the artistic reality of the first classicist tragedy - *Le Cid*, taking into account many features of the poetics of ancient tragedies. As in ancient tragedis respectively French classical tragedy, we are definitely faced with a dilemma that must be overcome.

In ancient tragedies, the crisis management institute worked to solve the dilemma problem, whose representative crisis managers solved crisis situations not by bloodshed, but by diplomatic talks.

In *Le Cid* by Pierre Corneille, crisis managers are looking for a way out of a crisis situation, who, depending on their social status, belong to different levels of crisis managers:

1. Low level (tutors, riders, nannies, etc.) - Elvire, Léonor.
2. Middle level (nobles) –Don Diègue , Don Gomes, Don Arias,
3. High level (royal family) - Don Fernand, Infanta of Castile .

One part of the crisis managers clearly fulfills their duty, while the other part makes mistakes and cannot or does not find ways out of the crisis situation at all.

Crisis managers of different levels have different rights and duties - a representative of the first level cannot interfere with the noble team of crisis managers, and among the representatives of the third level, the king has the right to say the decisive word, not any member. of his royal house. In "Sid" we have different levels causing crisis situations: the origin of the first critical situation is related to the category of love. The second crisis situation is created due to the category of duty. But they are closely related to each other and have a certain influence on each other at different stages of the development of the tragedy. It should be especially noted that in the French classical tragedy, the axis of which is created by the categories of feeling and duty, ultimately everything is subordinated to the category of duty and the characters themselves are burdened by the category of duty throughout. As for the problem of crisis management raised in Corneille' s *le Cid* , all important characters of the tragedy are obliged to consider themselves a debtor, to perform the function of an anti-crisis manager within the limits of their capabilities. In *Le Cid*, only two characters failed to perform the function of a crisis manager—Don Gomez and Don Diego— and the rest of the crisis managers were able to perform this noble function to the best of their abilities.

**Key words:** French classicist tragedy, *Le Cid*, Pierre Corneille, Crisis- managers, Dilemma.

**მაია ბოლაშვილი**  
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
**ნანა მაზმიშვილი**  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
**რუსუდან ბერიძე**  
საქართველოს უნივერსიტეტი

**იდომების და ფიქსირებულ გამოთქმათა ტრანსლატაციის სირთულეები**  
**და სტრატეგიები**

**საკვანძო სიტყვები:** ინტერლინგვისტური, წყარო ენა (SL), სამიზნე ენა (TL), პარაფრაზირება, განმარტება, მეტყველების ნაწილები.

იდომები და ფიქსირებული გამონათქვამები თითოეული ენის განუყოფელი ნაწილია, რომელიც ენათა უმრავლესობაში დიდი როდენობით გვხვდება. ვინაიდან ამ სიტყვათა შეთანხმებების მნიშვნელობის გაგება მათი შემადგენელი ცალკეული სიტყვების ზედაპირული მნიშვნელობიდან შეუძლებელია, ამიტომაც მათი როგორც გაგების, ასევე წყარო ენიდან (TL) სამიზნე ენაზე (SL) თარგმნის

პროცესში მთარგმნელი გარკვეულ პრობლემებს აწყდება. ერთი ენიდან მეორეზე იდიომებისა და ფიქსირებულ გამონათქვამთა თარგმნის პროცესი მეტად რთული და ამავდროულად სასიამოვნო შრომაა, რომელიც მთარგმნელისგან ორივე ენისა და კულტურის ღრმა ცოდნას მოითხოვს, რომლებიც გააზრებული ან გადმოცემულია და ასევე მას უნდა შეეძლოს იმ მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი პრობლემების იდენტიფიცირება და მათთვის თავის გართმევა, რაც ინტერლინგვალური იდიომატური წყვილებისთვის ეფექტური ეკვივალენტების შერჩევის თანხლები პროცესია. მსგავს მნიშვნელობათა გადმოსაცემად სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანი იყენებს სრულიად განსხვავებულ გამოთქმებს ისე, რომ კონკრეტულ ენაზე მოლაპარაკეთათვის ნებისმიერი გამოთქმა შესაძლოა სრულიად რეალური და ადვილად გასაგები აღმოჩნდეს და პირიქით, - სიტყვათა შეთანხმებანი და გამოთქმათა ნაკრები შესაძლოა სრულიად ბუნდოვანი ჩანდეს და ზოგიერთ შემთხვევაში, სისულელეს და კომიკურსაც წარმოადგენდეს. ეს გამოწვეულია იმით, რომ თითოეულ ენას აქვს გარკვეული კულტურის სპეციფიკური ელემენტები, რომლებიც სრულიად განსხვავდება სხვა ენის შესაბამისი ელემენტებისგან. გარდა ამისა, გარკვეული განსხვავებები არსებობს ისეთ ფაქტორებში, როგორცაა რელიგია, გეოგრაფიული მდებარეობა, სხვადასხვა იდეოლოგია და ენებისა და საზოგადოებების სოციალური კლასები, რომლებიც ერთი ენიდან მეორეზე იდიომატური წყვილების გაგებისა და თარგმნის პროცესს ართულებს. აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევაში ორი ძირითადი პრობლემაა: 1) როგორ გავიგოთ კონკრეტული ენის იდიომებისა და ფიქსირებული გამონათქვამების მნიშვნელობა; და 2) როგორ ვთარგმნოთ ერთი ენის იდიომებისა და ფიქსირებული გამონათქვამების ერთნაირი ნაკრები სამიზნე ენაზე ისე, რომ მათ წყარო ენაზე არსებული ზუსტად იგივე იდეები და აზრი უცვლელად გადმოსცენ.

იდიომები, როგორც გადატანითი მნიშვნელობის მქონე გამონათქვამები, კოლინზის „ინგლისური ენის ლექსიკონში“ (Collins, 2006) ასეა განმარტებული: „გამოთქმა, ისეთი, როგორცაა მსგავსება, რომელშიც სიტყვებს ლიტერატურული, პირდაპირი მნიშვნელობა არ გააჩნიათ, თუმცა კატეგორიზირებულნი არიან როგორც მრავალსიტყვიანი გამონათქვამები, რომლებიც ტექსტში ისე მოქმედებენ, როგორც მისი ერთეულები“. ლონგმენის იდიომების ლექსიკონში (Longman, 1998) ვკითხულობთ: „სიტყვათა თანმიმდევრობა, რომელსაც ჯგუფურად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს იმ მნიშვნელობისგან, რომელიც მათ ექნებოდათ, თუ თითოეულ სიტყვას ცალ-ცალკე გავიგებდით“. შესაბამისად, იდიომები არ უნდა დაიყოს ცალკეულ ელემენტებად, რადგან მათ ფიქსირებულ გამონათქვამად მიიჩნევენ.

ნიუმარკი (Newmark, 1988: 104), რომელიც იდიომს განიხილავს როგორც „გავრცობილ“ მეტაფორას, ამტკიცებს, რომ იდიომს აქვს ორი ძირითადი ფუნქცია: პრაგმატული და რეფერენციალური. პრაგმატული ფუნქცია გრძნობების, ინტერესის, გაცემისა და აღფრთოვანებისაკენ მოწოდებას წარმოადგენს. ის აღნიშნავს, რომ პირველი ფუნქცია კოგნიტიურია, მაშინ, როცა მეორე, -ესთეტიკური. რეფერენციალური ფუნქცია არის ”გონებრივი პროცესის ან მდგომარეობის, კონცეფციის, პიროვნების, ობიექტის, ხარისხის ან მოქმედების აღწერა გაცილებით უფრო ამომწურავად და სხარტად, ვიდრე ეს პირდაპირი მნიშვნელობით ან ფიზიკური ენითაა შესაძლებელი” (Newmark, 1998: 107).

მაკმორდიევის აზრით, „შეგვიძლია ვთქვათ, რომ იდიომა არის სიტყვათა რაოდენობა, როდესაც ის ერთად აღებული, რაღაც განსხვავებულს ნიშნავს იდიომის იმ ცალკეულ სიტყვათაგან, როცა ისინი მარტო დგანან” (McMordiew, 1983: 4).

მეორეს მხრივ, მუნი იდიომს განსაზღვრავს, როგორც „ორაზროვან ტერმინს, რომელიც ურთიერთსაწინააღმდეგო საშუალებებით გამოიყენება” (Moon, 1998).

ზოგადი გამოყენებისას იდიომს ორი ძირითადი მნიშვნელობა აქვს. პირველი, იდიომა არის რაიმეს გამოხატვის განსაკუთრებული საშუალება ენაში, მუსიკაში, ხელოვნებაში და ა.შ. რაც ახასიათებს პიროვნებას ან ჯგუფს; მეორე, იდიომა არის კონკრეტული ლექსიკური გამოთქმა ან ფრაზეული ლექსემა, რომელიც ენისთვისაა დამახასიათებელი (Moon, 1998: 3).

მკვლევართა უმეტესობა ამტკიცებს, რომ როგორც იდიომებს, ისე ფიქსირებულ გამოთქმებს და განსაკუთრებით პირველს, უმეტეს შემთხვევაში ფორმისა და სტრუქტურის შესაცვლელად მოქნილობა არ ახასიათებთ. ამ შემთხვევაში ბეიკერი (Baker, 1992) აცხადებს, რომ: “იდიომები და ფიქსირებული გამოთქმები ენების გაყინულ ნიმუშებს წარმოადგენენ, რომლებიც მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილების უფლებას იძლევიან ან საერთოდ არ იცვლიან ფორმას და იდიომების შემთხვევაში, ხშირად ატარებენ ისეთ მნიშვნელობებს, რომელთა დადგენა მათი ცალკეული კომპონენტებით შეუძლებელია” (Baker, 1992: 63). ის ასევე აღნიშნავს, რომ ზოგიერთი იდიომაც კი უშვებს „ფორმის ცვალებადობას ნორმალურ ვითარებაში“ და რომ მთარგმნელს არ შეუძლია შემდეგი ცვლილებები იდიომების ტრანსლაციის პროცესში: ა) შეცვალოს სიტყვების თანმიმდევრობა; ბ) წაშალოს რომელიმე სიტყვა; გ) დაუმატოს სიტყვა; დ) ერთი სიტყვის მეორეთი სიტყვის შეცვლა დაე) მისი გრამატიკული სტრუქტურის შეცვლა.

უფრო მეტიც, კარტერის მიხედვით (Carter, 1998: 66) იდიომები კლასიფიცირდება, როგორც ფიქსირებული გამოთქმის ტიპები, რომლებიც მოიცავს ანდაზებს, ფრაზების ფონდს, გაცვეთილ ფრაზებს, ალუზიებს, იდიომატურ მსგავსებებს და დისკურსულ გამონათქვამებს.

ლინგვისტიკის მკვლევარები სიტყვათა მნიშვნელობის ტიპებს ერთმანეთისგან განსხვავებულად განმარტავენ. ზოგიერთი მათგანი ზოგადი ტერმინებით შემოიფარგლება, ზოგი კი უფრო სპეციფიკურ კლასიფიკაციას იყენებს. მაგალითად, ლარსონი (Larson, 1984: 41) თვლის, რომ არსებობს მნიშვნელობის ორი ძირითადი ტიპი, კერძოდ, „ექსპლიციტური“ და „იმპლიციტური“ მნიშვნელობები. ის ასევე ამტკიცებს, რომ ამ ორი ძირითადი ტიპის მნიშვნელობათა სამი ქვეკატეგორია არსებობს:

1) „რეფერენციალური“ მნიშვნელობა, სადაც „კონკრეტული სიტყვა გარკვეულ საგანზე, მოვლენაზე, განმსაზღვრელზე ან იმ კავშირზე მიუთითებს, რომელიც ადამიანს შეუძლია აღიქვას ან წარმოიდგინოს“;

2) „ორგანიზაციული“ მნიშვნელობა, რომელსაც საქმე აქვს ზოგიერთი ასპექტის ზედაპირულ სტრუქტურასა და წინადადების გრამატიკულ ნაწილებთან, ისე, რომ „რეფერენციალური“ მნიშვნელობები ერთადაა და მრავალფეროვანი კომბინაციითაა გამოხატული;

3) „სიტუაციური“ მნიშვნელობა - ეს არის მოცემულ კომუნიკაციაში გამონათქვამის მნიშვნელობა; მეორეს მხრივ, ი. ნაიდა (Nida, 1964) მნიშვნელობათა ტიპების სამ ქვე-სახეობას გვთავაზობს:

1) „ლინგვისტური“ მნიშვნელობა, რომელიც რამდენიმე ელემენტს ჩომსკის (Chomsky, 1957) მოდელიდან სესხულობს და იმ ფაქტს უსვამს ხაზს, რომ მნიშვნელობები პირობითია;

2) „რეფერენციალური“ მნიშვნელობას ნაიდა დენოტაციურ მნიშვნელობას უწოდებს და ეს კატეგორია მოიცავს იმ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ლექსიკონებშია შეტანილი;

3) „მხატვრული“ მნიშვნელობა, რომელსაც კონოტაციური მნიშვნელობა ეწოდება, რომელსაც ექსტრალინგვისტურ ფაქტორთან და იმ გადატანით მნიშვნელობებთან აქვს საქმე, რომელიც სიტყვას შეუძლია გადმოსცეს.

კოლერის (Koller, 1979) კლასიფიკაციის მიხედვით შესაბამისი ეკვივალენტებისთვის მნიშვნელობათა ხუთი კატეგორია არსებობს:

1) დენოტაციური ეკვივალენტობა, რომელიც ტექსტის არაენობრივ შინაარსს გულისხმობს და კოლერი მას შინაარსობრივ ინვარიანტად ასახელებს;

2) კონოტაციური ეკვივალენტობა ნიშნავს გრძობას ან იდეას, რომელიც შემოთავაზებულია კონკრეტული სიტყვით, თუმცა ეს სულაც არ არის ამ სიტყვის მნიშვნელობის ნაწილი. კოლერი ამ ტიპის მნიშვნელობას სტილისტიკურ ეკვივალენტობას უწოდებს;

3) ტექსტურ-ნორმატიული ეკვივალენტობა დაკავშირებულია ტექსტის სხვადასხვა ტიპებთან, რომლებშიც სხვადასხვა ტიპის ტექსტები სხვადასხვაგვარად იქცევიან;

4) პრაგმატული ეკვივალენტობა, რომელიც სამიზნე ენაზე ტექსტის გავლენას აღნიშნავს. შეიძლება ითქვას, რომ ამ ტიპის მნიშვნელობა იგივეა, რაც ნაიდას (Nida, 1964) „დინამიკური ეკვივალენტობა“;

5) ფორმალური ეკვივალენტობა, რომელიც კონცენტრირებულია ტექსტისა და მნიშვნელობის ფორმასა და ესთეტიკაზე. ამ სახის ფორმალური ეკვივალენტობა არ უნდა განიხილებოდეს როგორც ნაიდას იგივე „ფორმალური ეკვივალენტობა“, რომელიც სიტყვის პირდაპირ მნიშვნელობას ნიშნავს.

როგორც ვხედავთ, ყველა მეცნიერს მნიშვნელობათა ტიპების კატეგორიზაციის საკუთარი ვერსია აქვს, რომელიც მათ პირად გემოვნებას ეფუძნება, თუმცა ერთი რამ რაც მათ საერთო აქვთ არის, ის, რომ თითოეული მათგანი მნიშვნელობის ტიპს განმარტავს სიტყვის „არალინგვისტურ“ და „ლინგვისტურ“ ასპექტებთან მიმართებაში ანუ ყველა მეცნიერი მნიშვნელობათა ტიპის კატეგორიზაციას ენებში არსებული იდიომატურ გამოთქმასთან მიმართებაში ახდენს. მაგ; ზემოთაღნიშნული მნიშვნელობის ტიპებში, ლარსონის „სიტუაციური მნიშვნელობა“, ნაიდას „მხატვრული მნიშვნელობა“ და კოლერის „კონოტაციური მნიშვნელობა“ დაკავშირებულია იდიომებისა და ფიქსირებული გამონათქვამების საკითხთან.

მ. ბეიკერი ეკვივალენტობას სხვადასხვა დონეებზე განიხილავს: სიტყვის, სიტყვაზე აღმატებულის, გრამატიკის, თემატური სტრუქტურის, კოჰეზიის და პრაგმატულ დონეებზე (Baker, 1992).

წინამდებარე ნაშრომში ეკვივალენტობას განვიხილავთ „სიტყვაზე აღმატებულ“ და „პრაგმატულ“ დონეებზე, რადგან იდიომები და ფიქსირებული გამოთქმები ძირითადად ამ ორთან მიმართებაში განიხილება.

პირველი დონის შემთხვევაში, მ. ბეიკერი ამტკიცებს, რომ „მარტო სიტყვები იშვიათად ჩნდებიან. ისინი თითქმის ყოველთვის სხვა სიტყვებთან ერთად გვხვდება. თუმცა არც ერთ ენაში სიტყვები უწესრიგოდ არ არიან დალაგებულნი. მათი კომბინაციების შესაქმნელად, რათა მნიშვნელობა გადმოსცენ, ყოველთვის არსებობს შეზღუდვები (სირთულეები). მასასადამე, როგორც ჩანს, შესიტყვებათა ნიმუშები

დიდწილად თვითნებური და მნიშვნელობისგან დამოუკიდებელია. ეს ასეა როგორც ენათა შიგნით, ასევე მათ გადაკვეთაზეც. შეუსაბამობის იგივე ხარისხი, რომელიც შეიძლება ერთსა და იგივე ენის შიგნით სინონიმური და თითქმის სინონიმური სიტყვათა წყობის მოდელეზე დაკვირვებისას შეინიშნოს, ორი განსხვავებული ენის "ლექსიკური ეკვივალენტების ან თითქმის ეკვივალენტების სიტყვათა წყობის მოდელეზე დაკვირვებისასაც აშკარაა (Baker, 1992: 47-48)".

გარდა ამისა, იგი ასევე განიხილავს სამ პრაგმატულ კონცეფციას, სადაც პრაგმატიკა არის „გამონათქვამების გამოყენება კომუნიკაციურ სიტუაციაში“:

1) კოჰეზია (გადაბმა) აუდიტორიის მიერ სამყაროს აღქმას გულისხმობს, რომელიც წყარო და სამიზნე ენებზე მკითხველისთვის შეიძლება განსხვავდებოდეს;

2) ვარაუდი არის ის, სადაც შეტყობინების მიმღებს ვარაუდობენ, რომ გარკვეული წინასწარი ცოდნა გააჩნია... ეს შემთხვევა თარგმანში პრობლემებს წარმოშობს პრობლემებს, რადგან სამიზნე ენის მკითხველს შეიძლება არ ჰქონდეს იგივე ცოდნა, რაც წყარო ენის მკითხველს გააჩნია. ამ შემთხვევაში მთარგმნელმა სხვა სიტყვებით ან სხვა ფორმით გადმოცემა უნდა შეძლოს ან სქოლიო უნდა გამოიყენოს;

3) მინიშნება,-სადაც მნიშვნელობა უფრო მეტად იგულისხმება, ვიდრე მისი პირდაპირი მნიშვნელობა, რამაც შესაძლოა გზავნილის განზრახვის არასწორი თარგმანი გამოიწვიოს.

მ. ბეიკერი აცხადებს, რომ „პირველი სირთულე, რაც შეიძლება მთარგმნელს იდიომატურ გამოთქმათა თარგმნისას შეხვდეს, მათი ვერ ამოცნობაა“. მას სჯერა, რომ ზოგიერთი იდიომატური გამოთქმა, სადაც აღნიშნულია ორი სიტუაცია, რომლებშიც გამონათქვამი ადვილად ამოიცნობა, გაცილებით იოლი გამოსაცნობია, ვიდრე ზოგიერთი სხვა სიტყვათა კომბინაცია:

1) როდესაც იდიომები „არღვევენ ჭეშმარიტ პირობებს“ და 2) როდესაც იდიომები მოიცავს ისეთ გამონათქვამებს, რომლებიც მთარგმნელს გრამატიკულად „არასწორად ჩამოყალიბებული“ ეჩვენება. და ზოლოს ასკვნის, რომ „გასაგებად რაც უფრო რთულია გამოთქმა და რაც უფრო ნაკლები როლი აქვს მას მოცემულ კონტექსტში, მით უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ მთარგმნელი მას იდიომად აღიარებს“.

ამის შემდეგ, ბეიკერი კლასიფიცირებს ორ ძნელად ამოსაცნობ შემთხვევას, როდესაც იდიომა შეიძლება არასწორად იქნას გადათარგმნილი:

1) ზოგიერთი იდიომა შეცდომაში შემყვანია და 2) წყაროს ენის იდიომს შესაძლოა გააჩნდეს სამიზნე ენაზე ძალიან ახლო ანალოგი, რომელიც გარეგნულად მსგავსია, მაგრამ აქვს სრულიად ან ნაწილობრივ განსხვავებული მნიშვნელობა.

აღნიშნული სირთულეები მხოლოდ იდიომებისა და ფიქსირებული გამონათქვამების ინტერპრეტაციის პრობლემებს ეხებოდა და არა მათი თარგმნის პროცესს. რაც შეეხება იდიომების და ფიქსირებულ გამოთქმათა თარგმნის სირთულეებს, მ. ბეიკერი მათ ოთხ ქვე-კატეგორიად ყოფს:

1) იდიომას ან ფიქსირებულ გამოთქმას შესაძლებელია, რომ არ გააჩნდეს ეკვივალენტი სამიზნე ენაზე;

2) იდიომას ან ფიქსირებულ გამოთქმას შესაძლოა, რომ სამიზნე ენაზე გააჩნდეს მსგავსი ეკვივალენტი, თუმცა მისი გამოყენების კონტექსტი განსხვავებული იყოს;

3) წყარო ენაზე იდიომატური გამოთქმა შესაძლოა გამოყენებულ იქნეს როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით;

4) წერილობით დისკურსში იდიომების გამოყენების კონვენცია, კონტექსტები, რომლებშიც შეიძლება მათი გამოყენება და მათი გამოყენების სიხშირე, შესაძლოა, რომ წყარო და სამიზნე ენებზე განსხვავებული იყოს.

მიუხედავად იმისა, რომ იდიომებისა და ფიქსირებული გამონათქვამების თარგმნის პროცესში მთარგმნელი შესაძლოა გარკვეული სირთულეების წინაშე აღმოჩნდეს, მეორე მხრივ, არსებობს გარკვეული სტრატეგიები ასეთი სავარაუდო სირთულეების დასაძლევად. მ. ბეიკერი პრობლემის გადაჭრის ოთხ შემდეგ სტრატეგიას გვთავაზობს:

1) მსგავსი მნიშვნელობისა და ფორმის მქონე იდიომის გამოყენება;

2) მსგავსი მნიშვნელობის, თუმცა განსხვავებული ფორმის მქონე იდიომის გამოყენება;

3) პარაფრაზით თარგმნა;

4) იდიომის გამოტოვებით თარგმნა;

უფრო მეტიც, ის აცხადებს, რომ: „იდიომის ან ფიქსირებული გამოთქმის წყარო ენიდან სამიზნე ენაზე თარგმნა, ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. ასევე გასათვალისწინებელია ენობრივი სტილის, რეგისტრისა და რიტორიკული ეფექტის საკითხები.“ ის საბოლოოდ ასკვნის, რომ ჩვენ ყოველთვის არ უნდა ველოდოთ ენებს შორის „ეკვივალენტური იდიომებისა და ფიქსირებული გამონათქვამების პოვნას. თუმცა იდიომები და ფიქსირებული გამონათქვამები, რომლებიც შეიცავს კულტურის სპეციფიკურ ელემენტებს, სულაც არ არის უთარგმნელი“. გარდა ამისა, ფერნანდო და ფლაველი (Fernando & Flavell,

1981: 82) მთარგმნელებს აფრთხილებენ „მათი უმეტესობის მიმართ მკაცრი არაცნობიერი მოთხოვნის შესახებ, რომ რეცეპტორ ენაზე აუცილებლად მოძებნონ იდიომები, მათი შეუსაბამისობის მიუხედავად“.

ფერნანდო იდიომების ტიპოლოგიას გვთავაზობს, რომელიც მათი სამი განსხვავებული კატეგორიისგან შედგება:

1) სუფთა, ნამდვილი იდიომები: „საზოგადოდ აღიარებული, არაპირდაპირი მნიშვნელობის მქონე მრავალსიტყვიანი გამოთქმის ტიპები“. ნამდვილ იდიომებს ყოველთვის არ გააჩნიათ პირდაპირი მნიშვნელობა, თუმცა შესაძლებელია, რომ ისინი უცვლელად დავტოვოთ ან მცირე ცვლილება განიცადონ. ამას გარდა, ისინი ბუნდოვან იდიომებადაა მიჩნეული;

2) ნახევარ-იდიომები. ამბობენ, რომ ნახევრად იდიომებს ერთი ან მეტი პირდაპირი მნიშვნელობის მქონე შემადგენელი სიტყვა და ერთი გადატანითი მნიშვნელობის მატარებელი სიტყვა გააჩნიათ. ამიტომ, ამ ტიპის იდიომები ნაწილობრივ ბუნდოვნად ითვლება;

3) გადატანითი მნიშვნელობის მქონე იდიომების ეს ქვეკლასი ან უცვლელია, ან მცირე ცვლელადობას იძლევა. გარდა ამისა, გადატანითი იდიომები ბუნდოვნად არ ითვლება, რადგან მათი ინტერპრეტაცია შესაძლებელია მათი შემადგენელი ნაწილების საფუძველზე.

მიუხედავად იმისა, რომ იდიომების უმეტესობა ფორმის ცვლილებას ეწინააღმდეგება, ზოგიერთი მათგანი დანარჩენებთან შედარებით გაცილებით მოქნილია.

მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლების გამოჩენილი ინგლისელი მწერლის, პოეტის, დრამატურგის და მხატვრის დ. ჰ. ლორენსის მცირე პროზის თარგმნისას, რომელიც იდიომატურ და ფიქსირებულ გამოთქმათა სიუხვით გამოირჩევა სხვა სტილისტიკურ ხერხებთან თუ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებთან ერთად, ჩვენ, როგორც პრაქტიკოსმა მთარგმნელებმა, ვიხელმძღვანელებთ ზემოაღნიშნულ ლინგვისტთა და თარგმანის თეორეტიკოსთა მიერ შემოთავაზებული მნიშვნელობათა კლასიფიკაციის და თარგმანის თანამედროვე თეორიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტად აღიარებული „ეკვივალენტობის თეორიების“ მიხედვით, რომელთაგან უპირატესობა მივანიჭებთ მ. ბეიკერის მიერ შემუშავებულ იდიომებისა და ფიქსირებულ გამოთქმათა მთარგმნელობით სტრატეგიებს და ი. ნაიდას (Nida, 1964) დინამიკური ეკვივალენტობის თეორიას, რომლის თანახმადაც წინა პლანზე წამოწეულია თარგმანის პრაგმატული განზომილება-მთარგმნელის ორიენტაცია თარგმანის ტექსტის ადრესატზე, როცა ორიგინალის აზრობრივი შინაარსი ისეთნაირადაა გამეორებული სამიზნე ენის ფორმებში, რომ თარგმანის ადრესატის რეაქცია ადეკვატურია ორიგინალის ტექსტის ადრესატისა. საილუსტრაციოდ მოგვყავს იდიომატურ და ფიქსირებულ გამოთქმათა წყარო ენიდან (SL),- ჩვენს შემთხვევაში ინგლისურიდან სამიზნე ენაზე (TL), -ქართულზე ტრანსლატაციის რამდენიმე მაგალითი:

1) იდიომის თარგმნა მსგავსი მნიშვნელობისა და ფორმის მქონე იდიომის საშუალებით:

He was made of quite a different paste („England, My England“, P. 3)

სხვა ცომისგან მოზელილი („ინგლისი, ჩემი ინგლისი“, გვ. 11)

2) მსგავსი მნიშვნელობის, თუმცა განსხვავებული ფორმის მქონე იდიომის გამოყენება:

Everything was gone to the dogs („The Horse-dealer’s Daughter“, p. 258);

ყველაფერი გაჩანაგებულიყო („ჩალვადარის ქალიშვილი“, გვ. 151);

He went out, followed by Joe, who seemed to have his tail between his legs (“The Horse-dealer’s Daughter“, p. 261)

ოთახიდან გასულს ოც კუდამოძუებული მიჰყვა („ჩალვადარის ქალიშვილი“, გვ. 135);

3) You can always land on your feet (“The Mortal Coil“, p. 175)

ძაღლის ბედი გაქვს („აღსასრული“, გვ. 28)

ზემოთმოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ იდიომატურ და ფიქსირებულ გამოთქმათა ტრანსლატაციის პროცესში აუცილებელია, რომ მთარგმნელმა შეძლოს იდიომატურ გამოთქმათა მიხედვით და თარგმანის თანამედროვე თეორიების სრულყოფილად ცოდნის გამოყენებით, მეტ-ნაკლებად ზუსტი შესატყვისი მოძებნოს წყარო ენაზე.

## ბიბლიოგრაფია

ლორენსი, დ. ჰ. (2023). *ინგლისი, ჩემი ინგლისი. მოთხრობები*. თბილისი: პალიტრა L.

Baker, M. (1992). *In other words: A coursebook on translation*. London and New York: Routledge.

Carter, R. (1998). *Vocabulary: Applied Linguistics Perspectives* (2nd edin). London and New York: Routledge.

Collins, H. (2006). *Collins English Dictionary*. Glasgow: Harper Collins.

Chomsky, N. (1957). *Syntactic structures*. Gravenhage: Mouton.

Fernando, C. (1994). *Idioms and idiomaticity*. Oxford: Oxford University Press.

Fernando, C., & Flavell, R. (1981). *Critical views On idiom and perspectives* (Linguistic Studies 5, University of Exeter), Chapter 4, “Contrastive Ideology”

- Hatim, B., & Mayson, I. (1990). *Discourse and the translator*. London and New York: Longman.
- Hatim, B., & Mayson, I. (1997). *The translator as communicator*. London and New York: Routledge.
- Koller, W. (1979). *The Concept of Equivalence and the object of Translation Studies*. John Benjamins Publishing Company.
- Larson, M. (1984). *Meaning-based translation: A guide to cross-language equivalents*. Lanham: University Press of America.
- Longman. (1998). *Dictionary of Contemporary English*: Harlow: Essex. Enland.
- Lawrence, D. H. (2002). *Short Stories*: Oxford: Oxford University Press.
- McMordiew, J. S. (1983). *English idioms and how to use them*. Moscow: Vyschaja shkola.
- Moon, R. (1998). *Fixed expressions and idioms in English: A corpus-based approach*. Oxford: Clarendon Press.
- Nida, E. A. (1964). *Toward a science of translating*. Leiden: E. J. Brill.
- Newmark, P. (1988). *A textbook of translation*. New York: TiceHall Press.

**Maia Bolashvili**  
Gori State University  
**Nana Mazmishvili**  
Batumi Shota Rustaveli State University  
**Rusudan Beridze**  
University of Georgia

## DIFFICULTIES AND STRATEGIES OF TRANSLATING IDIOMS AND FIXED EXPRESSIONS RESUME

This research aims to investigate what difficulties arise in the two processes of interpreting and translating idioms and fixed expressions from one language into another. An attempt has been made to exemplify the difficulties and strategies regarding this phenomenon so that a pseudo-descriptive list of existing difficulties might be declared for the readers and translators of such expressions. At the same time some quasi-prescriptive categories of strategies and solutions to cope with those problems have been mentioned largely based on Mona Baker's „equivalence above word level“ (Baker 1992, 68-71) classification of difficulties and strategies for translating idiomatic expressions. Considering these two classifications and the sub-categories of each group this study tries to show some guidelines for both the readers and translators of idiomatic expressions in the process of translating such concepts. Some practical examples of English and Georgian collocations are declared throughout the body of the paper. Firstly, the difficulties in the processes of understanding the meanings of idioms are analyzed, then the possible ways of solving those difficulties are mentioned mainly through applying those strategies proposed by Baker in her book, In other Words, alongside some other experimental findings mentioned by a number of experienced translators and scholars. Besides, a number of suggestions, regarding idiomatic translation, made by such scholars as Newmark (Newmark 1988), Fernando (1996) and Farrell (1997) are taken into consideration.

**Key words:** Inter-lingual, Source language (SL), Target language (TL), Paraphrasing, Definition, Figures of speech.

**თამარ გოგოლაძე**  
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### კულტურათმორისი (ქართულ-უნგრული) ურთიერთობის ძირითადი კონცეპტი თანამედროვე ეპოქაში

**საკვანძო სიტყვები:** ქართულ-უნგრული ურთიერთობები, მიხაი ზიჩი, ბელა ვიკარი.

**შესავალი.** კულტურათმორისი დიალოგი სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული კონცეპტით წარმოსდგება. წარსული მდიდარი ინფორმაცია ქართულ-უნგრული ურთიერთობისა მნიშვნელოვანია არამარტო ისტორიული თვალსაზრისით, არამედ ლიტერატურული კავშირების კუთხითაც. როგორც თვით უნგრელი და ქართველი მეცნიერები აღნიშნავენ, იგი, ძირითადად XVIII საუკუნიდან თარიღდება. შემდგომად კი დაკავშირებულია ორი უნგრული ენთუზიასტის, მხატვარ მიხაი ზიჩის (1827-1906) და

მთარგმნელ-ეთნოგრაფის ბელა ვიკარის (1859-1945) სახელებთან. რამ გამოიწვია ასეთი დაინტერესება (დიერდ რადოსჩით) უნგრეთში აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარებას მოჰყვა, მოგზაურთა წრეში გამართული პოლემიკიდან გამომდინარე, რაც ეხებოდა, ერთი მხრივ, უნგრული ხალხის უნგრო-ფინური, მეორე მხრივ, თათრულ-თურქული წარმომავლობის კვლევის საკითხთან. დაინტერესებას მოჰყვა უამრავი წერილი, შრომა, რომელიც პრესის განვითარებასთან ერთად იბეჭდება, XIX საუკუნიდან მოყოლებული, გაზეთებსა თუ სამეცნიერო ჟურნალებში. ბელა ვიკარის მიერ შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ უნგრელი ენაზე თარგმანის (1917 წ.) გამოცემის შემდგომად გრძელდება მთარგმნელობითი საქმიანობა. კვლევა შოთა რუსთაველის ირგვლივ უნგრელი მკითხველისთვისა და, უფრო მოგვიანებით, საბჭოურ ეპოქაში, კონტაქტების გაძლიერებით: ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლებლად ჩამოდიან უნგრელი სტუდენტები, ძლიერდება ქართველ და უნგრელ ენათმეცნიერთა კავშირები, რაც ზენიტს აღწევს „ვეფხისტყაოსნის“ 800 წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიებების პერიოდში. ამას მოჰყვა უნგრელ მწერალთა ნაწარმოებების თარგმნაც ქართულ ენაზე, რაც მიმდინარეობდა 1990-იან წლებამდე ჯერ შუალედური ენიდან (რუსული ენიდან), შემდგომ კი - უშუალოდ დედნიდან. ითარგმნა ლაიომ ტარდის „იაკუბ-ბეი“, უნგრული მოთხრობები, შანდორ პეტეფის ლექსები, რომელმაც განსაკუთრებით მიიქცია ყურადღება მსახიობ-დეკლამატორთა მიერ ქართული თარგმანების მეშვეობით. ქართულ-უნგრული ურთიერთობის ისტორიამ, წარსულში ჩვენი აზრით, მოიცვა ორი ეტაპი: 1. XVIII-XIX, 2. XX საუკუნეები. თუ პირველ ეტაპზე იგი ხალხების გაცნობას ისახავდა მიზნად, მეორე ეტაპზე უკვე ორი ხაზით მიმდინარეობს ურთიერთობა: თარგმნისა და მეცნიერული შესწავლის მეშვეობით. საბჭოთა კავშირის ნგრევის პროცესმა ერთგვარად შეანელა კავშირები, ტრადიცია გავერმკრთალდა, მაგრამ XXI საუკუნეში ნელ-ნელა ძლიერდება სწრაფვა ძველი კავშირების აღდგენის თუ არა, ახალი შესაძლებლობების დანერგვა-განვითარებისაკენ. სტატიის მიზანია ძველი ტრადიციის მიმოხილვასთან ერთად ახალი ურთიერთობების ჩვენება-წარმოდგენა, რაც ხელს შეუწყობს ქართული სამყაროს ევროპულ ძირძველ სახელმწიფოებიდან კონტაქტების სრულყოფასაც.

**ლიტერატურის მიმოხილვა:** ქართველი საზოგადოების ძირითადი დაინტერესება ადრეულ ეპოქაში შოთა რუსთაველის პოემის პოპულარიზაციამ განაპირობა. „ძველი ქართული და თუ ძველი უნგრული წყაროების შესწავლა ცხადყოფს, რომ ეს ხალხები უკვე ადრეულ ხანაში იცნობდნენ ერთმანეთს“. - მართებულად აღნიშნავდა უნგრული ლიტერატურათმცოდნე დ. რადო, რომელიც სიამაყით იხსენებდა მიხაი ზიჩისა და ბელა ვიკარის სახელებს. „საინტერესოა ერთი რომანტიკული შემთხვევა: ერთ-ერთ ძველ ქართულ ოჯახში (ციციშვილების ოჯახში) მ. ზიჩიმ შენიშნა, რომ საგვარეულო გერბი თითქმის ისეთივე იყო, როგორც ზიჩებს ჰქონდათ. ამის შესახებ ი. ბერკოვიჩი წერს, რომ, გადმოცემით ციციშვილების ერთ-ერთი წინაპარი გადასახლებულა უნგრეთში და ახლო ურთიერთობა ჰქონია ზიჩების ოჯახთან“ (იგონებს მწერალი ლაიომ ტარდი თავის შრომაში „უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“) (A magyar – gruz képeslatoak tortenetebol, Budapest, 1965) (რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, 1978: 25). აღნიშნული შენიშვნა აუცილებელია დაზუსტდეს ქართველი ჰერალდიკოსების მიერ, რაც საინტერესო საკვლევი თემაა აღნიშნული საკითხის შესასწავლად. მიხაი ზიჩი ბედი კი უცნაურად გადაიკვეთა ქართულ რეალობასთან.

მიხაი ზიჩი საკმაოდ პოპულარული პიროვნება ყოფილა უნგრეთში. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება ახალგაზრდობიდანვე მან სხვადასხვა ქალაქებში გაატარა (ვენა, სანკტ-პეტერბურგი, პარიზი), მაინც დიდი კავშირი ჰქონდა უნგრულ საზოგადოებრიობასთან. მხატვარ ილუსტრატორს, შეუკვეთეს რა რუსი პოეტის მ. ლერმონტოვის თხზულებათა ილუსტრაციების შექმნა, მოუხდა კავკასიაში გამგზავრება. ამ დროს ქართველი მოღვაწეები ამზადებდნენ „ვეფხისტყაოსნის“ ახალ გამოცემას და სწორედ ზიჩის ილუსტრაციებით გამოიცა შ. რუსთაველის პოემა. ზიჩი ორჯერ იყო საქართველოში. პირველი ჩასვლისას სამხედრო დღესასწაულთან დაკავშირებით, ქართველ თავადაზნაურობას ქალბატონ ბარათოვას მეთაურობით, უთხოვია დასწრებოდა 10 ცოცხალ სურათს. თვით მხატვარი თავისი ძმისადმი გაგზავნილ წერილში აღწერს ამ სცენებს: „უკანასკნელ სურათში 105 კაცი მონაწილეობდა, დანარჩენებში კი 30-40 პირზე მეტი“ (რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, 1978: 101).

აღნიშნულ საკითხზე ბევრი რამეა დაწერილი, როგორც ქართულ, ისე უნგრულ მოგონებებში. ცოცხალმა სურათებმა საოცარი შთაბეჭდილება იქონია თვით მხატვარზე, რომელმაც, პეტერბურგში წაიღო რა ჩანახატები, იქ დაასრულა, მეორედ ჩასვლის დროს კი ნებართვა აიღო რა იმპერატორ ალექსანდრე III-სგან, შეუდგა მზადებას ილუსტრაციებისა მოსამზადებლად პოემის ქართული გამოცემისათვის. შემდეგ დაბეჭდილი პოემის ერთი ეგზემპლარი ალექსანდრე III გადაეცა (1888 წ.), მეორე კი ბალმონტმა წაიღო 1914 წელს. ს. ცაიშვილის გამოკვლევით, ორივე ეგზემპლარი დაკარგულად ითვლება. თვით მ. ზიჩმა ერთი ეგზემპლარი გადასცა სეჩენის ბიბლიოთეკას, მეორე - ბელა ვიკარს. ზიჩის

ყოფნაზე საქართველოში და მის ილუსტრაციებზე არაერთი გამოკვლევა დაიწერა: ა. ხუნდაძის, გ. ახვლედიანის, მ. გორგაძის, და სხვათა შრომების სახით. თუმცა, ვფიქრობთ, თანამედროვე ეტაპზე სასურველი იქნებოდა მკვლევართათვის ილუსტრაციებში ასახული ქართველ ქალთა და მამაკაცთა პროტოტიპების მოძიების პროცესი, რაც ხელს შეუწყობს იმ ადამიანთა ისტორიის განახლებასაც, ქალბატონ ბარათოვას ხელმძღვანელობით უნგრული მხატვრის დასურათებით. დიდია ხელოვნებათმცოდნეთა წვლილი აღნიშნული საკითხის კვლევაში.

მიხაი ზიჩი „ვეფხისტყაოსანს“ გაეცნო თარგმანში, მაგრამ იგი ამით არ დაკმაყოფილდა. პოემის სიუჟეტი, თემების სიმრავლე და მნიშვნელობა მშობლიურ ენაზე უნდა ამეტყველებულიყო. ამიტომ იგი უკავშირდება ცნობილ უნგრელ მეცნიერს, ლიტერატურათმცოდნეს, ფოლკლორისტს, მთარგმნელს ბელა ვიკარს. ზიჩი ამ დროს (1889 წელს) ცხოვრობდა პეტერბურგის ახლოს საზაფხულო აგარაკზე. ვიკარი კი მუშაობდა ცნობილი ფინური ეპოსის, „კალევალას“ თარგმანზე უნგრულ ენაზე. ამ დროისათვის ვიკარი საკმაოდ ასაკოვანი იყო, მაგრამ მაინც გადაწყვიტა ქართული ენის შესწავლა. 1917 წელს გამოდის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი უნგრული თარგმანი მ. ზიჩის ილუსტრაციებით, რასაც მოჰყვა უნგრული გაზეთების ინფორმაციებიც მ. ზიჩის მოღვაწეობაზე საქართველოში. როგორც ბ. ვიკარი იგონებს, ზიჩმა შემავალიანაო პოემის ქართულ თარგმანზე, მაგრამ დამხმარედ მას ჰყოლია ქართველი ემიგრანტი, თუ ტყვე, ესპერანტისტი გიორგი ციკარაული თუ წიკლაური: „მესტუმრა ერთი მარჯვე ახალგაზრდა მწერალი, სახელად გიორგი ციკალაური, რომელიც ესპერანტულ ლიტერატურაში „ტიფლისანოს სახელით იყო ცნობილი“ (რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, 1978: 115) ვიკარი ჯერ ესპერანტოზე გაეცნო „ვეფხისტყაოსანს“, შემდეგ კი უნგრულ ენაზე შეუდგა თარგმნას.

ინფორმაცია ესპერანტისტი, „ტიფლისანოს“ ფსევდონიმით, გიორგი წიკლაურზე განავრცო გ. წერეთელმაც. მაგრამ, დაზუსტებული ცნობები მის შესახებ კვლავ ითხოვს კვლევას.

უნგრული მთარგმნელები ამით არ შემოიფარგლნენ. 1954 წელს გამოდის უნგრული მწერლის, მთარგმნელის მანდორ ვეორემის მიერ თარგმნილი შ. რუსთაველის პოემა. ეს თარგმანი შეისწავლა მკვლევარმა ჯ. გაგნიძემ.

შ. ვეორემი აქტიურად იყო ჩაბმული რუსთაველის საიუბილეო დღესასწაულში 1966 წელს. იგი ამზადებდა მეორე გამოცემას პოემის პირველ მთარგმნელს ბელა ვიკარს 6 თუ 8 ქართველი პოეტი, რომელთა ნაწარმოებები უთარგმნია უნგრულად, მათ შორისაა „ქილილა და დამანაც“, თუმცა მკვლევარებმა ბ. ვიკარის არქივში ვერ მიაგნეს ამ თარგმანებს.

რუსთაველის შესახებ უამრავი წერილი თუ რეცენზია იბეჭდებოდა როგორც რეაქციულ ისე პროგრესულ უნგრულ პრესაში: „ელეტი“, „უაიშაგი“, „მადიაროგისაგი“, „ნიუგაცი“, „თურანი“ და სხვ.

რუსთაველსა და ქართულ კულტურაზე საუბრობდნენ უნგრელი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: ი. ჩატლოში, მ. იმტვანოვიჩი, დ. რადო, კ. ცეგლედი, დ. იემი, შ. ვეორემი. მათი ნააზრევი ძირითადად თავმოყრილია პოემისა და მისი თარგმანების გარშემო.

ქართული საზოგადოებრიობაც 1966 წლიდან მოყოლებული, მეტი ინტერესით ეკიდება უნგრულ ლიტერატურას. ასე გრძელდებოდა XXI საუკუნემდე. ახალ ეპოქაში თარგმანის პროცესი კვლავ გრძელდება, მაგრამ უკვე უშუალოდ უნგრული ენიდან.

სულ ახლახანს, კერძოდ 2015 წლის 3 აპრილს, „დედა ენის“ დღის 37-ე წლისთავთან დაკავშირებით უნგრეთში საქართველოს საელჩოსა და ე. ლორანდის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით ბუდაპეშტში ჩატარდა უნგრელი ქართველოლოგის ჰინალკა ბაბირაკის ღია ლექცია ქართული ენის, კულტურისა და ისტორიის თემაზე, მანვე წაიკითხა ი. ჭავჭავაძისა და გ. ტაბიძის ლექსები, როგორც ქართულ ისე უნგრულ ენაზე საკუთარი თარგმანებით.

ეს კი ერთგვარი დასაწყისია ახალი, მესამე ეტაპის განვითარებისათვის 21-ე საუკუნეში.

**მეთოდოლოგია.** შედარებით ტიპოლოგიური, კომპარტივისტული.

**შედეგები.** წინამდებარე სტატია მიზნად ისახავდა მოკლედ მიმოგვხილა, რა გაკეთდა ქართულ-უნგრული კულტურათმცოდნის ურთიერთობის ისტორიის მანძილზე XIX-XX საუკუნეებში, რა არის საკვლევი და რა შეუწყობს ახალი ტიპის განვითარებას აღნიშნული ურთიერთობის ფონზე. აღნიშნული საკითხის კვლევის პროცესში გამოიკვეთა საკითხები, რომლებიც 21-ე საუკუნეში ითხოვს ხელახლა გადასინჯვა-სრულყოფას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნებოდა თარგმნა და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევები ორი ერის ახალი ისტორიის შესაქმნელად.

## ბიბლიოგრაფია

რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში. (1978). ტ. II. თბილისი.



*Tamar Gogoladze*  
*Gori State University*

**BASIC CONCEPT OF INTERCULTURAL (GEORGIAN-HUNGARIAN) RELATIONS IN THE  
MODERN ERA  
RESUME**

Intercultural dialogue is presented to us with a different concept in different eras, which is important not only from a historical point of view, but also from the point of view of analysis and further research. The Georgian-Hungarian intercultural relationship dates back to the 18th century, which had not only unilateral - Georgian-Hungarian, but also Hungarian-Georgian preconditions. Even in the 18th century, Jakob Reineggs' relationship with the royal court of Georgia (which was so interestingly depicted in the novel and researches of the Hungarian writer Lajos Tardi), later on, the development of oriental studies in Hungary contributed. This process develops at the end of the 19th century and the beginning of the 20th century and is associated with the names of the Hungarian enthusiast painter Mihaly Zichy (1827-1906) and translator Béla Vicar (1859-1945). They laid the foundation for the dialogue of cultures between the two countries, which, in our opinion, considering the tradition of the past centuries, should be presented in two stages. 1. XVIII-XIX; 2. XX century.

If in the first stage the concept of intercultural dialogue was related, on the one hand, to the intense polemics related to the origin of the Hungarian people in the circle of Hungarian scientists, ethnographers or travelers, and on the other hand, to familiarization with the culture of foreign countries, in the second stage there is already a two-line relationship: through translation and scientific study. A lot of literature is translated from Hungarian into Georgian, first from intermediate translations (from Russian), then from the original language. The research is mainly carried out around the Georgian Renaissance creation Shota Rustaveli's poem "The Knight in the Panther's Skin", which was carried out by Bela Vikar with the translation of the poem into Hungarian, and then with its scientific analysis by Hungarian researchers at different times. Georgian translators, on the other hand, showed great interest in the works of Hungarian poet Sandor Petofi, some poems from which were included in the repertoire of artistic reading in Georgian translation. Thus, a rich past must have a good future in terms of intercultural relations.

The aim of the paper is precisely this: to outline the concept of intercultural dialogue, which traditionally translated, together with research, in the future, precisely in the era of globalization, provides new opportunities for the development of communication between people through culture at a new stage.

**Key words:** Georgian-Hungarian relations, Mihaly Zichy, Béla Vicar.

**თენგიზ გუმბერიძე**  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**„ხალხთა ძმობის მომღერალი“  
(ოვანეს თუმანიანი სიკო ფაშალიშვილის მემუარებში)**

**საკვანძო სიტყვები:** მწერლობა, პოეზია, პოემა, ლირიკული, თარგმანი, სტროფი, შემოქმედება.

100 წელი გავიდა დიდი სომეხი კლასიკოსი მწერლისა და პოეტის ოვანეს თუმანიანის გარდაცვალებიდან. იგი გახლდათ ერთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის მომღერალი შემოქმედი, რომელიც ცხოვრობდა თბილისში და გულით დაატარებდა საქართველოს დიდ სიყვარულს. ოვანეს თუმანიანს განსაკუთრებით აფასებდნენ ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატები და მეხოტბენი, რომლებთანაც სომეხ პოეტს გააჩნდა გულითადი მეგობრობა. იგი, ნამდვილად, იმსახურებდა და იმსახურებს ჩვენი საზოგადოების ყურადღებასა და პატივისცემას. ერთ-ერთი ქართველი შემოქმედი, ვინც ოვანეს თუმანიანს განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით იხსენებს, გახლავთ სიკო ფაშალიშვილი (სვიმონ ფაშალიშვილი, ლიტერატურული ფსევდონიმით - სიკო ფაშალიშვილი - თ. გ.).

ოვანეს თუმანიანი დაიბადა 1869 წელს ლორის მაზრაში, ალავერდის რაიონის სოფელ დსელში. 1883 წელს ჩამოდის თბილისში და სწავლას აგრძელებს ნერსესიანის სახელობის სემინარიაში, რომელსაც უსახსრობის გამო მალე გაანება თავი და საარსებო საშუალებების ძებნას შეუდგა. ოვანესის მამა

მღვდელი იყო და სოფლიდან იმდენს ახერხებდა, რომ შვილს „ერთი ლუკმა პური“ გაუჩინა საარსებო საშუალებად, რამაც ყმაწვილ ოვანეს მისცა იმის საშუალება, რათა თვითგანათლებას დასწავებოდა. ამ დროიდან მოყოლებული, იგი სამუდამოდ დამკვიდრდა თბილისში. ოვანესი მოწაფეობის წლებიდან ყოფილა ცნობილი, როგორც კარგი მოზაირე, წერა-კითხვაშიც ისე სწრაფად გაწაფულა, რომ მალე რუსი კლასიკოსების შემოქმედების თარგმნაც დაუწყო. თავად ოვანესის ლექსების თარგმნა მე-19 საუკუნის ბოლო ათწლეულში დაუწყო და ზოგიერთი ლექსი ილია ჭავჭავაძის „ივერიას“ გამოუქვეყნებია. პირველი მთარგმნელები ი. ბაქრაძე და კ. ჭიჭინაძე ყოფილან, მაგრამ „ოვ. თუმანიანის ქართველ მთარგმნელთა შორის განსაკუთრებით დიდი, ნაყოფიერი შრომა აქვს გაწეული ი. გრიშაშვილს; გარდა იმ გამოკვლევებისა და წერილებისა, რომლებშიც გაშუქებულია ქართულ-სომხური კულტურული ურთიერთობის საკითხები, ი. გრიშაშვილს ეკუთვნის კლასიკური სომხური მწერლობის ნაწარმოებთა თარგმანებიც“ სხვადასხვა დროს ოვანეს თუმანიანის ლექსები, პოემები და მოთხრობები უთარგმნიათ სხვა ქართველ მწერლებსაც, მათ შორის: კარლო კალაძეს, გივი ალხაზიშვილს, გრიგოლ აბაშიძეს, რევაზ მარგიანს, გრიგოლ ცაცხლაძეს, კალე ბობოხიძეს, ვახტანგ ჯავახაძეს, ოთარ შალამბერიძეს, თეიმურაზ ჯანგულაშვილს, ჯარჯი ფხოველს, სტეფანე მხარგრძელს, გრიგოლ ჯულუხიძეს, სურენ მედულაშვილს, მელიქსეთ-ბეგს და სხვებს. თავად ოვანესის შემოქმედებითი მიზანი ყოფილა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა, ასევე ოცნებობდა ფირდოუსისა და ჰომეროსის თარგმნაზე. სავარაუდოდ, ამასაც ითვალისწინებდა პოეტი იოსებ გრიშაშვილი, რომელიც ოვანეს თუმანიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ლექსის „ოვანეს თუმანიანს“ (აღნიშნული ლექსი მიძღვნის სახით წამდვარებული აქვს ი. გრიშაშვილის მიერვე თარგმნილი სომეხი პოეტის რჩეული ნაწერების (გამოიცა 1924 წ.) წიგნს) ბოლო სტროფში ამბობს:

„გადაიხსნება ამ ქვეყნის კალთა,  
მზე დაიხრება, როგორც თაველი,  
და ხელში ლანგრით დაგხვდება კართან:  
ჰომერი, ფირდუს და რუსთაველი“ (თუმანიანი, 1924: 9).

იგი გარდაიცვალა მოსკოვში მძიმე ავადმყოფობის შედეგად 1923 წლის 23 მარტს, 54 წლის ასაკში. დიდი პატივით ჩამოასვენეს და თბილისში დაკრძალეს ხოჯივანქის სომხურ სასაფლაოზე 15 აპრილს.

ოვანეს თუმანიანი გახლდათ ერთობ საინტერესო პიროვნება, როგორც შემოქმედებითი ორიგინალობით, ისე გამორჩეული გულითადობითა და ღირსებით. მის შესახებ, როგორც ზემოთ ითქვა, საინტერესო მოგონებას გვთავაზობს ცნობილი პოეტი, მთარგმნელი და დრამატურგი სიკო ფაშალიშვილი თავისი მემუარების წიგნში, რომელსაც „დაუვიწყარი შეხვედრები“ ჰქვია (გამოიცა 1959 წ. განმეორებით და შევსებულად გამოიცა 1966 წ.). „ერთა ძმობის მომღერალი“ - ასე დაუსათაურებია წიგნის ავტორს თავისი მოგონება ოვანეს თუმანიანზე, რომლის შესახებაც სიკო ფაშალიშვილსთვის სიყმაწვილეშივე უამბნია მეზობლად მცხოვრებ ცნობილ სომეხ ჟურნალისტსა და მთარგმნელს, თბილისში გამომავალ სომხურენოვან გაზეტ „შმაკის“ თანამშრომელს არტემ ჩილიანს. სიკო ფაშალიშვილის თქმით, ჩილიანი საინტერესოდ გადმოსცემდა ოვანესის სასახელო თავგადასავლებს, რომელიც დაკავშირებული იყო სომხურ-ოსმალურ კონფლიქტთან. ერთხელ შეტაკებების ეპიცენტრშიც აღმოჩენილა შიშველი ხელებითა და „ოქროს სიტყვებით“: „ძმები ხართო, - ეუბნებოდა, - საკუთარი ძმა კენმა მოკლაო, კენობა ვინ ჩაგაგონათ, ვინ დაგლუპათო? - სულ ასე ელაპარაკათ იმათ მეთაურებსა!.. ხელმწიფის მოადგილე ვორონცოვსაც დიდი პეტიცია გაუგზავნა, არაფერი დაუთმო და! ხედავ როგორ გამოდის? რაც მთავრობამ ვერ მოახერხა, ამ ერთმა კაცმა გააკეთა“ (ფაშალიშვილი, 1966: 123). ჩილიანი აღწერდა სომხურ-თათრული ბრძოლის „ჟრუანტელის მომგვრელ სურათებს“ და იხსენებდა იმ თავდადებებს „რაც ამ უბედურების დროს გამოეჩინა დიდ სომეხ კლასიკოსს, სახელოვან მოქალაქესა და მწერალს ოვანეს თუმანიანს!“ (ფაშალიშვილი, 1966: 123)

სიკო ფაშალიშვილისთვის ოვანეს თუმანიანის ღირსეული პიროვნებისა და შემოქმედების შესახებ გ ასევე მრავალგზის უამბნია თბილისში გამომავალი სომხური გაზეტის „ბანგორი ძაინის“ თანამშრომელს, ახალგაზრდა მწერალსა და პუბლიცისტს მისაკი ქალაქიანს. თავდაპირველად ოვანესის შემოქმედებას სიკო ფაშალიშვილი ყველაზე უკეთ გასცნობია სწორედ ამ პიროვნების საშუალებით, რომელსაც იმხანად სომეხი კლასიკოსის ცნობილი რობაიების პატარა კრებულები გამოუყვია და იგი სიკოსთვის უსახსოვრებია ასეთი ორიგინალური წარწერით: „წაიკითხე მეზობელო და მეგობარო! ჩვენ ერთმანეთის კულტურას უნდა ვიცნობდეთ: ოვანეს თუმანიანი ჩვენთვის იგივეა, რაც თქვენთვის აკაკი წერეთელი“ (ფაშალიშვილი, 1966: 124). ასეთმა გულთბილმა წარწერამ და მისაკის თარჯიმნობით ოვანესის სომხური რობაიების გაცნობამ აფიქრებინა სიკო ფაშალიშვილს, ეთარგმნა სომეხი კლასიკოსი პოეტის ლექსები, რისთვისაც მას თხოვნით მიუმართავს თავისი მხარის შვილისთვის, ცნობილ მხატვარ-პეიზაჟისტ გიორგი ბაშინჯალიანისთვის, რომელიც წარმოშობით სიღნაღელი გახლდათ, ქართული ენაც შესანიშნავად იცოდა

და მოთხოვნებსაც კი წერდა ქართულად. მას უცნობებია სიკოსთვის, რომ იმხანად ოვანესის ლექსების თარგმნაზე მუშაობდა იოსებ გრიშაშვილი და მასაც მაშინვე ხელი აუღია თავის კეთილ განზრახვაზე.

ოვანეს თუმანიანი სამართლიანადაა მიჩნეული საქართველოსა და ქართველი ხალხის დიდ მეგობრად. მას მრავალი ლექსი და პოემა მიუძღვნია ჩვენი სამშობლოსთვის, რომელსაც იგი თავის სამშობლოდაც თვლიდა. მისი პოეტური ნიმუშები - „შერიგება“, „საქართველოს შესახებ“, „საქართველოს სული“, „საქართველოს პოეტებს“... ეს არის ის მცირე ჩამონათვალი, რაც დიდმა სომეხმა კლასიკოსმა საქართველოს, ქართულ-სომხურ ურთიერთობასა და მეგობრობას უძღვნა. რა თქმა უნდა, ეს მცირე ჩამონათვალი სრულად ვერ წარმოაჩენს იმ კეთისშობილებასა და მოქალაქეობრივ ბუნებას, რაც მუდმივად ამკობდა დიდი ოვანესის პიროვნებას. როგორც აღნიშნავდნენ, ოვანესი დიდი სომეხი პატრიოტი გახლდათ, მაგრამ ეს მას „სრულებითაც არ უშლიდა ხელს, ყოფილიყო ქართული ორიენტაციისა“ (ტ. ტაბიძე).

სიკო ფაშალიშვილის თქმით, მწერალთა შორის ზოგჯერ არიან ისეთი „ბედის რჩეულნი“, რომელთა სიტყვა და საქმე სცილდება ეროვნულ საზღვრებს და უფრო შორსაც გაისმის მათი სახელი. ასეთი რეზონანსი ჰქონია ოვანეს თუმანიანის სახელსაც. იგი მაშინაც თავალაჩინო ფიგურად ითვლებოდა, როცა მის ნაწერებს ჯერ კიდევ კარგად არ იცნობდა ქართველი მკითხველი საზოგადოება. სიკო ფაშალიშვილის მოგონებები არ გვთავაზობს ოვანეს თუმანიანის ნაწერების ბიბლიოგრაფიულ-კრიტიკულ განხილვას, იგი ზოგად წარმოდგენას გვიქმნის სომეხი პოეტისათვის დამახასიათებელ კილოსა და წერის მანერაზე, თითქოს ყოველ სტრიქონსა და „მხატვრულ შტრიხში“ მისი მმგრძობიარე გული ფეთქავს და ნათელი, ადამიანური სითბო გამოსჭვივის, რითაც ასე მომაჯადოებელია მისი შემოქმედება. „ოვანეს თუმანიანი მარტო თავის ნაწერებში კი არ ქადაგებდა ჰუმანურ აზრებს, მარტო ლექსებში კი არ უმღეროდა ერთა შორის სიყვარულის იდეას, არამედ იგი იყო ჰუმანისტი პირად ცხოვრებაში, ყოველდღიურ საქმიანობაში... მან დიდი სამსახური გაუწია არა მარტო სომეხი ხალხის ფიზიკურად დაცვის საქმეს, არამედ ქართველი და სომეხი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი მწერლობის დაახლოების საქმესაც“ (ფაშალიშვილი, 1966: 126).

მოგონებათა ავტორი ერთ-ერთ ეპიზოდში იხსენებს ცნობილი რუსი სიმბოლისტი პოეტისა და მთარგმნელის კონსტანტინე ბალმონტის თბილისში სტუმრობის ფაქტს, როცა რუსმა პოეტმა საქართველოში თავისი ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანი“ ჩამოიტანა და მას ლიტერატურული სადამო გაუმართეს. ოვანეს თუმანიანი ამ სადამოს აქტიური მონაწილე გახლდათ. სიკო ფაშალიშვილსაც პირველად მაშინ გაუცვინია იგი. ბალმონტის თარგმანით აღფრტოვანებული ოვანესი ქართველ საზოგადოებაში იდგა და „ვეფხისტყაოსნის“ უდიდეს მნიშვნელობაზე თავის აზრებს გამოთქვამდა, მიაჩნდა იგი მსოფლიო ლიტერატურის ფასდაუდებელ განმად, რომლის ფართო ასპარეზზე გატანა სულ უფრო დიდ წარმოდგენას შეუქმნიდა ქართველ ხალხს მსოფლიოს ქვეყნების თვალში. აღიარებდა, რომ ვეფხისტყაოსნისეული მეგობრობა გვჭირდება ჩვენც, მეზობელ ერებს, რომ უფრო მეტად დავაფასოთ ერთმანეთის კულტურა, ასეთი თარგმანი გვჭირდება ჩვენც, „ეს ჩვენც უნდა გავაკეთოთ, მაგრამ კარგი ლიტერატურული თარგმანი შემთხვევით ხასიათს არ უნდა ატარებდეს, ეს საქმე ისეთ სიმადლეზე უნდა დავაყენოთ, რომ თარგმანის საშუალებით მეზობელი ერები ერთიმეორის კულტურულ სიმდიდრეს - მწერლობას, ხელოვნებას ახლოს გაეცნონ; ამით ჩვენ ხმას შევუწყობთ ერთმანეთს, ერთმანეთის ტკივილსა და დალხინებას გავიგებთ“ (ფაშალიშვილი, 1966: 127). როგორც სიკო ფაშალიშვილი აღნიშნავს, ოვანესს ეს გამოთქმული აზრები საქმედაც უქცევია და მისი თაოსნობით ახალგაზრდა სომეხ მწერალთა ჯგუფს 1917 წელს დაუწყო ქართველი პოეტების შემოქმედების სომხურად თარგმნა. „მასალების შეკრებას თვით ოვანესი ხელმძღვანელობდა და ბეჯითი დაკვირვებით არჩევდა ისეთი ხასიათის ნაწარმოებებს, რომლებშიც ჰუმანური იდეები სჭარბობდა. ასევე არჩევდა იგი მთარგმნელებსაც...“ (ფაშალიშვილი, 1966: 127-128). როგორც ცნობილია, ამ თარგმანების გარკვეული ნაწილი იმდროინდელ სომხურ პრესაში კიდევ გამოქვეყნდა, მაგრამ ამ შესანიშნავ წამოწყებას თურმე დიდად უშლიდა ხელს მაშინდელი დაშნაკური სომხური რეაქციული ძალების შოვინისტური დაპირისპირება ქართველ მენშევიკებთან, რომლებიც მაშინ საქართველოს ხელისუფლების სათავეში იმყოფებოდნენ. მიუხედავად ამისა, ოვანესი სულითა და გულით იყო საქართველოს მეგობარი. იგი მრავალი სასიკეთო წამოწყების ორგანიზატორი გახლდათ: „ვის არ ახსოვს „ჰაიარტუნში“ მისი თაოსნობით მოწყობილი მხატვრული სადამოები, რომლებშიც მონაწილეობდნენ ქართველი მწერლები. ვის არ ახსოვს მისი „დარბაზები“ - ჟურფიქსები - საკუთარ ბინაზე, ამაღლების ქუჩაზე (ამჟამად დავითაშვილის ქუჩა), რომლებზეც იწვევდა ქართველ პოეტებს, ხელოვნების მუშაკებს. მართავდა საუბრებს, აწყობდა მხატვრულ კითხვას და ახალ ნაწარმოებთა ერთგვარ ოჯახურ განხილვას“ (ფაშალიშვილი, 1966: 128), რასაც ამ მოგონებათა ავტორიც არაერთხელ დასწრებია ხოლმე. ერთხელაც სიკო ფაშალიშვილსაც მისცემია საშუალება, რომ დიდი სომეხი კლასიკოსი თავის შემოქმედებით სადამოზე მიეწვია თბილისში, როგორც თავად მიაწინებებს, ეს სადამო გამართულა 1923 წლის ივლისში. (უნდა ვთქვათ, რომ აქ ერთგვარ უზუსტობასთან გვაქვს საქმე. მემუარები მასში

აღწერილი ფაქტებიდან რამდენიმე წლის დაშორებით იწერებოდა და შეცდომის მიზეზიც ეს უნდა იყოს. სადამო არა 1923 წლის ივლისში, სავარაუდოდ, ერთი წლით ადრე უნდა გამართულიყო, ვინაიდან ოვანეს თუმანიანი 1923 წლის მარტში გარდაიცვალა - თ. გ.). სადამოს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც ახლავს თან, კერძოდ ის, რომ სიკო ფაშალიშვილის მიპატიჟებას ოვანესი დიდი სიამოვნებით დასთანხმებია და საკუთარი ლექსის წაკითხვის სურვილიც გამოუთქვამს, ამდენად ოვანესის გვარიც შეუტანიათ გასამართი სადამოს აფიშაში. ამას დიდი დაინტერესებაც გამოუწვევია სადამოს მოლოდინში მყოფ საზოგადოებაში, რაც, ცხადია, ოვანესისადმი დიდ პატივისცემას ემყარებოდა. ამ სადამოსთვის სპეციალურად და პირადად ოვანეს თუმანიანის პატივსაცემად თურმე ვანო სარაჯიშვილმა ერთ-ერთი ნეაპოლური რომანის მუსიკას რუსულად თარგმნილი ოვანესის ლექსის ტექსტი შეუფარდა და ასე მოუმზადებია შესანიშნავი სასიმღერო ნომერი, რომელიც სადამოზე სომეხი პოეტის სცენაზე გამოსვლისას უნდა შეესრულებინა. სამწუხაროდ, ოვანეს თუმანიანი ავადმყოფობის გამო ხსენებულ სადამოს ვეღარ დაესწრო. მიუხედავად ავადმყოფობისა, მან, როგორც მაღალი მორალის მატარებელმა პიროვნებამ და შემოქმედმა, საკმაო ყურადღება გამოიჩინა და სიკო ფაშალიშვილს წინდაწინ ასეთი წერილი გაუგზავნა; „პოეტ ს. ფაშალიშვილს, ძვირფასო ს. ფაშალიშვილო! ძლიერ ვწუხვარ, რომ დამოუკიდებელი მიზეზისა გამო არ შემძლია დავესწრო და მონაწილეობა მივიღო თქვენს სადამოში. ხელს გართმევთ და გარწმუნებთ, რომ რამდენადაც ძვირფასია ჩემთვის საქართველო და ლამაზი ქართული სული, იმდენად ძვირფასნი არიან ის ადამიანებიც, რომელნიც ამ სულის მატარებელნი და გამომსახველნი არიან. ქართველი - ეს უკვე პოეტია, ხოლო ქართველი პოეტი - ორმაგად პოეტია!

გულით და სულით გისურვებთ წილად გხვდომოდეთ საქართველოს ბედნიერებისა და მისი ნათელი დღეებისადმი სიმღერა“ (ფაშალიშვილი, 1966: 129).

წერილი დაწერილია რუსულ ენაზე, რომელიც დამსწრე საზოგადოებას წაუკითხა მწერალთა კავშირის მამინდელმა თავმჯდომარემ კოტე მაყაშვილმა, რომელიც ხელმძღვანელობდა აღნიშნულ სადამოს. ოვანესის წერილი იმთავითვე ითარგმნა და მას მამინდელი საბჭოთა ქვეყნების თითქმის ყველა ენაზე გაეცვენ. იგი შეტანილია სომხურ ენაზე გამოცემული ოვანეს თუმანიანის თხზულებათა მრავალტომეულის მე-6 ტომში. სიკო ფაშალიშვილს მიაჩნია, რომ ეს წერილი არის გასაღები ოვანეს თუმანიანის შესანიშნავი ლექსისა, რომელიც მან ქართველ პოეტებს უძღვნა:

„...  
კავკასიონის ჭაღარა ერებს,  
მე მოვუწოდებთ საერთო ღვინაზე,  
ჩემი ქამანჩაც ტკბილად იმღერებს  
თქვენი მგოსნების შემოძახილზე;  
დავრჩეთ, ქურუმნო, ძმად და მეგობრად,  
შევქმნათ ოჯახი ამხანაგური  
და ხელოვნების ტაძრისთვის მწყობრად  
ყველამ მივზიდოთ თითო აგური“ (თუმანიანი, 1969: გვ. 20).

სიკო ფაშალიშვილი თვლის, რომ ჩვენ, ქართველ პოეტებს, შემოქმედებითი ვალი გვმართებს დიდი სომეხი კლასიკოსისა და შეეცადა მცირედით მაინც გადაეხადა იგი დიდი ოვანესისადმი მიძღვნილი თავისი ლირიკული ლექსით, რომლის კუპლეტებში ვკითხულობთ:

„...  
„ერთად გვიძახდა დიდი ნათელი,  
როცა მზისათვის ვებრძოდით ღამეს;  
„მე ვარ სომეხი და შენ ქართველი  
განა ჩვენს ძმობას ეს უშლის რამეს?

ამბობდი ასე და ამ სიტყვების  
ალალმართალი ფასი ვიცოდით,  
და ორივენი თავდავიწყებით  
დიდ მეგობრობის ალით ვიწვოდით.

.....  
ნურც ნურასოდეს დადუმდებიან  
ჩანგზე ეგ სიმნი ოქროსანი, -  
სანამ ვარსკვლავებს ერთად ხვდებიან  
არარატის და მყინვარის მთანი“ (ფაშალიშვილი, 1959: 204-205).

ოვანეს თუმანიანის წერილს, რომელიც ამჟამად ინახება გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმში დაცულ სიკო ფაშალიშვილის პირად არქივში (სიკო ფაშალიშვილის პირადი არქივი, საქმე 21545-413, ფ. 1). სხვა გაგრძელებაც ახლავს თან. სომეხი კლასიკოსის გარდაცვალების შემდეგ სიკო ფაშალიშვილმა მიიღო მისი ქალიშვილის, ოვანეს თუმანიანის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომელ აშხენ თუმანიანის წერილი ერევნიდან, რომელშიც იგი ქართველ პოეტს მოკრძალებით სთხოვს ოვანესის წერილის ერევნის მუზეუმისთვის დათმობას სიკო ფაშალიშვილის ფოტოსურათის თანხლებით. საპასუხო წერილში სიკო ფაშალიშვილი დიდ მადლობას უძღვნის სომეხ ქალბატონს გულთბილი წერილისთვის და თავის მხრივ დასძენს: „...ყოველთვის ვიამაყებ იმით, რომ ჩემი ფოტოსურათი ერთ-ერთ ექსპონატად იქნება მისი სახელობის მუზეუმში. თუ ჯანმრთელობა ხელს შემიწყობს, ბედნიერად ჩავთვლი თავს ვიხილო ეს მუზეუმი“ (სიკო ფაშალიშვილის პირადი არქივი, საქმე 28650-9). სიკო ფაშალიშვილის ეს საპასუხო წერილი დაწერილია რუსულად, მისი ქართული თარგმანი შემოგვთავაზა მკვლევარმა დ. რევიამ საგაზეთო წერილში „მვიფას ოქროდ დარჩება“. ოვანესის წერილის ორიგინალი უკვე თბილისის ლიტერატურის მუზეუმში ინახებოდა. ამიტომ სომხეთის დედაქალაქში გაიგზავნა მისი ფოტოპირი სიკო ფაშალიშვილის ფოტოსურათთან ერთად. ერევნის მუზეუმში დიდი ოვანესის ისტორიულ ბარათს „...უმზერს სიკო ფაშალიშვილის პორტრეტი - ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობის მოწმე და საბუთი (რევია, 1988). დ. რევიას წერილი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მასში მკვლევარი ეხება სიკო ფაშალიშვილის სომეხ მოღვაწესთან გ. ბაშინჯადიანის „შუამავლობის“ საკითხს.

ოვანეს თუმანიანს განსაკუთრებული პატივისცემით იხსენიებენ სხვა ქართველი გამოჩენილი ადამიანებიც. მათ შორის: იოსებ გრიშაშვილი, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე... საქვეყნოდ ცნობილია საქართველოსადმი და ქართველი ხალხისადმი ოვანეს თუმანიანის გულითადი დამოკიდებულების არაერთი ფაქტი. შეიძლება ითქვას, რომ იგი იყო ძმობისა და მეგობრობის სულისკვეთებით აღსავსე პიროვნება და სიმბოლურია, რომ მას სიკო ფაშალიშვილმაც „ხალხთა ძმობის მომდერალი“ უწოდა და დიდ სომეხ პოეტსა და მწერალზე თავისი მოგონება მემუარების წიგნში სწორედ ამ სათაურით შეიტანა.

#### **ბიბლიოგრაფია**

- არველაძე, ბ. (1969). *ოვანეს თუმანიანი და საქართველო*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- თუმანიანი, ო. (1924). *რჩეული ნაწერები*. (ი. გრიშაშვილი, მთარგმნ.). ტფილისი: „სახელგამი“.
- თუმანიანი, ო. (1969). *ლექსები და პოემები*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.
- რევია, დ. (1988). მვირფას ოქროდ დარჩება. *თბილისი*. N74.
- ფაშალიშვილი, ს. (1966). *დაუვიწყარი შეხვედრები*. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.
- ფაშალიშვილი, ს. (1959). *ერთტომეული*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- სიკო ფაშალიშვილის პირად არქივი*. საქმე 21545-413, ფ. 1; საქმე 28650-9. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის მასალები.

**Tengiz Gumberidze**  
*Akaki Tsereteli State University*  
**"SINGER OF THE BROTHERHOOD OF THE PEOPLE"**  
**(OVANES TUMANIANI IN THE MEMOIRS OF SIKO PASHALISHVILI)**  
**RESUME**

The famous Georgian poet and dramatist Siko Pashalishvili has included a memory of Ovanes Tumanian in his memoirs called "Unforgettable Meetings". The author of the book recalls the poetic achievements of the Armenian classicist and calls him "singer of the brotherhood of people".

Ovanes Tumanian was friends with Ioseb Grishashvili, Titsian Tabidze, Giorgi Leonidze... He dedicated many poems to Georgia and Georgian poets. Apart from this, Ioseb Grishashvili translated his verses and poems into Georgian, which was published in 1924. The translator's preface is attached to the book.

Siko Pashalishvili remembers Ovanes Tumanian's kind attitude towards Georgian culture. The Armenian classicist expressed special respect for Shota Rustaveli's "The knight in the panther skin", he was very fascinated by the lofty ideals of the poem. He also had a great desire to translate this poem into Armenian, about which he often expressed his opinion. Ovanes, in general, was a great admirer of Georgian poetry. Under his leadership, the poems of a

number of Georgian poets were translated into Armenian, some of which were published in the Armenian press in that time.

The great classicist was very worried that the hostile attitude of Dashnak Armenians, towards the Menshevik government of Georgia, was an obstacle in the way of Armenian-Georgian friendship.

Siko Pashalishvili recalls many more interesting fragments of his relationship with Ovanes Tumaniani. Ovanes also held literary evenings at his home, where Siko Pashalishvili was a frequent guest. Once Siko Pashalishvili also invited him to his poetry evening, Ovanes accepted the Georgian poet's invitation with great pleasure, but due to illness he could not attend this evening. Therefore, as a person with high morals, he sent a letter to Siko the day before. This letter became popular immediately and was translated into many languages of the Soviet Union at that time. The reason was that it was so interesting to read. The author of the memoirs tells us about it in detail.

In that difficult period, Ovanes Tumaniani made a great contribution in strengthening Georgian-Armenian relations. Siko Pashalishvili believed that he was in debt to him and, due to this reason, he personally dedicated a wonderful poem to him. The above-mentioned poem is included in the collection of poems of Siko Pashalishvili.

After the death of Ovanes, his large family moved to Yerevan, but, even that did not stop Siko Pashalishvili from having a friendly relationship with the Tumanians.

**Key words:** Writing, Literature, Poetry, Translations, Creativity.

**Nino Davitashvili**  
Gori State University

## **Great Depression, *The Great Gatsby* and “Symbolic Glow”**

### **Abstract**

Every critic of the Lost Generation and Scott Fitzgerald's works has noticed that Fitzgerald's novels express the spirit of the period with great accuracy. Nick Carraway and the fictional town of West Egg on prosperous Long Island help us realize the dilemmas of the 1920s and American Dream.

The twentieth of the twentieth century, known as strange and wonderful years in America, gave us a different generation – “the Lost Generation”. The uncertainties of the 1919 was over. Everything was clear about future. America was going to have the greatest time in history. As Scott Fitzgerald said: “the uncertainties of 1919 was over \_ there seemed a little doubt about what was going to happen. America was going on the greatest, gaudiest spree in history.”

**Key words:** The Great Gatsby, Scott Fitzgerald, New World, the Lost Generation, American Dream.

### **Introduction**

Having many people in the Post-World War I period with “lost” American ideals, caused that America “lost” many fine American writers. They moved to Paris.

The new generation is described in Fitzgerald's less famous novel *The Side of Paradise* (1920). As Fitzgerald writes, they had grown up “to find all gods deeds, all wars fought, all faiths in man shaken.” They had only two concerns: poverty and success. The whole world was wrapped in black and Fitzgerald as other writers of his generation had a feeling that the twentieth century would fail: “All the stories that came into my mind had a touch of disaster in them”.

Born in a rich family, Fitzgerald educated in Princeton University. His education allowed him to be a part of the best society. In 1917, he became an army lieutenant, but he was not sent to fight in Europe. By the age of twenty-four he was a famous novelist. His fiction was extremely popular in the twentieth because it was modern and easy to read.

### **Great Depression and Scott Fitzgerald's Early Works**

In 1929 America's economy collapsed and started the Great Depression. Fitzgerald himself suffered with serious mental and physical health problems. In his work \_ *The Crack-up* he describes this difficult period.

The early twenties are described in Fitzgerald's short stories \_ *Flappers and Philosophers* (1920) and *Tale of the Jazz Age* (1922). In *Flappers and Philosophers*, “Flappers” paints young ladies smoking and leading dangerous lives.

*The Diamond as big as Ritz*, is a well-known story describing how wealth causes a family to collapse. A great earthquake causes some problems for a family and destroys the family diamond mine. Braddock Washington tries to

save his diamond mine. He decides to give a bribe to the God because he is strongly sure that there is no one who does not care for a bribe. If we repeat his words: "God has His price, of course."

### **The Jazz Age**

The beginning of the exciting 20s, American Jazz and business of alcohol and drags. These are the main characteristics of the 1920s in America. This is the time of great social movements and changes in America. The changes involved everything. The young generation tried to be successful by all means. The society was full of aggression and tried to prove their "happiness" with endless parties and entertainment.

In the 1920s America was full of "immortal" music. Scott Fitzgerald called this time "the Jazz Age" and tried to show all this period's challenges in his writings.

### **Fitzgerald and *The Great Gatsby***

Scott Fitzgerald is one of the authors who became successful after his death.

Being fascinated by the lives of the rich, Fitzgerald painted true and pure feeling called love.

Fitzgerald's immortal character \_ Jay Gatsby is a rich man who is unconsciously in love. Does wealth buy everything? This is the question which bothers lots of people even nowadays. However, wealth does not buy everything and Fitzgerald tries to prove this with his fabulous novel.

Gatsby gave away everything and finally, he died for love. His society has no feelings for Gatsby and only one person from the people who shared his endless parties pitied him.

Next to Gatsby there is Nick who is a real friend and knows that we must be friends with people during their lives and not only after their death.

The novel, which was not popular for a long time, has reached the top of success. There are a number of screen adaptations of *The Great Gatsby*. However, the book still remains to be the best.

Finally, *The Great Gatsby* is associated with decant revelry, champagne fountains, endless noise and parties. Despite all these the book carries an idea that nothing lasts forever, everything may come to the end and this is the issue that makes the book especially interesting.

### **Symbolism and Scott Fitzgerald**

Symbolism is used in literature from the end of the 19s and from the beginning of the 20s centuries. It is an unrealistic movement in literature creating emotion in writing which is characterized by:

- denying reality;
- mysticism;
- pessimism;
- individualism;
- formalism.

If we take all these characteristics into consideration, we may admit that Scott Fitzgerald is a typical symbolist writer.

### **Colors in *The Great Gatsby***

The novel is an example of writing where symbolism and psychological realism is combined. Every object described in the text gives a "symbolic glow." The novel gives us an interesting example of using different colors.

Such colors as green, white, golden, silver and yellow make an unbelievable influence on a reader.

Coper (1978) claims that green is generally associated with "hope, joy, nature, change, jealousy". The green light is mentioned five times in the novel. According to Cooper (1978) "light is connected with the beginning and the end". In the novel the green light is connected with Jay.

In the novel we read:

- "Involuntarily I glanced seaward — and distinguished nothing except a single green light, minute and far away, that might have been the end of a dock" (chapter 1).
- "Sitting down behind many layers of glass in a sort of green leather conservatory, we started to town" (Chapter 4).
- "You always have a green light that burns all night at the end of your dock." (chapter 5).
- "I put my arm around Jordan's golden shoulder" (chapter 4).
- "All night the saxophones wailed the hopeless comment of the "Beale Street Blues" while a hundred pairs of golden and silver slippers shuffled the shining dust. At the grey tea hour ..." (chapter 7).
- We find that contrast between golden and grey once more in "we went about opening the rest of the windows downstairs, filling the house with grey-turning, gold-turning light" (chapter 7).

White is also used in *The Great Gatsby*. We read: "white powder" (2013, 105), "string of [white] pearls" (2013, 68), "white girlhood" (2013, 17). Generally, "in literature, white has been connected to femininity, innocence, and purity" (Chiazzari, 1998).

### **Conclusion**

To Conclude:

- having many people in the Post-World War I period with “lost” American ideals, caused that America” lost” many fine American writers;
- in 1929 America’s economy collapsed and started the Great Depression;
- Scott Fitzgerald is one of the authors who became successful after his death;
- the characteristics like generosity and wealth make Jay Gatsby an unforgettable character;
- *The Great Gatsby* is associated with decant revelry, champagne fountains, endless noisy and parties;
- the book carries an idea that nothing lasts forever, everything may come to the end and this is the issue that makes the book especially interesting;
- the novel combines symbolism and psychological realism;
- symbolism is an unrealistic movement in literature creating emotion in writing and is characterized by: denying reality, mysticism, pessimism, individualism and formalism;
- Scott Fitzgerald is a typical symbolist writer.

### **Bibliography**

Chiazzari, S. (1998). *The Complete Book of Color*. Barnes & Noble.  
 Cooper, J. C. (1978). *An Illustrated Encyclopedia of Traditional Symbols*. Thames & Hudson.  
 Fitzgerald, F. Scott. (2013). *The Great Gatsby*. 1925. Kindle ed.

### **თეიმურაზ დოიაშვილი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
 შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### **ილია ჭავჭავაძის ცნობილი სტატიის რემინისცენციები გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „რაა მასზე გულდამწყვეტი“**

*საკვანძო სიტყვები:* გალაკტიონ ტაბიძე, ანტისაბჭოთა, ილია ჭავჭავაძე.

მნელია ზუსტად თქმა, როდის დაიწერა გალაკტიონის ეს უსათაურო, დღეს უკვე გახმაურებული ლექსი. პოეტის სიცოცხლეში იგი არ დაბეჭდილა:

რაა მასზე გულდამწყვეტი,  
 მეტეხო და დიღმის ველო,  
 მიდიოდე და ჰფიქრობდე:  
 ეს არ არის საქართველო!

არის ხლართი რკინისგზების,  
 არის ავტო-მოტო-ველო,  
 არის ოჯახებიც, მაგრამ  
 ეს არ არის საქართველო!

ლექსის შინაარსობრივი რეალიები სოციალისტურ სინამდვილესთან კონტაქტის გამოცდილებას მოწმობს, ეს უცნაურად გრძელი ნეოლოგიზმი – ავტო-მოტო-ველო კი თითქმის უტყუარად მიანიშნებს დროს – 30-იანი წლების მიწურულს. სწორედ 1940 წელს გამოვიდა გალაკტიონის თხზულებათა მესამე ტომი, სადაც პირველად დაიბეჭდა ლექსი სათაურით „ავტო-მოტო-ველო“.

„არის... არის... არის, მაგრამ... არ არის!“ – მაინც რამ დაბადა ეს პარადოქსული ლოგიკა? საქართველოში საქართველო აღარ იყო?! განა ათიოდე წლის წინ თავისუფლებახდომილ სამშობლოში



ეპოქას და რევოლუციურ საქართველოს არ უმდეროდა – პათოსით, ხმამაღლა! – „ეპოქისა“ და „რევოლუციონური საქართველოს“ ავტორი:

რევოლუციონურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს,  
ვაშა, ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას!

ვაშას გრიალს თითქოს სამუდამოდ ჩაეხშო სასოწარკვეთილის ძახილი:

დაკარგულია გზა მოხვევისი...  
ბნელდება. ღამე. მიეშველენით.

თებერვლის სისხლიანმა თოვლმა გზა კი არა, ლელთ ღუნისას საცალფეხო ბილიკიც გადაფარა – ისტორიის განაჩენს ჰგავდა ბედიითი კითხვის პასუხი:

„დაკარგულია?“ – მივმართავ ტყეებს,  
და ტყე გუგუნებს: დაკარგულია...

ამის მერე იყო, „ახალი საქართველო“ რომ იპოვა თუ აპოვინნეს. ახლა კი – „ეს არ არის საქართველო!“-ო... საქართველო იყო, აბა რა იყო, ოღონდ – სხვა საქართველო, – არც შავის ბედის მეზობლი და არც გულად-პურადი! – ძველის ნგრევითა და ახლის შენებით გარდაქმნილ-სახეცვლილი! ნგრევასაც ხომ განადიდებდა თავდავიწყებით და უკანმიუხედავად:

ნგრევას, ო, ნგრევას, დაუნდობელ ნგრევას ძველისას,  
კარჩაკეტილი ცხოვრებიდან – გავიდეთ მზეზე...

ამ დაუნდობელ ნგრევას რაღაც ისეთი წაეღო თან, სოციალისტურ მზეს მიფიცებულს რომ ვეღარ მიეგნო, ისაკლისებდა. „ეს არ არის საქართველო!“ – ჩასმახოდა ფხიზელი ხმა და იქნებ იმასაც მოაგონებდა, რომ „იმ“ საქართველოს გაუჩინარებაში, სურდა თუ არა, მასაც ედო წილი...

\* \* \*

შეიძლება გულწრფელიც იყო: მოსწონდა, როგორ „მოიფინა მხარე რკინისგზების ქსელით“, ესმოდა „რკინისგზების მუსიკა“, „რკინისგზების რიტმი“, ეპოქის რიტმად რომ გამოაცხადა:

მიჰყევ, გაუგონე ბორბლებს სიარული,  
არის საუკუნე ინდუსტრიალური!

არც გლეხი და სოფელი დავიწყებია – ეტიუდი მიუძღვნა „თანამედროვეობის კოლექტიურ ხელებს“, კოლმეურნის შრომასაც მოუსინჯა რიტმი და ბგერა:

მხარი მხარს, მხარი მხარს,  
კოლექტივო, მხარი მხარს,  
აბა ჰე, აბა ჰე,  
აბა მივცეთ მხარი მხარს!

ეს ავტო-მოტო-ველო ხომ პირდაპირ ეპოქის სიმბოლოდ აქცია, რომელმაც სამუდამოდ მოიტოვა უკან „ძველი ცხოვრება და იდილია“: „სიმბოლოა თითქო / ავტო-მოტო-ველო“. ხუთწლეულების ტემპით თავბრუდახვეულმა ისტორიასაც მოუღერა მუშტი:

აყირავებს ეს წელი ათი  
ათიათასი წლის ისტორიას!

აყირავებით კი, მართლაც, აყირავეს ისტორია, მაგრამ... დასაფიქრებლად ვის ეცალა?! მთავარი იყო, „ხელოვნებათა არმიას“ ეპოქის გვერდით ევლო იმ რწმენით, რომ:

თუ დღეს რამ არის გაუგებარი,

ხვალ ნათელივით იქნება ცხადი.

ეს „ხვალ“ უკვე დამდგარიყო, შედეგი გაცხადებულიყო და ჯიუტი შეუპოვრობით ჩასძახოდა:

ეს არ არის საქართველო!  
ეს არ არის საქართველო!  
ეს არ არის საქართველო!

\* \* \*

ქართული ანდაზა გვიჩვენებს: „ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასაო...“

რკინიგზებისა და ავტო-მოტოს მეტრფე ახლა ძველ გზას მიჰბრუნებოდა, მეტეხი და დიღმის ველი გაეხადა დაფარულ ფიქრთა მოზიარედ.

ლეონტი მროველის გადმოცემით, დიღმის ველიდან იწყება მეფე ფარნავაზის საქმენი საგმირონი, ქართლის მტერთაგან გამოსხნა და აღდგინება:

„განვიდა ფარნავაზ და ნადირობდა მარტო, და დევნა უყო ირემთა ველსა დიღმისასა... მაშინ დაასხა წვიმა მძაფრი. ხოლო ფარნავაზ... გამოარღვია კარი ქუაბისა მის. რათამცა მუნ შიგა დაიმშრალა წვიმისა მისგან... და იხილა მუნ-შინა განძი მიუწდომელი...“

რას ვაგრძელებდე, მუხრანისა არ იყოს, „განძი რომ არა დიღმისა, – ვერაფრით ქართლს ვერ იხსნიდა~ ის ფარნავაზი, ვინც „ქმნა ერთ-მთავრობა~, ერს ერთობა დაუმკვიდრა და მისი წესი და ძალა აგრძნობინა.

მეტეხი!

მეტეხი გალაკტიონის პოეზიის თანამდევნი ხატი იყო ადრიდანვე: ჯერ რომანტიკული სიზმარეთიდან გამომხობილი, მთვარით განათებული და თეთრად მოელვარე, მერე მკაცრი – „რუხი, პიტალო~. ავტო-მოტო-ველოს, გინდაც ზაჰესის საპირისპიროდ, მეტეხი, ციხე და ტაძარი, ისტორიული საქართველოს სიმბოლოდ ჩანდა, წარსულის შარავანდი ადგა:

რომ მოსაგონრად წარსული დროის  
მარტო მეტეხის კამარა კმარა.

მაგრამ დრონი იცვალნენ, ისტორიულ მეხსიერებასთან კავშირი გაწყდა და მეტეხიც თანამედროვეობის უტყვე რეკვიზიტად, პასიურ მოწმედ იქცა:

გამარჯვების მოწმე არის –  
მოწმე ჩვენი ახალ ხანის.

ახალი ცხოვრების განთიადი „აწყდება ძველი თბილისის კარებს~ – „მეტეხს იქით ცა, აჰა, ნათდება!~ და პოეტიც ისე შეჰხარის ყველაფერს, თითქოს ილიას ნაოცნებარ, თავისუფალ საქართველოში გამოიღვიძა:

მოსვენებისგან ეხლა რას ელი,  
სამარადისო რას მოგცემს ძილი?  
ახალი დროის დასაწყისია,  
ყოველმხრიდან – ხმა, ყველგან – ძახილი!

„ეგ არის და გორის ციხე!“ – ილიას მკვლევებს თურმე ილიას ოცნებისათვის შეესხათ ხორცი:  
„ყოველმხრიდან – ხმა, ყველგან – ძახილი!“

გალაკტიონი არ ცხრებოდა:

თანდათან,  
თანდათან,  
თანდათან  
ახალი საქართველო შენდება!

კომუნისტურად სუვერენული, სოციალისტური რესპუბლიკა შენდებოდა – არა, ეს არ იყო ილიას საქართველო!

\* \* \*

უცნაურია, თითქოს ყველაფრის არსებობას აღიარებდა: მეტეხი ისევ იდგა და დიღმის ველს ჯერაც თავისი სახელი ერქვა, რკინიგზების ხლართი და ავტო-მოტო-ველო ხომ მჩქეფარე ეპოქაზე ღალადებდა! მაგრამ...

ეს „მაგრამ“, უფრო ზუსტად, „არის, მაგრამ“ ძალიან დამაფიქრებელია. რაღაც მთავარს, მიზეზს არ გვიმხელს გალაკტიონი, ტექსტში არ განფენს, მხოლოდ მიგვანიშნებს...

გალაკტიონს აქვს ასეთი სტრიქონი:

სული ჩვენი ოჯახის იყო დიდი ილია...

სწორედ ილიას ფიქრი და ტკივილი ტრიალებს გალაკტიონის საანალიზო ლექსში, ილიას ინტონაცია და მცირედ შეცვლილი ფორმულა უნდა ამოიგნოს ლექსის ადრესატმა – „ქვეყნის უბედურებით გულადტკინებულმა“ ქართველმა:

„არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონი – ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის“.

გეცნოთ ალბათ. „ზოგიერთი რამ“ ჰქვია წერილს, საიდანაც ეს სიტყვები ამოვწერე, თუმცა ზოგიერთ რამეზე კი არა, ქართველებისა და საქართველოს უბედურებადქცეულ, დღემდე განუკურნელ სენზე ლაპარაკობს ილია. ასე იყო და ასე არის: არსებობს „ეს ჩვენი დედაქალაქი და ეს შავი ზღვიდამ კასპიის ზღვამდე გუნდ-გუნდად მორიგებული მისი შვილები – სოფლები“, მაგრამ არა გვაქვს საქართველო, „ქართველი კი არსად არის“, რადგან „აქ არვის – დიდსა თუ პატარასა – /ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული“, ერი და ბერი, საპირადოს გადაყოლილნი, თავის ნაჭუჭში ჩამყუდროებულან. მწარე განცდით, არაერთგზის, დაჟინებით იმეორებს ილია:

– ნუთუ ესენი ქართველნი არიან?

– ნუთუ ეგ თვითოეული ქართველი ჰგონია ვისმე?

ის, რაც გალაკტიონის ლექსში, მიზეზთა გამო, მხოლოდ მინიშნებულია ილიასეული პარადოქსის გამოყენებით, ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ შედეგში მამულიშვილის გულით არის ნაგრძნობი და ბასრი გონებით განჩხრეკილი. გალაკტიონი ალუზიის ხერხით შეტყობინებას გვიგზავნის, მისამართს გვაწვდის, სად უნდა ამოვიკითხოთ მთავარი სათქმელი, პარადოქსის დაფარული შინაარსი:

„სადღა მამული?... დავაქციეთ ჩვენი დიდი ერთიანი სამშობლო ოჯახი... თვითეულმან ჩვენგანმან თავისი ხვედრი, დიდის „მამულის“ ნაშთი თავთავად შემოიღობა; იმ შემოღობილში თვითეულმან ჩვენგანმან თავისი საკუთარი ქვეყანა აიშენა... „ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო მარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო მარღვი სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში – ყველა“...

თუ ილია „საყოველთაო საქართველოს“ იდეის არარსებობას, ქართველთა გათითოვანებას დასტიროდა („საერთო ლხინი მაჩვენეთ, საერთო ჭირი მაინცა, მაგრამ სად არის“), გალაკტიონის მიერ აქტიურად ხოტბამესხმულ ეპოქას ძველ სატკივარზე ახალი ჭირი დაესართებინა – ინტერნაციონალიზმის იდეა, რომელიც „ახალი გზით გაერთიანებულ“ ქართველობას ეროვნულ ერთობაზე ფიქრსაც კი უკრძალავდა. თანაც ველიკორუსულად გაგებული ინტერნაციონალიზმი მხოლოდ იდეა ხომ არ იყო, ეს სვავის საქმედქცეული „თეორია“ გახლდათ, სხვადასხვა გვარტომის ხალხს საქართველოსკენ დაუბრკოლებლად რომ უხსნიდა გზას.

დაბნეული ქართველობის თვალწინ ქრებოდა ისტორია ანუ, ილიასებურად, ერის გათახსირება დაწყებულიყო, „ინდუსტრიალურ აბობოქრებას“ კი, – გალაკტიონისებურადაც ვთქვათ, – სხვა ხალხის ჟრიაშული მოწყობილობა.

გალაკტიონის ლექსის ჩანაფიქრი სისავსითა და სიღრმით მხოლოდ ილიას ტექსტთან მიმართებაში იკითხება. მეტიც, ილიას წერილის გაუთვალისწინებლად მიუგნებელი რჩება პარადოქსის არსი, მასშტაბი იმ სათქმელისა, რაც ამ, ერთი შეხედვით, მარტივ, სადა ლექსშია ჩადებული.

\* \* \*

საქართველოში საქართველოს გაუჩინარება გალაკტიონმა ჩუმად გამოიტირა, ტკივილი უჯრაში გამოკეტა, საჯაროდ კი... ილიას ნაანდერძევ, ეპოქალურ სიტყვებს მოუწყინრად, სხვადასხვა ვარიაციით ატრიალებდა, – ვერ დავწერე „აყალბებდა“:

დღეს თავის თავს მთლად ეყუდვნის  
საქართველოს მთა და ბარი.

ან უფრო დინჯად, დარბაისლურად, დიდაქტიკურად:

ახალგაზრდებო! ჩვენი თავი  
ჩვენვე გვეყუდუნის!

სიცოცხლის მიწურულს პირდაპირ ლელთ ღუნია გამოიხმო, ილიას მოხევეს ათქმევინა არსათქმელი:

– მოხევევ! გახედე  
ჩვენს იმერ-ამიერს;  
ეყუდუნის თავის თავს?  
– ცხადია, ეყუდუნის.

გალაკტიონის ინტონირების ნიუანსებში გარკვეულებმა, შესაძლოა, აქ ირონიის კვალი აღმოვაჩინოთ, ცხოვრების ტრაგიკული ირონია კი იმით გამოიხატა, რომ „შობლიური ევემერას“ ავტორმა სწორედ ამ „თავისუფალ“ საქართველოში აღარ ისურვა სიცოცხლის გაგრძელება.

სიმართლე კვლავაც არქივში ჩარჩენილმა სტრიქონებმა შემოგვინახა:

ჩვენვე ჩვენი თავი  
აღარ გვეყუდუნებს.  
სული გვეხუთების,  
სუნთქვა გვეხუთვების!

### *Teimuraz Doiashvili*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

## **REMINISCENCES OF ILIA CHAVCHAVADZE'S FAMOUS ARTICLE RESONATE WITHIN GALAKTION TABIDZE'S POEM "WHAT IS HEARTBREAKING ABOUT HIM" RESUME**

The article delves into one aspect of the relationship between Galaktion Tabidze and Ilia Chavchavadze, specifically demonstrating the connection between Galaktion's untitled poem "What's heartbreaking about him" and Ilia Chavchavadze's renowned article "A Couple of Words."

It is Ilia's thoughts and pain that reverberate within Galaktion's analytical poem. Ilia's intonation and subtly altered narrative should be recognizable to the poem's recipient. What Galaktion merely hints at in his poem through the Iliasian paradox is deeply felt by Mamulishvili's heart and dissected with precision in Ilia Chavchavadze's journalistic masterpiece.

Galaktion communicates through allusion, guiding readers to uncover the main message and hidden content of the paradox. If Ilia lamented the absence of the idea of a "universal Georgia" and the individualization of Georgians ("Show me the common Lkhini, it's still a common plague, but where is it"), the era actively challenged by Galaktion introduced a new ailment to the old pain: the idea of internationalism, which "united in a new way" and even discouraged Georgians from contemplating national unity.

The fullness and depth of Galaktion's poem can only be understood in relation to Ilia's text. Without considering Ilia's narrative, the essence of the paradox remains incomprehensible, obscuring the profound implications of this seemingly simple, plain poem.

**Keywords:** Galaktion Tabidze, Anti-Soviet, Ilia Chavchavadze.

**მე-20 საუკუნის 90-იანი წლები ნინო ხარატიშვილისა და ლაშა ბუღაძის რომანების მიხედვით  
(ისტორიული ფაქტი და ლიტერატურული რეფლექსია)**

**საკვანძო სიტყვები:** 90-იანი წლები, ინტელიგენცია, დროის დისტანცია.

„მე არ მეხებოდა ამათი ომი“

გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში მიმდინარე მოვლენები, მეტ-ნაკლებად აისახა ქართულ ბელეტრისტიკაში ე წ დროის დისტანციის გარეშე ოთარ ჩხეიძის რომანში „არტისტული გადატრიალება“, დათო ტურაშვილის მოთხრობების კრებულში „იყო და არა იყო რა“, ჯაბა იოსელიანის დოკუმენტურ რომანში „სამი განზომილება“. მიმდინარე პროცესების პარალელურად, შეიძლება დადასტურებულად ითქვას, მეტი არც არაფერი შექმნილა, მწერლები ელოდებოდნენ დროის გასვლას, გადაფასებას, ცდილობდნენ შორიდან შეეხედათ პროცესებისთვის და მისი შედეგებიც გაეთვალისწინებინათ, თუმცა მოვლენებიდან 30 წლის შემდეგაც დიდად არაფერი შეცვლილა, იმ პერიოდის ძირითადი ფიგურანტები მაქსიმალურად ცდილობენ დღემდე გვერდი აუარონ ამ თემას, არ ისაუბრონ და საკუთარი დამოკიდებულება არ ასახონ საკუთარ შემოქმედებაში. აქ შეიძლება რამდენიმე ფაქტორი გამოიყოს. პირველი, მათთვის არაა საინტერესო ქვეყანაში მომხდარი მოვლენები, ისინი ცდილობენ დისტანცირებას, საკუთარი თავის და პასუხისმგებლობის არიდებას. მეორე, სირცხვილისა და დანაშაულის გრძნობა. მესამე - დავიწყების სურვილი. “90-იანებზე შექმნილი ლიტერატურის ავტორებს ჯერ კიდევ მკაფიო და მძაფრი ემოციური კავშირი აქვთ იმ ეპოქასთან, რომელზეც წერენ. ლიტერატურაში ახლა ხდება მოვლენათა შეფასება, მნიშვნელობის მინიჭება, მინიჭებული რევიზია თუ ინტერპრეტაცია“ (ჩიქოვანი, 2022: 289).

დღესდღეისობით, რასაც არ უნდა ეხებოდეს ჩვენი ინტერესი, ძირითადი ფიგურა მაინც ადამიანია. საქართველოს ყველა პრობლემა - ნარკოტიკები, ბულინგი, ფემიციდი, ეგზისტენციალური საკითხები თუ „პატარა ადაიანი“, ღრმა ანალიზის შემდეგ მაინც მივალთ გასული საუკუნის 90-იან წლებამდე.

მიუხედავად ამისა, რომ უფროსი თაობის მწერლები დღემდე დუმდნენ და დისტანციას ინარჩუნებენ მაშინ განვითარებულ მოვლენებთან. შედარებით უფრო გაბედულია შუა თაობა, რომლებიც 90-იან წლებში არასრულწლოვნები იყვნენ და მათ არ შესწევდათ ძალა რაიმე შემოქმედება ექონიათ მიმდინარე პროცესებზე, ისინი მორალურ პასუხისმგებლობას არ გრძნობენ და მხოლოდ შორიდან, მხოლოდ შედეგებით მსჯელობენ, ეს კი საქმეს შედარებით უადვილებს და უფრო ცხადად შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი შეხედულებები და მოსაზრებები მაშინ განვითარებულ მოვლენებთან.

ამ მხრივ საინტერესოა ლაშა ბუღაძის და ნინო ხარატიშვილის შემოქმედება. ლაშა ბუღაძე დაიბადა 1977 წელს და 14 წლის მოზარდს წარმოუდგენელია სრული სიმძაფრით და პასუხისმგებლობით აღექვა რაც ხდებოდა თბილისში 1992-93 წლის დეკემბერ-იანვარში, მით უფრო ეგრძნო რაიმე პასუხისმგებლობა, მიუხედავად ამისა, 2023 წლამდე ის მაინც ცდილობდა არ შეხებოდა ამ პროცესებს. 2023 წელს გამომცემლობა „სულაკაურმა“ გამოსცა მისი რომანი „საქართველოს სახელით“, რომელიც 80-90-იანი წლების საქართველოს ავტობიოგრაფიაა და ამ პერიოდის ყველა მოვლენა მეტ-ნაკლები ირონიით, ცოტა ეპატაჟითა და ჰიპერბოლიზებულიადაა ასახული. ავტორი, ცდილობს ყოველ მეორე წინადადებაში გაიხსენოს და ხაზი გასუვას იმ ფაქტს, რომ მოვლენების განვითარების დროს ის მხოლოდ 14 წლისაა და მხოლოდ უფროსების ქცევისა და რეაქციის მიხედვით შეეძლო გაეგო რა ხდებოდა ქალაქში. ეს ყველაფერი უფროსი თაობის, მამების და ბებიების ამბები იყო, „ეს რომ ბებიაჩემის ომი იყო, იმ პირველი აფეტქებიდან გახდა ცხადი, როცა გენერლის მიერ გამოსროლილი ჭურვი უზენაესი საბჭოს შენობის მეექვსე სვეტს მოხვდა და უცნაურად გაგლიჯა შუაზე“ (ბუღაძე, 2023: 415). რომანის მთავარი პერსონაჟი საქართველოა. ასევე, ავტორი მეტ-ნაკლები დოკუმენტალობით ცდილობს გააცოცხლოს პროცესების მთავარი მონაწილეები, როგორც ხელისუფლებიდან, ასევე ინტელიგენციისა და მოწინააღმდეგე „ბანაკიდან“. ორივე მხარის არგუმენტები წარმოაჩინოს.

ნინო ხარატიშვილი კიდევ უფრო შემდეგი თაობის წარმომადგენელია. ის დაიბადა 1983 წელს და 90-91 წლებში განვითარებულ მოვლენებში ნამდვილად წარმოუდგენელი იყო გარკვეულიყო და მით უფრო რაიმე შეფასება გაეკეთებინა. თუმცა, ამ მოვლენების შედეგები ვერც მან აიცვია და ჩაბნელებული და გაყინული, კრიმინალური თბილისის მძიმე მოგონებები იქცნენ მისი შემოქმედების ერთ-ერთ

ძირითად ხაზად. 95-97 წლებში ლაშა ბუღაძის მსგავსად მანაც შემლო დაეტოვებინა თბილისი და გერმანიის სიმშვიდეს შეაფარა თავი. ორივე ავტორი გარკვეული პერიოდის შემდეგ ბრუნდება სამშობლოში და ისევ აქ ცდილობენ განათლების მიღებას, თუმცა ნინო ხარატიშვილმა საბოლოოდ მაინც გერმანიაში გააგრძელა მოღვაწეობა და დღეს ითვლება გერმანულენოვან ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ქართველ ავტორად. მისი ორი რომანი „ბრილკა, მერვე სიცოცხლე“ და „უკმარი სინათლე“ გამომცემლობა ინტელექტმა გამოსცა და დიდი გამოხმაურება გამოიწვია ქართველ მკითხველსა და კრიტიკოსებში. რა თქმა უნდა, შეფასება არ იყო ერთგვაროვანი, ისევე, როგორც დღემდე არაა შეფასებული 90-იანი წლების საქართველოში განვითარებული მოვლენები. რომანი, „ბრილკა, მერვე სიცოცხლე“ საოჯახო საგაა. ერთი ოჯახის, ჯაშების, ირგვლივ ვითარდება მოვლენები და მათი ოჯახის საუკონოვანი ისტორიაა. პერსონაჟების ბედს განსაზღვრავს საქართველოში, საბჭოთა კავშირსა და მსოფლიოში განვითარებული მოვლენები. ძლიერამოსილი საგვარეულო ვერ გადაურჩა ვერც ერთ ქართველს, ვერც ერთ ომს და რევოლუციას. ძირითადი ხაზი ქალების გარშემოა. ჯაშების ოჯახის ძლიერი და სუსტი ქალები და ერთი უფროსი, ოჯახის დიქტატორი მამა. რომანში მხატვრულ პერსონაჟებთან ერთად გვხვდებიან ისტორიული ფიგურებიც, რომლებსაც ნინო ხარატიშვილი საკუთარი შეფასებებით და თვალთ გვანახვებს, როგორც ჩვენ, ქართველ მკითხველს, ასევე გერმანულ საზოგადოებას. რა თქმა უნდა, რომანში ისტორიული სიზუსტით არაა ღწერილი ყველა ფაქტი, რამდენიმე ადგილას გვხვდება დროისა და სივრცის აღრევა, მოვლენების გაერთიანება, მაგრამ ეს ალბათ შეუმჩნეველი დარჩება გერმანულ მკითხველს.

რომანის, „უკმარი სინათლე“ მთავარი პერსონაჟებიც ქალები, გოგოები არიან, კარგად ცნობილი სქემით. 4 ქალის ისტორია, 4 განსხვავებული ხასიათისა და ინტერესების ადამიანი 4 სტიქიის მსგავსად, რომლებიც ერთად დიდ ძალას და ჰარმონიას ქმნიან. სწორედ მათი მეგობრობის და ისტორიის ფონზე იშლება აქაც 80-90 -იანი წლების ამბები. რომანში ვერ ავცდებით კლიშეებსაც. გერმანიისტი ბებია - მკაცრი, მოწესრიგებული და პრაგმატული. ფრანკოფოლი ბებია - რომანტიკული პერსონა, სილადითა და ცოტა თავქარიანობით. ინტელექტუალი მამა - არაპრაგმატული და გარემოსშეგუებული, თავის მიკროსამყაროში შეყუყული. ეს ერთი ოჯახის მკვიდრნი. ავტორს მთელი საქართველო ერთ ეზოში ჰყავს მოქცეული, ეზო კი ასევე სიმბოლურად, ვაზის ქუჩაზეა. მეზობლები: ზღვისპირიდან ჩამოსული - სილადის და თავისუფლების სიმბოლო. ქურთების ოჯახი - მეეზოვე დედა და მექისე მამით. ტატიშვილები - „ცეხავიკი“ მამა და უზრუნველყოფილი ოჯახი, რომელიც რა თქმა უნდა, გამოირჩეოდა სხვებისგან სიმდიდრითა და „სანიმუშობით“. ბასილიები - გასტრონომში გამყიდველად მომუშავე „ფაშაშა“ ნანი, რომელსაც ვაჭრობის წარმოდგენელი უნარი გააჩნდა და ისიც მაშინდელი სტანდარტების მიხედვით, გადამყიდველი. ნადია ალექსანდროვნა - მარტოხელა, უშვილო ქვრივი, რომელიც რუსეთიდან გამოჰყვა მუსიკოს ქმარს და მისი ყველა უმსგავსო ქცევის გამართლებას ცდილობდა საკუთარ და სხვის თვალში, ქალი, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე მხოლოდ რუსულად საუბრობდა და ქართულად სიტყვას არ ამბობდა, ამავე დროს მთელი ეზოს ბავშვებისთვის მუდამ ინახავდა ტკბილეულს. ციცო - შვილმკვდარი დედა, რომელსაც მთელი ეზო პატიობდა ყველაფერს, რასაც სხვას არ აპატიებდა, ჩხუბს, საყვედურებს, კონფლიქტებს. მეორე მსოფლის ომის გმირი - ბახისა და ჭადრაკის დიდი მოყვარული, რომელიც ამავე დროს „ეთაყვანებოდა მასობრივ მკვლელს“ (ხარატიშვილი, 2022: 43) და რომელსაც მთელი ეზოს ქალები ფარულად შესტროფოდნენ. საქართველო ყველა თავისი ტიპაჟით ერთ ეზოში და ამ ეზოში ოთხი მეგობარი გოგონა, რომელთა თავსაც დატრიალდა 90-იანი წლების ყველა უბედურება. რომანებში ნინო ხარატიშვილის თვითმიზანი არაა მოვლენათა შეფასება და ქვეყნის ბედის გადამწყვეტთა შეფასებები. ეს ამბები უფრო ფონად გასდევს მთავარ პერსონაჟთა ბედს და განსაზღვრავს კიდევ მას. ლაშა ბუღაძე კი მიიჩნევს, რომ ოდესღაც ხომ უნდა დადგეს ისტორიის შეფასების დრო, სადაც, ვიღაცამ ხომ უნდა დაარქვას მოვლენებს თავისი სახელი და გაუთავებლად იმის გამეორება, რომ ახლა ამის დრო არაა, მხოლოდ ამდომებს სიტუაციას და ქმნის იმის საშიშროებას, რომ უშიშროების არქივიდან მოსკოვში გატანილი 800 ტომრის შიგთავსი, ისევ გააქტიურდება, მათი შთამომავლებიც, და არასდროს დადგება დღე, როცა ქვეყანა სახელმწიფოს დაემსგავსება „ვიღაცას შეიძლება ეკითხა კიდევ, რა დროს ეს იყო, მაგრამ როდისღა უნდა დამდგარიყო ისტორიის შეფასებისთვის შესაბამისი დრო? მაშინ კიდევ წლები და წლები გვეყურებინა ამ გაუხუნარი ავტორიტეტებისთვის და დაუღლეად გვეძახა - რა დროს ესაა, რა დროს ისაა“ (ბუღაძე, 2023: 322). მიუხედავ იმისა, რომ ლაშა ბუღაძე გამუდმებით ხაზს უსვამს ფაქტს, საკუთარი არასრულწლოვანების შესახებ და რომ მას ამ პროცესებში არანაირი წვლილი არ მიუძღვის, ვერ გამოხატავდა რაიმე პოზიციას, ვერ დადგებოდა ვერსად, მის გარეშე მოხდა ყველა საშინელება, მაინც აკეთებს შეფასებებს და ავტორის პოზიცია 30 წლის შემდეგ აშკარა იკითხება „ვერ იტანდნენ ამ სამშობლოს, უყვარდათ ის საბჭოთა კავშირი, რა ექნათ“ (ბუღაძე, 2023: 376), „ფული ოპოზიციას ჰქონდა, მათ შორის იარაღის“ (ბუღაძე, 2023: 376), „კიბეზე ჩამომსხდარი მოღალატე ჟურნალისტები“ (ბუღაძე, 2023: 383), „უბრალო ხალხი

პრეზიდენტის გვერდით იდგა, ასი ათასობით ადამიანი, მეტიც, იქნებ მილიონი, რომელიც პრეზიდენტის ერთ დამახეზაზე გამოვიდოდა ქუჩაში და შიშველი ხელებით დაიცავდა ეროვნულ ხელისუფლებას, პატრიოტები ფარად დაუდგებოდნენ ქვეყანას“ (ბულაძე, 2023: 376), აქვეა მეორე მხარის შეფასება, რომელთა მეთაურებიც „ზავკოში“ ათევენენ ღამეებს, რადგან „იცოდა, რომ რუსები დაიცავდნენ, ქვეყნის არევა რომ დაესახათ მიზნად“ (ბულაძე, 2023: 376). როგორც ვიცით და ავტორიც ხაზს უსვამს, ხელისუფლება ყველანაირ კომპრომისზე მიდიოდა, რათა ქვეყნისთვის აერიდებინა სისხლისღვრა და რღვევა „რაც გონივრული და დასაშვებია იყო, ხელისუფლება ყველაფერს თმობდა: ვადამდეღ არჩევნებს, რეფერენდუმს პრეზიდენტისადმი ნდობის გამოცხადებაზე და იმ ნაძირალას, ბანდიტური გასამხედროებული ხროვის შემქმნელს, ვისაც ციხის კარსაც გაუხსნიდა შეთანხმების შემთხვევაში“ (ბულაძე, 2023: 378). ამ ფონზე დაპირისპირებული მხარე არა თუ დათმობების განხილვას და რაიმე სახის შეთანხმების მომხრე, არამედ მთლიანი სოლოლაკის აფეთქებით იმუქრებოდა, დამხობის ორგანიზატორების მთავარი დავალება ალბათ სწორედ ეს იყო, არანაირად არ დაეშვათ გონიერების მარცვლის შეტანაც კი ოპოზიციურ „ბანაკში“, ყველანაირი მოლაპრაკება უნდა განულებულიყო, რათა დამდგარიყო შესაბამისი შედეგი, რასაც წარმატებით გაართვეს თავი „დიქტატორს მანდვე ჩავმარხავ და სოლოლაკს ჰაერში ავწევო... ან ბენზინის კასრს ჩავაგდებთ და გადავბუგავთ იქაურობას“ (ბულაძე, 2023: 405). ლაშა ბულაძის მსგავსად ნინო ხარატიშვილიც ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მისთვის ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები არ იყო მნიშვნელოვანი და ასაკის გამო ვერ ხედავდა მთელი სიმძაფრით რა შედეგები ექნებოდა ამ ყველაფერს მათ მომავალზე „1991 წლის 26 მაისს, სკოლის ბოლო გამოსაშვები გამოცდის დღეს, ზვიად გამსახურდია გახდა საქართველოს პირველი, თავისუფალ არჩევნებში გამარჯვებული, პრეზიდენტი. ეს ამბავი დიდად არ გვანაღვლებდა, საკუთარი თავისუფლების აღნიშვნა გვერჩივნა, გინდაც ჩვენი თავისუფლება ქვეყნის თავისუფლებაზე ყოფილიყო დამოკიდებული“ (ხარატიშვილი, 2022: 217). „მაგრამ ჩვენ ამ ყველაფერს ჯერ ვერ ვხვდებოდით, ვისხედით ცისკენ მიმავალ, შუაგზაზე გაჩერებულ ხრჭალა გონდოლაში, კონიაკს ვსვამდით და ვცდილობდით ნენეს სიყვარული გვეზიდა... მთელი ქუჩა ცეცხლის ალს შთაენთქა. ოღონდ ჩვენ ეს არ ვიცოდით, ჯერაც ისე ახლოს ვიყავით ცასთან“ (ხარატიშვილი, 2022: 310). ხარატიშვილი ამ შემთხვევაში წინასწარ გვამზადებს მთავარი პერსონაჟების მომავალთან, მათი გონდოლა შუა გზაზე გაჩერდა. ამ რომანშიც ოთხი მეგობრის ბედთან ერთად ვხედავთ მათ ოჯახებში და საზოგადოებაში დატრიალებულ მოვლენებს, როგორ გაიყო აზრი და ოჯახებიც კი, ლაშა ბულაძის რომანის პერსონაჟების მსგავსად, ოჯახის წევრები პირველი პრეზიდენტის სიყვარულის და მხარდაჭერის გამო მუდმივი დაცინვის და ხშირად აგრესიის მსხვერპლიც ხდებოდნენ „რუსეთი ამას იოლად არ გვაპატიებს!“ (თანამეგობრობაში შესვლაზე უარი), აღნიშნა ტელევიზორის წინ მჯდომმა მამაჩემმა, დედამისმა კი მხარი აუბა: „ხომ ვამბობ, ეს იდიოტი მთელ ქვეყანას თავის ეგოს გადააყოლებს!“ - საქართველოს პრეზიდენტის შესახებ ფრაზა, რასაკვირველია, მეზობელ ოთახში მყოფი ოლიკოს გასაგონად წარმოითქვა. „გიხაროდეთ, რომ გყავს, უიმისოდ წასული იქნებოდა ჩვენი საქმე!“, არ დაუყოვნებია საპასუხო კომენტარი“ (ხარატიშვილი, 2022: 309). „- მიხვდა, რომ მისი ძვირფასი პრეზიდენტი მესია კი არ არის, არამედ უბრალოდ მშიშარაა და თან გაქცეული. მარტივი ამბავია, - უემოციოდ მომახსენა ეთერმა - ჯობდა, არ ეთქვა, ოლიკომ მაშინვე დასაკლავი გოჭივით დაიწყო ჭყვიტინი: - როგორ ბედავ ასეთი ტყუილების გავრცელებას? პატივს უნდა მიაგებდე საწყალ კაცს, მარტო იცავს თავის ქვეყანას მკვლელებისგან. და თუ არ დაბრუნდება და ხალხს ამ წუმშიდან არ მოიყვანს... - ამ წუმში თვითონ ჩააგდო ხალხი, ნება მიბოძე, შეგახსენო. ეთერი არ ოკდებოდა. - მორჩით, ახლავე! - ჩაერია მამაჩემი, მაგრამ ოლიკო სლუკუნს არ წყვეტდა. თან გულისგამგლეჯი სანახაობა იყო და თან შემზარავი. არ ვიცოდი რა მეთქვა“ (ხარატიშვილი, 2022: 535). ვინ იყო ერთ მხარეს და ვინ მეორე მხარეს. კატასტროფა ქვეყნისა ამ გაყოფით დაიწყო, მხარეებად დაყოფით. ლაშა ბულაძე აღწერს მხარეები როგორ მკვეთრად განსხვავდებოდნენ ჰაბიტუსით, წარმომავლობით ინტერესებით „ამბოხებული ოპოზიციის მიტინგზე, დაბადების დღის, დიდი წვეულების, ზემის თუ გართობის განწყობა იდგა, შესაბამისი ხმაურით, განსხვავებით მეორე მიტინგისგან, კარვის ქალების, საიდანაც გოდების ხმა და პრეზიდენტის სახელის მოსაწყენი სკანდირების ექო აღწევდა გაუთავებლად“ (ბულაძე, 2023: 394). ლაშა ბულაძე რამდენჯერმე აკეთებს შედარებას ამ ორი მიტინგისა და იქაური განწყობებისა, ერთის საზეიმო სიხარული, რომელიც დარწმუნებულია ნაყიდი იარაღით უახლოესი გამარჯვებისა და მეორე მხარეს გოდება, რომელსაც ყვავილების და პრეზიდენტის სახელის გარდა არაფერი აქვს. ნინო ხარატიშვილი ხელისუფლების დამხობის და მის შემოქმედთა შესახებ საუბრისას რა თქმა უნდა, გვერდს ვერ უვლის მათ წარსულს და მათ კავშირს კრიმინალთან, შავ საყაროსთან, დაუნდობლობასთან. მიუხედავად იმის, რომ რომანში ავტორი მაქსიმალურდ ცდილობს დისტანცირებას და შეფასებებს არ აკეთებს, ლაშა ბულაძისგან განსხვავებით, ფაქტს გვერდს ვერ უვლის და რამდენჯერმე ჩანს კრიმინალების მეთაურების, კონკრეტულად ჯაბა იოსელიანის სახე „დაიწყო მანამდე უხილავი ომი, დრო, როდესაც ციხეებისა და

შავი სამყაროს მესვეურები დღის სინათლეზე გამოლაგდნენ, ქვეყნის სადავეები ხელში ჩაიგდეს, მთავრობის სასახლეში მოკალათდნენ“ (ხარატიშვილი, 2022: 280).

„ზოოპარკში ვიყავი, მორფინისტები ყავთ მხარდამჭერებად და ჩვენი ინტელიგენცია... მეგონა, რომ ქართული არ ესმით“ (ბუღაძე, 2023: 383). ზოოპარკის თემა ფართოდაა ნინო ხარატიშვილთანაც. სწორედ ზოოპარკში განვითარდა რომანის საკვანძო მოვლენა, რომელმაც სამუდამოდ შეცვალა მთავარი გმირის ბედი და სხეულიც. ზოოპარკი თავისი პირდაპირი და სიმბოლური დატვირთვით მაშინდელი თბილისის და ზოგადად ქვეყნის სახე გახდა, პირუტყვობამდე მისული საზოგადოება, აგრესია, ადგილის და ლუკმის, წილის გამო დაუნდობლობა. ნარკოტიკები. კრიმინალი, ეს იყო თბილისის ომის და შემდგომი პერიოდი საქართველო, რომლის თავმოყრაც ზოოპარკში ხდებოდა.

#### ინტელიგენცია, მხედრობი

ლაშა ბუღაძე რომანის ერთ-ერთ თავს, სადაც აღწერილია 1990 წელი, იწყებს ახალი წლის გახსენებით საკუთარ ოჯახში, სადაც დეიდას სილა გააწნა დედამისის მეუღლემ, ამ ფაქტს მთელი ოჯახი შეესწრო, მათ შორის ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენელი, ოჯახის უფროსი, ბაბუა, რომელიც მთელი ცხოვრება ცდილობდა თავისი საქმე სიყვარულით ეკეთებინა. კომპრომისებით, თავის დახრით სისტემის მიმართ, რაღაც შეექმნა და ამით ამყობდა მთელი ცხოვრება, „სილის გაწვნა კამერტონად ექვა ამ წელს - უკანასკნელ წელს საბჭოთა კავშირისთვის“ (ბუღაძე, 2023: 316). ეს ოჯახური კონფლიქტი არა საყოფაცხოვრებო ნიადაგზე, არამედ იდეების მიუღებლობის და ოჯახის წევრების განსხვავებული პოზიციის გამო მოხდა. საინტერესოა ავტორის შეფასება უფროსი თაობის ქვეყნის მიმართ, რომელმაც საკუთარი ქალიშვილი შებოჭა და შეაკავა და არა მოძალადე მამაკაცი „მისი ინსტიქტი ცხოვრების მიერ გამოცდილ ლოგიკას გულისხმობდა - მთელი ცხოვრება ასე იყო რუსებთან და ახლა, ყოფითი სკანდალის დროს რაღატომ უნდა შეეცვალა ჩვევა - ფიზიკურად სუსტი უნდა შეებოჭა“ (ბუღაძე, 2023: 317). ძალადობის მიზეზი კი „რაციონალურად აუხსნელ ისტერიკას და ეგზალტაციას იწვევდა - საქართველოს პირველი პრეზიდენტის სიყვარული და სიძულვილი“ (ბუღაძე, 2023: 317). ტექსტში, როგორც მოსალოდნელია, ქალი პრეზიდენტის მომხრეა, მამაკაცი მოწინააღმდეგე ბანაკშია და სწორედ ისაა მოძალადე. სუსტის, ქალის ადვილად დაჩაგვრის და დამორჩილების მცდელობა, მოძალადე მოწინააღმდეგე ბანაკი, რომელსაც სიტყვიერი არგუმენტები არა აქვს და ფიზიკური ძალადობით გადის ფონს. ამის შემჩერებელი კი არავინაა, მიუხედავად იმისა, რომ სიახლოვეს, მხოლოდ ქალის ნათესავები და ახლობლები არიან, მაინც მას ბოჭავენ და აკავებენ და არა მოძალადეს. ამ პასაჟით ლაშა ბუღაძე ირიბად, მაგრამ მაინც აჩვენებს უფროსი თაობის, ინტელიგენციის, საბჭოთა სისტემასა და რუსულ ძალას დამორჩილებული თაობის სახეს, რომელიც არაფრით დაუშვებს და ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება დაიცვას სუსტი, თუნდაც საკუთარი ქალიშვილი, მოძალადისგან. უხემ ძალასთან დასაპირისპირებლად მათ არც უნარი და არც სურვილი გააჩნიათ, ვერც წარმოუდგენიათ, რადგან თვლიან, რომ თუ „მოსკოვის უგულო ქვევარზე“ ყოველთვის ექნებოდა რეაქცია, ვერსადროს შეძლებდა მატერიალურ კეთილდღეობას, მიახლოებულს მაინც. და მშობლების მთელი თაობა უხმო მორჩილებას ამჯობინებდა შვილის დაცვას. მძიმე განაჩენია, მაგრამ ლაშა ბუღაძე სწორედ ასე ხედავს მაშინდელი საქართველოს. მშობლების თაობას, მით უფრო ინტელიგენციას „სიმშვიდის გარანტიაც 1977 წელს უნდა მიეღო მოსკოვში, როცა თავისი მიკროქალაქის აშენებისთვის დაეწყო ბრძოლა“ (ბუღაძე, 2023: 418). ავტორი მაშინდელი, ქართული საბჭოთა ინტელიგენციის ოჯახიდანაა, მისი „ორი წყება დედ-მამა“, ასევე ბებია-ბაბუები ამ ფენის წარმომადგენლები იყვნენ და ტექსტში განხილული და მიმდინარე მოვლენები სწორედ ინტელიგენციის თვალთაა დანახული. ამ ინტელიგენციას, თავისი მიკროსამყარო აქვს „მიკროქალაქი“, რომლის აშენების, შექმნის უფლებაც ბაბუამ დიდი ბრძოლით მოიპოვა მოსკოვიდან, მიკროქალაქში სიმშვიდის გარანტი იყო მოსკოვი, მაგრამ თამაშის წესებსაც მოსკოვი აწესებდა. თავწახრის და დამცირებული მთხოვნელის როლმა ქართულ ინტელიგენციას მოუტანა შედეგი, მიკროქალაქი შეიქმნა, სადაც ისინი დანარჩენი ქვეყნისგან, საზოგადოებისგან შემოსაზღვრულად, დაცულად და პრივილეგირებულად შეძლებდნენ და ასეც ცხოვრობდნენ, და ეს „მიკროქალაქი“ სასაფლაოს გვერდით იყო. მთავარი მეზობლები არა ცოცხალი ადამიანები, არამედ სასაფლაოს მედრნი იყვნენ. არც ნინო ხარატიშვილი ინდობდა რომანში „ბრილკა, მერვე სიცოცხლე“ 70-იანი წლების საბჭოთა ინტელიგენციას „არც სისტემის სჯეროდათ და არც რამე იდეოლოგია ჰქონდათ, გარდა საკუთარი ჰედონიზმისა. თავდაპირველი აღშფოთების შემდეგ მიხვდნენ, რომ არცთუ ცუდი პოზიცია ერგოთ. და ამის გამოუყენებლობა დიდი შეცდომა იქნებოდა. კულტურით დაინტერესებულ, შემოქმედებით, მუსიკალურ, მოქეიფე, თუნდაც ცოტა ანარქიულ, კი ბატონო, ოღონდ სულ ოდნავ, ლამაზ და მჭერმეტყველ, ზარმაც და ტემპერამენტთან ხალხს მშვენივრად შეეძლო ასეთ პირობებში ცხოვრება“ (ხარატიშვილი, 2019: 469). ტერმინი „წითელი ინტელიგენცია“ ნინო ხარატიშვილთანაც აქტიურად გამოიყენება და მათი კონფორმიზმი შეუფუთავადაა გაბნეული ფრაზებში



„წითელმა ინტელიგენციამ, მოსკოვთან ხუმრობა არა ღირსო და ეროვნული მოძრაობის ლიდერები უკვე ღიად გააკრიტიკა, როგორც ფანატიკოსები (ხარატიშვილი, 2019: 726).

მაგრამ ერთმა ადამიანმა, თუ გლობალურმა პოლიტიკურმა პროცესებმა ყველაფერი შეცვალა და ეს ჩაკეტილ წრეში, საკუთარ წვენიში მოხარული არსებები აღმოჩნდნენ დიდი საფრთხის წინაშე, ისინი ხვდებოდნენ, რომ მათ „მიკროქალაქს“ მოსკოვიდან დაპირებული და გარანტირებული უსაფრთხოება, ხელშეუხებლობა ვეღარ ექნებოდათ, ისინი ან აუნდა შეგუებოდნენ და აყოლოდნენ, მოვლენებს, სიახლეებს, ან ის უნდა ექნათ, რაც საბოლოოდ ქნეს კიდევ. მოკროქალაქის დაწერილი და დაუწერიელი სიმშვიდის გარანტი რასაც ითხოვდა, თამაშის რა ნორმებსაც მოითხოვდა. ქალაქის მკვიდრებმა დაკვეთა შეასრულეს და მხოლოდ უმცროს თაობას აქვს იმის ფუფუნება ამტკიცეს „ეს ომი ჩემი არ იყო“ (ბულაძე, 2023: 320), რასაც მათი მშობლების თაობაზე ვერ ვიტყვით „ეს ბებიაჩემის ომი იყო“. 80-90-იანი წლების საბჭოთა ინტელიგენცია იმდენად შორს იდგა საკუთარი მოქალაქეებისა და რიგითი ადამიანებისგან, რომ მათი არსებობაც კი აღიზიანებდათ, ვერ უშვებდნენ, რატომ შეიძლება რეგიონიდან ჩამოსული, თუნდაც ეგზალტირებული პერსონა, მდგარიყო რუსთაველზე და რაიმე აზრი, მოსაზრება, პოზიცია ჰქონოდა და მით უფრო მათ ნებაზე რამე მომხდარიყო. ქვეყნის რეალური მმართველები და ამინდის შემქმნელები ისინი იყვნენ, შესაძლოა „თვითმფრინავის ბიჭების“ ბედზე მათი სახელების მიზმაც, მათი სიცოცხლისა და სიკვდილის განაჩენის საბოლოო გადაწყვეტაში თითქოს მათი სიტყვის ფასიც ან ამ სიტყვისთვის ფასის მიცემაც, სწორედ ამას ემსახურებოდა. დაიჯერეს, რომ რეალურად ისინი ქმნიდნენ დღის წესრიგს და სწორედ ისე იქნებოდა ყველაფერი, როგორც ისინი მოიფიქრებდნენ და ისურვებდნენ, შეიძლება ეს სურვილი რაღაც ფორმით მათ რეალურ სურვილს ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ადამიანების ბედის გადაწყვეტაში, მათ სიცოცხლის ბედის გადაწყვეტაში ინტელიგენციის სახელის, თუნდაც ფორმალური მიზმაც, სწორედ ამას ემსახურებოდა. მათ კომფორტის შეზღუდვაზე მცირედი მიწიშნებაც კი კმაროდა დავალების შესასრულებლად „ოდნავ შეაშინეს და მაშინვე დათმეს ყველა ზნეობრივი პრინციპი, მაგრამ ახლა რაღატომ გავაჟაკდნენ - ვინც კონფორმისტი იყო, აგრესიული და შეუბრალებელ ოპოზიციონერად იქცა. სინამდვილეში, ბანდიტად“ (ბულაძე, 2023: 324). მართული და გარანტიამიღებული მიკროქალაქის მკვიდრნი უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ ისინი ზეადამიანები იყვნენ, ისინი იყვნენ მთავარი და რასაც ისინი მოისურვებდნენ, სწორედ ის იყო სწორი და ჭეშმარიტი. თუნდაც, ეს მათი ნაფიქრი, რეალურად სხვაგან დაგეგმილი და გადაწყვეტილი ყოფილიყო, მთავარი იყო გარეგნული სახე არ დაჰკარგვოდათ და გადაწყვეტილებისმიღებთა სახელი შეენარჩუნებინათ. გარანტია კი ნამდვილად შესრულებული იყო, მოსკოვიდან მიღებული პირობა შესრულდა, 800 ტომარა ქვეყნიდან გავიდა (უშიშროების არქივი).

ამ ინტელიგენციას, როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, სათავეში ჩაუდგა კრიმინალი. ჯაბა იოსელიანის ფიგურა და „მხედრიონი“ ლამა ბულაძისა და ნინო ხარატიშვილის რომანებში საკმაოდ მკვეთრად არის წარმოჩენილი. სამივე ტექსტში „მხედრიონი“ ძალადობასთან, სიკვდილთან, კრიმინალთან და ნარკოტიკებთან ასოცირდება, განსხვავებული შეფასება და დამოკიდებულება არსად ჩანს. ნინო ხარატიშვილისთვის, როგორც მხოლოდ შედეგების მომსწრესა და სხვათა ნარატივებზე დაყრდნობილ ავტორთან, „მხედრიონის“ წევრები მოძალადეები არიან, ამ გასამხედროებულ ბანდას გულუბრყვილობით რამდენიმე რომანტიკოსი ჰყავს აფარებული და ისინიც სწრაფად ჩამოსცილდნენ, დანარჩენ შემთხვევაში კი „მხედრიონი“ კრებითი სახეა ყველა უბედურების, რაც ქვეყანაში დატრიალდა „შავი სამყაროს ყველაზე გავლენიანი კრიმინალი და დისიდენტი ჯაბა... წარმოუდგენლად გაძლიერდა - საკუთარი არმია ჰყავდა, რომანტიკოსების, კაცისმკვლელების, გზააბნეული და თავხეხილადებული ახალგაზრდებისგან შემდგარი პარამილიტარისტული დაჯგუფება - მთელი ერის „დაცვას“ იღებდნენ საკუთარ თავზე და სულ უფრო მეტ ახალგაზრდას იზიდავდნენ („უკმარი სინათლე“ 280). ქვეყნის „დაცვა“ კი ასე მიდიოდა „უდანაშაულო გამვლელებს აყაჩაღებდნენ, ხელყუმბარებს ისროდნენ, შენობებს ცეცხლს უკიდებდნენ (ხარატიშვილი, 2022: 312). ხარატიშვილის რომანში „უკმარი სინათლე“ აღწერილია და დიდი ადგილი ეთმობა ქურდული, შავი სამყაროს წარმომადგენლებს, მათი ცხოვრების წესსა და გარემომცხოვრების ბედს. ეს სამყარო ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან რაღაც დონეზე ხელშეუხებელი და თითქოს წახალისებულ იყო, როგორც სახელმწიფოსგან, ასევე, როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, მოსახლეობისგანაც, რასაც მწერლები და ე წ „წითელი ინტელიგენცია“ უწყობდა ხელს. შიშთან ერთად კრძალვითა და ფარული თაყვანისცემით იხსენიებდნენ ამ სოციალურ მეთაურებს სკოლის დირექტორები და პედაგოგებიც კი. 90-იანი წლებში ქურდული სამყაროს არნახული ძალაუფლებისა და უსამართლობის გამო მათ მიმართ დამოკიდებულება კიდევ უფრო დამთრგუნველად მორჩილი გახდა. თუმცა აღნიშნულ რომანში საინტერესო პასაჟია, ავტორი მიიჩნევს, რომ საბჭოთა პერიოდის ქურდული სამყაროსთვის არსებობდა რაღაც კანონები, მორალი, რომელიც არ უნდა დაერღვიათ, შესაძლოა ამ პასაჟით ის ისევ ამ სოციალურ მეთაურებს შექმნილი „რომანტიკულობის“ მსხვერპლია და ვერ გამოდის კლიშეებიდან. „კანონიერი ქურდების“ ღირსების კოდექსი კრძალავდა ნარკოტიკებით ვაჭრობასა და პროსტიტუციას, ბიზნესის ეს ორი განშტოება ბინძურ განშტოებად მიაჩნდათ“ (ხარატიშვილი, 2022: 485),

და როდესაც რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი, ცოტნე, უახლოვდება „მხედრიონს“ და მათთან ერთად სწორედ „კანონიერი ქურდების“ ამ „ღირსების კოდექსის“ საწინააღმდეგოდ, „მხედრიონთან“ ერთად იწყებს ნარკობიზნესს საქართველოში „-არ მითხრა, რომ მართლა იმ მხედრიონელ ღორებს მიადექი“ (ხარატიშვილი, 2022: 647). ეს პროცესიც, საქართველოს ნარკორეალიზაციის რუკაზე მონიშვნაც რუსეთში, როსტოვში დაიგეგმა და თაობების ამ გზით განადგურება დაიწყო. „მხედრიონის“ წევრების სახეა ნინო ხარატიშვილის რომანის „ბრილკა, მერვე სიცოცხლე“ ასევე საკვანძო მონაკვეთის ერთ-ერთი პერსონაჟი, ნიცა, სწორედ მხედრიონის წარმომადგენლის სექსუალური ძალადობის მსხვერპლია. „მხედრიონის“ თემაც მოვლენებიდან 30 წლის შემდეგ შემოდის ბელეტრისტიკაში, პირველი თაობის წარმომადგენლები გაურბიან ამ მოვლენას, გარდა თავად ჯაბა იოსელიანისა, რომელმაც საკუთარ რომან „სამი განზომილება“ მისი რომანტიზირება სცადა და მასთან შეწინააღმდეგება ვერც ერთმა მწერალმა ვერ გაბედა.

#### პროფესორი

მამების თაობას და მით უფრო ინტელიგენციას. ამ ფენის წარმომადგენელია ერთ-ერთი პერსონაჟი, ირაკლი, რომელშიც ადვილად დავინახავთ მერაბ მამარდაშვილს. ლამა ბუღაძე რომანში „საქართველოს სახელით“ საინტერესოდ ახასიათებს პერსონაჟს. ვინ არის ირაკლი? პროფესორი, რომელსაც საკუთარი წარმომავლობის სცხვენია, მთელი სტუდენტობა და ახალგაზრდობა მალავდა რომელი სოფლიდან იყო, მაქსიმალურად ნიღბავდა წარსულს და ყველაზე დიდ მიღწევად მიაჩნდა რესპუბლიკის დედაქალაქში და შემდეგ დიდ დედაქალაქში გადასვლა და მის მერე გერმანია და ისევ დიდი დედაქალაქი (მოსკოვი), საიდანაც რატომღაც „გამოაგდეს“ და ეს „გამოგდება“ ამ ბოლოს ყველაზე მეტად აწყობდა, რადგან დარჩენა უფრო არასახარბიელო იქნებოდა, ვიდრე სწორ დროს გამოგდება „პარდონ, მე ელიტა ვარ!“ (ბუღაძე, 2023: 328). ესაა პროფესორი ირაკლი, რომელსაც, მართალია, ბოლო პერიოდში აღარ ემარცხვინებოდა საკუთარი სოფლის ხსენება, მაგრამ ზუსტად იცოდა, რახანც ჭაობიდან ამოვიდა და „ბერეგზე“ გავიდა, სად უნდა მისულიყო და სად მდგარიყო, ის იდგა ოპერის ბაღში და ხელიც მოაწერა კრიმინალის გათავისუფლების მოთხოვნას „ის აუცილებლად უნდა დაენახათ ყვითელი კარვების მახლობლად (ოპერის ბაღში), სადაც ნორმალური ხალხი იკრიბებოდა? რისი დამტკიცება უნდოდა - რომ ისიც მათ გვერდით იყო?... აქ კულტურული ხალხი მაინც მიდი-მოდიოდა“ (ბუღაძე, 2023: 331). პროფესორ ირაკლის ოჯახური ცხოვრებაც არეული აქვს, აღიარებული და არ აღიარებული და შემდეგ ისევ ერთმანეთისთვის დამალული ცოლებით და პრეზიდენტის გულშემმატკივარი ქალიშვილით, რომელთან დაპირისპირების გამოც თავიდან უახლოვდება ყოფილ მეუღლეს „შვილი ზვიადმა წაართვა. არა მხოლოდ ქვეყანა და სიმშვიდე. ასე ამბობდა. ან ასე მოწონდა თქმა“ (ბუღაძე, 2023: 331). მისთვის ძნელად მისაღებია სიახლე და ყველა დეტალში პარალელს აკეთებს წარსულ საბჭოთა ნომენკლატურასთან, რომელიც ურჩევნია მისი უსახობისა და არაინდივიდუალობის გამო „რამდენად უფრო დახვეწილი იყო შეხვედრები ცეკას მდივებთან...“ (ბუღაძე, 2023: 350). პროფესორისთვის ძალიან მნიშვნელოვანია არსებულ ვითარებაში დაჩაგრულის და სხვერპლის როლი მოიგოს, ისევე როგორც დროულად და საჭირო დროს მოსკოვის ერთ-ერთი უნივერსიტეტიდან გამოგდებათ ამაცობდა, მისთვის სანუკვარ და საჭირო სოციუმში ხელისუფლებისგან ჩაგრულის როლი ზედმიწევნით სასარგებლოდ მიაჩნდა. ამ ფენას სურდა რაიმე ფორმით დაემკვიდრებინა ადგილი სამომავლო წყობაში, რადგან რუსეთისგან ფარულად თუ ახდილად ზურგამაგრებულები დარწმუნებული იყვნენ გამარჯვებაში და ადგილის მონიშვნა აქედანვე უნდა დაეწყოთ. სწრაფად აუღო ალღო გამოცდილმა პროფესორმა სიტუაციას და ის სავარაუდო ზურში შეფურთხება, მისთვის ამ ადგილის გარანტია იყო „როგორციქნა, მას შეაფურთხეს, ჭკვიან და ორიგინალურ ირაკლის, და რომ ეს უკვე მისი ბიოგრაფიის ნაწილი იყო“ (ბუღაძე, 2023: 385), „მომხდართ ადელვებულები პროფესორი საკუთარი ჩაგრულობით ტკბობას ცდილობდა, რადგან თუკი თავს გადამხდართ არ იაამაყებდა და განზოგადებულად, ზეპიროვნულ სიგიჟედ წარმოსახავდა ამ თავდასხმას, არანორმალურად დაითრგუნებოდა“ (ბუღაძე, 2023: 385). პროფესორი მაინც ფიქრობდა სიტუაციას გარიდებოდა და სადღაც სიმშვიდე ეპოვა, „სიმშვიდის კუნძული“, რომელსაც ისევ მოსკოვში ხედავდა, მოსკოვის მახლობლად აგარაკს სთავაზობდნენ დროებით თავსაფრად. მათ, „წითელ ინტელიგენციას“, ყველას, ეგულებოდა, სადღაც მოსკოვის სიახლოვეს ასეთი მშვიდი თავშესაფარი, სადაც ნებისმიერ დროს შეძლებდნენ გაქცევას და მიიღებდნენ დამსახურების გამო. სწორედ ეს პროფესორი ირაკლი, პრეზიდენტის წარმომადგენლებთან უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე წარმოთქვამს ცნობილ ფრაზას „ჭემმარტება სამშობლოზე მაღლა დგას... და თუ სამშობლოს ცდება, მე მასთან არა ვარ... ესაა და ეს. და ახლა ჩემი სამშობლო ცდება... დიახ...“ (ბუღაძე, 2023: 353). რაში ცდებოდა მისი აზრით სამშობლო, ზემოთ უკვე განვიხილეთ. პროფესორი ირაკლი, რომელიც მთელი ცხოვრება რაღაც როლს და ნიღბს ირგებდა, ყველასგან ყველაფერს მალავდა, მათ შორის საკუთარ წარმომავლობას, სანამ ეს ესირცხვილებოდა და შემეგ პირიქით ამით მანიპულირებდა, შეფურთხება, რომელიც თავზარდამცემი იქნებოდა, საჭირო დროს მხოლოდ სიამაყეს მატებდა, მუდამ გაწონასწორებული და განყენებული,

იუმორით, ზემოდან უყურებდა ყველას და ყველაფერს. უკიდურესი გაღიზიანების დროს კი, სახეს კარგავს და ხდება ნამდვილი, რასაც ყველას უმაღლავდა, ალბათ საკუთარ თავსაც, როდესაც ქალიშვილმა ხელისუფლებით და კონკრეტულად პრეზიდენტის მიმართ მისი გაღიზიანების მიზეზი ჰკითხა და იმის ვარაუდიც გამოთქვა, რატომ შეიძლება ასე სძულეოდა „გემინია, რამე არ ამოგიქექონ? შენ კაგებესთან გქონია რამე ურთიერთობა?“ არგუმენტის არარსებობს გამო ერთადერთი სიტყვა დაუბრუნა ქალიშვილს „შე ნაბიჭვარო“ (ბუღაძე, 2023: 390). ავტორი ალბათ ყველა ტრაგიკულად, პერსონაჟის გარკვეულწილად დამამცირებელ სიტუაციაში, აღწერს გარდაცვალებას, ის სმენადაქვეითებული დის სახლში, ტვალეტში გარდაიცვლება გულის შეტევით და მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ აღმოაჩენენ, როდესაც ამ ოთახის სარგებლობის საჭიროება დადგება.

განხილულმა მხატვრულმა ტექსტებმა მრავალი კუთხით და წახნაგით წარმოაჩინა, ემოციურად მისაწვდომი გახადა 90-იანების სამყარო, იმის მიუხედავად, რომ სამოქალაქო დაპირისპირება დღემდე არაარტიკულირებულ, ჩამოუყალიბებელ მოვლენად დარჩა, რომლის სახელწოდებაზეც კი არ არის კონსენსუსი საზოგადოებაში. თუმცა, მხატვრული ლიტერატურა ბიძგს აძლევს მოვლენათა მუდმივ გააზრებას, იდენტობის ტრანსფორმაციას, ახალი იდენტობ(ებ)ის ფორმირებას და შეფასებას.

### ბიბლიოგრაფია

ბუღაძე, ლ. (2023). *საქართველოს სახელით*. თბილისი: სულაკაურის გამომცემლობა.

იოსელიანი, ჯ. (2013) *სამი განზომილება*. თბილისი: სულაკაურის გამომცემლობა.

ტურაშვილი, დ. (2012). *იყო და არა იყო რა*. თბილისი: სულაკაურის გამომცემლობა.

ჩიქოვანი, ნ., კაკიტიელაშვილი, ქ., ჩხაიძე, ი., წერეთელი, ი., & ევაძე, ქ. (2022). *საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე*. თბილისი: სამშობლო.

ჩხეიძე, ო. (1994). *არტისტული გადატრიალება*. თბილისი: ლომისი.

ხარატიშვილი, ნ. (2019). *მერვე სიცოცხლე, ბრილკას*. თბილისი: ინტელექტი.

ხარატიშვილი, ნ. (2022). *უკმარი სინათლე*. თბილისი: ინტელექტი.

*Ana Imnadze*

*Gori State University*

## **THE 90S OF THE 20TH CENTURY ACCORDING TO THE NOVELS OF NINO KHARATISHVILI AND LASHA BUGADZE (HISTORICAL FACT AND LITERARY REFLECTION) RESUME**

The events taking place in Georgia in the 90s of the last century were more or less reflected in Georgian fiction without the so-called distance of time in Otar Chkheidze's novel "Artistic Revolution", Dato Turashvili's collection of short stories "It was and not what it was", in Jaba Ioselian's documentary novel "Three Dimensions". In parallel with the current processes, it can be confirmed that nothing more was created, the writers waited for time to pass, to reassess, they tried to look at the processes from afar and take into account their consequences, but even after 30 years, nothing much has changed, the main figures of that period try to avoid this topic as much as possible. Do not talk and do not reflect your attitude in your creativity. Several factors can be distinguished here. First, they are not interested in the events happening in the country, they try to distance themselves, avoid themselves and responsibility. Second, feelings of shame and guilt. Third - the desire to forget.

The discussed artistic texts - Lasha Bughadze's "In the Name of Georgia", Nino Kharatishvili's "Brilka, the Eighth Life" and "Failure Light" presented from many angles and perspectives, made the world of the 90s emotionally accessible, despite the fact that the civil conflict has remained an unarticulated, unformed event to this day. , whose name is not even a consensus in society. However, fiction encourages a continuous understanding of events, identity transformation, formation and evaluation of new identity(s).

**Key words:** The 90s, Intelligence, Time distance.

## გიორგი რუსის სახე შალვა დადიანის რომანში „უბედური რუსი“

**საკვანძო სიტყვები:** იური რუსი, თამარი, ათაბაგი.

**შესავალი:** შალვა დადიანის „უბედური რუსი“ შეიძლება ჩაითვალოს ერთადერთ ნაწარმოებად, რომელიც თამარ მეფის ეპოქას ასახავს. რომანის მთავარი პერსონაჟი იური ბოგოლიუბსკი ანუ უბედური რუსია, მაგრამ მასან მიმართებაში მწერალი მოგვითხრობს ჩვენი ქვეყნის რეალურ ისტორიულ სინამდვილესა და თამარ მეფის სამეფო კარის ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეებზე: გამრეკელის, მხარგრძელის, დადიანის, ახალციხელის და სხვა ისტორიულ-ლიტერატურულ გმირებზე. წარმოჩენილია მათი ადგილი სამეფო ხელისუფლებაში, დიფერენცირებულია მეფისა და ქვეყნის ერთგული და მოღალატე პერსონაჟები, მათი მიზნები და პოლიტიკურ-კარიერული მიმართულებები.

რომანში განსაკუთრებით მაღალმხატვრულად არის ასახული უბედური რუსის მხატვრული სახე, მისი უარყოფითი მხარეები. იგი თავისი უზნეობის, სადიზმისა და მკრეხელობის გამო პოლიტიკურად და პიროვნულად მიიმე და გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. თამართან დაწინდვის ჩაშლის შემდეგ მარიონეტად იქცა დადიანის, გუზანის და სხვათა ხელში. ფაქტობრივად უსუსური და ეულია რუსი. არ აქვს თავისი მიზანი, გაუცნობიერებელია პოლიტიკურ სიტუაციაში. აშკარა ჩანს, რომ იგი ტყეში გაზრდილი ველური მიდრეკილების მქონე ახალგაზრდაა. მხოლოდ კარგი გარეგნობა არაფერს ნიშნავს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მას არა აქვს სათანადო გონიერება და აღზრდა. ქრისტიანად თვლიდნენ მას თანამედროვენი, რადგან მამა ანდრია ქრისტიანი იყო, მაგრამ დედა ყივჩაღი იყო. დედას შვილის სარწმუნოებრივ და სულიერ აღზრდაში გადამწყვეტი ადგილი უკავია ოჯახში. ეს კი აშკარად აკლდა მამათმავალ უბედურ იური რუსს, რომლის სახე მწერალმა რეალურად დაგვიხატა ნაწარმოებში.

შალვა დადიანის რომანი, რა თქმა უნდა, უდავოდ იმსახურებს ღირსეულ ადგილს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

**შედეგები:** იური რუსისა და თამარის ქორწინება არ შედგა. სასიძოს უზნეობისა და უკეთურების გამო. რომანში ჩანს თამარის ქრისტიანული მოთმინება და მტკიცე ნებისყოფა, ამასთან იკვეთება პოლიტიკური კლიმატი. სამეფო კარის ფარული შიდა დაპირისპირება. დიდებულთა სწრაფვა ხელისუფლებისადმი, რამაც განაპირობა რუსის ჩამოყვანა საქართველოში. ეს ხელს აძლევდა სომეხ მევაჭრეებს მასშტაბების გაფართოებისათვის, ყივჩაღური წარმომავლობის წარჩინებულებს კი დედაით ყივჩაღი იურის გამეფება. მეფის ოპოზიციას ვარდან დადიანის მეთაურებით ძალაუფლების ხელში ჩაგდება ამოძრავებდათ. ისინი იმედოვნებდნენ რუსზე ზეგავლენის მოპოვებას და ქვეყნის მართვაში უფლებების გაფართოებას.

ნაწარმოებში ასახული პოლიტიკური ვითარება შეესატყვისება ბასილი ეზოსმოდვრის თამარის ისტორიას.

**მეთოდი:** ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია კვლევის ემპირიული ანალიზის, კომპარატივისტული, სინთეზისა და მიზეზ-შედეგობრივი მეთოდები.

**დისკუსია:** თამარის ეპოქას ქართველი ისტორიკოსები და არა მარტო ქართველები, საქართველოს ეკონომიკურად, პოლიტიკურად და სამხედრო თვალსაზრისით მაღალგანვითარებულ სახელმწიფოდ თვლიდნენ. წინა აზიაში, აღმოსავლეთსა და დასავლეთში დიდი პატივისცემით იხსენიებდნენ მას, რაც ძირითადად თამარ მეფის თანმიმდევრული, ჰუმანური და სამართლიანი პოლიტიკით იყო განპირობებული. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია თამარის დიდი პაპის უძლეველი მეფისა და სტრატეგის დავით IV აღმაშენებლის ღვაწლი ჩვენი ქვეყნის სუპერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში. არის აზრი, რომ მისი შექმნილი სახელმწიფო სტრუქტურებისა და მაღალ საბრძოლო დონეზე გაწვრთნილი ჯარის წყალობით 100 წელი ინარჩუნებდა საქართველო სამხედრო-პოლიტიკურ პოტენციალს. რუსუდანის გამეფებამდე ანუ 1125-1225 წწ. სამწუხაროდ ამ ასწლეულზე სულ რამდენიმე მხატვრული ნაწარმოებია დაწერილი. მათ შორის მოიაზრება ქართველი კლასიკოსის, პოეტისა და დრამატურგის შალვა დადიანის რომანი „უბედური რუსი“, რომელიც მეთორმეტე საუკუნის სამ-ოთხ წელიწადს-185-1188 წწ. ასახავს. ამ დროს ხელისუფლებითა და ქონებით დაინტერესებულ გავლენიან ფეოდალთა ერთმა

ჯგუფმა თამარის სურვილის საწინააღმდეგოდ მოიყვანა ყივჩაღებში გაზრდილი და დედით ყივჩაღი, ვერაგულად მოკლული რუსი მთავრის ანდრია ბოგოლიუბსკის ვაჟი იური, რომელიც ქართულ წყაროებში იხსენიება გიორგი რუსის სახელით, რაც არასწორი და ხელოვნური ინტერპრეტაციაა (იური>გიორგი). რუსის საკუთარი სახელის ასეთი შეცვლა საფიქრებელია, რომ მისი მომხრეების აქტიურობით ყოფილიყო გამოწვეული, რათა სახელი გიორგი ხელს შეუწყობდა მის ტახტზე დამკვიდრებასა და ავტორიტეტის ამაღლებას.

რა თქმა უნდა, მეფის და მით უმეტეს მეფე ქალის ქორწინებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა როგორც სამეფო კარის, ისე მეფის ოჯახისა და ქვეყნისათვის. ამდენად, სახელმწიფოს ერთგული დიდებულები იზრუნებდნენ ღირსეული ხელმძღვანელისა და სარდლის კანდიდატურაზე, ხოლო კარიერისა და სარგებლის მაძიებელი ეცდებოდნენ ისეთი სასიძოს შერჩევას, რომელზეც ზეგავლენა ექნებოდათ და თავისი პირადი ინტერესებისთვის გამოიყენებდნენ მასთან სიახლოვეს.

მეფის თანამეცხედრე, ბუნებრივია, მეფესთან გათანაბრებული თუ არა, მის შემდეგ სამეფოში ყველაზე მაღალი პოლიტიკური და სახელმწიფო ფიგურაა. ეს იმ შემთხვევაში, როდესაც ის ნორმალური პიროვნება და ქვეყნის მართვის სკიბნეებში მცირედი გამოცდილების მქონე კაცი მაინც იქნებოდა, მაგრამ თამარის პირად ღირსებებს, აზროვნებას, განათლებასა და ავტორიტეტს იური არ შეეფერებოდა. ეს რომანშიც ნათლად ჩანს და „ქართლის ცხოვრებაშიც“. თამარის ღირსებებს ხაზგასმით აღნიშნავს ყივჩაღთა მეფეც, რომელიც იური რუსის ჩამოსაყვანად მასთან მოსალაპარაკებლად ჩასულ თბილისელ სომეხ სოვდაგარს ზანქარ ზორაბაბელს ეუბნება, რომ თამარის მეფედ კურთხევის დროს იყო საქართველოში: „თვით მე წაველ, მინდოდა საქართველო მენახა, ის ქვეყანა, სადაც ჩვენი ვაჟკაცები სისხლსა ღვრიან. ვნახე და დაბრუნება აღარ მინდოდა. ოოჰ, რა ქვეყანაა! იმიტომ არის, რომ ჩვენების უმეტესობა აღარ ბრუნდება. იქვე ბინავდება, ირთავს ცოლს. მამულს იძენს, ქართველდება... რას ამბობ, ჩვენ სადა ვცხოვრობთ, რა შედარებაა! მზიანი ქვეყანა, მდიდარი, ლამაზი, მართლა რომ სამოთხეა და აი, ამ სამოთხის საუკეთესო ანგელოზი თამარია“ (დადიანი, 1987: 13).

ამ სიტყვებში ნათლად ჩანს როგორც საქართველოს დიდება, სიმდიდრე და სილამაზე, ისე თამარის სიწმინდე და ანგელოზური ბუნება. ამასთან ფიქსირდება ყივჩაღთა საქართველოში ჩამოსახლების, ქართველებთან შერწყმისა და ასიმილაციის ისტორიული ფაქტი.

სომეხ სოვდაგართა წარმომადგენელი ზანქარ ზორაბაბელი განასახიერებს იმ ვაჭართა მაღალ წრეს, რომელიც პოლიტიკურ ალიანსშია ყივჩაღური წარმოშობის სამეფო კარზე აღზევებულ დიდებულებთან, რომელთა მიზანია იური რუსის ჩამოყვანა საქართველოში თამარის საქმროდ. მის უკან დგანან თბილისის ამირა აბულ-ასანი, ტაო-კლარჯეთის გამგებელი გუზანი, მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი და მეფის დარბაზის სხვა წევრები. რომანში ასახული ეს ფაქტები დასტურდება „ქართლის ცხოვრებაში“.

რუსის თამარის ქმრად მოყვანის მომხრეებს თავისი მიზნები აქვთ. ყივჩაღი დიდებულები თავისთავად იურის შინაურები და ახლობლები არიან და რა თქმა უნდა, ხელს აძლევენ მისი ქორწინება თამართან. ვარდან დადიანი ცდილობს უფრო მეტი უფლებების მოპოვებას, მამულების მომატებასა და პირველობას ქვეყანაში, ხოლო ვაჭრებს რუსის საქართველოში გამეფებით საშუალება ექნებათ, რუსეთის ვრცელ ტერიტორიაზე აწარმოონ ყიდვა-გაყიდვა და მეტი მოიგონ.

სამეფო კარზე საღი აზრისა და რეალური ხედვის შემთხვევაში, იური რუსის კრიტიკული შეფასებისა და მისი ქონებრივი, უფლებრივი და პიროვნული მონაცემების მიხედვით, ის არ იმსახურებდა თამარ მეფის ქმრობას, არ იყო თამარის შესაფერისი კაცი და არ იყო ჩვენი უწმინდესი მეფის ღირსი. იურის, ფაქტობრივად, არაფერი გააჩნდა: მას არც მამის, ანდრია ბოგოლიუბსკის მთავრის სტატუსი აქვს, არც ქონება, არც ყმები ჰყავს, არც მეომრები და არც მეფისთვის აუცილებელი ცოდნა-განათლება მიუღია. მას ზრდიან ყივჩაღებში, დედის ძმის სამფლობელოში, როგორც ობოლ და უპატრონო ბიჭს და არა როგორც მთავარს. ის იზრდება ტყიურ ცხოვრებაში, ნადირობასა და ლოთობაში. ამდენად, მას არანაირი გონიერება და გამოცდილება არა აქვს, რომ თუნდაც რამდენიმე კაცს უხელმძღვანელოს, რომელიმე სოფლის ხელმძღვანელობაზეც ზედმეტია ლაპარაკი, ხოლო სამეფოს მართვაზე წამიერი გაფიქრებაც კი შეუძლებელია. არც ერთ ჭკუათმყოფელსა და გონიერ ადამიანს აზრად არ მოუვიდოდა, რომ თამარის ქმრად მდაბიო და ტყიური კაცი მოეყვანათ, ამასთან არა იურის და მისნაირების თხოვნით, არამედ ქართული სამეფო კარის დიდებულთა ერთი ნაწილის თხოვნით. გარდაიცვალა თუ არა გიორგი III, მაშინვე დაიწყო შიდა დაპირისპირება დიდებულთა შორის, რაც თამარის საქმროდ შერჩევის საკითხის ირგვლივ შექმნილ აზრთა სხვადასხვაობაში გამოვლინდა. თუ ქვეყნის მესვეურთა ნაწილს რუსი უნდოდა სასიძოდ, მეორე ნაწილს დავით სოსლანი მიაჩნდათ თამარისათვის შესაფერისი კაცად, მაგრამ სოსლანის კანდიდატურა რუსის გამეფების გეგმის ჩაშლის შემდეგ დადგა. ამ ეტაპზე ჯერ იური რუსის საკითხი იდგა დღის წესრიგში, რომლის მომხრეებს კარგად აქვთ გათვლილი, რომ რუსი, რომელიც თუ შინაარსით

არა, ვიზუალურად მაინც ქრისტიანად გაიაზრებოდა, საპატრიარქო და მართლმადიდებელი ქართველი მამები იურის აირჩევდნენ და აღმოსავლეთის მაჰმადიან უფლისწულებს მხარს არ დაუჭერდნენ.

რომანში იური რუსი გარეგნულად სიმპათიურ ყმაწვილად არის გამოყვანილი. ტანადი, თვალადი ახალგაზრდა. ამის იმედი აქვს ზანქარ ზორაბაბელს. მისი აზრით: „ქართველებს თვალში აქვთ ჭკუა! შეხედავენ ვაჟკაცია, იამებათ. ვაჟკაცობას ძალიან აფასებენ“ (დადიანი, 1987: 15). ნაწარმოებისა და „ქართლის ცხოვრების“ მიხედვითაც, იური რუსი და თამარ მეფე იწინდებიან. ეს ნიშნობა იყო და არა ქორწილი. ნიშნობა კი ძველ საქართველოში სამი წელი შეიძლება გაგრძელებულიყო. ეს ტრადიცია სამეფო კარისა და ქვეყნის ერთგული დარბაზის წევრებისათვის სასურველი იყო, რადგან გადამთიელი სასიძოს გაცნობა აუცილებელი და სავალდებულო იყო, როგორც თამარისთვის, ისე სამეფო კარისთვის. შეუძლებელია სამ წელიწადში არ გამოვლინდეს ადამიანის ხასიათი, ზნეობა, ქცევები, ღირსება და უღირსობა, რაც მალევე გამოჩნდა და ყველამ დაინახა და დარწმუნდა, რომ იური რუსი ლოთი, ავზნიანი, გარყვნილი, მელოდარი, არანორმალური, სადისტი და მანიაკი იყო. ამას კი ვერც ერთი მაღალი რანგის დიდებული ვერ მოითმენდა, ვისაც კი ოდნავი პოლიტიკური სინდისი, მართლმადიდებლური ღირსება და ზნეობა ჰქონდა.

ამდენად, გარდაუვალი გახდა დაწინდვის ჩაშლა და გაუქმება. ქართული სამეფო კარი, მაღალი კულტურისა და წესრიგის დიდებულები რუსის ქცევას ვერ შეეგუებოდნენ, ეს შეუძლებელიც იყო. მით უმეტეს ეკლესიური და ანგელოზური ბუნების თამარი ასეთ პიროვნებას არა თუ არ მიიღებდა, არამედ გაამეფებდა სამეფოდანაც. მეფე დიდხანს ითმენდა რუსის უკეთურებასა და უზნეობას, მაგრამ ყველაფერს თავისი ზღვარი აქვს, ყველაფერი საგულდაგულოდ იზომება მეფის სასახლეში, თამარს ძლიერი და აქტიური სახელმწიფო სტრუქტურები ჰქონდა, რომლებიც ობიექტურად და ოპერატიულად აფიქსირებდნენ ყველა ფაქტს, რაც სამეფო კარის წესებიდან გადახვევა და ნორმის დარღვევა იყო. როგორც მემატიაწე წერს: „ორისა და ნახევრის წელთა, ვითარცა გრდემლი მოითმენდა უკეთურებათა რუსისათა და რცხვენოდა ყოველთა თამარისგან“ (ქართლის ცხოვრება, 1959: 120). რუსი სადისტიც აღმოჩნდა, უაზროდ სცემდა და ტანჯავდა კეთილშობილ კაცებსაც „ასოთა ამოგდებით“.

კათალიკოსმა დაწინდვა გააუქმა ოფიციალურად, რაც იურის მომხრეთა მარცხი იყო. ამასთანავე, თამარმა ბრძნული და გაბედული სიტყვა თქვა იურისთან დაწინდვის გაუქმების თაობაზე: „მე არ მიძლავს აჩრდილისა მრუდისა ხისგასასა გამართვად და უბრალოდ განვიყრი მტვერთაცა, რომელი აღმეკრა შენ მიერ“. ხელიდან ბეჭედი მოიხსნა და და კათალიკოსის წინაშე პატარა მაგიდაზე დასდვა“ (დადიანი, 1987: 277). ზქარია მხარგრძელმა კი რუსის ხმალი თავის მუხლზე გადაამტვრია.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორს მნიშვნელოვანი ფრაზა უწერია ამის თაობაზე: „ვინა თუ ვისილა მოსაყდრე საყდარსა დაჯდა დავითიანსა“ (ქართლის ცხოვრება, 1959: 50). უცნაური და დაუჯერებელია მართლაც ფარნავაზიან-გორგასლიან-დავითიანის ტახტზე ვიღაც გადამთიელის, უცხო ერის დევნილი და უთვისტომო კაცის თამარის ქმრად ანუ მეფედ დასმა.

მემატიაწის ცნობით რუსი გაამეფეს „რუსუდან დედოფალმა(თამარის მამიდამ ვ.ი.) და ყოველთა მთავართა“ (ქართლის ცხოვრება, 1959: 101). და თამარის ქორწინების საკითხი კვლავ დადგა დღის წესრიგში, როგორც ჩანს, რუსუდან დედოფალმა იმძლავრა ამ საკითხში, რომ ოსთა უფლისწული დავით სოსლანი მოიყვანეს თამარის ქმრად. დავითი მამით ბაგრატიონთა შთამომავალი იყო, მეხუთე თაობა, რუსუდანის გაზრდილი. ის ოსეთში იყო გათხოვილი და ქვრივი სამშობლოში დაბრუნებული თამარს ზრდიდა. აქ მართლაც აირეკლება „ვეფხისტყაოსნის“ ეპიზოდი, რომელიც დავარის ცხოვრებას ეხება. დავარი გათხოვილი იყო ქაჯეთში და დაქვრივების შემდეგ უკან დაბრუნებული ზრდიდა ნესტანს. დავარისა და რუსუდანის პერსონაჟები გვანან ერთმანეთს.

დავით სოსლანისა და თამარის ქორწილი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე სწრაფად უნდა შემდგარიყო, რადგან სამეფო კარზე ჰქონდათ ინფორმაცია იური რუსის დაბრუნებისა და ტახტის დაკავების საფრთხის შესახებ. ხალხური ლექსი გადმოგვცემს: „დიდუბეში იქორწილა, სადაც რომ საყდარი არი, ასი სული ცხვარი დაკლა და ორასი ნიშა ხარი“.

ეს სტრიქონები ჰიპერბოლურია თუ რეალური, ფაქტია, რომ დიდი ქორწილი გადაიხადა თამარმა, სადაც ალბათ, აღმოსავლეთ-დასავლეთის უცხო ქვეყნის სტუმრებიც იყვნენ მოწვეულნი.

იური რუსი თავისი სურვილით არც საქართველოში ჩამოვიდოდა და არც თამარის ქმრობას იფიქრებდა. ასევე ბიზანტიაში გამეფებული რუსი უკან არ დაბრუნდებოდა, რომ არა ქვეყნის და ერის მოღალატე სამეფო კარის წევრები. ამ შემთხვევაში ვარდან დადიანი, აბულ-ასანი, გუზანი და სხვა მაღალი თანამდებობის პირები. მიუხედავად იმისა, რომ თამარმა იური პატივით გააცილებინა ბიზანტიაში, დადიანისა და აბულ-ასანის რჩევით, მაინც მობრუნდა საქართველოში ტახტის დაუფლებისათვის. მას არ ჰქონდა სხვა გამოსავალი, მისი სიცოცხლე მის მრჩველთა ხელში იყო, ხოლო დამოუკიდებლად მას არ შეეძლო რაიმე ემოქმედა, ფაქტობრივად ის მარტო იყო. არც ჯარი ჰყავდა, არც ქონება ჰქონდა. წინააღმდეგობის შემთხვევაში დადიანი არ აპატიებდა რუსს გემის ჩაშლას. მას ძალაც ჰქონდა,

ავტორიტეტიც და ჯარის შეკრებაც შეეძლო. ცხადია მსახურთუხუცესი დადიანი თავის ძალაუფლებაზე ზრუნავდა რუსის გამეფებისთვის რომ იბრძოდა და საკუთარ სიცოცხლეს რისკავდა.

ბასილი ეზოსმოდღვარი რუსის მომხრეებსა და მეფის ერთგულთა შორის ამ ბრძოლას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს: „ამას ჟამსა მცირედ რამე აღიდრეს იმერელ-სუანნი მსგავსად ჩვეულებისა ურჯულობისა და რუსი მოიყვანეს, რეცა კულად განსამეფებლად, ეუბნებოდეს მესხთაცა მირთვასა, რომელი ვერ უძლეს, არამედ უფროსდა შეეიმტერნეს. გააქციეს და წავიდეს სირცხვილელნი“ (ბასილი ეზოსმოდღვარი, 1959: 267).

ამ ცნობის მიხედვით „იმერელნი“ ანუ დასავლეთის თავადების ნაწილი სვანების მონაწილეობით ვარდანის მოწოდებით გამოდიან საბრძოლველად. იმერელი იმ ეპოქის გააზრებით მთლიან დასავლეთს ანუ ლიხს იქეთა მხარეს ნიშნავდა. სავარაუდოდ დადიანის ხელქვეითები და მისი მეომრები იქიდან უნდა ყოფილიყვნენ, რომლებმაც მესხების ჩაბმაც სცადეს, მაგრამ მესხებმა ისინი მტრულად მიიღეს და განდევნეს მესხეთიდან.

ბასილი ეზოსმოდღვრისგან განსხვავებით „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი დიდ ადგილს უთმობს იური რუსის მომხრე მეფისგან განდგომილთა ბრძოლას სამეფო ჯარის წინააღმდეგ. ამ ცნობის მიხედვით ძირითადი ძალა მოღალატეთა ჯარში დასავლეთ საქართველოდან იყო. სვანეთი, აფხაზეთი, გურია, საეგრო, სამოქალაქო, რაჭა, თაკურეი და არგვეთი, რომლებიც დადიანმა დააფიცა რუსის გამეფებაზე.

რუსის მომხრეების მიერ დისლოკაციის ადგილად კარნუ-ქალაქის არჩევა მოწმობს, რომ მათ მესხეთიდან უნდოდათ მანევრირება მეფის წინააღმდეგ საბრძოლველად, სადაც მათი მომხრე ყივჩაღი გუზანი იყო კურაპალატების მიწების მფლობელი. ბუნებრივია, ყივჩაღები იურის, როგორც ყივჩაღეთში გაზრდილ და ნახევრად ყივჩაღ კაცს, თავისიანად მიიჩნევდნენ, ალბათ, ამიტომაც ყივჩაღი წარჩინებულები აბულ-ასანი, გუზანი, ბოცო და მისი მიმდგომნი, ანუ მათ ქვეშევრდომობაში მყოფნი უყოყმანოდ დადგნენ რუსის მხარეს. იურის გამეფების შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფოს დიდი საფრთხე შეექმნებოდა ყივჩაღთა მხრიდან, რომელთაც ძალიან დიდი ტერიტორია ეკავათ. მათი სამფლობელო იყო ყირიმი, ჩრდილო კავკასია, პოლოცკი, ვოლგის ქვედა წელი, შუა აზია, ბურიატებისა და იაკუტების ნაწილი. მათ ილაშქრეს უნგრეთსა და ბიზანტიაზე. ამხელა ურდოს გამკლავება მეტად რთული პრობლემა იყო ნებისმიერი ქვეყნისთვის. ამიტომაც სამეფო კარი დაირაზმა უბედური რუსისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამ პერიოდში ყივჩაღებს აღარა აქვთ დიდი ძალა და როგორც ჩანს, ამიტომაც ვერ დაეხმარნენ რუსს.

მეფეს უძლიერესი ჯარი ჰყავს, დიდებული მაღალი საბრძოლო გამოცდილების სარდლები. „და მიერ მესხნიცა, ერთგულად დარჩომილნი“ (ქართლის ცხოვრება, 1959: 51).

სარდლები: გამრეკელი, ზაქარია, ჭიაბერი, სურამელი და სხვა ბრძოლებში დაუმარცხებელი სარდლები. ასეთი ძლიერი ჯარის წინააღმდეგ რუსის მომხრეთა ბრძოლა განწირულია. ქართულ სპას წინ ვერ უდგება იმ პერიოდის ძლიერი ქვეყნების ჯარები და ცხადია დადიანის შეკრებილ შენაერთებს გამარჯვების იმედი არ უნდა ჰქონოდათ.

ვარდან დადიანმა ამაოდ გათვალა მესხეთისა და ჯავახეთის დაპყრობით დაეწყო ბრძოლა. ომი ძირითადად, ნიალის ველზე გაიმართა, სადაც გამრეკელის მეთაურობით მეფის ჯარმა სრულიად გაანადგურა განდგომილები. მწერალი ამ ომს მაღალმხატვრულად აღწერს და ობიექტურად წარმოაჩენს ვარდან დადიანის მარცხსა და მოღალატურ ბუნებას, მან დაჭრა ივანე ათაბაგი.

რუსის შეთქმულების დამარცხებას მეფის საბედისწერო გადაწყვეტილება მოჰყვა:

თამარმა სამუდამო სამემკვიდრეო საკუთრებაში დაუმტკიცა თავის მომხრეებს ციხე-სიმაგრეები, სათავადოები და სხვა მამულები, რამაც შემდეგ საუკუნეებში ხელი შეუწყო საქართველოს მთლიანობის დაშლასა და შიდა ფეოდალურ დაპირისპირებას.

მეფის და ქვეყნის ერთიანობის მოღალატე ვარდან დადიანი ეკლესიაში ბერად შედგა. ეს ფაქტიც მეფის ჰუმანურ ბუნებაზე მეტყველებს, ისევე როგორც კუზმას, იურის აღმზრდელის შეწყალება. ხოლო თავად იური რუსი კვლავ გააძევა ქვეყნიდან. რომანი მემატანეს ცნობას ემყარება ფინალში, რომლის მიხედვით „რუსი წავიდა, მასვე მისსა სვეუბედურსა გზასა გაემართა“. (ქართლის ცხოვრება, 1959: 54).

ხოლო ივანე მხარგრძელის აღზევება რუსთან ბრძოლი შემდეგ საბედისწერო აღმოჩნდება შემდეგში. ბუნებრივია, ვერავინ გაიზრებდა იმას, რომ თამარის სიკვდილის შემდეგ საქართველოს დამაქცეველი აღმოჩნდებოდა ივანე მხარგრძელი, სარგის მხარგრძელის შვილი და ზაქარიას ძმა ივანე ათაბაგი.

მწერალმა თავის თხზულებაში „გიორგი რუსი“ („უბედური რუსი“) რეალისტურად ასახა თამარის მეფობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი, კერძოდ იური რუსის თამარ მეფის სქმროდ ჩამოყვანა, მისი უიღბლო დაწინდვა საქართველოს მეფესთან, რომლის მოშლასაც მოჰყვა სამოქალაქო ომი. ავტორმა რეალისტურად მოგვითხრო მეფის ერთგულ და და მოღალატე დიდ

ფეოდალებზე, არ დაზოგა თავისი შორეული წინაპარი ვარდან დადიანი, ამხილა მისი მოღალატური ქმედება და წარმოაჩინა ქართული სამეფო ჯარის სიძლიერე, მხედართმთავართა ნიჭი და ბრძოლისუნარიანობა.

ნაწარმოებში მაღალმხატვრულ დონეზე აისახა თამარის მეფობის საინტერესო დრო, სივრცე, ისტორიული და მხატვრული პერსონაჟები. აღნიშნულ ლიტერატურულ ღირებულებათა და სხვა ისტორიული მნიშვნელობის გამო „უბედურმა რუსმა“ ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართულ პროზის ისტორიაში.

### **ბიბლიოგრაფია**

- ბასილი ეზოსმოდვარი. (1959). ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. წიგნში: *ქართლის ცხოვრება*. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“.
- დადიანი, შ. (1987). *უბედური რუსი*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.
- ნიკოლეიშვილი, ა. (2013). *ქართული ლიტერატურა*. ტ. III. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
- ქართლის ცხოვრება*. (1959). ისტორიანი და აზმანი და შარავანდედთანი. წიგნში: *ქართლის ცხოვრება*. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“.

**Vakhtang Inauri**

*Samtskhe-Javakheti State University*

## **THE FACE OF GEORGE THE RUS' IN THE NOVEL OF SHALVA DADIANI “UNFORTUNATE RUSSIAN” RESUME**

Shalva Dadiani's "The Unfortunate Russian" reflects the era of King Tamar. The main character is Yuri Bogolyubsky, the unfortunate Russian, but against this background, the real historical reality of our country, loyal and subordinate characters of the king, their political-career goals are shown.

**Key words:** Yuri the Rus, King Tamar, Atabag.

**მარიამ კობერიძე**

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **სიტყვათა რიგის საკითხი მეცხრამეტე საუკუნის ქართულ გრამატიკებში**

**საკვანძო სიტყვები:** სიტყვათა რიგი, ქართული გრამატიკა, მეცხრამეტე საუკუნე, ანტონ ბაგრატიონი, იოანე ქართველიშვილი

წინამდებარე სტატიაში განხილულია ანტონ ბაგრატიონის, გაიოზ რექტორის, იოანე ქართველიშვილის, სოლომონ დოდაშვილისა და პლატონ იოსელიანის თვალსაზრისი წინადადების წევრების წყობასთან დაკავშირებით.

იოანე ქართველიშვილის გრამატიკის ორი რედაქცია არსებობს: I-1809; II-1814. პირველი რედაქცია იყოფა სამ ნაწილად: მართლწერად, ლექსთწარმოებად და ლექსთხზულებად. მეორე რედაქციის მიხედვით „ღრამატიკა“ განიყოფების სამთა ზედა ნაწილთა: 1. ეტიმოლოგიასა ზედა ანუ ლექსთწარმოებასა, 2. სინტაქსთა ზედა ანუ ლექსთხზულებასა; 3. ორთოღრაფიასა ზედა ანუ



მართლწერასა“. რითაც იგი უფრო თანმიმდევრული გახდა - გრამატიკაში პირველ პლანზე განიხილა გრამატიკული საკითხები - ეტიმოლოგია (ანუ მორფოლოგია ) და სინტაქსი.

იოანე ქართველიშვილი განსაკუთრებით გთავაზობს წინადადების წევრთა (სიტყვის ნაწილთა) განლაგების გარკვეულ წესს. მისი აზრით, წინადადებას აქვს სამი შემადგენელი ნაწილი: ქვემდებარე, შემასმენელი და კავშირი. „ქვემდებარედ იწოდება თვით ნივთი იგი, რომლისთვისაცაა მოთხრობის რაიმე, ესე იგი უფალი ზმნისა“. შესმენილად იწოდება იგი, რაიცა დაიმტკიცების ანუ უკუითქმის ქვემდებარისათვის“. „კავშირად შემაერთებლად ანუ განწყოფელად მათდა იქმნების ზმნა ესე არს. მაგ.: „ხელმწიფე არს მამა ქვეშემდრდომთა თვისთა“. ამის შინა ხელმწიფე არს ქვემდებარე, მამა ქვეშევრდომთა თვისთა შესმენილი, ლექსი ესე „არს“ კავშირი (ქართველიშვილი, 1809: 132).

იოანე ქართველიშვილის გრამატიკაში აღნიშნულია, რომ წინადადება შეიძლება იყოს მარტივი და რთული, რაც დამოკიდებულია ქვემდებარესა და შესმენილზე. მარტივი წინადადება ერთი ქვემდებარისა და ერთი შესმენილისაგან შედგება, რთული -,ორთა ანუ მრავალთა ქვემდებარეთა და შესმენილთაგან შეერთებულთა ვითარითამე კავშირთა. მაგ.: „განცხრომა და უქმება მოაძღურებენ ხორცსა და სულსა და ჰყოფენ კაცსა არარაისადმი ღონის მექონ“ (ქართველიშვილი, 1809: 133).

წინადადებათა შეერთებისაგან მიიღება პერიოდი. პერიოდისათვის დამახასიათებელია ის, რომ „წარმოსდგების მათგან მთელი განსჯა“. პერიოდი შეიძლება იყოს ერთწევროვანი, ანუ ერთი წინადადებისაგან შემდგარი, „უკეთუ შეადგენს იგი მრთელსა და სრულსა სიტყვასა გავრცელებულსა შესაფერთა ლექსთა მიერ და განდიდებულსა ვითარითამე გარემოებათა მიერ“ (ქართველიშვილი, 1809: 134).

ამ პერიოდის პირველი წინადადება მთავარია, ხოლო მეორე-დამეტებულია; თუმცა მთავარი წინადადება თავშია, მისის ადგილი შეიძლება ბოლოშიც იყოსო, -შენიშნავს ავტორი. „დამეტებულს“ გარდა ავტორი ახსენებს შემოტანილ ან „შემოსხმულ“ წინადადებებს. ამ სახელწოდებაში იგულისხმება „ყოველი იგი, რომელნიც მოკლედ შემოხმულ იქმნებიან ვითარსამე სიტყვასა შინა ანუ პერიოდსა.

ალ. ფოცხიშვილის მოსაზრებით, იოანე ქართველიშვილის „შემოტანილი“ თუ „შემოსხმული“ წინადადება დღევანდელი ჩართული წინადადების ფარდი ჩანს (ფოცხიშვილი, 1979: 308) .

ავტორის აზრით, პერიოდშიც და წინადადებაშიც წინადადების წევრთა (სიტყვის ნაწილთა) განლაგების შემდეგი წესის დაცვა აუცილებელია: პირველ ადგილზე უნდა იყოს ქვემდებარე ანუ უფალი თავისი დამხმარე სიტყვებით, შემდეგ უნდა იყოს ზმნა (ზმნიზედებით და სხვა სიტყვებით), მის შემდეგ უნდა მოდიოდეს შესმენილი ანუ ძიება ზმნისა მათზე დამოკიდებული სიტყვებით.

თუ წინადადება კითხვითია, ან ზმნიზედით იწყება, მაშინ ქვემდებარე მოსდევს ზმნას, ასევე ქვემდებარის წინ დაისმის ზმნა ბრძანებითის სქესისა. „ამჟამაა, რომ ყველაფერი ეს განსხვავებულია იმისაგან რაც მანამდე გვქონდა გრამატიკაში და ისიც ფაქტია, რომ ამ მოსაზრებებში უნდა ვეძიოთ დღევანდელი რთული წინადადების სინტაქსის ფესვები, ამაზე მიუთითებენ ტერმინებიც „მთავარი“ და „დამეტებული“ (ფოცხიშვილი, 1979: 308).

როგორ დგას ეს საკითხი ანტონ კათალიკოსის, გაიოზ რექტორისა და იოანე ბატონიშვილების გრამატიკაში, რა გადმოიღო მათგან იოანე ქართველიშვილმა?

ანტონი მსჯელობს იმის შესახებ, თუ როგორი თანამიმდევრობითა და ურთიერთშეწყობით უნდა „განიკარგონ“ (განაწილდნენ) წინადადებაში მისი წევრები. მოცემული თანამიმდევრობა ასეა:

სახელი (→ზედშესრული მისი→ძიება ზედშესრულისა→

თანდებულითურთ→ძიება თანდებულისა→ძიება თანდებულისა→ზედშესრული მისი→ზმნიზედა) → ზმნა (→ძიება ზმნისა თანდებულითურთ→ზედშესრული ძიებისა).

ანტონმა იცის, რომ ეს წესი ყოველთვის არ გამოგვადგება, რადგან ყოველი წინადადება მასში გამოთქმული აზრის მიხედვით მოითხოვს წევრების რაოდენობას და ურთიერთშეწყობაც იმაზე იქნება დამოკიდებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არსებობს რაღაც აუცილებელი ნორმა, რომელიც საჭიროა წინადადების შესადგენადო. ეს აუცილებელი ნორმაა წინადადების შემდეგი წევრების არსებობა: 1. სახელი ზმნისა, 2. ზმნა, 3. საძიებო ზმნისა (ორივე). დანარჩენები შეიძლება საჭირო იყოს, შეიძლება-არაო.

ალექსანდრე ფოცხიშვილის მოსაზრებით, შესაძლებელია ანტონ კათალიკოსის ეს შეხედულება შეიძლება გავუთანასწოროთ თანამედროვე ქართულ სინტაქსში გამოთქმულ დებულებას წინადადების მთავარ წევრთა შესახებ, რომლებსაც მიჩნეულია ქვემდებარე, შემასმენელი და პირმომართი დამატებები (ფოცხიშვილი, 1979: 148).

გაიოზ რექტორს სინტაქსის საკმედ მიაჩნია ჩვეულებრივი სასაუბრო ენის ლექსთა თანხმობის გადმოცემა, უკანონო თანხმობის კი გასწორება, რათა „შესამეცნებლად მოიყვანნეს ძნელნი იგი ხვანჯნი“. „მარტივი თანხმობის“ გადმოცემას ეძღვნება ექვსი თავი, ხოლო „ხელოვნებითისა“ და „უხესიტყვაობითისა“ მხოლოდ ორი თავი, რაც თავისთავად მეტყველებს იმაზე, თუ რა მიაჩნია ავტორს ძირითადად. მარტივი თანხმობა მოიცავს იმავე ოთხ ნაირსახეობას, რაც ანტონთან გვქონდა: 1. ზმნისა

სახელისა თანა; 2. სახელისა სახელისა თანა; 3. სხვა ნაწილთა სიტყვისათა სახელისათა; 4. კითხვა-მოგების თანა (რექტორი, 1970: 120). ელენე ნიკოლეიშვილი შენიშნავს, რომ „სიტყვათა რიგის შეცვლა, რაიმეს დამატება ან დაკლება გაიოზს საზოგადო წესის დარღვევად მიაჩნია და ამიტომაც უწოდებს მას „ხელოვნების აღნაქუსსო“ (ნიკოლეიშვილი, 1970: 183).

იოანე ქართველიშვილის გრამატიკაში წინადადების წევრთა (სიტყვის ნაწილთა) განლაგების საკითხი ჩამოყალიბებული სახითაა წარმოდგენილი. ანტონისა და გაიოზის გრამატიკის ძირითადი მოსაზრებები გაგრძელებას წარმოადგენს მასთან განხილული ზოგი მოვლენა. შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული სიახლეც შეიტანა ამ თვალსაზრისით ქართული გრამატიკული აზრის განვითარების საქმეში (კობერიძე, 2017: 452).

გაიოზ რექტორი: თუ ერთი ზმნა გამოყენებული „ერთწევროვან პერიოდად“ იწოდება: „სიყვარული მოყვასისა შესძინებს კეთილსა“:

„ორწევროვანი“: ორი და მეტი აზრია მოცემული. „მოკიცხარი გლახაკისა განარისხებს შემოქმედსა მისა, ხოლო მოხარული წარწყმედისათვის არა უბრალო იყოს“.

სამწევროვანი: „ამისათვის დაიხსნა ჰსჯული და არა წარმოებს სრულებით მჰსჯავრი, რამეთუ უსჯულო აჭირვებს მართალსა“ (რექტორი, 1970: 145).

საგანგებოდ უნდა გავუსვათ ხაზი სოლომონ დოდაშვილის გრამატიკულ ნააზრევს. კვლევის შედეგად დადგინდა, სოლომონ დოდაშვილმა თავისი შრომის დაწერისას ძირითად წყაროდ აიღო იოანე ქართველიშვილის გრამატიკა, რომლის ზოგ პარაგრაფს იგი უცვლელად მისდევს, ან იმეორებს იმავე აზრს, ოღონდ უფრო შემოკლებული რედაქციით. შემოკლებაც ძირითადად აზრის უკეთ გაგებას ემსახურება. იოანე ქართველიშვილის მსგავსად სოლომონ დოდაშვილი განიხილავს: 1. მართლწერა; 2. კანონიერის ხმარებისათვის სტრიქონთა შინათა ნიშანთა საწერელთა შინა; 4. ხმარებისათვის სტრიქონთა ზენაშინათა.

იოანე ქართველიშვილისა და სოლომონ დოდაშვილის გრამატიკები ზოგადად ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ კონკრეტული საკითხის გაშუქებისაგან ისინი მაინც განსხვავდებიან. ამ თვალსაზრისით საინტერესო მასალას იძლევა „პერიოდთა შესახებ“.

სოლომონ დოდაშვილის აზრით, წინადადებას აქვს სამი ნაწილი: ქვემდებარე, შემასმენელი და კავშირი. „წინადადება განსჯისადმი ქვემდებარისა და შესმენილისა განიყოფების მარტივად და რთულად“. მარტივი წინადადება შედგება ერთი ქვემდებარისა და შესმენილისაგან, რთული- „მრავალი ქვემდებარისა და შესმენილისაგან“. რთულში შემავალ მარტივ წინადადებებში ერთი იქნება „უმათავრესი, მეორე ზედსართავითი ანუ დამეტებული“ (დოდაშვილი, 1830: 76-78).

მთავარი და დამოკიდებული წინადადებების განსაზღვრაც დოდაშვილთან ტრადიციულია, რაც იოანესთან არა გვაქვს. იოანე ქართველიშვილი მარტივ და რთულ წინადადებებს მხოლოდ პერიოდის შიგნით განიხილავდა. ის ეხებოდა აგრეთვე „შემოსხმულ“ წინადადებას, რაც დოდაშვილთან არა გვაქვს.

დოდაშვილი იძლევა ყველა პერიოდის იმ სახეს, რომელიც რუსული გრამატიკული ლიტერატურის მსგავსად, დამოკიდებული წინადადებებისა და მათი შემაერთებელი კავშირების წყალობით დგინდებოდა (ფოცხიშვილი, 1979: 327).

პლატონ იოსელიანის გრამატიკა შედარებით განსხვავებულია. აქ ერთი სიტყვითაც არაა ნახსენები პერიოდები, რომლებიც ასე რელიეფურად იყო განხილული იოანე ქართველიშვილისა და სოლომონ დოდაშვილის გრამატიკებში.

პლატონ იოსელიანი გრამატიკის პირველ თავში ლაპარაკობს სჯაზე, წინადადებაზე, მის წევრებზე („ქვემდებარე“, „შემასმენელი“, „კავშირი“) წინადადების სახეებზე („მარტივსა“ და „რთულზე“) და წინადადების წევრთა ურთიერთობაზე. შემდეგ ლაპარაკია ბრუნვათა გამოცნობაზე კითხვების დახმარებით და მას მოჰყვება ჩვენთვის უკვე ცნობილი, სიტყვის ნაწილთა ურთიერთშეწყობის (შეთხზვის) წესები: სახელის შეწყობა სახელთან, სახელისა ზედსართავთან და რიცხვითთან; ნაცვალსახელის შეთხზვა სახელთან; ზმნისა სახელთან; მიმღეობასთან; ზმნიზედასთან; თანდებულთან; კავშირისა და შორისდებულის შეთხზვა და სხვა. აქ, რატომღაც ერთი სიტყვაც არ არის ნახსენები სიტყვათა რიგის შესახებ (იოსელიანი, 1840: 8-13).

ამრიგად, მეცხრამეტე საუკუნის ქართულ გრამატიკებში არსებობს მიდგომა, რომ წინადადების წევრები გარკვეული თანამიმდევრობით უნდა იყვნენ წინადადებაში განლაგებული. ანტონ ბაგრატიონი მსჯელობს წინადადებაში წინადადების წევრების განლაგების თანამიმდევრობისა და ურთიერთშეწყობის წესებზე. გამოჰყოფს ასეთ თანამიმდევრობას: სახელი - თანდებული - ზმნიზედა-ზმნა. აქვე უთითებს იმასაც, რომ ეს წესი ყოველთვის არ გამოგვადგება, რადგან ყოველი წინადადება მასში გამოთქმული აზრის მიხედვით მოითხოვს წევრების რაოდენობას და ურთიერთშეწყობაც იმაზე იქნება დამოკიდებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არსებობს რაღაც აუცილებელი ნორმა, რომელიც საჭიროა

წინადადების შესადგენად. ეს აუცილებელი ნორმაა წინადადების შემდეგი წევრების არსებობა: სახელი - თანდებული - ზმნიზედა-ზმნა.

იოანე ქართველიშვილი გთავაზობს წინადადების წევრთა განლაგების გარკვეულ წესს. წინადადებას აქვს სამი შემადგენელი ნაწილი: ქვემდებარე, შემასმენელი და კავშირი.

გაიოზ რექტორი, სოლომონ დოდაშვილი და პლატონ იოსელიანი მარტივ და რთულ წინადადებას შორის ერთ-ერთ განმასხვავებლად სიტყვათა წყობასაც მიიჩნებენ.

თანამედროვე ქართული ენის გრამატიკებში სიტყვათა რიგი განხილულია და აღნიშნულია, რომ წინადადების წევრთა წყობა ბუნებრივია, მაგრამ სალიტერატურო ენის ნორმების დაცვის აუცილებლობა მაინც დგას.

### **ბიბლიოგრაფია**

დოდაშვილი, ს. (1830). *ქართული ღრამმატიკა*. ტფილისი.

იოსელიანი, პ. (1840). *პირველ-დაწყებითი კანონი ქართულისა ღრამმატიკისა*. ტფილისი.

კობერიძე, მ. (2017). წინადადების განლაგების საკითხი იოანე ქართველიშვილის ქართულ გრამატიკაში.

*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მეცხრე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები*. გორი.

ნიკოლეიშვილი, ე. (1970). *გაიოზ რექტორი და მისი ქართული გრამატიკა*. *გაიოზ რექტორი. ქართული ღრამმატიკა*. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ელენე ნიკოლაიშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.

რექტორი, გ. (1970). *ქართული ღრამმატიკა*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ფოცხიშვილი, ალ. (1979). *ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან*. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.

ქართველიშვილი, ი. (1809). *ქართული ღრამმატიკა*. ტფილისი.

*Mariam Koberidze*

*Gori State University*

## **THE ISSUE OF WORD ORDER IN GEORGIAN GRAMMARS OF THE NINETEENTH CENTURY RESUME**

The present article discusses the issue of word order in Georgian grammars of the nineteenth century. From this point of view, the grammars of Anton Bagrationi, Gaios Rector, Ioane Kartvelishvili, Solomon Dodashvili and Platon Yoseliani are analyzed and their relationship with the grammars of the modern Georgian language.

Anton Bagrationi discusses the rules of the order and arrangement of the members of the sentence in the sentence. separates such a sequence: noun - conjunction - adverb - verb. He also points out here that this rule will not always be useful to us, because each sentence requires the number of members according to the opinion expressed in it, and the mutual arrangement will depend on it, but, nevertheless, there is some necessary norm that is needed to make a sentence. It is a necessary norm to have the following members of the sentence: noun - conjunction - adverb - verb.

Ioane Kartvelishvili offers you a certain rule for arranging the members of the proposal. A sentence has three constituent parts: a subject, a subject, and a conjunction.

Gaios Rector, Solomon Dodashvili and Platon Ioseliani consider the order of words to be one of the differences between a simple and a complex sentence.

In the grammars of the modern Georgian language, the order of words is discussed and it is noted that the order of members in a Georgian sentence is relatively free, but it is still not absolutely free: often, all possible options for the arrangement of words presented in one or another sentence are not of the same value. Some are natural, usually, widely used, some are artificial, violent or less natural, or even completely unacceptable.

**Keywords:** word order, Georgian grammar, nineteenth century, Anton Bagratioane, Ioane Kartvelishvili

სალიტერატურო ცხოვრების ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდის შესახებ ცხინვალში  
(XX საუკუნის შუა წლები)

**საკვანძო სიტყვები:** ცხინვალი, კულტურული ცხოვრება, ლიტერატურა, ქართველ მწერალთა დელეგაცია, ოსი მწერლები, გალაკტიონი, ტიცვიან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, თემირბოლათ მამსუროვი.

ცხინვალის რეგიონის კულტურული ცხოვრება ყოველთვის გაოიჩხეოდა იმ მძლავრი ლიტერატურული იმპულსებით, რომლებიც იკვებებოდა როგორც ადგილობრივი, ისე დედაქალაქიდან წახალისებული შემოქმედებითი ნაკადებით. გამორჩეული ადგილი ეკავა ყოველთვის ფოლკლორს, პროზას, თარგმანს და რათქმაუნდა პოეზიას.

„ვინ იცის რამდენი ბრძოლა გადაუხდია ოს ხალხს, რომ გაემლო თავზე დამტყდარი ავბედითი გრიგალებისთვის და თავი ეხსნა ფიზიკური განადგურებისაგან, მაგრამ ოსი ხალხი სულით არასოდეს დაცემულა. მისი ნიჭი გამობრწყინდა ფოლკლორში<sup>1</sup>, კერძოდ, ნართების ეპოსში სადაც აისახა რაინდული სული—ვაჟკაცობა, შეუპოვრობა, ტრადიციების ერთგულება“ (თინიკაშვილი, 1980).

ცნობილია, რომ პირველი ლექსის ოსურ ენაზე შექმნა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ნავარაუდევია. ამ პირველი პოეტური ნიმუშების ავტორად დასახელებული გახლავთ თემირბოლათ მამსუროვი<sup>2</sup>. მის შესახებ ნაფი ჯუსოითი წერდა: „ჯერაც ძალზე ცოტა რამ ვიცით თემირბოლათ ოსმანის ძე მამსურათის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

მისი ერთ-ერთი ნაწარმოები „ვიქრები“ ოსეთში თურქული ხალხური სიმღერის სახით დაბრუნდა და აკად. ვსევოლოდ მილერმა 1881 წელს გამოაქვეყნა თავის „ეტიუდებში“. ამის შემდეგ კიდევ ათი ლექსი მოხვდა ოსეთში, შეცდომებით სავსე და შერყვნილი.

ოსი ინტელიგენცია დიდი ინტერესით მოეკიდა ჩვენი პირველი პოეტის, ჩვენი სიმღერის დამწყობის სიტყვას, ცდილობდა მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ირგვლივ ახალი ცნობების მოძიებას. სიმართლე უნდა ითქვას, დღემდე ბევრი ვერაფერი გაკეთდა ამ მიმართებით.

ცომაყ გადათმა და ალექსანდრე თიბილოვმა წერილები გამოაქვეყნეს. 1926 წელს პროფ. ბარისბი ალბორთიმ მოზრდილი წიგნი დაწერა მამსუროვზე და გამოაქვეყნა კიდევ. მის მიერ პოეტის შესახებ შეგროვილ ცნობებს ჩვენს ლიტერატურაში დღემდე არაფერი შემატებია. მოგვიანებით თემირბოლათის შესახებ ხშირად წერდნენ ჩვენი კრიტიკოსები, მაგრამ ბ. ალბორთის მიერ მოძიებულ ცნობებს დიდი ვერაფერი მიუმატეს ვერც ფაქტობრივად, ვერც ისტორიულ-ლიტერატურული და ესთეტიკური

<sup>1</sup> ამ მიმართულებით საინტერესო ნაშრომებს წარმოადგენენ:

ა) ნაირა ბეპიევის და მერი ცხოვრებოვას მიერ 2005 წელს შედგენილი და გამოცემული „ოსური ზეპირსიტყვიერება“. პროფ. ზურაბ კიკნაძის შეფასებით, ფოლკლორული ტექსტების თარგმანს ენობრივ სიფაქიხესა და ტაქტს მოითხოვს - არც ზედმეტი გახალხურება, არც გალიტერატურება. ეს ზომიერება მთარგმნელებს შესანიშნავად დაუცავთ; მერი ცხოვრებოვის „ნართებს“ ქართველი მკითხველი კარგად იცნობს მისთვის დამახასიათებელი ტონალობით. ეს დარბაისლური ქართული „ნართებია“. პოეტური ნაწილი ქალბატონ ნაირა ბეპიევის აღმოჩენაა. პოეტური თარგმანები შესრულებულია ფოლკლორის უნივერსალური პოეტიკის წესების დაცვით, რაც სავსებით უთავსდება ქართულ ზეპირსიტყვიერ ტრადიციას. ენის უცოდინარიც კი ხვდება, რომ თარგმანი დედნის ადექვატურია - გკითხულობთ ქართულად, გვესმის ოსური (ბეპიევი & ცხოვრებოვა, 2005: 19);

ბ) ნაირა ბეპიევისა და ნინო პოპიაშვილის „ოსური თქმულებები“, რომლის წინასიტყვაშიც ნათქვამია, რომ პირველად გამოქვეყნებული ის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ნიმუშები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია შეკრებილი. „მართალია, ზოგიერთი ე.წ. ვარიანტული სახესხვაობაა ოსური თუ ქართული ზღაპრისა და თქმულებისა, მაგრამ უმეტესობა დამოუკიდებელი, ინდივიდუალურად შექმნილი და წარმოდგენილი მასალაა. რა თქმა უნდა, ერთმანეთის ტოლფასი ვერ იქნება ეს მასალა, ზოგჯერ სრულიად ორიგინალური და დასრულებული თხზულებაა წარმოდგენილი, ზოგჯერ კი ძალიან მარტივ სიუჟეტთან გვაქვს საქმე, უბრალოდ, სოფლის სახელის წარმოშობაზე საუბრობს მთქმელი, მაგრამ ესეც ფასეულია, ეს ხომ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის ისტორიაა ხალხის გონების პრიზმაში არეკლილი და მათი თვალთახედვით წარმოჩენილი (ბეპიევი & პოპიაშვილი, 2009: 3).

<sup>2</sup> ლ. ბრეგაძის შეფასებით, თ. მამსუროვმა საკუთარი შემოქმედებით სამშობლოს მიტოვებით გამოწვეული გულისტკივილი ისეთი ხელოვნებით გამოხატა, რომ პოეტურ სახეებად გარდაქმნილი მისი სევდა დღესაც გულის შემძვრელად მოქმედებს მკითხველზე (მამსუროვი, 2007: 47).

ანალიზის თვალსაზრისით. ყურადსაღებია მხოლოდ ხადიბათირ არდასენთისა და ალექსანდრე ზიაზირთის სტატიები“ (მამსუროვი, 2007: 19).

საგულისხმოა ის გარემოება, რომ თემირბოლათ მამსუროვი თავისი დედის ძმის გენერალ მუსა კუნდუხოვის<sup>1</sup> ხელშეწყობით 1865 წლიდან მიემგზავრება თურქეთში. XIX საუკუნის სამოციან წლებში მთიელთა თურქეთში გადასახლების დროს განსახლებულ ოსთა შორის გენერალ კუნდუხოვის ოჯახის წევრების ყოფნის ფაქტზე მიაწინებებს პროფ. ნ. პოპიაშვილიც (მამსუროვი, 2007: 31).

პოეტური კულტურისადმი ინტერესი განსაკუთრებით საგრძნობი გახდა XX საუკუნის 30-იანი წლებიდან. ეს პერიოდი შეიძლება ჩაითვალოს ახალ საფეხურად ქართულ-ოსურ ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობის ისტორიაში. ამ დროიდან სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის სრულიად ახალი შეხედულებების და ახალი გემოვნების მქონე თაობა. ამ თაობაში ჩვენ ძირითადად ვგულისხმობთ: ვ. ძუგაევს, კ. ფარნიევს, დ. მამსუროვს, გ. ფლიევს და სხვ. თუმცა, რაც სადღესოდ ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, არის ის ფაქტი, რომ 30-იანი წლების დამდეგსვე ყოფ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კულტურულ ცხოვრებაში ხდება უმნიშვნელოვანესი მოვლენა. 1932 წელს მწერალთა მოზრდილი ჯგუფი ესტუმრა ცხინვალს, ჯავას. მოეწყო შეხვედრები ოს მწერლებთან. საგულისხმოა, რომ ქართველ მწერალთა დელეგაციას ხელმძღვანელობდნენ ტიციან ტაბიძე და მიხ. ჩიქოვანი, ხოლო ერთ-ერთი ყველაზე სავატიო სტუმარი მათ შორის გახლდათ დიდი გალაკტიონი, რომლისთვისაც ეს პირველი ვიზიტი იყო ცხინვალში. აღფრთოვანებულმა გალაკტიონმა ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ოს მწერლებთან შეხვედრისას (ტაბიძე, 1957: 314).

როგორც ვამბობდით, 1932 წლის ვიზიტი ცხინვალში, გალაკტიონ ტაბიძისთვის პირველი გახლდათ. მეორე სტუმრობა შედგა 1952 წელს. გალაკტიონს ახლდნენ: გიორგი ლეონიძე, სანდრო შანშიაშვილი, ალიო მირცხულავა. ბუნებრივია, ცხინვალის ქართული გაზეთი ოპერატიულად გამოეხმაურა დიდი მოსწონის სტუმრობის ფაქტს. ცხინვალში გამართულ საზეიმო საღამოს მასპინძლობდნენ: რევაზ ასაევი, გაფეზი და სხვა მოწინავე ოსი მოღვაწენი. „აი, გალაკტიონი კითხულობს ლექსს. მას მთელი გულისყურით უსმენენ დამსწრენი. გოგონებს მოაქვთ ყვავილების თაიგულები სამშობლოს ძლიერებისა და დიდების ხმატკბილი მომღერლის პატივსაცემად“ (საბჭოთა ოსეთი, 1952).

გრანდიოზული საღამო დიდი გალაკტიონის პატივსაცემად ცხინვალში 1956 წლის აპრილში მოეწყო.

მართლაც იყო „ჭეშმარიტი პოეზიის, ჭეშმარიტი ქართული პოეზიის, ჭეშმარიტი ქართველი პოეტის დიდი შემოქმედებითი გამარჯვების საყოველთაო აღიარების ზეიმი, მაგრამ ამჯერად არა წმინდა ქართულ გარემოში, არამედ უაღრესად ინტერნაციონალურ ატმოსფეროში, რომლის განსახიერებას ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი წარმოადგენდა. ხალხით გაჭედილ სააქტო დარბაზში მაინც, რასაკვირველია, ოსი ინტელიგენცია, ოსი მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა სჭარბობდა და, ამდენად, ეს იყო ქართველი და ოსი შემოქმედებითი ინტელიგენციის ისტორიული მეგობრობის თავისებური ჭეშმარიტი ზეიმიც“ - წერდა პროფ. ა. თოფურია გაზეთ „საბჭოთა ოსეთში“ (საბჭოთა ოსეთი, 1969).

გალაკტიონთან შეხვედრის მოწყობის ინიციატივა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას ეკუთვნოდა. კერძოდ, ამ საქმის ორგანიზება იკისრეს პროფესორებმა: აკაკი თოფურიამ, შოთა გაფრინდაშვილმა, ალექსანდრე ლლონტმა, ოთარ ქაჯაიამ და სხვა.

დიდმა მონდომებამ შესაფერისი ნაყოფი გამოიღო და ცხინვალელი ჟურნალისტის გ. თედევეის თანხლებით, ზუსტად დანიშნულ დროს გალაკტიონი ცხინვალშია. ამ შეხვედრის თვითმხილველი და ერთ-ერთი აქტიური ორგანიზატორი პროფ. ა. თოფურია წლების შემდეგ დაწერს საინტერესო მოგონებას

<sup>1</sup> რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ჩრდილო-კავკასიელი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ XIX საუკუნეში არაერთი სახელოვანი პიროვნება წარმოაჩინა. ერთ-ერთი მათგანია მუსა-ფაშა კუნდუხოვი, რომელმაც, მიიღო რა, თავისი დროის შესაფერისი განათლება, ჯერ რუსეთის არმიის გენერალი გახდა, შემდეგ რუსების ნამოქმედარისადმი პროტესტის ნიშნად თავის თანამომხებთან ერთად თურქეთის მხარეს გადავიდა, სულთნის ქვეშევრდომობა და ლივ-ფაშას (ბრიგადის გენერალი) თანამდებობა მიიღო, რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში ჩადგა და ემიგრაციაშივე გარდაიცვალა. თუმცა, მუსა კუნდუხოვის შესახებ არის სხვა მოსაზრებაც. თითქოს ჩეჩნების თურქეთში გადასახლება კუნდუხოვმა რუსეთის ინიციატივით განახორციელა გენერალ ლორის-მელიქოვის დავალებით და იგი ამ შემთხვევაში ჩეჩნებისათვის რუსების „ტროას ცხენი“ იყო. მან დაარწმუნა ჩეჩნები, რომ სამშობლოში დარჩენას ალტერნატივა არ ჰქონდა. ან უნდა გადასახლებულიყვნენ მცირე ყაზარდოში, ხოლო მათგან გათავისუფლებულ მიწებზე იგემებოდა კაზაკების ჩასახლება, ამ შემთხვევაში ისინი საკუთარ მიწაზე უცხოელებად იქცეოდნენ, მეორე შესაძლებლობა რუსების წინააღმდეგ აჯანყება და უთანასწორო ბრძოლაში დაღუპვა იყო, ან - გადასახლება თურქეთში. თითქოს კუნდუხოვმა ამ პაქტის სანაცვლოდ რუსებისგან 2800 ჰექტარი მიწა ოსეთში და 45 ათასი ვერცხლის რუბლი მიიღო (Айдамиров Абузар, Долгие ночи, <http://Zhaima.com/history/> Сетевая версия). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უფრო დეტალურად იხ. (ალიმბარაშვილი, 2014: 7-11).

- „გ. ტაბიძის ერთი დღე ოსეთში“. 20 აპრილის დაუვიწყარი საღამოს უფრო სრულყოფილად წარმოდგენისთვის მოვუხმობთ ნაწყვეტს ხსენებული მოგონებიდან: „სააქტო დარბაზი ამ დროისათვის უკვე ხალხით იყო გაჭედილი, პოეტის გამოჩენას დარბაზში უჩვეულო ტაშის გრიალით შეხვდნენ. შესავალი კარებიდან ტრიბუნისაკენ მიმავალი გალაკტიონი მოჩანდა არა მხოლოდ როგორც მხატვრული პოეტური სიტყვის გოლიათი თავის მაღალი, აზიდული შუბლით, შავი ბიბლიური წვერითა და არწივისებური, შორსმზირალი თვალებით, არამედ გოლიათი თავისი ფიზიკური აგებულებითაც, თავისი წარმოსადეგი, ლარივით გამართული მაღალი ტანით, გაშლილი მხარბეჭითა და გრძელი, ზომიერი მკლავებით. სცენის სიდრმიდან, სადაც ინსტიტუტის მაშინდელ დირექტორთან და სხვა ხელმძღვანელ ამხანაგებთან ერთად იმ წუთებში ყოფნა მომიხდა, ნათლად მოჩანდა, თუ როგორ მოუძლოდა ძვირფას სტუმარს მკვრივი, დაბალი აღნაგობის გულითადი მასპინძელი ალექსანდრე ლლონტი, როგორ არღვევდა და ათავისუფლებდა იგი ვარდების თაიგულებით შეკრულ გზას და როგორ ამოყავდა გალაკტიონი სასოებით სცენაზე.

ტაშის ქარიშხალი დაცხრა, დარბაზი გაირინდა. პრეზიდიუმის მაგიდას ორ მწკრივად მოუხსდნენ სტუმრები და მასპინძლები. მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ ინსტიტუტის დირექტორმა მოხსენებისათვის სიტყვა მისცა დიმიტრი ბენაშვილს, რომელიც გალაკტიონსა და ჩემს შუა იჯდა. მოხსენება დაახლოებით ორმოც წუთს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში მე გაფაციცებით ვადევნებდი თვალს გალაკტიონის ყოველ მანერას. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში პირველი შემთხვევა, როცა ასე ახლოს, თითქმის სულ გვერდით ვიმყოფებოდი მასთან და არ მინდოდა უსარგებლოდ ხელიდან გამეშვა ეს სანუკვარი შესაძლებლობა. იქნებ რაიმე შტრიხი ისეთი იდუმალი მხერა დამეჭირა, რომლის აღბეჭდა რაღაცით მაინც ეგებ გამოდგომოდა შთამომავლობას. მაშინ ეს იყო ერთადერთი სურვილი და ერთადერთი მიზანი“ (საბჭოთა ოსეთი, 1969).

ოფიციალური ნაწილის შემდეგ შეხვედრამ საზეიმო ბანკეტის სახით გადაინაცვლა ცხინვალელი გ. კულიჯანოვის ოჯახში. გალაკტიონი მოხიბლა მასპინძელთა გულუხვობამ და წრფელმა სიყვარულმა. ნიშნად საპასუხო ღრმა პატივისცემისა, მგოსანს უთქვამს, რომ ასეთი გულუხვობა და ასეთი წრფელი სიყვარული არსად არ უგრძენია.

გალაკტიონის ცხინვალთან ურთიერთობის შესახებ პროფ. ალექსანდრე ლლონტი იგონებდა: „1956 წელს გალაკტიონი ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოვიპატიჟეთ, ჩინებული საღამო გაიმართა, მე შესავალი სიტყვა და მისალმება წარმოვთქვი. მოხსენება დიმიტრი ბენაშვილმა წაიკითხა, გამოვიდნენ სტუდენტები... გალაკტიონს ძალიან მოეწონა ჩვენი სტუდენტები. თავად ჯერ რამდენიმე ცნობილი ლექსი წაიკითხა, შემდეგ ექსპრომტად წარმოთქვა ახალი ლექსი, რომელიც პაპიროსის კოლოფზე ჰქონდა დაწერილი“ (მღებრიშვილი, 1999ა).

როგორც ზემოთ მივუთითეთ, ჯერ კიდევ 1932 წელს ქართველ მწერალთა კრებულს ცხინვალში ხელმძღვანელობდა ტიცვიან ტაბიძე. ჩანს, ცხინვალის მიდამოებს მოუხიბლავს ტიცვიანი. ამ მოგზაურობას უძღვნა მან „ერთი კვირა ოსეთში“, სადაც წერს: „უკანასკნელ საქმიან თათბირზე გადაწყდა, რომ მოეწყოს ოსი მწერლების ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა... გადაწყდა სისტემატური ხასიათი მიეცეს ქართველ და ოს მწერალთა კულტურულ და ინტერნაციონალურ კავშირს...“ (ტაბიძე, 1957: 301)

ტიციანის ცხინვალში სტუმრობისას ოლქის მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ ჩერმენ ბეჯიზათი მუშაობდა. ჩ. ბეჯიზათმა განაცვიფრა ქართველი პოეტი თავისი ტკბილქართულით და სულ მალე მათ შორის მტკიცე მეგობრობას ჩაეყარა საფუძველი. ტიცვიანს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა როგორც ჩერმენტან, ასევე მისი დროის სხვა ცხინვალელ მოღვაწეებთან: კოსტა ფარნიათთან, ყაზბეგ ყოროითთან და სხვა.

ასეთივე უაღრესად საინტერესო ლიტერატურული კავშირები ჰქონდა ჩვენს მხარესთან ქართული მწერლობის კიდევ ერთ ბუმბერაზს გიორგი ლეონიძეს.

გიორგი ლეონიძის ცხოვრება და შემოქმედება დღეისათვის სისხლსავსედ და სრულადაა წარმოდგენილი, ჩვენ შეგნებულად აღარ შევჩერდებით მისი ბიოგრაფიული მომენტების დეტალურ ჩამოთვლაზე და პოეტს თავისი დროის ცხინვალზე შეყვარებული და ცხინვალის შემოქმედებითი ინტელიგენციის დიდი ქომავის ამპლუაში წარმოვადგენთ (მღებრიშვილი, 1999ბ: 89-91).

გ. ლეონიძის ხშირი ვიზიტები ცხინვალში კარგად ცნობილი ფაქტია. მას საკმაოდ ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ოსი ეროვნების მწერლებთან. ნათქვამის დასტურად შეგვიძლია დავასახელოთ 1951 წლის 24 აპრილს საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც გიორგიმ იკისრა შეფობა სამხრეთ ოსეთის მწერალთა განყოფილებაზე. ბუნებრივია, ამის შემდეგ არსებული მეგობრული ურთიერთდამოკიდებულება კიდევ უფრო გაღრმავდა.

მომდევნო 1952 წლის მაისის მიწურულს ცხინვალმა უმასპინძლა ქართული პოეზიის ორ ბუმბერაზს—გალაკტიონსა და გიორგი ლეონიძეს. ამ შეხვედრის შესახებ პროფ. ალ. ლლონტი წერს: „ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში ვმუშაობდი. ერთ დღეს პარტიის საოლქო კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა აკაკი იმნაძემ მთხოვა, შეხვედროდი ქართველ მწე-

რალთა დიდ ჯგუფს, რომელიც ცხინვალს ესტუმრა ლიტერატურული სადამოს გასამართად. ოს მწერლებს რევაზ ასაევი მეთაურობდა, ის იყო ჩვენი მთავარი მასპინძელი. ქართველ მწერალთა ჯგუფს გალაკტიონიც ამშვენებდა. დილით გაიმართა დიდი მიტინგი კოსტა ხეთაგუროვის ძეგლთან. მასსოვს გალაკტიონი და გოგლა ძეგლს მარჯვნივ და მარცხნივ უდგნენ. იმავე დღეს ჩატარდა ლიტერატურული სადამო“.

ხსენებულმა სადამომ, როგორც ჩანს, დიდი წარმატებით ჩაიარა. მის შესახებ მასალები გამოქვეყნდა იმ პერიოდის რესპუბლიკურ და ადგილობრივ პრესაში. ეს დღე ქართველი და ოსი ხალხის მეგობრობის ბრწყინვალე დადასტურებად იქცა. ქართველ ავტორიტეტულ მწერალთა ამხელა ჯგუფი ცხინვალს მანამდე არ ახსოვდა. სახეიმი ცერემონიალი საბჭოების სასახლის სხდომათა დარბაზში გაიმართა. სადამოს ესწრებოდნენ: გალაკტიონი, გოგლა ლეონიძე, სანდრო შანშიაშვილი, ალიო მირცხულავა, ოთარ ჩხეიძე, დავით კასრაძე, აკაკი ბელიაშვილი, ალექსანდრე გომიაშვილი, სიკო ფაშალიშვილი, ბესო ჟდენტი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, თეიმურაზ ჯანგულაშვილი, სიმონ წვერავა, ივანე ურჯუმელაშვილი, ალექსანდრე ქუთათელი და ა.შ. მასპინძლის როლში მოიაზრებოდნენ ოსი მწერლები: რევაზ ასაევი, გაფეზი, გიორგი ძუგაევი, ილია ფლიევი, ივანე ცხოვრებოვი და ა.შ.

ცხინვალელი ჟურნალისტი გ. თედეევი, რომელსაც საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჰქონდა გალაკტიონთან, ნაშრომში „ერთია გალაკტიონი“ ამ დღეთა შესახებ წერს: „31 მაისს შუადღისას ქალაქის ქუჩებს გამოეფინენ ცხინვალელები. ბევრი ზღუდრის გვერდაზე (ქალაქის შესასვლელში) შეეგება სტუმრებს. მოვიდნენ და მოიტანეს გულის დიდი სითბო.

ჭაბუკებს აგვისრულდა ოცნება.

ქართველ მწერალთა ასეთი დიდი ჯგუფი არც მანამდე და არც შემდგომ არ ყოფილა ცხინვალში.

ხალხი სიყვარულით შესცქეროდა, ეცნობოდა, მაგრამ განსაკუთრებით გარს ერტყმოდნენ და დიდ პატივში ჰყავდათ გალაკტიონი და ლეონიძე.

მოსაწვევი ბარათის შოვნა ძალზე გაჭირდა, მაგრამ ბიჭები მაინც შევიპარეთ, დარბაზი მორთულია ლოზუნგებით, პორტრეტებით, უამრავ ვარდ-ყვავილებს დაუფარავს გრძელი მაგიდა, რომელსაც უსხედან ქართველი და ოსი პოეტები“ (თედეევი (ლიახვისპირელი), 1998: 29-30).

1952 წლის გაზაფხულზე გალაკტიონისა და სხვათა ცხინვალში სტუმრობით აღფრთოვანებული გიორგი ძუგაევი წერდა:

*„ჩვენს ძვირფას სტუმრებს ოსეთი  
შეჰგებებია ღიმილით...“*

გ. ძუგაევის მხარს უბამდა რევაზ ასაევი:

*„დასაბამიდან ჩვენს ძმობას  
მხოლოდ სიმტკიცე ჰქვია  
და მიტომ ჩვენი ერთობა  
კლდეებსაც ანგრევს ფრიალოს!“*  
მათ არც გაფეზი ჩამორჩებოდა:  
*„ჩვენი მაღალი მთებიდან  
მომაქვს გულთბილი სალამი,  
ძმობაზე ასამღერებლად  
ხელში ავიღე კალამი.  
ერთად ვიყავით ყოველთვის  
მამულის დროშას ვვიცავდით,  
მტერს რისხვად ვეკვეთებოდით  
და დიდ სამშობლოს ვიცავდით“.*

საგულისხმოა, რომ ამ სტუმრობის შესახებ საქართველოს მწერალთა კავშირის ე.წ. სამხრეთ ოსეთის განყოფილების იმდროინდელი მდივანი რევაზ ასაევი იგონებდა: „გალაკტიონი იმ სადამოს ჩინებულ ხასიათზე იყო. მასთან კარგი პირადი ურთიერთობა მაკავშირებდა, ბევრი დრო ერთად გაგვიტარებია, მაგრამ იმ დღისთანა მხიარული არ მინახავს, როცა ჯავის ხეობას ვესტუმრეთ; იქ უფრო მომხიბლავი იყო. სიცოცხლის ტრფილით აგზნებული მისი თვალები უსაზღვრო სითბოს ღვრიდა. დიდებულია, დიდებული. ამბობდა პოეტი ჯავის ბუნებით მოხიბლული. ეს ორი მთა ჩემს შუამთას მაგონებს. ასეა, ძამიკო, ჩვენი საქართველო, მისი ყველა კუთხე-კუნჭული ღვთის მადლითაა ცხებული. ყველგან მომხიბლავია“ (თედეევი (ლიახვისპირელი), 1998: 32).

დიდი გალაკტიონის თითოეული ვიზიტი ცხინვალის რეგიონში უმნიშვნელოვანესი გახლდათ ქართულ-ოსურ ლიტერატურული ურთიერთობების გაღრმავება-განმტკიცების თვალსაზრისით. თქმულის თვალსაჩინო დასტურია „ვეფხისტყაოსნის“ ოსურ ენაზე მთარგმნელი ოსი პოეტის გიორგი ბესთაუთის ალალი სტრიქონები:

*„მოდიოდნენ გულის გზებით,  
გულითადი სალამით...  
რა ამყად ფრიალებდა  
მეგობრობის ალამი!..  
მე ქართული პოეზიის  
ლალ მომღერლებს ვადიდებ –  
ჩვენ პირველად არ გვინახავს  
ლეონიძე, ტაბიძე,  
გულით მიყვარს როგორც ძმები,  
მზის ქალაქის მგოსნები  
მათ სიმღერებს ჩვენცა ვმღერით  
მათი მოძმე ოსები“.*

უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურათმცოდნეობაში ათწლეულების მანძილზე გაბატონებული შეხედულებით გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება პერიოდებისაგან შედგებოდა. რევოლუციამდელი, სიმბოლისტური პოეტიკით ნასაზრდოები და ოქტომბრის რევოლუციური იდეალებით სავსე. თვითონ პოეტთან პირველს აღიზიანებდა მისი შემოქმედებისადმი ამგვარი მიდგომა. ცხინვალში ერთ-ერთი სტუმრობისას მცირე საყვედურიც დასცდენია პროფ. დიმიტრი ბენაშვილის მისამართით: „თუ ხათრი გაქვს, ძამიკო, არ გამაგონოთ პერიოდები! საქართველოში ხომ ერთია სახალხო პოეტი? ჰოდა, ის ერთი გალაკტიონია...“

*„წელიწადები წავლიან ძველნი,  
შეიცვლებიან ქარით სიონი,  
როგორც ერთია ქვეყანა მთელი,  
ისე ერთია გალაკტიონი“* (თედეევი (ლიახვისპირელი), 1998: 15).

გალაკტიონის შემოქმედების პერიოდებად დიფერენცირების „ამგვარი სქემა წინასწარვე უგულვებლყოფდა პოეტის შიდა სამყაროს სირთულეს, მის მსოფლმხედველობრივსა და შემოქმედებით მიეზებს, მის ფსიქიკაში თავჩენილ წინააღმდეგობებს, ამ ფსიქიკის ევოლუციას. იგივე სქემა ბადებდა სრულ ნიველირებას, გაუსახურებას–შეუძლებელი ხდებოდა გარჩევა, თუ რით განსხვავდებოდა გალაკტიონ ტაბიძე მისი თაობების სხვა, კრიტიკოსთა მიერ აგრეთვე „ორი პერიოდის“ სქემაში ჩაჭედილი პოეტებისაგან“ (თვარაძე, 1979: 74). მთარგმნელნი, რომელნიც საფუძვლიანად არ იცნობდნენ გალაკტიონის მსოფლმხედველობას, ლექსის სპეციფიკურ თავისებურებებს, აზრის ორიგინალობას და სიღრმეს, ყოველთვის იდგნენ გადაულახავი ბარიერის წინაშე. სათარგმნი მასალისადმი სქემატური, გაუაზრებელი მიდგომა ვერ აკმაყოფილებდა არაქართველი მკითხველის გამძაფრებულ მოთხოვნილებას, ვერ აოკებდა წყურვილის გრძნობას, გალაკტიონის დაუშრეტელი გენიის შეცნობის სურვილს.

კონსტანტინე გამსახურდია შენიშნავდა: „გალაკტიონის სხვა ენაზე თარგმნა არ ხერხდება, მაშ დარჩეს ის მხოლოდ ქართველთათვის გასაგებ პოეტად, ამით ჩვენს თვალში მას არაფერი დააკლდება“ (თვარაძე, 1979: 77).

ზემოთქმულის მიუხედავად, ოსი ინტელიგენციის რჩეული ნაწილი ყოველთვის ცდილობდა დიდი მგოსნის თხზულებათა ოსურ ენაზე აჟღერებას. ზემოთ რევაზ ასაევი ვახსენეთ. იგი სწორედ ის ოსი მოღვაწე გახლდათ, რომელიც მონაწილეობდა 1958 წელს მოსკოვში გამართულ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაში.

დეკადის დღეებში გალაკტიონთან გასაუბრებისას ერთი მნიშვნელოვანი მომენტის შესახებ რ. ასაევი მოგვიანებით გაიხსენებს: „სალამოზე სასტუმროში საუბარი ისევ ქართველი და ოსი ხალხების მეგობრობაზე გაგრძელდა და, რა თქმა უნდა, პოეზია იყო უპირველეს ყოვლისა სასაუბრო თემა.

- რეზო, თუ ძმა ხარ, ერთი წამიკითხე ჩემი ლექსების თარგმანი, - მითხრა მან და გამომიწოდა ჩემი რედაქტორობით გამოსული მისი ლირიკის მცირე კრებული. უსმინა, უსმინა და მითხრა: ვფიქრობ კარგია იგრძნობა ჩემი რიტმის ძალა. ორიგინალის ეშხით ვერც ერთ ენაზე ვერ ითარგმნა ჩემი ლექსი. ეს თარგმანი რაღაც კარგად ჟღერს“ (თედეევი (ლიახვისპირელი), 1998: 36).

უმთავრესი ნაკლოვანება სწორედ ის გახლდათ, რომ გალაკტიონის მთარგმნელთა უმრავლესობას არ ჰქონდა სრული წარმოდგენა პოეტის მსოფლმხედველობის, მისი პოეზიის სიღრმეებისა და სიმაღლეების შესახებ. არ ჰქონდა გაცნობიერებული ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რაც ბუნებრივია, არ ითქმის ვაჟას ზაბოლოცკისეულ, ბარათაშვილის პასტერნაკისეულ და სხვა ღირსეულ თარგმანებზე. იგივე შეიძლება ითქვას გალაკტიონის ლექსთა ბჭკარედების შემსრულებელთა შესახებაც. და მაინც, გ. ტაბიძის სიტყვები - „ვფიქრობ, კარგია. იგრძნობა ჩემი რიტმის ძალა. ეს თარგმანი რაღაც კარგად ჟღერს...“ კიდევ ერთხელ მიუთითებს მგოსნის უდიდეს პატივისცემაზე ოსი ხალხის მიმართ, მიუთითებს იმ დიდ სიყვა-



რულსა და სიფრთხილეზე, რითაც ის ეკიდებოდა ყოველთვის ქართულ-ოსურ ლიტერატურულ ურთიერთობათა განმტკიცების მნიშვნელოვან საქმეს.

ზემოთ დასახელებულ სადამოზე, რომელიც 1952 წლის მაისში ქართველ მწერალთა საპატივსაცემოდ გაიმართა ცხინვალში, ქართული მწერლობის განვითარების შესახებ მოხსენება წაიკითხა სიმონ წვერაძემ.

იმავე სადამოზე ახალგაზრდა პოეტმა, შემდგომში „ვეფხისტყაოსნის“ ოსურ ენაზე მთარგმნელმა გიორგი ბესთაუთიმ და მიხეილ ნართიხთიმ ლექსები უძღვნეს გიორგი ლეონიძესა და იოსებ გრიშაშვილს.

გიორგი ლეონიძის შემოქმედებით ყოველთვის დაინტერესებული იყო მკითხველი. მისი თხზულებების თარგმნა კი საპატიო მოვალეობა გახლდათ ოსი ეროვნების ყოველი მწერლისთვის. ეს ფაქტი სათანადოდ იქნა გაცნობიერებული ოსური ინტელიგენციის მხრიდან. აკი ამიტომაც დიდის რუდუნებით თარგმნიდნენ: გიორგი ბესთაუთი, რევაზ ასაევი, გაფეზი, ნაფი ჯუსოთი და სხვები გიორგი ლეონიძის ლექსებს, პოემებს.

1959 წლის დეკემბერში ქართველი საზოგადოებრიობის მიერ გოგლას დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღეების ფართოდ აღნიშვნის შემდეგ, უფრო კონკრეტულად კი, 1960 წლის იანვარში პოეტი კვლავ ესტუმრა ცხინვალს. ცხინვალის სახელმწიფო თეატრში გამართული საიუბილეო სადამო ქართველი და ოსი ხალხების მეგობრობის ერთ-ერთი სანიმუშო მაგალითი გახლდათ.

აკი თვითონ გიორგი ლეონიძე ბრძანებდა ქართველთა და ოსთა შესახებ: „უხსოვარი დროიდან ჩვენ და ოსები ერთად ვუმკლავდებოდით მონღოლთა ნიაღვარს, თურქთა და ირანელთა ლაშქრობებს, თვით შაჰ-აბასის წინააღმდეგ ერთად იბრძოდნენ ქართველი და ოსი მხედრები“.

საგულისხმოა, რომ ყოველი მსგავსი აქტივობა, იქნებოდა ეს, გალაკტიონის, გოგლა ლეონიძის თუ სხვა ცნობილ შემოქმედთა და საზოგადო მოღვაწეთა მეგობრული სტუმრობა, სამუშაო შეხვედრა ან შემოქმედებითი ვიზიტი ცხინვალის რეგიონში, უმნიშვნელოვანესი გახლდათ, როგორც ოსური ლიტერატურული და შემოქმედებითი პოტენციალის გაღვივების და წრთობის თვალსაზრისით, ასევე ქართულ-ოსური ლიტერატურული, კულტურული ურთიერთობების გაღრმავების და განმტკიცების მიმართულებითაც.

## ბიბლიოგრაფია

ალიმბარაშვილი, ი. (2014). თურქი გენერალი ქართველი ემიგრანტის თვალთ (ჩრდილო კავკასიელი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან XIX საუკუნეში). *გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია „ქართულ-თურქული ურთიერთობები“*. თბილისი.

ბეპიევი, ნ., & ცხოვრებოვა, მ. (2005). *ოსური ზეპირსიტყვიერება*. თბილისი.

ბეპიევი, ნ., & პოპიაშვილი, ნ. (2009). *ოსური თქმულებები*. თბილისი.

თედეევი, გ. (ლიახვისპირელი). (1998). *ერთია გალაკტიონი*. თბილისი.

თვარაძე, რ. (1979). *წერილები*. თბილისი.

თინიკაშვილი, ც. (1980). შენ უფრო მშვიდი და ლაღი ხარ ზღვაო. *საბჭოთა ოსეთი*. #10 (12279).

მამსუროვი, თ. (2007). *ოსური სიმღერები*. (ნ. ბეპიევი, მთარგმნ.). თბილისი.

მღებრიშვილი, ალ. (1999)ა. მშობლიური ლიტერატურის მესაიდუმლე. *ცხინვალი*. #6.

მღებრიშვილი, ალ. (1999)ბ. გიორგი ლეონიძე და ცხინვალი. *ქართლი*. #1.

*საბჭოთა ოსეთი*. (1952). 6/VI.

*საბჭოთა ოსეთი*. (1969). #98;

ტაბიძე, ტ. (1957). *ლიტერატურული წერილები და ნარკვევები*. თბილისი.

*Aleksandre Mgebrishvili*  
*Gori State University*  
**ABOUT ONE IMPORTANT EPISODE OF LITERARY LIFE IN TSKHINVALI**  
**(MIDDLE OF XX CENTURY)**  
**RESUME**

The cultural life in the Tskhinvali region has long been marked by robust literary impulses fueled by both local talent and creative influences fostered from the capital. Folklore, prose, translation, and poetry have always held a significant position.

It is widely acknowledged that the creation of the first poem in the Ossetian language is believed to have occurred in the latter half of the 19th century. Temirbolat Mamsurov is credited as the author of these initial poetic works.

The interest in poetic culture gained significant traction particularly from the 1930s onwards. This era marks a fresh chapter in the history of Georgian-Ossetian literary and cultural ties. Since then, a new generation with entirely fresh perspectives and tastes emerged onto the official stage. Among the prominent figures of this generation are V. Dzugaev, K. Parniev, D. Mamsurov, G. Pliev, and others. However, what is particularly important for us today is the fact that at the end of the 1930s, the most important event took place in the cultural life of the former South Ossetian Autonomous Region. In 1932, a large group of writers visited Tskhinvali, Java. Meetings with Ossetian writers were organized. Notably, the delegation of Georgian writers was led by Titsian Tabidze and Mikh. Chikovani, and one of the most honored guests among them was the great Galaktion, for whom this was the first visit to Tskhinvali. Excited, Galaktion made a lengthy speech at the meeting with the Ossetian writers.

Galaktion Tabidze's inaugural visit to Tskhinvali occurred in 1932. His second visit took place in 1952, accompanied by Giorgi Leonidze, Sandro Shanshiashvili, and Alio Mirtskhulava. Naturally, the Tskhinvali Georgian newspaper promptly covered the visit of the esteemed poet. The celebratory evening in Tskhinvali was hosted by Revaz Asaev, Gapez, and other prominent Ossetians.

The initiative to organize a meeting with Galaktion was led by the Department of Georgian Language and Literature. Specifically, professors Akaki Topuria, Shota Gaprindashvili, Aleksandre Ghlonti, and Otari Kajaia took charge of arranging this event.

In 1932, the delegation of Georgian writers in Tskhinvali was led by Titsian Tabidze. During his stay in Tskhinvali, Chermen Bejizat served as the chairman of the District Union of Writers. Ch. Bejizat captivated the Georgian poet with his fluent Georgian language and soon a strong friendship was built between them. Tabidze maintained amiable relations not only with Bejizat but also with other prominent figures of Tskhinvali during his time there, such as Kosta Parniat, Kazbeg Koroit, and others.

Giorgi Leonidze, another luminary of Georgian literature, also had fascinating literary ties with our region.

In late May 1952, Tskhinvali had the honor of hosting two prominent Georgian poets: Galaktion and Giorgi Leonidze.

In December 1959, following the extensive celebration of the 60th anniversary of Gogla's birth by Georgian society, the poet revisited Tskhinvali in January 1960. The anniversary event, hosted at the Tskhinvali State Theater, exemplified the deep bond of friendship between the Georgian and Ossetian people.

It is significant that every such activity, whether it was a friendly visit of Galaktion, Gogla Leonidze or other famous writers and public figures, a working meeting or a creative visit to the Tskhinvali region, was very important, both from the point of view of awakening and nurturing the Ossetian literary and creative potential, as well as in the direction of deepening and strengthening of literary and cultural relations between Georgia and Ossetia.

**Key words:** Tskhinvali, Cultural life, Literature, Delegation of Georgian writers, Ossetian writers, Galaktion, Titsian Tabidze, Giorgi Leonidze, Temirbolat Mamsurov.

## სუფიქსებით ნაწარმოები გეოგრაფიული და ადამიანის სახელები ქსნის ხეობის „ხალხის აღწერის მასალებში“

**საკვანძო სიტყვები:** სუფიქსი, ტოპონიმია, ანთროპონიმია, ხეობა, კომპოზიტი.

### შესავალი

ქსნის ხეობის ტოპონიმია და ანთროპონიმია სტრუქტურულად მრავალფეროვანია. ხეობის შესახებ მოგვეპოვება მთელი რიგი ისტორიული დოკუმენტები, წარწერები, ხელნაწერები, სადაც ვეცნობით როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ ისტორიას. გვხვდება მრავალფეროვანი ენობრივი ფორმები, რომლებიც მყარია დღესაც. განსაკუთრებით კი მრავალფეროვანია სუფიქსური წარმოება, რომლის დერივატებია -ა, -ებ, -ანთ, -ეთ და სხვები, რომლებიც დღესაც მოქმედებაში არიან და სახელებს ანიჭებენ სხვადასხვა მნიშვნელობას.

ისტორიული წყაროებიდან მოხმობილი გვაქვს „1774-81 წლების ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერილობა“, რომელიც ერთ-ერთი უნიკალური დემოგრაფიული ძეგლია ხეობის, საერისთავოს იმდროინდელი სინამდვილის შესაცნობად.

### ძირითადი ნაწილი

-ა სუფიქსი ქართულში ცნობილია მაწარმოებელი აფიქსით, რომლის ძირითად ფუნქციად მიჩნეულია კნინობითობის აღნიშვნა. (შანიძე, 1980: 120) აღნიშნული სუფიქსი ასევე მთელ რიგ ფორმებს გვაძლევს ტოპონიმებში და ანთროპონიმებში ზემოთდასახელებულ ქსნის მასალებში. თ. ზურაბიშვილი აღნიშნავს, რომ გეოგრაფიულ სახელთა წარმოებისას იგი ქონების, მსგავსების, თვისების მნიშვნელობას იძენს (ზურაბიშვილი, 1961: 191).

გ. ბედომვილის აზრით, ისეთ სახელებში, როგორებიცაა შუბლა, გორა, ველა და სხვა სახელები, -ა სუფიქსი მაკნინებელი აფიქსია, აქვს ქონების, თვისების, მეორე ობიექტთან მსგავსების აღნიშვნის უნარი (ბედომვილი, 1980: 17).

როგორც ჩანს, -ა სუფიქსი გამოხატავს კნინობითობას, უქონელობას, თვისებას, მსგავსებას. -ა სუფიქსი ზემოხსენებული აღწერის მასალებში მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი და ერთვის: 1) მარტივფუძიან ტოპონიმებს: ვარცლ-ა, ფარ-ა, კოდ-ა, კოწოლ-ა, ნაბად-ა, კოლოტ-ა, მუჯ-ა, ვემ-ა, ყვავილ-ა, ჩხიკვ-ა. 2) ერთვის რთულფუძიან ტოპონიმებს: ბალისმიწ-ა, დაბაკნურ-ა, ვაზირულ-ა, კოტრიულ-ა, კლდეშა-ა, შანთურ-ა, ფალხან-ა. 3) ერთვის წარმოქმნილ ფუძეებს: საკვეთულ-ა, ერისთავისეულ-ა, ველურ-ა, კვრინჩხიან-ა, კოლიდმარ-ა, მთისჯვარ-ა, მუხათურ-ა, ნატბეურ-ა, ნაქულბაქევ-ა, ოქროსწყალ-ა, პირდაპირ-ა, საბეკანავრ-ა, საფეტოურ-ა, სულანთეულ-ა, ფიცხელაურ-ა, ქვაწებთბილ-ა, ღარისთავ-ა, ღრომულ-ა, ყოდალაურ-ა, ყუდრევს-ა, ჩეთარ-ა, ძეკრეველ-ა, მძრეულიქედ-ა, წირწვერულ-ა...

ცნობილმა მკვლევარმა ზ. სარჯველიძემ კნინობითი სახელების მაწარმოებლად სხვებთან ერთად გამოყო -ა სუფიქსი და აღნიშნა, რომ აღნიშნული სუფიქსი დასტურდება IX საუკუნიდან საკუთარ სახელებში.

„ქსნის საერისთავოს 1774-81 წლების სტატისტიკური აღწერის“ მიხედვით, ორივე დემოგრაფიულ ძეგლში ასეთი საკუთარი სახელები სოლიდურადაა წარმოდგენილი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს შეიძლება მართლაც ასე იყო, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ -ა სუფიქსით ნაწარმოები სახელები ასევე იმდროინდელი რქმევის სახელებია, წარმოვადგენთ რამდენიმეს.

1774 წელი, სოფელ მშველიეთში: ციხელა, ხიზანა, მახარა, თულა.

სოფ. პოვლეთკარს: თათარა, ქიტესა, თადილა, ბასილა, მახარა.

ჭორჭოხში: ბერუკა, ოსიყმა, წიკვლა, თულა, მუსა.

დადიანეთში: ხადილა, ქიტესა, იმედა.

ცხაოტში: ჭიჭა, შალიკა, ნადირა.

ახალგორში: გათენა, ღარიბა, შინდურა, გლახა, ამირუმა, აკოფა.

სამეგურში: ხიზანა, შუშანა, ნიკოლა, ნინიკა, ბერიკა.

1781 წელი, ისროლისხევში: გლახა, მახარა, ონენა, ზურაბა, ხარაჯა.

დადიანეთში: თათარა, ფოცხვერა, გლახა, რამაზა, ბეჟანა, გოგილა.

ყველდაბაში: ხახა, მანძულა, ნადირა, ქიტუა, გაბიდა.

ახალგორში: გურგენა, ფარსილა, ოსეფა, ფრიდონა, გრიგორა.

იკოთში: ტიტინა, ცუცუნა, წესიარა, პაპალა.

ხეობაში ჩაწერილი მთელი რიგი მაგალითები უმრავლეს შემთხვევაში მცირე მოცულობის ობიექტებს აღნიშნავენ. კნინობითი სახელების სემანტიკურ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ კომპოზიტებიც, სადაც პირველ კომპონენტად -ა ხმოვნით დაბოლოებული სახელია. ასეთი მაგალითებიც რეგიონში სოლიდურია. მოვიყვანთ მაგალითებს:

გოჭა ასო (მეგლევი), ასკილა ღელე (ოძისი), ბოსელთა ველი (საფერშეთი), ვარცლა ქედი (ნასიდი), ვება ჩრდილი (წირქოლი), თელწყალა (ყანჩავეთი), თოხთაველი (ლარგვისი), თხილწყარო (ალევი), კარაქაქედა (ნახიდი), კიტრაველი (წინაგარი), კობაუბანი (სამეგვისი), კოდახევი (ბოლი), კოტრაველი (მეგლევი), კოწოლამთა(ალევი), კრევედა ველი (ნახიდი), ლამოვანა ჭალა (ბოლი), ლომისა ნიში (უკანმხარე), მილწყალი (ალევი), მკივანა მთა (კორინთა), პატარა ღრომა (ნახიდი), წმინდაქედი (სამეგური), ნახიურახევი (სამეგური), პატარა ველი(კორინთა), სალოკაწყარო (ოძისი) და სხვა.

მხარეში -ებ სუფიქსი თითქმის ყველა სოფელში და ნასოფლარშია წარმოდგენილი და გამოხატავს ტოპონიმით, ანთროპონიმით აღნიშნული ობიექტის მრავლობითობას, კრებითობას, მაგალითად: ბაკურანთ ბალები (სამეგური), ბებრაულები (ოძისი), დიდ ჭალები (ქსინისპირი), თივების ქედი (მეგლევი), იოსებურები (სამეგური), საგუბრები (წირქოლი), ნადელები (ტირიფონა), ახოები, დიდმიწები, არვილები, ნასხლურები, თარაულები (ბალანი), გაღმეები, გამხიტაშვილები, გაროზაშვილები (ხოზოეთი), ნაჭაჭვები, დიდველები (მახოეთი).

შოშიცერები, მზარეულაათი (მიდელიანი), ხოდილუები, უკანგარდები, ლეწინები, სასარეები (იკოთში), მელამეები, კაიშაურები (სამეგური), გიგაურები, ზანგურათები, გვრიტიშვილები, ნიაურები (იკოთი). სიდიდს აღმნიშვნელი -ებ სუფიქსი ტოპონიმებში და ანთროპონიმებში მაშინ გვხვდება, როცა ტოპონიმი დიდ ფართობს აღნიშნავს და ანთროპონიმი კი ძირითადად რომელიმე უბნის სიდიდეს განსაზღვრავს. მთიან ადგილებში, სადაც მოსახლეობა მეჩხერად არის წარმოდგენილი ჩნდება პატარა უბნები და -ებ სუფიქსი არ გვხვდება თუ არის მაშინ ის ძველ ვითარებას ასახავს, როცა სოფლები დიდი იყო საზოგადოებრივი მეურნეობები დიდ სოფლებად იყო გაერთიანებული.

მაწარმოებელი ელემენტის მიხედვით, მრავლობითი რიცხვი ორგვარია, რომელსაც აწარმოებს -ნ და -თ სუფიქსები (ნართანანი), რომელიც გაბატონებული სახე იყო ძველ ქართულში.

ნართანიან მრავლობითს ჰქონდა სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, წოდებითი ბრუნვები. სახელობითსა და წოდებითში მრავლობითის ნიშანი იყო -ნ, დანარჩენ ბრუნვებში კი -თ სუფიქსი.

1774-81 წლების ქსნის ხეობის აღწერის მასალებში დიდი ადგილი უკავია -ანთ დაბოლოებულ სუფიქსიან ფორმებს, რომლებიც ამა თუ იმ გვარის წარმომადგენლების კუთვნილებაზე მიუთითებს და ამის შემდეგ ჩამოთვლილია მთელი რიგი საკუთარი სახელების ონომასტიკონი, რომლებიც თანხმოდან და ხმოვანფუმიანი სახელებია, მაგალითები: ჩიტთანთ კარს: ჩიტთანთ ფოცხვერას შვილი გამიხარდი და მარტია, ჩიტთანთ შერმაზანის შვილი სეხნია, ჩიტთანთ ნარიმანის შვილი გიორგი. უკანუბანს: ჩიტთანთ გოდერძის შვილი შერმაზან, ჩიტთანთ სეხნიასშვილი პატარკაცი, სახა, კაცია. სამეგურს: სულაანთ ნადირასშვილი მეცხვარე, ნავროზაანთ გამიხარდისშვილი ბერო, გოგია, გამახარე. ნავროზაანთ ომანას შვილი გვიანა და დემეტრე. ქურთას: უთლენიანთ გიორგი და გამახარე, უთლენიანთ ოთარას შვილი აბრამ და ადდგომელა. ალევს: ღუნანთ იმედას შვილი გიორგი, ღუნანთ შემაზას შვილი კურდღელა და თადილა, ღუნანთ ნიკოლას შვილი ივანე და გიორგი. გეზერეთს: შუღლიანთ გიორგის შვილი პეტრე, გელია და შიო, შუღლიანთ ქიტას შვილი ბერი და ზურაბი. მახიარეთს: ყველიანთ ელიზბარის შვილი ზურაბი და ელისბარ, ყველიანთ სეხნიას შვილი სიხარულა, ყველიანთ ქიტასშვილი ბერი, მახარებელი, პატარკაცი. თოხთას: ზანგურანთ პეტრეს შვილი კაცია, ყველიანთ ოთარას შვილი ელისბარ, ყველიანთ ბერის შვილი ზურაბა.

დღევანდელი ფორმით, მართლწერით როცა დასახელებულია რომელიმე გვარი ან შტოგვარი ნარიანი ფორმა ო ა-ს მოითხოვს სადაც ერთი ფუძისეულია, ხოლო მეორე ნ-სთან კავშირში აღნიშნავს გვარის კრებითობას. მაგალითები: სოფლის სახელები: ჩიტაანი, თინიკანი, პავლიანი, მიდელაანი, ბეჯიანი, ქენქაანი, ხოლო თვით გვარები ასე ფიქსირდება: ზანდუკლიანი, ღუნაანი, სულაანი, ნავროზაანი, ბუნტურიანი, ოდიანი, ხოკრიანი, თინიკანი, შატაკიანი, ქენქაანი, ბალხამიანი, წიპტურიანი, მიდელაანი, ზანგურაანი, ილურიანი, დორაულიანი, ბუთხუზიანი, ჯაბაურიანი, ფსუტურიანი, მორბედაანი, ქუტაანი, ბასიკანი. გოსთამანი და სხვა.

ასევე იწარმოება შტოგვარები: კოლაანი- გვარად იყო ფიცხელაური, ჯანბურაანი- გვარად არიან ქუტაშვილები.

პავლიაშვილების შტოგვარებია წინაპრის სახელის მიხედვით -ებიანი, გოგოლაანი, ონიკაანი, ხოსტაანი.

ელოშვილების შტოგვარებია: ლადოანი, ევსოიანი, ბეროიანი, გოგიანი, ვანოანი, დათუნაანი, შალვაანი.

შარმადინების შტოგვარებია: იმედაანი, ბერიანი, ხიზანაანი, ქიტანი, ძელიანი, ქავთარაანი, მახარაანი. შარმადინები წარმოშობით არიან ფშავიდან და წინაპრის გვარი იყო ქავთარაძე, რაც დღესაც ქავთარ რქმევის სახელია.

ბუთხუზების შტოგვარებია: ნადირაანი, გოგიაანი, ქიტესაანი, ბუთხუზაანი, სვიმონაანი, აბრამაანი, გლახაანი, ღარიბაანი.

ზემოხსენებულ ორივე აღწერაში ხეობის სოფლები სხვადასხვა ფორმით არის მოცემული, სადაც კომპონენტად გვხვდება: ხევი, უბანი, დაბა, კარი, რომელთა სათითაოდ განხილვა საჭირო და აუცილებელი საქმეა, მაგრამ მასალის სიდიდის გამო ამჯერად სათითაოდ განვიხილავთ კარ ფორმიან დასახელებებს, რომლებიც ერთ ათეულზე მეტია „ესენია: ილურთ კარს, პავლიანთ კარს, ბუჯიანთ კარს, ლორეულთ კარს, ჩიტიანთ კარს, აბაკთ კარს, შატაკთ კარს, ძეგნაანთ კარს, ტურანთ კარს, ციგრიანთ კარს, ქარელთ კარს...“

კომპოზიციის პირველი ნაწილი ნათესაობით ბრუნვაში მდგომი სახელი მრავლობით რიცხვში დგას და აღნიშნავს გვარს, რომლებიც დიდი გვარების დაყოფის შედეგად უზნებად ჩამოყალიბდნენ და უკვე ცალკე სოფლებს წარმოადგენენ. რაც შეეხება კარ ფორმას, ის მეორე კომპონენტია და უზნის მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

ზემოხსენებულ დასახლებებში 1774-81 წლების ქსნის ხეობის სტატისტიკაში იშვიათი გამონაკლისის გარდა, მხოლოდ ხსენებული გვარის ადამიანები ცხოვრობდნენ, რომლებიც ძირითადად ძე, შვილ დაბოლოებულ გვარებს ატარებდნენ და ჩანს, რომ წინაპართა სახელის მიხედვით იყო ეს გვარები გაფორმებული: თინიკათ- თინიკაშვილი, პავლიანთ- პავლიაშვილი, შატაკთ კარს- შატაკიშვილი, ჩიტიანთ კარს- ჩიტიშვილი, ილურთკარს- ილურიძე, ბუჯიან კარს- ბუჯიძე, შემდგომ ისინი ბუჯიაშვილები გახდნენ. წიპტურთ კარს- წიპტაურები არიან ან იყვნენ, შემდგომ მათაც შეიცვალეს გვარი, რაც სხვა გვარებისათვისაც არის დამახასიათებელი, თუმცა შემდგომ ამ თემის გარშემოც შეიძლება მსჯელობა.

ისევ ტერმინ „კარის“ შესახებ, რაზეც სულხან-საბა აღნიშნავს თავის ლექსიკონი ქართულში: „ბჭე სახლთა და ტამართა შესავალი, ხოლო კარი გასაღები და მოსაგდებელი (ორბელიანი, 1991: 195).

ი. აბულაძის განმარტებით, დარბაზი არის სასახლე, კარი სპარსულად. ასევე სპეციალურ ლიტერატურაში „დარბაზი სპარსულად კარს ნიშნავს“.

## დასკვნა

საუკუნეების განმავლობაში ქართულ-სპარსული პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობის შედეგად შესაძლებელია ეს ტერმინი დამკვიდრებულიყო ქართულში.

## ბიბლიოგრაფია

ბედოშვილი, გ. (1980). *ერწო-თიანეთის ტოპონომია*. თბილისი.

ზურაბაშვილი, თ. (1961). *ტოპონომიკის შესწავლისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები*. ტ. II. თბილისი.

მაკალათია, ფ. (1975). მრავლობითის -ებ, -ნ სუფიქსთა ტოპონომიკური ფუნქციისათვის. *მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია*. N4.

ორბელიანი, ს. ს. (1991). *ლექსიკონი ქართული*. I. თბილისი.

ქამადაძე, მ. (1978). ზემოაჭარული მიკროტოპონომიის წარმოების ზოგიერთი საკითხი. *მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია*. N1.

შანიძე, ა. (1980). *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*. ტ. III. თბილისი.

ჯავახიშვილი, ი. (1967). *საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები*. წიგნი I. დემოგრაფიული ძეგლები. თბილისი.

*Nikoloz Otinashvili*  
*Gori State University*

**GEOGRAPHICAL AND HUMAN NAMES OF KSNI VALLEY PRODUCED WITH SUFFIXES  
"IN THE POPULATION CENSUS MATERIALS"  
RESUME**

Toponymy and anthroponymy of the Ksni valley are structurally diverse. The suffixes -a, -eb, -an, -ant are especially distinguished. From historical sources, we have used the statistical description of the Ksni valley for the years 1774-1781, which is one of the great demographic monuments for getting to know the reality of that time.

The -a suffix will be attached to simple and complex toponyms: Kotsola, Nabada, Muja, Vazriula, Kldeshava... The -a suffix will also be attached to proper names: Basila, Makhara, Beruka, Khadila, Khizana, Nikola, Ninika, Berika, Khajara.

The -eb suffix expresses the plurality of the mentioned object with a toponym, anthroponym: Didi Chalibi, Yoseburi, Akhoi, Gaghmei, Garozashvili, Mzareulaanti, Gvritishvili, Nyauri... a large place is given to plural forms ending in -ant: Utneliant Giorgi, Ghunaant Giorgi, Zanguraant Petre, Otara to all, monk to all. Microtoponyms and branch surnames, that is, names of new families separated from the genus, are also produced.

**Key words:** Suffix, Toponymy, Anthroponymy, Valley, Composite.

ნათია სიხარულიძე

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

**გალაკტიონ ტაბიძის ერთი ლექსის გენეზისისათვის**

**საკვანძო სიტყვები:** გალაკტიონ ტაბიძე, რიტორიული, გალაკტიონოლოგია.

გალაკტიონის შემოქმედების „ოქროს ხანა“ 1927 წელს გამოცემული პირველი რჩეულით დაგვირგვინდა. „ზარნიშიან წიგნში“, როგორც მას ავტორი უწოდებდა, მკითხველისათვის უკვე ნაცნობ ტექსტებთან ერთად ორ ასულამდე ახალი ლექსიც გამოქვეყნდა. ის ტექსტები, რომლებიც „რჩეულში“ პირველად დაიბეჭდა, ყურადღებას იქცევს როგორც ახლებური, განსხვავებული შინაარსით, ისე უჩვეულო, ქართული პოეზიისათვის ნაკლებად დამახასიათებელი, ზოგჯერ უცნობი ფორმებითაც კი.

„ლექსთა კრებული მომდომო ტანის“ (ვასილ ბარნოვი) მაშინვე მოექცა ლიტერატურის კრიტიკოსთა და მკითხველის ყურადღების ცენტრში: გალაკტიონს ქართული ლირიკის მშვენიერება და სიამაყე უწოდეს, დაიწყეს საუბარი მის ღვთიურ ნიჭზე, კლასიკოსების – რუსთაველის, გურამიშვილის, ილიას, აკაკის – გვერდით მოიხსენიეს, როგორც ამ უკვდავ პოეტთა თანავარსკვლავედის სრულფასოვანი წევრი.

„ასეთი ლექსის მრავალფეროვნება, ლექსების სილამაზე, ქართული ენის სინარჩუნება და სიკვლავით არავის უნახავს“; „შენმა პოეზიამ დაჩრდილა ძველი და ახალი ლირიკოსები. სადღაა ბესიკი ან ალექსანდრე? სადღაა ილია ან აკაკი? ანდა ახლები?“ – ეს ფრაგმენტებია იმ გამოხმაურებებიდან, რომლებიც „ზარნიშიან წიგნის“ პუბლიკაციას მოჰყვა.

დღეს, თითქმის ასწლოვანი დისტანციიდან, შეიძლება ითქვას, რომ 1927 წლის „რჩეულმა“ შეაჯამა და სრულყოფილად წარმოაჩინა ის თემატური თუ პოეტიკურ-ვერსიფიკაციული ნოვაციები, რომლებიც გალაკტიონმა მოიტანა და დაამკვიდრა 1910-1920-იანი წლების ქართულ ლირიკაში.

სწორედ 1927 წლის წიგნში პირველად გამოქვეყნებულ ერთ, მკითხველისათვის ნაკლებადცნობილ ლექსს ეძღვნება ჩემი წერილი.

\*\*\*

გალაკტიონის სამსტროფიანი ლექსი „შენ გვიანდები“, რომელიც დაგვიანებული სატროფოსადმი (თუ მეგობრისადმი) მიმართვას წარმოადგენს, ქართული პოეზიისათვის უჩვეულო ფორმითაა დაწერილი:

**შენ გვიანდები,  
სხვა ხომალდები მოადგენ ნაპირს, დაუშვეს აფრა  
და ჩაჰყურებენ მძინარე ნაპირს კრეისერების მძიმე ლანდები,**

**წითლად ნანთები  
ზღვა იზმორება, ქაფის გორები არ ძრავს ფრეგატებს  
და სიშორეში ჰაეროვნად ლილიანდები,**

**ოქრო ნანთები  
დასძრა შუქურამ და აელვარდა შენს ირგვლივ ქაფზე  
ათასი ალი, ათასი ლალი და უმძიმესი ბრილიანტები.**

(ტაბიძე, 2016, გვ. 237)

სამსტრიქონიან სტროფიკას გალაკტიონი ჯერ კიდევ 1910-იანი წლების დასაწყისიდან მიმართავდა (გავიხსენოთ „არ მშორდება სევდა მწარე“; „მთის მწვერვალებს“), მაგრამ არათანაბარმარცვლიანი ტაეპებისგან შედგენილი ტერცეტები (პირველი-მესამე სტროფები: 5 15 20; მეორე სტროფი: 5 15 14), რომელთაც გართიმვის სპეციფიკური სისტემა აქვს (axa), პირველად ამ ლექსში გვხვდება.

„შენ გვიანდების“ განსხვავებული ფორმა შეუმჩნეველი არ დარჩენილა: გალაკტიონის პოეტური სტილის მკვლევარმა გიორგი მერკვილაძემ მიუთითა, რომ ნოვატორულია ამ ნაწარმოების სტრუქტურა, რითმა და რიტმი, მელოდია:

„ეს არის დაშორიშორებულ თუ შინაგანად შეფარულ რითმითა სრულიად ახლებური წყობა. გარეგნულად იგი თითქოს არ ექვემდებარება გარკვეულ რიტმულ სისტემას მისი ტრადიციული გაგებით და დისჰარმონიულიც კი არის გარკვეული მონაცვლეობითი საზომის დარღვევის გამო. მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითია. ფაქტიურად, „შენ გვიანდები“ ემორჩილება საოცარ შინაგან კანონზომიერულ დინამიკას და ჰქმნის სრულიად ახალ, ჭეშმარიტად ნოვატორულ პოეტურ წყობას, შინაგან რიტმსაც და ძლიერ რითმულ მელოდიასაც...“ (ყურნ. „მნათობი“, 1974, #4, გვ. 139).

გ. მერკვილაძის ნაშრომში ამ „ჭეშმარიტად ნოვატორული პოეტური წყობის“ რაობა გარკვეული არ არის. მეტიც: მიუხედავად ამგვარი მკვეთრად განსხვავებული ფორმისა, „შენ გვიანდები“ ლექსმცოდნეთა და გალაკტიონოლოგთა ყურადღების მიღმა დარჩა.

\*\*\*

გალაკტიონ ტაბიძის ახალ აკადემიურ გამოცემაზე მუშაობისას, როდესაც ამ ლექსის ხელნაწერ და ნაბეჭდ წყაროებს ვაკვირდებოდი, აღმოჩნდა, რომ პოეტს ავტოგრაფში ტექსტის სათაური რამდენჯერმე შეუცვლია და საბოლოო სახელწოდებად დაუტოვებია „რიტორნელი“, რომელიც თავდაპირველად ქვესათაურად ჰქონია ჩაფიქრებული.

რიტორნელი შუა საუკუნეების იტალიურ და ფრანგულ პოეზიაში გავრცელებული მყარი სალექსო ფორმაა. მისი თითოეული სტროფი სამი სტრიქონისაგან შედგება: პირველი ტაეპი შედარებით მოკლეა, ზოგჯერ მხოლოდ ერთ სიტყვიანად კი; რიტორნელს ახასიათებს სპეციფიკური გართიმვის სისტემა (axa, bxb, cxc).

გალაკტიონმა, როგორც ჩანს, ავტოგრაფისეული სათაურით ტექსტის ფორმას გაუსვა ხაზი. მართლაც, „შენ გვიანდები“ ზუსტად შეესაბამება რიტორნელის კლასიკურ განმარტებას, შეინიშნება მხოლოდ მცირე განსხვავება: გალაკტიონის ლექსს მთლიანად ერთი რითმა გასდევს (axa, axa, axa).

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, რიტორნელის სალექსო ფორმით დაწერილი ტექსტი ქართულ პოეზიაში გალაკტიონამდე დადასტურებული არ ყოფილა, ამდენად, „შენ გვიანდები“ რიტორნელის პირველი ნიმუშია ქართულ წყობილის ტყვაობაში. ეს ფაქტი განსაკუთრებით საყურადღებოა, რამდენადაც აღნიშნული მყარი სალექსო ფორმა, საზოგადოდ, იშვიათობას წარმოადგენს. მაგალითად, რუსულ პოეზიაში, როგორც აღნიშნავენ, მხოლოდ ორიოდე რიტორნელი გვხვდება.

იმავე ავტოგრაფში, რომელმაც ჩვენთვის საინტერესო ნაწარმოების ვარიანტი შემოგვინახა, რამდენიმე სხვა ლექსის ხელნაწერიცაა წარმოდგენილი. აქ ვხვდებით ვილანელის, გაზელას, ტრიოლეტის და სხვა სალექსო ფორმების ნიმუშებს. გალაკტიონს ეს ნაწარმოებები დაუნომრავს. ნუმერაცია ცხადყოფს, რომ პოეტს ტექსტები ორიგინალურ ციკლად ჰქონდა გააზრებული, სადაც ლექსები გაერთიანებული იქნებოდა არა ტრადიციულ თემატურ რკალად, არამედ – ფორმის თვალსაზრისით: თითოეული ტექსტი ამ ჰიპოთეტური ციკლისა ქართული პოეზიისათვის უცნობი ან ნაკლებად დამახასიათებელი სალექსო ფორმითაა დაწერილი.

ამ ავტოგრაფზე საუბრისას ადრე, ერთ წერილში გამოვთქვი ვარაუდი, რომ აღნიშნული სალექსო ფორმების ცალკეულ ნიმუშებს გალაკტიონი უნდა გასცნობოდა ცნობილი პოეტისა და ლექსმცოდნის – ვალერი ბრიუსოვის 1918 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „ცდები“. აქვე გაირკვა ისიც, რომ „მშობლიური ეფემერას“ საწყისი ვარიანტი, – შალვა ამირეჯიბისადმი მიძღვნილი ფრაგმენტი, რომელიც ერთ-ერთია ამ ავტოგრაფში წარმოდგენილ დანომრილ ტექსტთაგან, – შთაგონებული ყოფილა ვ. ბრიუსოვის კონკრეტული ნაწარმოებით – „დაისის სიაღე“ („Закатная алоость“).

ამ ფაქტმა დაბადა აზრი, რომ გალაკტიონის რიტორნელის – „შენ გვიანდების“ პირველწყაროც ბრიუსოვის დასახელებულ წიგნში მოგვეძებნა. მართლაც, „ცდების“ კიდევ ერთხელ დაკვირვებულმა გადათვალთვალა ცხადყო, რომ „შენ გვიანდები“ შექმნილია რუსი ავტორის რიტორნელის ფორმით დაწერილი ლექსის – „სამი სიმბოლოს“ („Три символа“) მიხედვით:

**Серо**

**Море в тумане, и реет в нем рея ли, крест ли;  
Лодка уходит, которой я ждал с такой верой!**

**Прежде**

**К счастью так думал уплыть я. Но подняли якорь  
Раньше, меня покидая... Нет места надежде!**

**Кровью**

**Хлынет закат, глянет солнце, как алое сердце:  
Жить мне в пустыне отныне — умершей любовью!**

(ნაცრისფერია

ზღვა ნისლში და ირხევა მასში რაღაც. ჯვარია ვითომ?  
მიდის ის ნავი, რომელსაც მე ასეთი რწმენით ველოდი!

წინათ

ასე ვფიქრობდი გამეცურა ბედნიერებისაკენ, მაგრამ ამოსწიეს ღუზა  
უფრო ადრე, მე მიმატოვეს... იმედისთვის ადგილი აღარ დამრჩა.

სისხლად

ამოხეთქავს დაისი. გამოიხედავს მზე, როგორც ალისფერი გული:  
ამიერიდან უდაბნოში უნდა ვიცხოვრო – მკვდარი სიყვარულით).

(ბრიუსოვი)

ბრიუსოვის ლექსი, რომელიც სამი საღვთისმეტყველო სათნოების სიმბოლიკას ემყარება, ზღვის პირას მყოფი ლირიკული გმირის მონოლოგს წარმოადგენს. ყველასგან მიტოვებული პერსონაჟი რწმენის, იმედისა და სიყვარულის კვდომის ტრაგიკულ ამბავს გვამცნობს და პეიზაჟსაც განწყობის შესაბამისს ხატავს: ზღვა ნაცრისფერია და ნისლში დანთქმული, დაისი სისხლად ამოხეთქავს, მზე კი ალისფერ გულს ედარება.

პირველწყაროსაგან განსხვავებით, გალაკტიონის ლექსში ლირიკული გმირის მონოლოგს კონკრეტული ადრესატი ჰყავს. ტექსტის დასაწყისშივე ხაზგასმული დაპირისპირება: „შენ“ – „სხვა ხომალდები“ გვაფიქრებინებს, რომ პოეტი დაგვიანებულ ხომალდს მიმართავს, რომ გემის ბუნდოვანი კონტურები იტაცებს პერსონაჟის მზერას, როცა ამბობს: „სიშორეში ჰაეროვნად ლილიანდები“; ფინალურ სტროფში კი ჩამავალი მზისგან აელვარებულ ზღვაში „ლალებითა“ და „ბრილიანტებით“ გარშემორტყმული, იდუმალი ფრეგატის შთამბეჭდავ სურათს წარმოგვიდგენს.



როგორც ვხედავთ, გალაკტიონმა ბრიუსოვის ლექსში ასახული სიტუაცია მკვეთრად შეცვალა: ნავის წასვლით გამოწვეული გულისტკივილი („მიდის ის ნავი... ამოსწიეს ღუზა“) გემის დაგვიანების მოტივით ჩაანაცვლა, რუსი პოეტის ტექსტისათვის დამახასიათებელი ტრაგიკული განწყობილება კი – იმედიანი მოლოდინით შეცვალა. შესაბამისად, აქ პეიზაჟიც სხვაგვარად იხატება, თითქოს საზეიმო ელფერიც კი აქვს ძვირფასი ქვების ბრწყინვალეობასთან შედარებულ მოელვარე ზღვის სურათს.

დაგვიანებული გემის მოტივი, რაც გალაკტიონის ლექსს პირველწყაროსაგან მკვეთრად განასხვავებს, შესაძლებელია, დაკავშირებული იყოს მხატვრულ ლიტერატურაში გავრცელებულ ლეგენდასთან გემი-მოჩვენების შესახებ. თქმულება აფრიან ხომალდ-მოჩვენებაზე, რომელიც ნაპირს ვერ უახლოვდებოდა და სამუდამოდ ზღვაში უნდა ეცურა, სიმბოლისტურ პოეზიაში, ძირითადად, ვაგნერის ოპერიდან – „მფრინავი ჰოლანდიელიდან“ – დამკვიდრდა. გამორიცხული არ არის, ჩვენთვის საინტერესო ლექსი სწორედ ვაგნერის ოპერას ეხმიანებოდეს, მით უფრო, რომ გალაკტიონის 1910-20-იანი წლების არაერთ ნაწარმოებშია („გემი „დალანდი“, „მეოცნებე აფრებით“, „ლურჯი ხომალდი“ და სხვ.) შენიშნული და დადასტურებული „მფრინავი ჰოლანდიელის“ ცალკეული მოტივების ანარეკლი.

თუმცა, „შენ გვიანდების“ ხელნაწერზე შემდგომი დაკვირვება მეტყველებს, რომ პოეტის კონკრეტული ჩანაფიქრი სხვაგვარი უნდა ყოფილიყო.

მიუზბრუნდეთ ავტოგრაფს.

\*\*\*

როგორც აღვნიშნე, ხელნაწერში ლექსის სათაური გალაკტიონმა რამდენჯერმე შეცვალა. ტექსტის თავდაპირველი სახელწოდება იყო „შორი ხომალდი“, ქვესათაური კი – „რიტორნელი“. შემდეგ, ლექსის სწორებისას, ჩნდება ახალი სათაური – „ვერიკო ანჯაფარიძეს“. ეს სათაურიც გადახაზულია. ავტოგრაფში ტექსტის საბოლოო სახელწოდებად დატოვებულია სალექსო ფორმის აღმნიშვნელი „რიტორნელი“.

ლექსის ჩანაფიქრის და სათქმელის გასაგებად ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სათაური – „ვერიკო ანჯაფარიძეს“, რომელიც ნაწარმოების ადრესატზე მიგვითითებს და, ამასთანავე, შესაძლოა, ლექსის შექმნის თავდაპირველ იმპულსზეც გვაწვდიდეს ინფორმაციას.

თუ ტექსტს ადრესატის ვინაობის გათვალისწინებით წავიკითხავთ, ბუნებრივია, გაჩნდება კითხვა: რატომ უნდა მიეძღვნა მსგავსი შინაარსის ლექსი პოეტს ვერიკო ანჯაფარიძისათვის? გალაკტიონის ბიოგრაფიის ჩვენთვის ცნობილი ფაქტები და პოეტის ჩანაწერები მსახიობთან მხოლოდ და მხოლოდ ჩვეულებრივ ნაცნობობას ადასტურებს და ამგვარი შინაარსის ნაწარმოების დასაწერად არანაირ საფუძველს არ ქმნის. ამის გამო ავტოგრაფისეული მიძღვნილი სათაურის ასახსენლად ერთადერთი გზა რჩება – მსახიობი ქალის ბიოგრაფიის იმ დროითი მონაკვეთის გაცნობა-გათვალისწინება, როდესაც გალაკტიონის ლექსი იწერებოდა.

1910-1920-იანი წლების მიჯნაზე ვერიკო ანჯაფარიძის ცხოვრება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ცნობილ პოეტთან და ეროვნულ მოღვაწესთან – შალვა ამირეჯიბთან. შალვა უნუგემოდ, ცალმხრივად იყო შეყვარებული მასზე თითქმის 11 წლით უმცროს ქალიშვილზე. როგორც იხსენებენ, ვერიკო აღტაცებული ყოფილა ამირეჯიბის პიროვნებით, პატივს სცემდა ვაჟის გრძნობებს, თუმცა თვითონ საპასუხო გრძნობა არ გასჩენია. მათი ქორწინება მაინც შედგა. 1924 წლის აჯანყების შემდეგ შალვა ამირეჯიბი იძულებული გახდა სამშობლოდან გადახვეწილიყო. ვერიკო მას თან არ გაჰყოლია. გადმოცემის თანახმად, ეს არავის გაჰკვირვებია.

ემიგრაციაში წასვლამდეც და შემდეგაც ვერიკო ანჯაფარიძე შალვა ამირეჯიბის პოეტური შთაგონება, მისი მუზა იყო.

ამ ფაქტების გათვალისწინებით, ვფიქრობ, გალაკტიონის ლექსის ლირიკული პერსონაჟის პროტოტიპად შალვა ამირეჯიბი უნდა ვიგულისხმოთ – ის, ვინც ტექსტში ვერიკოს მიმართავს, მსახიობის პირველი მეუღლე და მასზე თავდავიწყებით შეყვარებული პოეტია. შესაძლებელია ითქვას, რომ „შენ გვიანდები“ შალვასა და ვერიკოს დრამატული ურთიერთობის ანარეკლია: გალაკტიონის ლექსში სამშობლოდან შორს მყოფი, განსაკუთრებით ძვირფასი ადამიანის მომლოდინე კაცის მონოლოგია გადმოცემული, ასახულია იმ ადამიანის განცდები, რომელსაც საყვარელ ქალთან შეხვედრის იმედი ჯერ კიდევ არ დაუკარგავს – შორს, ჰორიზონტზე მის სილუეტსაც კი ხედავს.

შალვა ამირეჯიბის, როგორც ლირიკული პერსონაჟის, გამოჩენა 1920-იან წლებში დაწერილ ამ ლექსში მოულოდნელი არ უნდა იყოს, თუ გავითვალისწინებთ, რომ გალაკტიონმა „მშობლიური ეფემერას“ თავდაპირველი ვარიანტი სწორედ მას მიუძღვნა და ეს ტექსტი, როგორც უკვე აღვნიშნე, იქვე, ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერის მეორე გვერდზეა წარმოდგენილი.

ადრესატზე მინიშნება არამხოლოდ „შენ გვიანდების“ თავდაპირველ სათაურში, არამედ ნაწარმოების ტექსტშიც შეინიშნება. ვერიკოსადმი მიძღვნილი ამირეჯიბის ლექსები შესულია პოეტის 1920 წელს გამოცემულ წიგნში „მინანქრები“. საგულისხმოა, რომ „მინანქრები“ მხოლოდ კრებულის

სათაურში არ ფიგურირებს, იგი მსახიობისადმი მიძღვნილ ყველაზე ცნობილ ლექსშიც გვხვდება და ქალ-ვაჟის ურთიერთობის ერთგვარ სიმბოლოდაც აღიქმება:

თქვენ სიყვარულზე მითხარით „არა“  
და მომიხურეთ გულის კარები,  
მაგრამ მე მაინც ტკბილ არმალანად  
მოგართვით ლურჯი მინანქარები.  
(ამირეჯიბი)

ამ ოთხსტროფიან ტექსტში – „ვ.(ერიკო) ა.(ნჯაფარიძეს)“ – მინანქრები კიდევ ორჯერ გვხვდება („მას ბევრი ჰქონდა ზურმუხტ-ლალები, / მაგრამ მინანქრებს არ ადარებდა“; „ქარი არხევდა ალბად ქათიბსა და ჟღარუნობდნენ მინანქარები!“).

ვფიქრობ, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ გალაკტიონის ლექსში შორეული სატრფო სწორედ ძვირფასი ქვების „ათასი ლალისა და უმიძმესი ბრილიანტების“ ელვარების ფონზე მოსჩანს. ამირეჯიბის „მინანქრებზე“ ალუზია კიდევ უფრო ზუსტი და აშკარაა გალაკტიონის ამავე პერიოდში დაწერილ ლექსში „ლილიან ფრთებით“, რომელიც სახეობრივი და შინაარსობრივი მსგავსების გამო იმავე სიყვარულის ისტორიით შთაგონებულად შეიძლება მივიჩნიოთ: „აჰა, შევნება... მოგცა ლურჯი ცა და მინანქარი“.

უნდა ითქვას, რომ შალვა ამირეჯიბის პოეტური კრებული „მინანქრები“ დღემდე ინახება გალაკტიონის პირად ბიბლიოთეკაში. წიგნის ამ ეგზემპლარის გადათვალიერება და მინაწერებზე დაკვირვება იმასაც ცხადყოფს, თუ როგორი ყურადღებით წაუკითხავს პოეტს ამირეჯიბის კრებული. შესაძლებელია, ამგვარი ინტერესი იმ ფაქტმაც გამოიწვიას, „მინანქრები“, როგორც სათაურის, ისე პოეტური სტილის მხრივ გალაკტიონისთვის განსაკუთრებით ძვირფასი ავტორის – თეოფილ გოტიეს უმნიშვნელოვანესი პოეტურ კრებულით – „მინანქრებით და კამეებით“ რომ არის შთაგონებული.

საბოლოოდ, „შენ გვიანდების“ ტექსტის ისტორია შეგვიძლია ასე წარმოვიდგინოთ: გალაკტიონი გადაწყვეტს შექმნას ორიგინალური ლირიკული ციკლი, რომელშიც ლექსებს გააერთიანებს არა თემატური სიახლოვე, არამედ – ფორმისეული სიახლე. სწორედ ამ მიზნით ეცნობა იგი ვალერი ბრიუსოვის წიგნს „ცდები“, რომელშიც ათეულობით განხვავებული სტრუქტურის ტექსტია შეტანილი. კითხვისას პოეტი ყურადღებას შეაჩერებს რამდენიმე ნაწარმოებზე, მათ შორის ლექსზე – „სამი სიმბოლო“. რუსი პოეტის რიტორნელის შინაარსი – რწმენის, იმედის და სიყვარულის გაქრობა – მის თვალწინ განვითარებულ, გახმაურებული სიყვარულის დრამატულ ამბავს გაახსენებს. ზოგადად, აშკარაა, რომ გალაკტიონი 1920-იან წლებში ბევრს ფიქრობს შალვა ამირეჯიბზე, მის ლექსებსა და პიროვნულ ბედზე. ასე იწერება „შენ გვიანდების“ თავდაპირველი ვარიანტი ადრესატის მითითებით. ტექსტზე მუშაობისას გალაკტიონი ინარჩუნებს ქართული პოეზიისათვის მანამდე უცხო სალექსო ფორმას. ამასთანავე, შინაარსობრივად „შენ გვიანდები“ ერთგვარი პასუხია ლექსზე „სამი სიმბოლო“: გალაკტიონის მიხედვით, უკიდურესი სასოწარკვეთის დრო ჯერ არ დამდგარა, რადგან სატრფომ სამუდამოდ კი არ მიატოვა ვაჟი, მას მხოლოდ აგვიანდება. პერსონაჟის ლოდინი ამაო არ არის – სიშორეში მოჩანს კიდევ მშვენიერი ქალი, ლილისფერი, ჰაეროვანი ლანდის სახით. პირველწყაროს ამგვარი ინტერპრეტაცია გალაკტიონის მიერ, ერთი მხრივ, ლექსის პერსონაჟად მოაზრებული შალვა ამირეჯიბისადმი თანაგრძნობას გამოხატავს, ხოლო, მეორე მხრივ, შინაარსში ამ ცვლილებების შეტანის შედეგად „შენ გვიანდები“ გალაკტიონის სასიყვარულო ლირიკის განუყოფელი ნაწილი ხდება – აქ წარმოსახული სატრფოს სახე კიდევ ერთი ხატებაა მარადქალურის, არაქვეყნიური ლანდის, ზეციური მიუწვდომელი არსებისა, რომელსაც მუდმივად ელოდება მისი ლირიკული გმირი.

ამ ლექსის დაწერიდან დაახლოებით ორი ათეული წლის შემდეგ შალვა ამირეჯიბი ემიგრაციაში აღესრულა – სიცოცხლის ბოლომდე ერთადერთ ქალზე შეყვარებული მარტოობაში გარდაიცვალა. ვერიკო ანჯაფარიძე კი არაერთი პოეტის შთაგონების წყარო გახდა – უკვე საქვეყნოდ აღიარებულ მსახიობს ლექსებს უძღვნიდნენ იოსებ გრიშაშვილი, ლადო ასათიანი, იოსებ ნონეშვილი...

ამ მიძღვნილი, პანეგირიკული ხასიათის ტექსტების ფონზე გალაკტიონის ლექსი რჩება, როგორც ახალგაზრდა მსახიობისა და უმწიკვლო პატრიოტის დრამატული სიყვარულის ანარეკლი, რომელშიც გადარჩენილია სატრფოს მომლოდინე შალვა ამირეჯიბის განცდები და იმედები.

\*\*\*

1927 წლის „რჩეულმა“, როგორც სტატიის დასაწყისში ითქვა, სალიტერატურო კრიტიკისა და მკითხველის საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია. მრავალრიცხოვან გამოხმაურებათაგან გალაკტიონისთვის, ვფიქრობ, ძალიან ძვირფასი და მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო მისი უახლოესი მეგობრის – მხატვრისა და პოეტის – ირაკლი ტოფაძის პირადი წერილი, რომელშიც განსაკუთრებული

ყურადღებაა გამახვილებული ლექსების ფორმისეულ სიახლეზე – „რჩეულის“ იმ ასპექტზე, მხედველობიდან რომ გამორჩა წიგნის შემფასებელთა უმრავლესობას:

„გალაკტიონ, რამდენიმეჯერ გადავიკითხე გულდასმით თქვენი ახალი წიგნი და ყოველთვის აღტაცებაში მოვდი... ეს წიგნი, უეჭველია, არის ქართული პოეზიის ძვირფასი საუნჯე უნაზესი ფერებით სავსე. ამ წიგნში ჩანს თქვენ გენიასთან თქვენი დიდი ლაბორატორიული მუშაობა. დღემდის უმაგალითოა ქართულ ლიტერატურაში ლექსის ამდენი ფორმების მოძებნა და ვფიქრობ, აწიცი ვერავინ მონახოს იგი“...

საკუთარი და, საზოგადოდ, თანამედროვე პოეზიის ერთ-ერთ უმთავრეს მიღწევად გალაკტიონს სწორედ ლექსის ფორმის განახლება ესახებოდა. წერდა კიდევ ათწლეულების შემდეგ: „მეოცე ქართული საუკუნის პოეზია მოვიდა და დამკვიდრდა სრულიად ახალი რითმებითა და ასსონანსებით, ახალი ლექსთა წყობით, ახალი ხმოვანებით, შემოტანილი იქნა ახალი ფორმები \_ შემოვიდა ბალადა, გაზელა, სონეტი, ოკტავა, ტერცინები, ტრიოლეტები, სექსტინა, რონდო, კანცონები და სხვ.“

ვფიქრობ, ამიერიდან ამ ჩამონათვალს უნდა დაემატოს კიდევ ერთი იშვიათი ევროპული სალექსო ფორმა – რიტორნელი.

\*\*\*

ისტორია ლექსისა „შენ გვიანდები“ ცხადყოფს, რომ გალაკტიონის პოეტიკური ნოვაციები ჯერ კიდევ სრულად არ არის შესწავლილი, დასადგენი თუ დასაზუსტებელია მის მიერ შემოტანილი და დამკვიდრებული მრავალფეროვანი ვერსიფიკაციული სიახლეები, თუნდაც მყარი სალექსო ფორმები. საფიქრებელია, რომ გალაკტიონის შემოქმედების ამ ასპექტით დაკვირვებული კვლევა კიდევ არაერთ საგულისხმო ფაქტს გამოავლენს.

#### ბიბლიოგრაფია

ტაბიძე, გ. (2016). *თხზულებანი თხუთმეტ ტომად*. ტ. III. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემა.

Poetry lovers' Community. (თ.გ.). *შალვა ამირეჯიბი*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://poetry.ge/pages/shalva-amirejibi/poems/2-v-eriko-a-njafaridzes>

Брюсов, В. (б.д.). *Три символа*. Получено из <https://chitaemstihi.ru/valerij-brjusov/tri-simvola/>

#### *Natia Sikharulidze*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

#### **FOR THE GENESIS OF A POEM BY GALAKTION TABIDZE**

#### **RESUME**

The report analyzes Galaktion's poem "You Are Late". of wine that it is a sample of the ritornelli. The text according to which this ritornel was written is also compared.

Galaktion's own and, in general, one of the most important aspects of contemporary poetry was concerned with the renewal of the verse form. He even wrote decades later: „Twentieth Georgian poetry came and established itself with completely new rhymes and assonances, new verse structures, new vowels, new forms were introduced - ballad, gazelle, sonnet, octave, tercini, triolets, sextina, rondo, canzones and other“. I think, from now on, another rare European verse form should be added to this list - ritornel.

The history of the poem "You are late" reveals that Galaktion's poetic innovations have not yet been fully explored, and the diverse versification innovations introduced and established by him, even solid verse forms, have not been established or specified. It is conceivable that a study observed in this aspect of Galaktion's creation will reveal many more significant facts.

**Key words:** Galaktion Tabidze, Ritornel, Galaktionology.

**ილია ჭავჭავაძის ეროვნული კონცეფცია  
(პუბლიცისტური და მხატვრული ნააზრევის მიხედვით)**

**საკვანძო სიტყვები:** ილია ჭავჭავაძის პუბლიციზმი, მხატვრული ნაწარმოებები, ეროვნული და ეკონომიკური კონცეფციები, ევროპა და მსოფლიო.

ილია ჭავჭავაძემ დაგვიტოვა უზარმაზარი მემკვიდრეობა, რომლის შესასწავლად იღვწის მრავალი თაობის ქართველი. მას სწავლობენ, როგორც ნაციონალისტური იდეების შემქმნელს, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გზის გამკვალავს, როგორც ქართული კულტურის გამომღვიძებელს, პედაგოგიკის საფუძვლების ჩამყრელს, ეროვნული მეობის განცდის გამღვიძებელს...

მის მრვალმხრივან, მრავალგანზომილებიან შემოქმედებაში ამაჯერად გამოვყოფთ რამდენიმე პუბლიცისტურსა და მხატვრულ თხზულებას, რომლებშიც მკვეთრად, გარკვეულადაა ჩამოყალიბებული ეროვნული კონცეფცია. ჩვენი მიზანია, დავაკვირდეთ, როგორ ეთანააზრება ერთმანეთს ილიას მხატვრული და პუბლიცისტური ნააზრევი. როგორ იცნობდა და რა მიზნით უწევდა პოპულარიზაციას ქართველი მოღვაწე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში მიმდინარე ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას.

ნაშრომში ვიყენებთ, ძირითადად, ისტორიულ-შედარებით მეთოდს. ასევე დაკვირვებისა და ანალიზის მეთოდებს.

სიმონ ხუნდაძე აღნიშნავს, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ინტელიგენციის სოციალურ-პოლიტიკური აზროვნების შემუშავებაზე 3 დიდი ფაქტორი ახდენდა ზეგავლენას:

ა) საქართველოს ეკონომიკური წყობილება, მისი სამეურნეო სტრუქტურა და ამ ნიადაგზე აღმოცენებული სოციალური კლასები, იგივე წოდებები ;

ბ) რუსეთის შემოსვლა საქართველოში და მის მიერ შემოღებული სოციალურ- პოლიტიკური სისტემის შედეგები საქართველოსთვის;

გ) ჩვენი ქვეყნის დაახლოება რუსეთისა და ევროპის კულტურასთან.

მკვლევარი, მიმოიხილავს რა ჩვენს ქვეყანაში არსებულ მაშინდელ მდგომარეობას, ამბობს, რომ საქართველოში ეროვნული საკითხი ორგვარი ფორმით იყო წამოჭრილი:

1. საქართველო, რომელიც მანამდე გარშემორტყმული იყო მუსულმანური სახელმწიფოებით და გახლდათ მათ მიერ დაპყრობილი, მოჰყვა მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გავლენის ქვეშ;

2. შიგნით საქართველო დაყოფილი იყო სამეფოებად.

რუსეთიც, სხვა დამპყრობლებივით, დაადგა ქართველთა დენაციონალიზაციის გზას და მისი სახელმწიფო სისტემა უმძიმეს ტვირთად დააწვა ხალხს (ხუნდაძე, 1927: 53-55). ეს ძალიან კარგად ესმოდა ილია ჭავჭავაძეს. ის თავის წერილში „ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ“ წერდა, რომ რუსეთმა საქართველოს ეკონომიკურ წყობას ყური არ უგდო, მან ჩამოაგდო უსწორმასწორობა მიწის მფლობელობასა და კომლში, რამაც გამოიწვია ქართველი გლეხის მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნა. მოვუსმინოთ, რას ეუბნება ილია ლელთ ღუნისას „მგზავრის წერილებში“:

- ეხლა რომ მშვიდობიანობა არის?

- რაის ვაქნევ ცარიელ მშვიდობას ცარიელ სტვამაქით.

ხოლო როცა მოხევე ილიას უყვება მოხევეთა მიერ კახეთის ლაშქრის ამოხოცვის ამბავს, მწერალი გაკვირვებით ეკითხება, ეს რად მომიყვებო, ლელთ ღუნია პასუხობს: აწინა ყაველნი ქართველნი ძმანი ვართო. მაგრამ მაინც ძველ წყობას აქებს, რადგან მაშინ მეფეთა წყალობა ერთგულებისას დიდი გახლდათო. ასე გადაეჯაჭვება ილიას პუბლიცისტისკასა და პროზაში ერთმანეთს ეროვნული და ეკონომიკური სატკივარი და ის მთელი თავისი ცხოვრება ეცდება, რომ საქმე წაღმა თუ არა, სასიკეთოდ მაინც შემოატრიალოს. ამიტომაც თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ილია გახლდათ ნაციონალისტური იდეოლოგიის ჩამომყალიბებელი საქართველოში. ბევრ მკვლევარს ეს ხაზგასმით აღუნიშნავს თავის გამოკვლევაში.

ილიასთვის მამული იგივე ღმერთია (*ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული*). ღვთის სამსახური არ განერჩევა მამულის მსახურებისგან და პირიქით, მამულისთვის გაწეული ღვაწლი ღვთის ნების განხორციელებაა. ეროვნული ერთიანობის იდეა ჩამოაყალიბა ილია ჭავჭავაძემ ე. წ. „საერთო

ნიადაგის“ თეორიით, რომელსაც თამაზ ჯოლოგუა განსაზღვრავს, როგორც ნაციონალური კონსოლიდაციის კონცეფციას (ჯოლოგუა, 2022: 174).

საინტერესოა მარიამ ჩხარტიშვილის წერილი „ილიას ეროვნული კონცეფცია ნაციონალიზმის იდეოლოგიის უნივერსალიების შუქზე“, რომელშიც მკვლევარი აყალიბებს ნაციონალიზმის იდეოლოგიის ასპექტებს და წერს, რომ *ქართული ერთობის (ქართველი ხალხის) ისტორიის დასაწყისი უძველეს ხანაში იკარგება. უკვე მე-11 საუკუნეში ამ ერთობამ მიაღწია კონსოლიდაციის იმ დონეს, რომ ზოგი მეცნიერი დაბეჯითებით მიუთითებს, ქართულ ნაციას XI-XII საუკუნეებში ჩაეყარა საფუძველი. ისიც უნდა ითქვას, რომ ნაციონალიზმის მრავალი სახესხვაობა გვხვდება, მაგრამ ეს არ ცვლის მის არსს. თითოეულს აქვს განმეორებადი ნიშნები, რომლებიც თავს იჩენს ყველგან, სადაც კი ნაციონალიზმის იდეოლოგიასთან გვაქვს საქმეო* (ჩხარტიშვილი, 2022: 53). მ. ჩხარტიშვილი ილიას ეროვნულ კონცეფციას სწორედ ნაციონალიზმის იდეოლოგიის საფუძველზე განიხილავს. ის იშველიებს ე. სმითს, რომლის მიხედვით ნაცია - ეს ადამიანთა ისეთი ერთობაა, რომლის საფუძველსაც კოლექტიური კულტურული იდენტობა წარმოადგენს. ე.ი. ეს იდენტობა სხვა არაფერია, თუ არა კოლექტივის კულტურა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში არსებობს ქართული ნაცია, მაგრამ მას, სამწუხაროდ, ამ დროს დამოუკიდებელი სახელმწიფო არა აქვს, ასევე თითქმის დავიწყებული აქვს საკუთარი დიადი წარსული. ის რუსეთის სახელმწიფოს ერთ-ერთი გუბერნიაა. რა გზას უნდა დაადგეს მიძინებული ქვეყანა? ჭავჭავაძემ ჭაბუკობიდანვე დაიწყო ამაზე ფიქრი. ეს კარგად ჩანს „მგზავრის წერილებში“. აქ არ შეიძლება, არ გაგვახსენდეს გ. ქიქოძის სიტყვები: „ეროვნება ცოცხალი ორგანიზმია და ის მწვავე ტკივილებს განიცდის, სანამ შესაფერის პოლიტიკურ ფორმას იპოვიდეს“ (ქიქოძე 2003: 100). მიხაკო წერეთლის სიტყვებით „ილია ჭავჭავაძისთვის ერი ცოცხალი საზოგადოებრივი პიროვნება იყო“ (წერეთელი, 1996: 166). ამიტომ მთავარი შეკითხვა, რომელიც ტრიალებს სამშობლოში მომავალი ახალგაზრდის გონებაში, არის ერთი: რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე. ან კი შევძლებ, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და გამოვაფხიზლო? ჭავჭავაძეს არ აინტერესებს რომელიმე კლასი, ის მთელი საქართველოს ჭირისუფალია, მიილტვის, რომ დავრდომილი აღადგინოს, უნუგემოს ნუგეში მოჰფინოს, მტირალი დააწყნაროს, აღელვებული დაამშვიდოს, დანალღლიანებულს იმედი ჩაუსახოს და ის ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება, ყოველ ქართველში არ ბჟუტავდეს, ერთ დიდ კოცონად შეაგროვოს და ააგიზგიზოს.

რუსული იმპერიის ფარგლებში გადაადგილების ერთ-ერთ ძირითად საშუალებაზე - „პოვოზკაზე“- მჯდომ ილიასა და ფრანციელს ეს პოვოზკა ირონიის საგნად გაუხდიათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჭავჭავაძე უცხოელის პირით გამოთქვამს თავის აზრს. ასევე ამ ნაწარმოებში საინტერესოა გზისთვის ლიტერატურული დანიშნულების მინიჭება. სწორად შენიშნავს მკვლევარი ბოლქვაძე, ილია ჭავჭავაძე ადგას გზას, რომელიც საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავს და მეტაფორულ აზრს ატარებს: იგი არა მარტო უცხო და მშობლიურ ტერიტორიებს შორის გავლებული საზღვარია, არამედ იდეურ - ზნეობრივი წყალგამყოფიც (ბოლქვაძე, 2010: 23). მგზავრს სურს, იპოვოს საქართველოს განვითარების გზა. ამის ჩვენებას ემსახურება „მგზავრის წერილები“. საქართველოსკენ მომავალი ახალგაზრდა ჭაბუკი ამ მიზანს უქვემდებარებს მთელ თავის სიცოცხლეს და იწყებს აქტიურ მუშაობას. მას კარგად ესმის, რომ ნაცია საერთო ბედისწერის მქონე კოლექტივია, რომელსაც ჰქონდა ბრწყინვალე პერიოდები წარსულში და ექნება მომავალშიც. აწმყო კი პრობლემებით სავსეა. ოლივერ რაისნერის თქმით, ერის, ანუ ხალხის, და, შესაბამისად, ეროვნების, როგორც განყენებული აბსტრაქციის საშუალებით, ილიამ და თერგდალეულებმა (როგორც შეარქვეს რუსეთში სწავლა-განათლებამიღებულებს) შეძლეს იდენტობის კრიზისის გადალახვა და გადაჭრაც. მათ ცნება „თერგდალეული“ აქციეს პოზიტიურ დასახელებად საკუთარი ჯგუფისა, პირველად 1861 წელს გამოჩნდნენ ჟურნალ „ცისკარში“ და გაილაშქრეს „მამების“ წინააღმდეგ. ახალი ცხოვრება მათთვის იყო ცალკეული ქართველის, როგორც გაგლეჯილი ჯაჭვის ნაწილების, შეგროვება და გაერთიანება მონოლითურ ორგანიზმად. ამასთანავე, მათ აუცილებლად მიაჩნდათ რუსული კულტურისაგან გამიჯვნა. ჭავჭავაძე თავის პუბლიცისტურ წერილებსა და მხატვრულ ნაწარმოებებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს წარსულს. ამით ხმამაღლა და დაუფარავდ, ყველას გასაგონად აცხადებს, რომ ერს, რომელსაც დიდებული წარსული ჰქონდა, აქვს უფლება და ვალდებულება კი, მომავალშიც დამოუკიდებლად იცხოვროს.

1888 წელს ილია ჭავჭავაძე აქვეყნებს წერილს დავით აღმაშენებლის მოსახსენებელი დღისთვის და ამბობს, რომ ერის გათახსირება და დაცემა იწყება მაშინ, როცა ის თავის ისტორიას ივიწყებს. ისტორიას კი პუბლიცისტი უწოდებს სარკეს, რომელსაც შეუძლია, გვიჩვენოს ჩვენი ერის დღევანდელი მდგომარეობისა და გაძლიერების გზები. რა არის ისტორია? - სვამს ჭავჭავაძე კითხვას და თვითონვე პასუხობს, რომ ისტორია იმის მთხრობელია, თუ რა ვიყავით, რანი ვართ და როგორი შეგვიძლია ვიყოთ ისევ. ხალხის საუკეთესო შვილები კი სხვა არა არიან რა, თუ არა ერის გულისნადებისა და წყურვილის გამომხატველნი. ამიტომაც მოუწოდებს ილია საზოგადოებას, რომ ასეთი ადამიანები არ დაივიწყონ, რადგან ეს საკუთარი ვინაობის

დავიწყებას უტოლდება და თუ ჩვენ დავივიწყეთ ეს ვინაობა, რისი მაქნისნი ვართ? რანი ვართ? - სვამს კვლავ რიტორიკულ შეკითხვას ავტორი და, როგორც ხშირად აკეთებს ხოლმე, თვითონვე პასუხობს: ის ჰგავს იმ ნადირს, რომელიც, როგორც კი დედას მოშორდება, მაშინათვე ივიწყებს მშობელს. უნდა გვახსოვდეს, რომ ერის საუკეთესო შვილთა ღვაწლის გახსენება და არდავიწყება იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ის გვიჩვენებს მაგალითს, თუ რა სიმაღლეზე შეუძლია ერს მიაღწიოს ამა თუ იმ გარემოებაში. რამდენადაც დიდბუნებოვანია და სასახელო ჩვენი წინაპარი, იმდენად უფრო უტყუარი საწყაო გვაქვს ხელთ ერის სიკეთის, ძალ-ღონისა და შესაძლებლობების ასაწონად. თუ გუშინ გვყავდნენ ამისთანანი, რა მიზეზია, რომ ისინი ხვალაც არ გამოჩნდნენ? - ეს კითხვა არაა, ეს დასკვნაა. ამავე დროს, პუბლიცისტი იხსენებს სენეკას ნათქვამს იმის შესახებ, რომ ადამიანებისთვის საჭიროა იმისთანა კაცი, რომლის მაგალითზეც შეიძლება საკუთარი ხასიათი გამოვაწროთ, რადგან მისი სახელის ხსენებაც კი გვწვრთნის ჩვენო. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიაკუთვნებს ილია ჭავჭავაძე დავით აღმაშენებელს. ამ დიდებულმა მეფემ აოხრებული ქვეყანა ააშენა, ქართველობას მტერი გაუფანტა და დაუშინა, მაგრამ უფრო მთავარი, ალბათ, მისი დიდბუნებოვნებაა, რითაც ის საუკუნეების შემდეგაც კი გვიზიდავს. მეფე თავდადებული მოყვარე იყო თავისი ერისა, თავისი სარწმუნოებისა, მაგრამ იყო ასევე უდიდესი შემწყნარებელი სხვისი ეროვნებისა და სარწმუნოებისა. ამისთანა კაცთმოყვარეობა სხვა ეროვნებათა და რელიგიათა საოცარი მაგალითია მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან მაშინ, როცა მეცხრამეტე საუკუნეშიც კი საკვირველ ადამიანად მიგვაჩნია გლადსტონი, ინგლისელი, ირლანდიის ერის პატივისმცემელი. იმას, რომ დავით აღმაშენებელი მართლაც საოცარი ადამიანი იყო, მოწმობს სხვა ერის წარმომადგენელთა სიტყვებიცო,- გვეუბნება ჭავჭავაძე. ქართველი კაცი ამბობს: კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს. ერთი აქ დასარჩენი და მეორე - თან წასაყოლიო, ეს ანდერძი ისე ზედმიწევნით არავის შეუსრულებია, როგორც დავით აღმაშენებელსო, - ასრულებს პუბლიცისტი წერილს და მკითხველს უამრავ საფიქრალს უტოვებს.

რა თქმა უნდა, ამის წამკითხველ ქართველს სიამაყე აღემგვრებოდა გულში და მამულის აღორძინების იმედი კვლავ უჩნდებოდა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ილიას წერილი ლუარსაბ წამებულზე, რომელიც მან მისი მოხსენიების დღეს, 21 ივნისს, დაწერა. ის უყვება ქართველთ, რომ ლუარსაბ მეფე ეწამა შაჰ-აბაზისაგან მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში. აქვე იმასაც ამცნობს თანამემამულეთ, რომ გიორგი სააკაძე, დიდ მოურავად წოდებული, სწორედ მისი ქვეშევრდომი იყო. უდავოდ საინტერესოა ისიც, რომ ილიამ, როგორც ჭკვიანმა და მეცნიერულად მოაზროვნემ, განაცხადა, რომ გიორგი სააკაძის ისტორია ცალკე შესწავლის ღირსი იყო. ის, როგორც ახლად აღზევებული აზნაური, თავადებმა აითვალისწინეს და გადაამტერეს მეფეს. ირანის ხელმწიფეს მოტყუებით ჩაუყვანია მეფე მაზანდარანს და იქ კი მოუთხოვია ქრისტიანობის უარყოფა და მაჰმადიანობის მიღება, რაზედაც ლუარსაბს მტკიცე უარი განუცხადებია. ის შაჰს 7 წელი ჰყოლია დამწყვდეული ციხეში და ბოლოს მშვილდის საბლით დაუხრჩვია. განსაკუთრებით აღნიშნავდა ჭავჭავაძე მეფის ბოლო ლოცვას, როცა მას მარიამ ღვთისმშობელისათვის უთხოვია შემწეობა მის მხოლოდშობილ ძესთან მისაახლებლად. ეს სტატია კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენ მიერ ზემოთქმულს, რომ ილიას მამული და ღმერთი არ განერჩეოდა ერთმანეთისაგან.

რა თქმა უნდა, წამებული მეფის თავგადასავლის მკითხველისთვის შეხსენების მიზანი ქართველში ეროვნული სიამაყის გაღვივება გახლდათ. წერილში „ერი და ისტორია“ პუბლიცისტი ამბობს, რომ დიდბუნებოვან კაცთა მაგალითი სწვრთნის ერს, მათი დიდებული საქმენი გულს უკეთებენ მას უკეთესი მოქმედებისთვის, აქეზებენ და ამხნევებენ მოქმედებისთვის. აბა, შეხედეთ სხვა ერებს. ისინი ძეგლებს უდგამენ თავიანთ სასახელო შვილებს მხოლოდ იმიტომ, რომ დიდმა თუ პატარამ დაიმახსოვროს თავისი სახელოვანი კაცი და მიბაძვას ეცადოსო. ამ შეხედულებას ილია ჭავჭავაძე სხვადასხვა ჭრილში, სხვადასხვა დოკუმენტური მასალის მოშველიებით გამოთქვამს კიდევ რამდენიმე პუბლიცისტურ წერილში („ქვათა ღაღადი“, „აი ისტორია“ და სხვა).

მწერლის პოზიცია, ცხადია, იგივეა მხატვრულ ნაწარმოებებშიც. საერთოდ, ილია ეროვნული სულის გამოსაფხიზლებლად თანაზრად მიმართავდა საქართველოს როგორც ისტორიულ წარსულს, ისე თანამედროვე ყოფასა და მომავალსაც. ეს სამი თითქოს არც განერჩევა ერთმანეთისაგან. წარსული მისთვის ცოცხალია და არსებობს სწორედ მომავლისთვის.

ისტორიულ პოემაში „მეფე დიმიტრი თავდადებული“, ერთ უქმე დღეს ბრმა მეფანდურე მიმართავს საყდრის წინ შეკრებილ ახალგაზრდებს: „ვინ ვიყავით, რა ვიყავით / ჩვენ ქართველნი წინა დღესაო“ (თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს პუბლიცისტურ წერილში გატარებულ აზრებს) და უამბობს იმ დროის შესახებ, როცა ქართველებს თავიანთი ბედი თვითონ ეპყრათ ხელში. ავტორი ერთმანეთს უპირისპირებს დიდებულ წარსულსა და უფერულ აწმყოს. ახლა კი რა ვართ? დავაქციეთ ჩვენი თავი, „რაც ვყოფილვართ, ის აღარ ვართ“.

იმის საილუსტრაციოდ, რომ ჩვენი წინაპრები სამშობლოს სწირავდნენ ყველაფერს, გმირები და პატრიოტები იყვნენ, მეფანდურე ჰყვება დიმიტრი მეფის თავგადასავალს. როგორც ჩანს, ქართველი

სტუდენტები ხშირად საუბრობდნენ საქართველოს გმირულ წარსულზე. მათ შორის, საფიქრებელია, დიმიტრი თავდადებულზეც. ალბათ, ამ საუბრებმაც უბიძგეს ილიას, დაეწერა ეს პოემა. ამიტომაც უძღვნა სტუდენტობისდროინდელ მეგობარს, პეტრე ნაკაშიძეს (სხვათა შორის, ამავე ადამიანს მიმართავს „ქართველის დედის“ შესავალშიც).

დემეტრეს ცხოვრება და მეფობა პირველად აღწერა მე-14 საუკუნის უცნობმა ქართველმა მემატეანემ, ჟამთააღმწერელმა. ქართულმა ეკლესიამ დემეტრე II წმინდანად შერაცხა და დააწესა მისი მოსახსენებელი დღე, 12 (25) მარტი. სხვათა შორის, ეს დღე ემთხვევა საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის დღეს 1917 წელს.

სასულიერო პირები დიდი მწერლებიც ყოფილან და დიდი მეცნიერებიც: იაკობ ხუცესი, გიორგი მერჩულე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, იოანე პეტრიწი, ევრემ მცირე, გაბრიელ ეპისკოპოსი, სულხან-საბა ორბელიანი, კირიონ II, კორნელი კეკელიძე და ბევრი სხვა...

ილიას ღრმად შეუსწავლია ისტორიული წყაროები დემეტრე მეფეზე. უპირველესად, ჟამთააღმწერლის ცნობა. პოემა ზუსტად მიჰყვება „ქართლის ცხოვრების“ რიგ ეპიზოდებს: დარბაზობის ეპიზოდი, მეფის განაცხადი წასვლის შესახებ, დარბაზის რჩევა და სხვა.

ილიამ ხაზი გაუსვა ხალხისა და მეფის ურთიერთსიყვარულს:

*სირცხვილია ერისათვის, თავის მეფე მისცეს მტერსა.*

*მეფე: თუ სიკვდილი სახელად გაქვთ მაგდენს ჩემთვის, ერთისათვის,*

*მაშ რად მიშლით თავდადებას მე ერთს მთელი ქვეყნისათვის.*

ილია ჭავჭავაძე ისტორიული მასალის უბრალო რეგისტრაციას როდი ახდენს. იგი, როგორც პოეტი, განაზოგადებს ფაქტებს. „დიმიტრი თავდადებული“ არაა გალექსილი „ქართლის ცხოვრება“. ილია შეეცადა, ასე ვთქვათ, ამოეცო ისტორია. პოემაში გამოიყვანა ფანტაზიით შექმნილი პერსონაჟებიც (მოხუცი კაცი და მისი ორი ახალგაზრდა ვაჟი) და ამით უფრო სრული წარმოდგენაც კი შეგვიქმნა ისტორიაზე, ვიდრე მემატეანემ. არისტოტელე ამბობდა: „ისტორიკოსი მოგვითხრობს იმას, რაც მოხდა, პოეტი - რაც შეიძლებოდა მომხდარიყო“. ბერიკაცისა და მისი შვილების სახელები არ წერია პოემაში, რითიც ილიამ ხაზი გაუსვა მათი მხატვრული სახის ზოგად ხასიათს.

როგორც ვხედავთ, ჭავჭავაძე მხატვრული სიტყვითაც ემსახურებოდა ქართველ ერში სიამაყის გრძნობის გაღვივებას. ეს გასაგებია. მხატვრული სიტყვის ძალა განუზომელია და ათი პუბლიცისტური წერილი რომ დაწერო და გამოაქვეყნო ჟურნალ-გაზეთებში, მას მაინც არ ექნება ის მომხიბვლელი და ანდამატი, როგორც ერთ კარგ ნაწარმოებს.

ილია ჭავჭავაძე ეროვნულ საკითხს ფართო კონტექსტში მოიაზრებდა. მიაჩნდა, რომ ნაციონალური და საკაცობრიო ღირებულებები ერთმანეთთან ჰარმონიულად უნდა ყოფილიყო შერწყმული. ნამდვილად ეროვნული და ღირებული, მისი აზრით, მხოლოდ ისაა, რასაც საკაცობრიო ღირებულებაცაა აქვს. მთელი მისი შემოქმედება (პუბლიცისტური თუ მხატვრული მემკვიდრეობა) ნიმუში და მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა უნდა დავბრუნდეთ ევროპულ ოჯახში ისე, რომ არ დავკარგოთ ეროვნული იდენტობა.

## ბიბლიოგრაფია

- ბოლქვაძე, ნ. (2010). *ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობა*. თბილისი: უნივერსალი.
- ქიქოძე, გ. (2003). *პატარა ერის ხვედრი*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჩხარტიშვილი, მ. (2022). *ილიას ეროვნული კონცეფცია ნაციონალიზმის იდეოლოგიის უნივერსალიების შუქზე, ილია ჭავჭავაძე და ევროპული ღირებულებები*. თბილისი: შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.
- წერეთელი, მ. (1996). ილია ჭავჭავაძის მოკვლა. კრებულში: *ილია ემიგრანტთა თვალით*. ტ. I. თბილისი: ლომისი.
- ჭავჭავაძე, ი. (1955)ა. რა გითხრათ, რით გაგახაროთ? *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად*. ტ. V. თბილისი: საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა.
- ჭავჭავაძე, ი. (1955)ბ. ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ. *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად*. ტ. IV. თბილისი: საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა.
- ხუნდაძე, ს. (1927). *სოციალიზმის ისტორიისთვის საქართველოში*. სახელმწიფო გამომცემლობა.
- ჯოლოგუა, თ. (2022). ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებათა ურთიერთმიმართების საკითხისთვის ქართულ ჟურნალისტიკაში - XIX საუკუნის გამოცდილება. კრებულში: *ნარკვევები, ლიტერატურული პორტრეტები, პუბლიკაციები*. თბილისი: არტანუჯი.

*Aza Kalaria*  
*Sukhumi State University*  
**NATIONAL CONCEPT OF ILIA CHAVCHAVADZE**  
**(ACCORDING TO PUBLICIST AND ARTISTIC THINKING)**  
**RESUME**

In the multi-layered, multi-dimensional creativity of Ilia Chavchavadze, we highlight several journalistic and artistic writings in which the national concept is sharply and definitely formed. We observed how Ilya's artistic and journalistic thoughts are mutually understood. How did he know, and for what purpose did he popularize the national liberation movement in other countries of the world.

For Ilia, the estate is the same god (in the world, only the estate was given to the sky as a god). The service of God is not different from the service of the estate, and on the contrary, the service rendered to the estate is the implementation of God's will.

Ilia Chavchavadze considered the national issue in a broad context. He believed that national and human values should be harmoniously combined with each other. Truly national and valuable, in his opinion, is only that which has human value. All his work (publicist and artistic heritage) is a sample and an example of how we should return to the European family without losing our national identity.

**Key words:** Publicism of Ilia Chavchavadze, Artistic works, National and economic concepts, Europe and the world.

**Ekaterine Tsuladze**  
Gori State University

### **Modern Linguistics in Terms of New Paradigms**

#### **Abstract**

The purpose of this study is to examine the challenges associated with the presentation of modern linguistics in university textbooks and teaching aids. Specifically, it aims to explore how these resources address the history of linguistics in relation to the paradigms of scientific knowledge in modern linguistics and the paradigmatic approach in the philosophy of science. It is obvious that such a goal cannot be achieved solely by examining the current state of textbooks on the history of linguistics published between the 20th and 21st centuries. The textbooks in question appeared at a time when the scientific community of linguists was actively discussing three interrelated areas that directly influenced the content and attitudes in teaching both linguistics and its history. These areas include the historiography of modern linguistics, the epistemology of humanitarian linguistic knowledge, and the examination of the history of linguistics through the lens of scientific knowledge paradigms. Therefore, this article has another goal: to demonstrate how the contemporary attitudes of scientists working in the field of modern linguistics and linguistics in general align with the evolving scientific discourse within the university educational sphere. Moreover, the goals outlined above have become imperative for teachers of this discipline.

**Key words:** Linguistics, Paradigms, Modern, Scientific, Contemporary, Discourse.

#### **Introduction**

Linguistics, at its current stage of development, is characterized by an anthropocentric approach to the study of language. The category of anthropocentrism encompasses the examination of the motives and intentions of speakers in different types of texts, especially fiction. In this regard, the classification of linguistic markers of authorship and personality categories, as well as their representation in the surface and underlying structures of the text, appears to be a crucial task.



The relevance of this topic to the issue of verbal markers of anthropocentrism stems from the overall focus of modern linguistics on studying the human factor. This focus is based on the cognitive-discursive characteristics of its manifestation in literary discourse, as well as the lack of sufficient knowledge. Linguistic representation of the author's discursive personality and the character. This work is based on the principles of anthropocentrism and interdisciplinarity, and it intersects with disciplines such as linguo-personology, cognitive linguistics (specifically, cognitive stylistics), linguoconceptology, linguopragmatics, and linguoculturology. (Fauconnier & Turner, 1998).

In the state educational standard for the field of "Linguistics and Intercultural Communication," the subject "History of Linguistics" is described as follows: "The study of the scientific paradigm in linguistics, which involves identifying specific properties of language." A change in scientific paradigms in the history of linguistics reflects changes in the overall level of science and the level of scientific knowledge in a specific field. The text mentions various paradigms, including the logical paradigm, comparative historical linguistics, naturalistic paradigm, ideo-ethnic paradigm, sociological paradigm, structural-functional paradigm, and modern scientific paradigm. As part of the latest shift in scientific directions in the second half of the 20th century. These are not designated as paradigms, but rather as specific branches of linguistics: psycholinguistics, sociolinguistics, text linguistics, communicative linguistics, and cognitive linguistics. (De Beaugrande, 2014).

In the second half of the 20th century, as the history of science developed, another concept emerged that was shared by science, art, and language: the "style of thinking" or worldview. This concept was used in conjunction with T. Kuhn's paradigm and M. Foucault's episteme. By the style of thinking, M. Born refers to "general tendencies of thought that change very slowly and give rise to certain philosophical periods with their characteristic ideas in all areas of human activity, including science". Thus, having been borrowed by physics and the history of science, the already polysemous word "style" acquired an additional meaning: 'a specific period in the development of science with distinctive ideas'. (Hymes, 1974)

### **Paradigm in linguistics**

Kuhn's ideas have had a significant influence on the historiography of linguistics. Some linguists have applied the concept of paradigm to the entire history of language development, spanning from antiquity to the present day. According to other linguists, the first truly scientific paradigm in linguistics emerged in the early 19th century. Therefore, the concept of a paradigm is only applicable to linguistics from the 19th century onwards. (Lakatos, 2014).

As for the number of paradigms in linguistics, this question remains unanswered. Traditionally, three scientific paradigms are distinguished: comparative-historical, systemic-structural, and anthropocentric. The question of the number of paradigms in linguistics remains open. Traditionally, three scientific paradigms are distinguished: comparative-historical, systemic-structural, and anthropocentric. Anthropocentrism is a prominent feature of modern linguistics, but some scholars have questioned its elevation to the status of a paradigm, arguing that it is more of an ontological stance rather than a methodological one. At the same time, our analysis of traditional paradigms reveals their heterogeneity, in our opinion. The "comparative-historical paradigm" is a distinct but highly significant method for studying language. In contrast, the systemic-structural and anthropocentric paradigms encompass not only diverse research methods but also distinct conceptions of the fundamental nature of language. The renowned American scientist in the field of discourse analysis, D. Shifrin, identifies only two paradigms of linguistic knowledge: formal (structuralist) and functional (interactive). These paradigms are based on different ideas about the nature of language, research methods, and the goals of linguistic analysis. (Robins, 2013).

In the field of discourse analysis, D. Shifrin concludes that neither formal nor functional paradigms, when considered in isolation, can offer a comprehensive description of discourse. She proposes the need to synthesize the two paradigms into a formal-functional paradigm or approach to discourse analysis.

When discussing a paradigm in linguistics, it should be acknowledged that most linguistic scientists perceive it as a method, approach, or model for framing a problem and its solution, similar to T. Kuhn's understanding of the disciplinary matrix. In the linguistic community, it is challenging to solve all problems using a single method or approach due to the complexity of the object of study. Therefore, linguistics itself is inherently multi-paradigmatic. (Kuhn, 2012).

The features inherent in all functional and cognitive aspects of modern linguistics encompass "non-identical theories about the essence of language". These theories, while refracted differently, establish common initial theoretical and methodological guidelines for the study of natural language, forming what is known as a single "disciplinary matrix." These settings represent a foundational base of initial knowledge and a "generative environment" for ideas and concepts in the field of modern linguistics. (Fauconnier & Turner, 1998).

#### **Expansionism**

The following four fundamental principles apply to all schools and provide guidance for the modern linguistic paradigm:

1) This is evident in the interaction between linguistics and other sciences, as well as in the integration of multiple related sciences and the establishment of a distinct major field of study.

#### **Anthropocentrism**

2) According to this perspective, scientific objects are studied based on their significance for humans. Anthropocentrism can manifest in different forms across various linguistic contexts.

#### **Functionalism**

3) (or neofunctionalism), in which the central focus of science shifts to the study of the functions and purpose of the object of research;

Explanation,

4) This is interpreted as the tendency of modern linguistics to seek a specific explanation for the internal organization of language, its individual modules, and so on.

Thus, he distinguishes between the concepts of 'paradigm' and 'disciplinary matrix'. In our opinion, "paradigm" refers to achievements acknowledged by the scientific community, such as theories (cognitive and communicative), while "disciplinary matrix" denotes a unified model for posing problems and their solutions, specifically methodological principles. (Kuhn, 2012).

The integration of cognition and communication in the new linguistic paradigm necessitates fresh approaches to the study of language and underscores the significance of developing a new conceptual and terminological framework for its description. The need to utilize the findings of cognitive science is evident. (Ashurova & Galieva, M. R. (2013).

### **Integration of Scientific Knowledge**

Science reflects the diverse qualitative nature of the world. Studying the individual aspects of existence, science is fragmented. Each scientific discipline has its own specific subject and research methods. The unity of the world is evident in the integration of scientific knowledge and its interdisciplinary connections.

The development of science and scientific knowledge occurs through the unity of the processes of differentiation and integration. The significant increase in objects available for scientific study and the analytical approach to reality has led to the existence of at least 15,000 different scientific disciplines. (Rivlin, Minister & Netanyahu, 2016).

There is no doubt that the differentiation of scientific knowledge enables a more in-depth study of individual aspects of reality. Linguistics encompasses phonetics, phonology, morphology, syntax, lexicology, stylistics, text linguistics, psycholinguistics, sociolinguistics, pragmatolinguistics, and several other disciplines that examine language from diverse perspectives.

However, despite the positive aspects of differentiation, there is a risk of fragmenting the unified scientific understanding of the world, leading to the transformation of science from an integrated system of knowledge into a fragmented one. To avoid this, integrative trends are strengthening in science, based on the philosophical principle of the unity of the world. Integration is evident in the organization of research that intersects related sciences, the development of interdisciplinary scientific methods, the search for unifying theories, and the transformation of the fundamental principle of distinguishing scientific disciplines. (Duranti, 2009).

The globalization of science has inevitably led to the development of a new integrated approach, aimed at synthesizing scientific paradigms from various fields of knowledge, including psychology, cognitive science, sociology, philosophy, linguistics, theology, and natural sciences.

The founder of the integral approach is considered to be Ken Wilber, an American philosopher and psychologist.

### **Integral Approach in Linguistics**

The current stage of linguistic science is characterized by the search for a new "integral" approach and the formation of new knowledge paradigms that depart from the ideas of the "structural" paradigm. The cognitive-discursive approach recognizes the two primary functions of language as cognitive and communicative. It aims to study these functions in constant interaction and coordination with each other. The cognitive component of this paradigm enables us to analyze the types of knowledge and information verbalized in a scientific text, as well as the mental units and structures behind them. The discursive component allows us to identify ways of presenting information to the addressee, considering the pragmatic orientation of the text, the intentions of the author, and the specific context of the communicative act. (Koerner & De Saussure, 2003).

In the era of globalized science, expansionism is an essential characteristic of any methodology. The aspiration to provide the most thorough and comprehensive description of the research object, encompassing a multi-faceted perspective, necessitates the utilization of methods from diverse scientific disciplines.

Anthropocentrism, proposed as a methodological principle of the new paradigm, directs our focus to the ontological "subjective" characteristics of the object of study. These characteristics are inherent in language and any linguistic creative work, detached from the subject during communicative activity and integrated parts of the object mediated by the language system. Communicative activity, like labor, according to Marx, constantly transitions from the form of activity to the form of being, from the form of movement to the form of objectivity. Therefore, the examination of objective, existential forms of communicative activity, such as text, is impossible without considering the subject of this activity; otherwise, the study will be incomplete. (Normurodova, 2023).

Functionalism, like anthropocentrism, is the primary methodological principle of modern linguistics, focusing on the study of the functions of the object under investigation. If a function is understood as an ontological property of an object, then functionalism in this sense will also have ontological implications.

The principle of explanatoryness is attributed to the advancing level of scientific development and the emergence of new, more precise research methods that aid individuals in their pursuit of truth and in their desire to comprehend the generation and understanding of language.

From the perspective of the development of modern science, all four distinctive features discussed above are attributed to the process of globalization and the pursuit of unity and integrity in the world. Anthropocentrism is a result of the globalization of the object as a comprehensive system for the creation and comprehension of language. Functionalism is

influenced by the globalization of the object as a system of signs, where function (virtual or actual) exists alongside form and content. Expansionism is linked to the globalization of research methods, which is in turn caused by the globalization of the object. Explanatoryism is connected to the globalization of criteria for truths that are applicable to various sciences, including the humanities. (Schiffrin, 1994).

With such a global, or comprehensive, disciplinary framework, linguistics itself must also become comprehensive, capable of offering a thorough description and explanation of the object of study.

In this context, the cognitive-discursive approach shares similarities with the integral approach. According to the integral approach, the text should not be viewed solely as a subject of linguistic research, but rather as a subject distributed across four sectors. It is essential to consider consciousness, the linguistic system, culture, and society simultaneously when studying these sectors.

A comparative analysis of the cognitive-discursive paradigm reveals the following:

- The cognitive-discursive paradigm of E. S. Kubryakova and the integral model of K. Wilber do not exclude each other but rather complement each other.

- The integral model is of a general virtual nature and is applicable to any objects due to the method of orienting generalizations. It is highly detailed, allowing for the consideration of a large number of factors when studying the object.

- The cognitive-discursive paradigm of linguistic knowledge can be considered an updated version and a special case of the general integral model proposed by K. Wilber. Specifically, it can be viewed as one of the models of integral linguistics.

Despite the differences in the level of generalization and terminology among the models being considered, there is a fundamental similarity. Not only do they take into account the "it" dimensions, but also the "I" and "we" dimensions, encompassing personal, sociocultural, and cognitive aspects of the speaker's activity. In our interpretation, the cognitive component of E. S. Kubryakova's paradigm aligns with the internal-individual sector of K. Wilber's model, while the discursive component aligns with all three remaining sectors of K. Wilber's model: external-individual (language, text), external-collective (sociolinguistic context), and internal-collective (linguistic-cultural context), connected through communicative activity, the activity of generating and perceiving text.

It should be noted, however, that the failure to differentiate the discursive component of the model under consideration may result in the main focus of research being directed towards one of its aspects rather than its integral unity. In this context, it appears promising to develop new iterations of the integral model of linguistics as a whole, and the integral theory of text specifically.

## Conclusions

The paradigm of scientific knowledge in linguistics is understood as a specific approach, theory, model, or research method that has gained widespread recognition in the linguistic community.

Linguistics encompasses multiple paradigms. The diverse methodological and conceptual approaches stem from the complexity of the object of study, which does not lend itself to a single, unambiguous interpretation.

From the perspective of the integral approach, language must be viewed as a construct that spans four domains. Understanding language requires addressing consciousness, the language system, culture, and society simultaneously.

The modern linguistic paradigm is comprehensive and integral. It is based on a comprehensive interdisciplinary study, considering the interaction of various fields of linguistics.

The cognitive-discursive paradigm of linguistic knowledge can be considered an updated version, a special case of the general integral model, specifically as one of the models of integral linguistics.

The pursuit of an optimal integral model of linguistics, and specifically an integral model of text, is a promising direction for modern linguistic research within the framework of the integral paradigm of linguistic knowledge.

In summary, Discourse Linguistics (DL) can be understood as a combination of human abilities and characteristics that influence the production and perception of discourse. The structure of the direct language (DL) used by the author and the character differs in several ways.

The following prospects can be identified for further research into the complex linguistic nature of the author's language and the anthropocentrism of literary discourse:

- Comparative typological study of deep learning based on the material from different languages;
- Ethnopsycholinguistic description of DL in various types of discourse;
- Applying linguodidactic principles to analyze discourse in literary, political, and media contexts.

## References

- Ashurova, D. U., & Galieva, M. R. (2013). *Stylistics of literary text*. Tashkent: Alisher Navoiy.
- De Beaugrande, R. (2014). *Linguistic theory: The discourse of fundamental works*. Routledge.
- Duranti, A. (2009). Linguistic anthropology: History, ideas, and issues. *Linguistic anthropology: A reader*, 1-60.
- Fauconnier, G., & Turner, M. (1998). Conceptual integration networks. *Cognitive science*, 22(2), 133-187.
- Hymes, D. H. (1974). *Studies in the history of linguistics: traditions and paradigms*. Bloomington: Indiana University Press.

- Koerner, E. F. K., & De Saussure, F. (2003). On the place of linguistic historiography within the language sciences, again. *History of Linguistics 1999*, 373-389.
- Kuhn, T. S. (2012). *The structure of scientific revolutions*. University of Chicago press.
- Lakatos, I. (2014). Falsification and the methodology of scientific research programmes. In *Philosophy, Science, and History* (pp. 89-94). Routledge.
- Normurodova, N. (2023). Contemporary linguistics in the light of new paradigms. In *E3S Web of Conferences* (Vol. 413, p. 03020). EDP Sciences.
- Rivlin, P. R., Minister, P., & Netanyahu, B. (2016). This article is about the modern country. For other uses, see Israel (disambiguation). *Ethnic groups*, 1(74.8), 20-8
- Robins, R. H. (2013). *A short history of linguistics*. Routledge.
- Schiffirin, D. (1994). *Approaches to discourse* (Vol. 8). Oxford: Blackwell.

**გიორგი ხორბალაძე**  
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართების მარადიული პრობლემა ნოდარ დუმბაძის რომანში „მზიანი ღამე“**

**საკვანძო სიტყვები:** ნოდარ დუმბაძე, სიკეთე და ბოროტება, პერსონაჟი, კომუნიზმი, ტოტალიტარიზმი.

ნოდარ დუმბაძის შემოქმედება ზოგადად, გამორჩეულია მეტაფორულობითა და ალეგორიულობით, ამ ნიშნით განსაკუთრებით არის საინტერესო რომანი „მზიანი ღამე“, რომლის განხილვასაც პირდაპირ სათაურიდან შევუდგებით. „მზიანი ღამე“ თავისთავად ოქსიმორონს წარმოადგენს, თუმცა მყისიერად გადაიაზრება ერთგვარ პოეტურ სახედაც, რამდენადაც, უკუნ სიბნელეში ერთბაშად შემოტანილი სინათლის სურათი წარმოგვიდგება ამ თითქოს უცნაური სიტყვათშეთანხმების გააზრებისას. შესაბამისად, მეტაფორული დანიშნულებაც საცნაური ხდება - სამყაროში იმდენად მომძლავრებულია ბოროტი, ანუ სიბნელე, რომ ძირითადად მას მოუცავს ქვეყნიერება, ხოლო ამ უკიდევანო სიბნელეში მზე - ანუ სინათლე/სიკეთე, ბოროტების გარემოცვაშია მოქცეული. სწორედ ამ, ორი საწყისის ჭიდილია რომანის მთავარი იდეაც, რასაც მწერალი ურთიერთშეპირისპირებით წარმოაჩენს და კიდევ უფრო დემონსტრირებადს ხდის სინათლის უპირატესობას. უნდა აღინიშნოს რომ, შუალამის მზე, თავისთავად უფლის მეტაფორული სახელია (მზიანი ღამე), „ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს და ბნელი იგი მას ვერ ეწია“ (იოანე 1, 5), „მოქცევად ბნელისაგან ნათლად“ (საქმე 26, 18) (ახალი აღთქუმაი, 2000: 181... 296). რევაზ სირაძე, განიხილავს რა „ნინოს ცხოვრების“ საკითხებს, მიიჩნევს რომ ნაწარმოებში „მზიანი ღამის შემოტანა იმითაა საყურადღებო, რომ ამ დროს ხდებოდა ხილული მზის გასიმბოლოება სულიერ მზედ. აქ არ შეიძლება, ვერ დავინახოთ ასეთი შეპირისპირება - შუადღის დაბნელებული მზე და შუალამეს მზის ბრწყინვალება (სირაძე, 1987: 93), ამდენად, ბუნებრივია რომ მზიანი ღამის მეტაფორის სათაურად წამოწევა სრულიად შეგნებული აქტია მწერლის მიერ გაცხადებულ-განხორციელებული.

გარდა ამისა, რომანი მთლიანად სიკეთის ძიებაა ბოროტებით მოცულ გარემოში და ეს გარემო კაცს (იგულისხმება ღირსეული, კეთილშობილი კაცი, რომელთაც სულიერი თანხვედრა შეიძლება ენატრებოდეს პერსონაჟს) სანთლით საძიებელს ხდის: „ეს, ჩემო თემო, გაუმარჯოს კაცს, რომელიც ღამით დადის და კაცს დაეძებს, ეს გაუმარჯოს კაცს, რომელიც ღამით ზის და კაცს ელოდება. მერე გაუმარჯოს კაცს, რომელსაც ღამით არ სძინავს, ზოგს იმიტომ, რომ არ ეძინება, ზოგს იმიტომ, რომ ეძინება, მაგრამ არ უნდა დაიძინოს. ისე კი, ორთავე დღეს ელოდება. ჰოდა, გაუმარჯოს ღამეს, რომელიც თენდება...“ (დუმბაძე, 1987: 13). კაცი რომელიც დადის და კაცს დაეძებს, კაცი რომელიც ზის და კაცს ელოდება ღამის

სიბნელით არიან მოცულნი და ამადაც გამხდარა სხვა კაცი საპოვნელი, კაცის ძიება იმედის ძებნაცა და მამასადაც იმედის დაკარგვის ტრაგიზმიც ახლავს ამ ეპიზოდს, რადგან, სიბნელისა და სინათლის ჭიდილი კეთილისა და ბოროტის ჭიდილადაც უნდა აღვიქვათ, რომანის მიხედვით კი, ბოროტის ზეობის ხანა დამდგარა და ამიტომაც, დღესა და გათენებას ელოდება, სიბნელისაგან თვის დაღწევის იმედს ეძებს ორივე პერსონაჟი და პირველ ყოვლისა მწერალი. თემური იხსენებს, რომ ორმა მამაკაცმა წაიყვანა მისი მამა, „რომელთაგან ერთი შეშინებული ჩანდა, მეორე კი იღიმებოდა და პირი ვერცხლის კბილებით ჰქონდა გამოტენილი“ (დუმბაძე, 1987: 7). მეორე კაცი ეშმაკის გამოცხადებული სახეა, მამრობითი სქესის არსება, რომელსაც სხვისი უბედურება ღიმილსა და სიამოვნებას ჰგვრის; ვერცხლის ხსენებაც, ჩვენი აზრით, იუდას ალუზიაა და ეს ვერცხლის კბილებიც იუდას ვერცხლისგან არის დამზადებული, რადგან იგი იუდასებრ, მატერიალური სიკეთისთვის აკეთებს იმას, რასაც არ უნდა აკეთებდეს. ყველაზე მტკივნეული კი მაინც ის არის, რომ ამ გარემოში სიკეთის ადგილი აღარ დარჩენილა, მეორეს ბოროტ ღიმილს პირველი კაცის კეთილი გამოხედვა ვერ აბალანსებს და სისტემის მსახურთა შორის მხოლოდ ორი კატეგორია დარჩენილა - ბოროტი და შეშინებული, აი რატომ ეძებენ ართავაზა და თემური კაცს. ამავე თვალსაზრისით საინტერესო იქნება გავიხსენოთ, ძალიან უცნაური კონტექსტის წინადადება გურამისა და თემურის რესტორანში ქეიფის სიუჟეტიდან, უცნაური კონტექსტის ვინაიდან მეგობრებს შორის მეტად შთამბეჭდავი და ფილოსოფიური დიალოგი შედგება, რასაც ფინალისკენ თითქოს იუმორის ქარგაში მოქცეული ტექსტი დაასრულებს, უცნაური კონტექსტი კი ის არის, რომ მწერლის ეს წინადადება - იუმორისტული გადახვევა, სევდის მომგვრელი უფრო ვიდრე ღიმილისა და ამკარად ეტყობა ნოდარ დუმბაძის ჩანაფიქრის გამიზნულობა. „მე ჭიქა გამოვცალე და დავეჯექი. მერე თვალები დავხუჭე და ფერად-ფერადი, ლურჯი და ვარდისფერი ვარსკვლავების ზღვაში შევცურე. მერე მხარზე უზარმაზარი ტორი ვიგრძენი და თვალები გავახილე. იგი ნისლში ცურავდა, იგი არ იყო ღმერთი, ეს იყო ეშმაკი, რომელსაც ხელში საანგარიშო ეჭირა და ჩემი და გურამის სულის წასაღებად იყო მოსული“ (დუმბაძე, 1987: 25). გურამი და თემური იმ შეურყენელ ახალგაზრდათა სახეს ჰქმნიან რომანში, რომლებიც ჯერ კომუნიზმს არ გაუთელავს საბჭოთა მარწუხებს ბოლომდე არ მოუქცევია კლანჭებში და ამდენად, მათ სიკეთის სჯერათ, ეიმედებათ რომ სიყვარულით იცხოვრებენ, ეშმაკივით თავს დამდგარი დუქნის ნოქარი კი თითქოს ალევორიაა ცხოვრების მკაცრ კანონებთან მათი შეჯახების გარდაუვალობისა, რომელსაც ძალუმს არა მხოლოდ მატერიალური წაჰგვაროს ახალგაზრდებს არამედ კეთილი სულიც დაუხშოს. ამიტომ, სევდის აღმძვრელად უფრო მოჩანს ეს სურათი, ვიდრე ღიმილის მომგვრელად. არც ის არის დასახელებული, ვინ დაადაგა მეგობრებს თავზე, იგი ზოგადია, იგი ყველგანაა, იგი ეშმაკთან ნაზიარებია და მისი მისია კეთილი და თავისუფალი ახალგაზრდების სულის დახშობაა. ამ ყოველივეს ასე ალბათ ვერ გავიაზრებდით, სტუდენტური სასამართლო რომ არ აღეწერა მწერალს ამავე რომანში და ლიტერატურული წრის მუშაობა, სადაც ჩანს, თუ როგორ აქცევენ მარწუხებში ახალ თაობას, როგორ უკეტავენ სიკეთისა და სულიერების გზებს, უსაზღვრავენ ხელოვნების კომუნიზაციას და თანაც ძირითადად ვერაგულად, მათივე ხელით ცდილობენ „ეკლის კრეფას“. სისტემა ამკვიდრებს მექანიკურ სტერეოტიპებს, რომლის მიღმაც არც ხელოვნება უნდა გავიდეს, არც მეგობრობა, არც ადამიანობა, არც სამშობლოს განცდა და არც სიკეთე. ბატონი შალვას პერსონაჟი კი, რომელიც ამ შემთხვევაში ავტორის ხედვას ახმოვანებს, სწორედ ამ სტერეოტიპებთან ჭიდილის ალამდარია.

უნდა აღინიშნოს, რომ, არა მხოლოდ კეთილისა და ბოროტის, უფლისა და ეშმაკის ურთიერთმიმართებაა ნაწარმოების დამახასიათებელი, არამედ, ზოგადად, შეპირისპირებები და ანტიპოდური მიმართებები ამ რომანის მეტად შთამბეჭდავი ნიუანსია; თუმცა, შეპირისპირებული და ანტიპოდური ტიპაჟები სწორედ კეთილი და ბოროტი ნიშნებით კლასიფიცირდებიან: თემო და ავთო, ერეკლე და გურამი, გურამი და უშანგი, თავერა და აბიბო, დურსუნი და თემო, ბატონი შალვა და ბატონი გიორგი და ა.შ. შედარებით განსხვავებული ლიას და გულიკოს შეპირისპირებაა, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ „მზიან ღამეში“ სინათლის ნიშნით არიან შემოსულები, ამ პერსონაჟებთან კეთილის მიღმა ბოროტის მხოლოდ გარდამავალი საწყისები მოჩანს, რომლებიც რომანის მსვლელობაში განილევნიან და ჰქმნიან იმედს, სიბნელეში ადამიანების პოვნისა.

თემოსა და დურსუნის დიალოგში, მწერლის ის ხედვა გაცხადდება რომ სიკეთე, სინათლე და უფალი ერთი მხარეა, ბოროტება სიბნელე და ეშმაკი - მეორე. გაოცებული თემო ჰკითხავს დურსუნს: „არაფერი გწამს, არც ხატი, არც ღმერთი?

- \_ არა!
- \_ გლახაკი ხარ შენ, მათხოვარი, მშიშარა!
- \_ ღმერთი რომ იყოს, მე არ გამაჩენდა. არ არის ღმერთი!
- \_ არის!
- \_ რას ეძახი შენ ღმერთს? \_ მკითხა მია დურსუნმა.

– სიყვარულს, სიკეთეს, სიმართლეს, მეგობარს, დედას...“ (დუმბაძე, 1987: 49). აქვე აღვნიშნავთ, რომ დედის გაიგივება ღმერთთან სულაც არ არის შემთხვევითი ან პერსონაჟის აფექტური ამოძახილი; როგორც ძირითად შემთხვევებში, როდესაც საქმე ნოდარ დუმბაძის შემოქმედებას ეხება, „მზიან ღმეშიც“ დედის სახე ღვთისმშობლის ალუზიაა. რომანში დახატულია მრავალჭირგამოვლილი დედია, რომელიც შვილის წუხილის გამო, შვილის განსაცდელის გამო იტანჯება და სულიერ გვემას განიცდის, რაც თავისთავად ღვთისმშობლის სახებას გაახსენებს მკითხველს პირველ ყოვლისა; თუმცა, არის კიდევ ერთი საინტერესო დეტალი – გმირი იხსენებს დედის შესახებ: „იგი ყოველთვის მელოდა, რა დროსაც არ უნდა მივსულიყავი. მელოდა ჩუმი, სევდიანი და საყვედურით სავსე თვალებით. მე ვგრძნობდი, რომ რაღაც დანაშაულს ჩავდიოდი, როდესაც მივდიოდი და არ ვაფრთხილებდი, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო, 12 წლის მანძილზე ჩემთვის არავის უკითხავს, როდის დაბრუნდებიო“ (დუმბაძე, 1987: 20). ჩვენთვის მეტად საინტერესოა მწერლის მიერ ნახსენები 12 წელი; ვინაიდან, ბიბლიის მიხედვით, სწორედ შობიდან 12 წლის შემდეგ ქრისტეს ცხოვრება ბურუსით მოცული ხდება და შემდგომ, მხოლოდ მისი მიწიერი ცხოვრების ბოლო სამი წელია ცნობილი. ასევე, გავიხსენოთ რას ვკითხულობთ 12 წლის ქრისტეს შესახებ სახარებაში: „და როცა თორმეტი წლისა გახდა, ჩვეულებისამებრ, იერუსალიმში დღესასწაულზე ავიდნენ ისინი. ხოლო დღესასწაულის შემდეგ, უკან რომ გამობრუნდნენ, ყრმა იესო იერუსალიმში დარჩა; და ვერ შენიშნეს იოსებმა და დედამისმა (ლუკა 2, 42-43). და რაკი ვერსად იპოვეს, იერუსალიმში დაბრუნდნენ მის საძებნელად. სამი დღის შემდეგ ტაძარში იპოვეს იგი; მოძღვრებს შორის ჩამჯდარიყო, უსმენდა და კითხვებს აძლევდა მათ (ლუკა 2, 45-46). როცა დაინახეს, განცვიფრდნენ და დედამისმა უთხრა მას: შვილო, ეს რა გვიყავი? აჰა, მე და მამაშენი დავდივართ და გულშემოყრილნი დაგეძებთ. და უთხრა მათ: მერედა რას მეძებთ? ნუთუ არ იცით, რომ მე მმართველს იქ ყოფნა, სადაც ყველაფერი ეკუთვნის მამაჩემს? (ლუკა 2, 48-49)“. 12 წლის ქრისტეს დაკარგავენ რა მშობლები, პოვნის შემდეგ, მაცხოვარი, იმის გამო რომ ეძებდნენ, ისევე საყვედურობს მათ, როგორც თემური საყვედურობს დედას ღმერთის გამო. ამიტომ, ვვარაუდობთ, რომ 12 წლის ხსენება შესაძლოა იმ ალუზიურობის მიმანიშნებელი იყოს რომელსაც ზემოთ ვამახვილებდით ყურადღებას. თემურის მეხსიერებიდან 12 წელი იყო დაკარგული მშობლების სახება, რომლის გარეშეც იგი საკუთარი პიროვნების სრულყოფილ აღქმას ვერ ახერხებდა და მამასადამე, თავადაც დაკარგული იყო.

შემდგომში, დედის შეცოდება, დედის ნუგეშისცემა მისაგან, ასევე ძალიან ჰგავს ბიბლიური ჯვარცმის ეპიზოდიდან ამოზრდილ სიუჟეტს. თემური გაიაზრებს რა, რომ საკუთარი ქმედებით ტკივილს აყენებს დედას, აკეთებს ახალ არჩევანს და რჩება სახლში, ეს სახლში დარჩენა კი მეტაფორულად სიკეთის სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანია, საკუთარ არსში დაძლიებული სული ბოროტია, რომელსაც სულმა კეთილმა – უფალმა სძლია: „...მე, ჩემდა გასაოცრად, ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიგრძენი, როგორ მიხაროდა, რომ ვიღაც მეკითხებოდა, სად მიდიხარო, ვიღაცას აინტერესებდა ჩემი წასვლა, ჩემი მოსვლა და, რომ არ დამეკარგა ამ სიტყვების სიტბო და სიახლოვე, სახლში დავრჩი“ (დუმბაძე, 1987: 22). ამის შემდეგ კი გმირი იწყებს მონანიებას და ნუგეშისცემას დედისადმი: „დედა, მაპატიე, ჩემო საწყალო დედიკო! – დავიწყე მე და, რომ არ მეზღავლა, კბილებს კბილებზე ვაჭერდი. – მაპატიე, რაც ტკივილი მოგაყენე. მეც, მამაჩემმაც, მე მაპატიე, დედა. მე შენი გულისთვის ყველაფერს გავაკეთებ, ..თუ გინდა, თავს მოვიკლავ, ოღონდ მაპატიე ყველაფერი, მაპატიე...“ დედის პასუხიც ერთობ საინტერესოა: „...მე ჩემი სიცოცხლე ჯერ არ დამიმთავრებია. გზა კი, მგონი, დავამთავრე, ბოლოში გავედი. ვიდრე ცოცხალი ვარ, ვეცდები, მოგყვე გზაზე, რომ არსად გადავარდე. იქნებ ხელი დაგჭირდეს და შეგაშველებ. შენ შენი გზა გაქვს და შენი გზით უნდა იარო, შვილო...“

– მაინც, რა უნდა გავაკეთო?

– ყველაფერი, რასაც სიკეთე და პატიოსნება ჰქვია.“ (დუმბაძე, 1987: 22).

მათეს სახარებაში (მათე 27, 44-45) ასევე აღწერილია ნუგეშისცემა დედისადმი იესოს მიერ: „...იესო ქრისტესათვის დედის ყურება იყო ახალი სატანჯველი, აქამდე იგი იყო მისი იმედი და ნუგეში; ახლა იგი რჩებოდა დედად არა ისეთი ქრისტესი, რომელიც ხალხს უყვარდა, და რომელსაც პატივსაც სცემდნენ და რომლისაც ეშინოდათ თვით სინედრიონში, არამედ ისეთი იესოსი, რომელიც ყველას მიერ იქნა მიტოვებული, შეურაცხყოფილი, რომელმაც ცხოვრება დაასრულა გოლგოთაზე, ავაზაკებს შორის!.. საჭირო იყო მისთვის რაღაც ნუგეში, მაგრამ ისე, რომ ეს ნუგეში სიხარულად ქცეულიყო მთელი მისი ცხოვრებისათვის და არ მისცემოდა ნუგეშისმცემელი დამცირებასა და მტრებისგან დევნას, რომელთაგან ბევრი ჯერ კიდევ იდგა ჯვართან სიახლოვეში.“ (მათეს სახარების განმარტება წმიდა მამათა სწავლების მიხედვით. თ.გ.)

დედის სახების განღვთობა ყველაზე უფრო აშკარად არის გურამისა და თემურის დიალოგში გამოხატული. თემური ამბობს დედების სადღეგრძელოს სწორედ თემურის დედის – რაც ამ შემთხვევაში იგივეა, რომ ღვთისმშობლის თამადობით ამბობს: „მარტო დედაშენის კი არა, საერთოდ, დედების,

დედაშენის თამადაობით.“ რადგან იმავე სადღეგრძელოს ასე განაგრძობს გურამი: „- მე ღმერთის სადღეგრძელო მინდა, დავლიო!

- აკი დედაჩემის სადღეგრძელოს სვამდი?

- მე ღმერთის სადღეგრძელო მინდა დავლიო. - გაიმეორა გურამმა.....

...მე მინდა ღმერთის სადღეგრძელო შევსვა.

- შესვი, ვინ გიშლის?

- ადექი ფეხზე! - მე ავდექი. - დედაშენს გაუმარჯოს!

...დედაშენი არის ღმერთი. შენ რომ ზიხარ და უყურებ, ისიც რომ გიყურებს, შენ რომ დედას ეძახი და ის შვილოს გეძახის, ამიტომ შენ გგონია, ღმერთი არ არის? შენ ღმერთი ვინ გგონია? წვერებიანი ბაბუა? ღრუბლებზე ზის და პირს რომ იბანს, წვიმა მოდის? ღმერთი ისე ნათელია, ისე ახლობელი, ისე ცხადი და ისე უბრალო, რომ როდესაც ხედავ, არ იცი, რომ ღმერთია“ (დუმბაძე, 1987: 33).

საინტერესოა, რომ კეთილისა და ბოროტის ურთიერთმიმართებას განზოგადებულ ფორმასაც უძებნის მწერალი და სრულიად ნათლად აყენებს საბჭოთა რეჟიმს ბნელ მხარეს, როგორც ბოროტების იმპერიას. რომანის დასაწყისში ძალიან მალე იწყებს გამოკვეთას ეს ყოველივე, თავდაპირველად შედარებით შენიღბულად, დუმბაძისეული ირონიით იღებს სათავეს, თითქოს ცუდს რომ არაფერს ამბობს პერსონაჟი და ყველაფერი რატომღაც მაინც სახარბიელოდ არ გამოიყურება და სწორედ პირიქით იგულისხმება. სტუდენტი მიწის რენტის შესახებ აძლევს პასუხს გამომცდელს და ამბობს: „მიწა კაპიტალისტურ ქვეყნებში იყიდება, საერთოდ, იქ ყველაფერი იყიდება, სინდისიც კი, სინდისი, რა თქმა უნდა, იაფად, რენტა არის მიწის გადასახადი. კაპიტალისტურ ქვეყნებში გადასახადი ძალიან მაღალია, გლეხები გმინავენ სამხედრო გადასახადების გამო, რადგან კაპიტალისტები იარაღს აჯლარუნებენ. შეიარაღებას დიდი ხარჯი უნდა... დიდ ხარჯს - ბევრი ფული, ბევრ ფულს შოვნა უნდა, საიდან? გვეკითხება მოვლენათა ლოგიკა, რა თქმა უნდა, გადასახადებისაგან“ (დუმბაძე, 1987: 4), თითქოსდა კაპიტალიზმის მანკიერებაზე ყოველი სიტყვა, მაგრამ აშკარა ირონიული ხანის გამო, სოციალიზმი გაცილებით სასაცილოდ ჩანს ამ ჭიდილში. მომდევნო მონაკვეთს თუ შევაფასებთ, ამ მხრივ მწერლის მიზანმიმართულობაში კიდევ უფრო დავრწმუნდებით. ეს უკვე ლექტორის პასუხია სტუდენტის მიმართ: „ყმაწვილო, მთელი ღამე კი არა, ხუთი წელი ვსწავლობდი ჩემბერლენთან ერთად ოქსფორდის უნივერსიტეტში, მერე ის კაცი ინგლისის პრემიერ-მინისტრი გახდა, მე კი თქვენისთანა იდიოტებს ვასწავლი თბილისში, გასაგებია? - მკითხა პროფესორმა. ყველაფერი მხესავით ნათელი იყო, მაგრამ გურამს არ უნდოდა უკან დახევა“ (დუმბაძე, 1987: 5), ეს შეპირისპირებაც ირონიული მაგრამ ნიშანდობლივია, რადგან შესაძლებლობების რეალიზების პერსპექტივების პარალელია ნაჩვენები - დახურულ, საბჭოთა სივრცესა და ღია, დემოკრატიულ სამყაროს შორის.

დემოკრატიულობის, თავისუფლების დეფიციტიც რომ მწერლის საწუხარია, ამის მინიშნებასაც მალევე იძლევა ნაწარმოები, გამოცდიდან გამოსული თეიმურაზი ეზოში მოთამაშე ბავშვებს გამოელაპარაკება, რომლებიც ბავშვურად უსვამენ ცნობისმოყვარე შეკითხვას, მაგრამ, ამ კითხვას შიშის ძალა უფრო აქვს ვიდრე ბავშვურივე ან სერიოზული პასუხის შესაძლებლობა „დია სტალინს მოერევი? - მკითხა ბავშვმა უცებ და პასუხის მოლოდინში გაინაბა.

მე აქეთ-იქით გავიხედე. გოგონაც სმენად იყო ქვეული და ელოდა, რას ვიტყვოდი, მე ხმას არ ვიღებდი“ (დუმბაძე, 1987: 6). ხმის ამოდების შიშს სწორედ აქეთ-იქით გახედვა გამოხატავს, ეს ის კითხვაა, რომელიც, რომ დაგისვებს უკვე საშიშია, რა მნიშვნელობა აქვს რას უპასუხებ და არც იმას დაგიდევს ვინმე რომ ბავშვის სუფთა და ცნობისმოყვარე გონებამ შვა ეს შეკითხვა. ამავე შიშის გამოხატულებაა სკოლაში დადგმული სპექტაკლის რეპეტიციის აღწერისას: „არჩილ ერგემლიძის მშობელმა უხერხულობა გამოთქვა იმის გამო, რომ მისი, ძველი ბოლშევიკის შვილი, ჰერინგის როლს ასრულებს და მისი ტექსტი ძირითადად სტალინისა და კომუნისტების გინებაზე არის აგებული. ხომ არ აჯობებდა, რომ ჰერინგის როლი მე, თეიმურაზ ბარამიძეს, ტროცკისტის შვილს, შემესრულებინა, ხოლო საბჭოთა ოფიცრის როლი მის შვილს, არჩილ ერგემლიძეს, - ეს წინადადება დირექტორმა ჩაიწერა.“ ...

.... თქვენ რა გენაღვლებათ, ქალბატონო, თქვენი შვილი წითელარმიელს თამაშობს, ჩემი კი მთელი სპექტაკლის განმავლობაში დედ-მამის სულს უტრიალებს ჩვენს მთავრობას! - წამოხტა ფეხზე პაულიუსის მამა.

.... რომან ჩარეჟიშვილს აეკრძალა სამამულო ომის თემაზე პიესების წერა“ (დუმბაძე, 1987: 67). რა თქმა უნდა, ჩვენ მხოლოდ საკუთარ სუბიექტურ შეფასებას ვერ დავეყრდნობოდით ამგვარ შეფასებათა გაკეთებისას, მაგრამ, ჯერ ერთი, ვითვალისწინებთ მწერლის მთელს შემოქმედებაში მკვეთრად გამოხატულ პოზიციებს და მეორე, „მზიანი ღამის“ ავტორისეული შეფასებითი პათოსიც მეტად საინტერესოდ გვეჩვენება ამ მხრივ. გავყვით რომანის მდინარებას. ძალიან მალევე ნოდარ დუმბაძე წერს: „აღმოსავლეთით და დასავლეთით კეთილი მეზობლები მესაზღვრებიან, ჩრდილოეთიდან ვარაზის ხევის ამოსავსებად მოთრეული ნაგავი“ (დუმბაძე, 1987: 7), თუ ამ წინადადებას აქვე ჩავუღრმავებთ, არ

გვგონია დაგვრჩეს შთაბეჭდილება, რომ ჩრდილოეთისა და დასავლეთის მეზობლების შედარება მხოლოდ მხატვრული აღწერაა მწერლის უშუალო საცხოვრებელი გარემოსი, რომელსაც ჩრდილოეთიდან დამეზობლებული ნაგავის საპირწონედ, აღმოსავლეთ-დასავლეთით კეთილი სამეზობლო ეგულება. ბუნებრივია, რომანისათვის, არა თუ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს მხარეების აღწერის დოკუმენტალისტიკასა და სიზუსტეს, საერთოდაც არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ, ჩვენი ღრმა რწმენით, ავტორი ამას სხვა მინიშნებით უნდა წერდეს და მნიშვნელობაც სწორედ ამ კონტექსტში ეძლევა ტექსტს. გარდა ამისა, ჩრდილოეთზე მინიშნებას სხვა სიუჟეტში ამყარებს პერსონაჟ აბესამის მიერ კომპასზე მიძღვნილი „ლექსიკ“. ლექსის შინაარსის მიხედვით მთვარი ბედნიერება ის არის, რომ ჩრდილოეთში მოსკოვია, ბატონი შალვა კი სტუდენტს ეუბნება: „მაგ კომპასით თუ იარე, წრეს კი არა, საკუთარ სახლს ვერ მიაგნებ!“ (დუმბაძე, 1987: 29), - რასაც თუ განზოგადებულად გავიაზრებთ, ცალსახად ნიშნავს, რომ ჩრდილოეთის იმედად სიარული მომავალ თაობას საკუთარ სახლს (სამშობლოს) დააკარგვინებს და ეს სხვა არაფერია, თუ არა მინიშნებითი გაფრთხილება.

მწერალი იმედიანად არის განწყობილი ახალი თაობისადმი და ფიქრობს, რომ მათ, მეტი შეუძლიათ ვიდრე მათგან მოელიან, სტუდენტობა მიაჩნია მომავლის თობად, რომელიც გამოიყვანს ქვეყანას სიკეთის გზაზე, მიუხედავად იმისა რომ ცდილობენ დათრგუნონ მათში თავისუფლების წყურვილი. სტუდენტ გოგონათათვის ჩაცმულობისა თუ სამკაულის გამოყენების არჩევანის შეზღუდვასაც, რა თქმა უნდა, სიმბოლური დატვირთვა გააჩნია და იმის მიმანიშნებელია, რომ ზოგადად, სისტემა ყველა ხერხით ცდილობს თავისუფლების აღქმა დაუხშოს ახალგაზრდობას. ორი პროფესორის სიტყვიერი გაპაექრებაც ერთ-ერთ მონაკვეთში სხვა არაფერია თუ არა კეთილისა და ბოროტის, იმედისა და უიმედობის ერთგვარი შეპირისპირება: „ვინ არის ხულიგანი? - სტუდენტი. ვინ არის ჯიბგირი? - სტუდენტი. ვინ არის უზრდელი? - სტუდენტი. სადაც კი შეიმჩნევა რამე დანაშაული ჩვენი სახელმწიფოს მეურნეობის რომელიმე დარგში, ვინ არის დამნაშავე? - სტუდენტი,

...თქვენ იცით, რომ ამათმა ტოლმა სტუდენტმა გუმინ კაცი მოკლა კიროვის სახელობის ბაღში! თქვენ იცით, რომ ერთი კვირის წინ ამათმა ტოლმა ორმა სტუდენტმა მალაზია გაძარცვა! ამის ტოლმა სტუდენტმა, - მოათითა ჩემზე ბატონმა გიორგიმ, - ქალი გააუპატიურა კუკიის სასაფლაოზე და ამათმა ტოლმა სტუდენტმა გოგონამ უკანონო შვილი გააჩინა?“ (დუმბაძე, 1987: 73). ამ ყოველივეს წაკითხვის შემდგომ თითქოს ყველაფერი განწირულად ჩანს, თითქოს სრული უიმედობა იმზირება უფსკრულიდან მაგრამ, ბატონი შალვას პერსონაჟის სახით ავტორი აცამტვერებს ამ უიმედობას:

„ამისი ტოლი ბიჭი ამბრაზურას გადაეფარა მკერდით? თქვენ იცით, რომ ამის ტოლა გოგონა სახრჩობელაზე ავიდა? თქვენ იცით, რომ გუმინ ამის ტოლმა ვაჟმა თქვენი ტოლი კაცი ამოათრია მტკვრიდან? (დუმბაძე, 1987: 74). ბატონი შალვას არგუმენტები, შთამბეჭდავია და წონადი ნებისმიერ შემთხვევაში, თუმცა ისინი სიმბოლურობითაც გამოირჩევა. ამბრაზურაზე გადაფარებული ბიჭი, თავგანწირული მეზრძოლის სიმბოლოა, თავგანწირული მეზრძოლების დაცვის ობიექტი კი სამშობლოა უპირველეს ყოვლისა. სახრჩობელაზე ასული გოგონაც თავგანწირვის მაგალითისთვისაა მოხმობილი, რომ ახალგაზრდებს, გოგონას თუ ბიჭს ძალუბთ ამდაგვარი თავგანწირვა და ბოლო არგუმენტი, რომელიც მეტაფორულად იმის თქმას ნიშნავს, რომ უფროსი თაობა მტკვარს ანუ დინებას მიაქვს და იგი ახალგაზრდების დასახსნელია სწორედ.

სიმბოლური სახეებითაა აგებული თემურის ქვემოთ მოყვანილი მონოლოგიც: „მე ვიდექი შუა ტყეში ფეხშიშველი, ფეხისგულეებს წიწვები მჩხვლეთდნენ, ხელებაწვდილი შეეყურებდი ფოთლებში ჩამომდნარ სხივებს და ველაპარაკებოდი ღმერთს.

... მე ვსუნთქავდი ცას, ვბანაობდი სხივებში, ფესვებით გადგმული მიწაში ვიყავი ტყესავით მაღალი, ძლიერი და ბედნიერი.

- ეპეჰე, ჰე, ღმერთო, მაღალო ღმერთო, გმადლობთ, ღმერთო, ძლიერო ღმერთო...“ (დუმბაძე, 1987: 93). ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში „ტყეში ფეხშიშველი დგომა“ გალაკტიონური ალუზიაა და მამულში ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა გავლის საპირწონეა, აქაც, მწერალი სამშობლოსა და ბედნიერებას შეიგრძნობს რადგან „ფესვებითაა მიწაში გადგმული“ ანუ წინაპართან კავშირს შეიმეცნებს.

„მერე უცებ სხივები იქცნენ ცეცხლად, ავარდა ალი და ცეცხლი მოეკიდა ცას, ცეცხლი მოეკიდა ტყეს. მოეკიდა და გათავდა ჰაერი, ჰაერი გათავდა, ღმერთოოოო... მიშველე, ვიწვები... მე ვიდექი და ვიწვოდი ისე, როგორც ჩემს წინ მდგარი ფიჭვი და წიწვი ჩემს ფეხებქვეშ.

- ღმერთო მაღალო, მიშველეე... მერე მე ვთხრიდი უზარმაზარ მუხებს, წიფლებს, არყის ხეებსა და ფიჭვებს, ვთხრიდი გარშემო ყველაფერს და ვამხობდი დედამიწაზე, ვეძახდი ღმერთს, მაგრამ საშველი არ ჩანდა, და მე დავემხე მიწაზე კქითინით“ (დუმბაძე, 1987: 93). ამდაგვარი გაგრძელება სწორედ იმას აღნიშნავს, რომ წინაპართან უწყვეტი კავშირის შეგრძნებას, საკუთარ მამულში დგომის ბედნიერებას უდიდესი საფრთხე ემუქრება, „ჰაერის გათავებაც“ სიმბოლურად სხვა არაფერია თუ არა თავისუფლების დაკარგვა. ამიტომაც ცეცხში გახვეული მიწაც და ცაც, ხოლო მწერალს უფლისა და სასწაულებრივი



ცვლილების იმედი აქვს; ამ შემთხვევაში ცით მოვლენილი წვიმაა ის ალეგორიული სასწაული, ის ცვლილება რომელსაც ღმერთი გამოგზავნის: „მაშინ ისმინა ღმერთმა ჩემი ვედრება... მოვიდა წვიმა, საოცრად თბილი და ალერსიანი წვიმა, მერე იმატა, იმატა, ჩაქრა ცეცხლი და დატრიალდა რძესავით სუფთა და ტკბილი ოხშივარი“ (დუმბაძე, 1987: 93). ეს უკვე რწმენისა და იმეის გამოხატვაა, რომ აუცილებლად მოხდება რაღაც რაც ჩააქრობს ცეცხლს დააბრუნებს ჰაერს და დააბრუნებს თავისუფალი სუნთქვის შესაძლებლობას, ეს რაღაც თუ ვიღაც კი სწორედ ახალ თაობაში ეგულება ნოდარ დუმბაძეს და ამდენად, აქაც, კეთილისა და ბოროტის ამ ჭიდილში, სადაც კეთილი - მამულია, ხოლო ბოროტი ძალა - მამულის თავისუფლების შთანთქმელი, გზად ხსნისად დასახული წვიმის მოსვლა - ახალგაზრდა თაობის მოსვლაა. მოსულმა წვიმამ კი, „მერე იმატა, იმატა“ და აქაც ვხედავთ ერთგვარ გასაღებს მეტაფორულობის სრულყოფილად ამოხსნისთვის, ეს სიტყვები გამრავლების, როგორც პროცესის შინაარსს მიუთითებენ და ამდენად, ამყარებენ ახალ თაობასთან ასოცირების განცდასაც. „უდარდელი იყავი იმიტომ, რომ არავინ გყავდა სადარდებელი, კეთილი იყავი იმიტომ, რომ არ იცოდი, რა იყო ბოროტი.“ (დუმბაძე, 1987: 68) ამბობს ერთგან მთავარი გმირი და მისი შინაგანი მონოლოგით, მწერალი, სწორედ იმ ორ მთავარ საწყის გამოკვეთს რომელიც ჩვენი კვლევის მთავარ ინსპირაციას წარმოადგენს... ნაწარმოებში აშკარად იკვეთება, რომ კეთილისა და ბოროტის ეს მუდმივი ჭიდილი უფლისა და ეშმაკის გზათა კვეთადაც წარმოუდგენია მწერალს. ამ მხრივ მეტად საინტერესო მონაკვეთია რომანში, ლიდას მიერ სახარების ჩუქების დღე თემურისთვის. სიუჟეტი ცოდვასთან ზიარებით იწყება, მაგრამ სახარების ტექსტის ციტირებებით, სახარების დიდი მნიშვნელობისა და დანიშნულების ხაზგასმით გრძელდება. „ნუ მომიტან, გქონდეს, მე ზეპირად ვიცი! \_ ისევ მივედი საწოლთან, დავიხარე და ლიდას ლოყაზე ვაკოცე“ (დუმბაძე, 1987: 98). რა არის ეს, თუ არა იმის დემონსტრირება, რომ უფალი და ეშმაკი მუდმივად, გარდამავალი უპირატესობით იჩენს თავს ადამიანის სულიერ სამყაროში და მთავარი სწორედ ადამიანის სწორი არჩევანია. ლოყაზე კოცნაც უკვე არა ცოდვასთან ნაზიარები კოცნა, არამედ, უმანკო ამბორია, რომლითაც ღვთაებრივი განცდა იღვიძებს გმირში. ჩვენი კვლევის კონტექსტში კვლავ ძალზედ საინტერესოდ გრძელდება სიუჟეტი: სახლში ნაჩუქარი სახარებით მისულ თემურს დედა ამ სიტყვებით ხვდება - „...- დავილუპეთ, შვილო, სტალინს დამბლა დაეცა! - თქვა დედამ და ცოცხალ-მკვდარი მაგიდას მიუჯდა.

- გაგიჟდი, ქალო? - ვკითხე მე. ჟრუანტელმა დამიარა.
- გავგიჟდი, შვილო, გავგიჟდი. რადიომ გადმოსცა, სტალინს სისხლი ჩაექცაო...
- მერე?
- მერე რა? ძალიან მძიმედ არისო, დავილუპეთ, შვილო...
- რას ამბობ, დედა! \_ ვთქვი მე და საწვიმარი ჩავიცივი.

- ავად ვარ და ნუ დამტოვებ, არსად წახვიდე. ძალიან ავად ვარ, შვილო, ძალიან ავად. \_ დედას ადამიანის ფერი აღარ ედო და თვალეზზე ორი დიდი ცრემლი ეკიდა. მე მინდოდა, მივმხვდარიყავი, რას განიცდიდა, რა აწუხებდა, რა სტკიოდა, რისი ეშინოდა, ან რას ტიროდა დედაჩემი, მაგრამ ვერ მივხვდი და, ალბათ, ჩემს სიცოცხლეში ვერასოდეს ვერ მივხვდები და ვერ ავხსნი ამ სათნოებით სავსე პატარა, შემინებული, შეძრწუნებული, ჭადარა ქალის ცრემლების მიზეზს იმ მისთვის საშინელ დღეს“ (დუმბაძე, 1987: 98). ნიშანდობლივად მიგვაჩნია რომ, როდესაც მთავარ გმირს სახარება აჩუქეს და ამ ქმედებით უფლის გზაზე დააბრუნეს სიმბოლურად, სწორედ მაშინ, დამბლა დაეცა სტალინს. თემურს სახლში შეაქვს სახარება და სახლიდან გამოდის ამბავი სტალინზე დამბლის დაცემისა, როგორ უნდა გავიაზროთ ეს სიმბოლიზმი? როგორც დამთხვევა თუ როგორც მინიშნება, რომ ჩვენში არსებული უფლის სახების აღორძინება, ასევე ჩვენში არსებული ბოროტი სახების დამარცხებას, მასზე დამბლას დაცემას ნიშნავს პირდაპირპროპორციულად? დედა შეწუხებულია ბელადის დაცემით, მაგრამ გმირისთვის საოცარია და გაუგებარი ამ შეძრწუნების მიზეზი, რომელიც ამოუხსნელი დარჩება მისთვის... ამ მონაკვეთში უაღრესად ჭკვიანურად არის მოხაზული ფაქტისადმი მწერლის დამოკიდებულება, ერთი შეხედვით თითქოს თემურიც დედის განცდების თანაზიარია, მაგრამ შემდგომ ჩანს, რომ მისი თანაზიარობა მხოლოდ მექანიკური დამოკიდებულებაა და არა გააზრებული. აქაც, ისევე როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, ნოდარ დუმბაძის პერსონაჟი-დედა ღვთისმშობლის სახეა, მიმტვევბელი, შემნდობი, სათნო... ქალი რომელმაც ჯოჯოხეთი და ჯვარცმა გამოიარა გადასახლებაში, ქალი რომელსაც შვილი კალთიდან ააგლიჯეს და უპატრონოდ დაუტოვეს, სრულიად განმარცვულია შურისგების განცდისაგან, რამეთუ მან კარგად უწყის რომ უფალი ამბობს: „ჩემი არს შურის-გებად, და მე მივაგო“, (ახალი აღთქმა, **პავლე მოციქულის ეპისტოლე ებრაელთა მიმართ 10.30**) დედის პერსონაჟი აქ პირდაპირ ბიბლიურ საყრდენზე ამოზრდილა - „გიყვარდეს მტერი შენი“. მისი და სტალინის ერთად ჩვენებაც სიმბოლურად ნათელისა და ბნელის შეპირისპირებაა. დედისა და სტალინის ერთად გარდაცვალებაც სიმბოლურია, რამდენადაც სტალინი დედის მიერ გავლილი წამების გზის სათავეა, შესაბამისად, მწამებელი და წამებული ერთად წარსდგენენ იქ, „სადა არ არის გარჩევაი“. (იაკობ ხუცესი, 2011)

ბოროტისა და კეთილის, ღვთიურისა და ეშმაკეულის ჭიდილი განსაკუთრებით მძაფრად არის აღწერილი აბიბოს ავადმყოფობის სადამოს, მიუხედავად იმისა, რომ თემური დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ აბიბოს მოსაკლავად გამეტება შეეძლო, რაც ისედაც საათულო ჩანდა მისი კეთილშობილური ბუნების გათვალისწინებით, ამასთან, სახარებით სახლში დაბრუნების შემდგომ და დედის გარდაცვალების შემდგომ, რაც თემურისთვის დედის ზეცად ამაღლებას ნიშნავს, თემური კიდევ უფრო მყარად დგება სინათლის, სიკეთის და შესაბამისად უფლისკენ მიმართულ გზაზე და არა თუ არ იმეტებს აბიბოს, არამედ ეხმარება კიდევ და იბრძვის მისი გადარჩენისთვის, რადგან უკვე თემურმაც გაიაზრა „ვისი არს შურისგება“, ამიტომ საბოლოოდ უარყოფს ბოროტებას და საკუთარ თავში ნაპოვნ ბოროტ საწყისს სიკეთით ჩაანაცვლებს. „აბიბო იწვა ჩემს წინ და კვდებოდა. კვდებოდა კაცი, რომლის სიკვდილს ვნატრობდი, კაცი, რომელმაც სულში ჩამაფურთხა, მიწასთან გამასწორა, გამწირა და ამ კაცის სული ახლა ჩემს ხელში იყო. ახლა მე ამას მოვკლავ, თუმცა რა, თავისითაც კვდება, დავჯდები, ვუყურებ, ვიდრე არ მოკვდება, იქნებ წყალი უნდა, მე წყარო ვარ ახლა მისთვის, თუ ვარ, იცოდეს, რომ დამშრალი წყარო ვარ... იქნებ ხმა უნდა გაიგონოს კაცის და ჩემი ხმა ღმერთის წყალობა იქნება მისთვის, - თუ ასეა, იცოდეს, რომ მუნჯი ვარ... იქნებ რამის თქმა უნდა და ყურადღებას ითხოვს, იცოდეს, რომ ყრუ ვარ... იქნებ სინათლე უნდა და მე ვარ მისთვის მზე. - მაშინ იცოდეს, რომ არა ვარ, არა... იქნებ ჰაერი უნდა, და მე ვარ მისი მაცოცხლებელი ჰაერი, - არა, არა, დახშული სარკმელი ვარ მისთვის... ეს მე ვარ, სიკვდილი, თავზე რომ ვადგივარ და მე მოვკლავ მას, რომ თავისი სიკვდილით არ მოკვდეს და ეს უნდა იცოდეს აბიბომ. მე ხელები მიკანკალებდა, პირი გამშრალი მქონდა. ათასი ურო მირტყამდა საფეთქლებში და მეძახდა - მოკალი, მოკალი, მოკალი, ეს შენ ხარ მისი სიკვდილი და ეს უნდა იცოდეს მან“ (დუმბაძე, 1987: 103). ეს ფიქრები უკანასკნელი ცდუნების გამოხატულებაა, საბოლოო გარდამტეხი შეჭიდებაა ეშმაკისა თემურის სულთან,, დამბლა თუ არ დამეცემოდა, არ მეგონა. მაგრამ ავდექი, ტელეფონთან მივედი, 03 ავკრიფე და სასწრაფო დახმარება გამოვიძახე.

- წყალი! - თქვა აბიბომ და გამშრალი ტუჩები გაილოკა. სამზარეულოში გავედი, ჭიქა წყლით ავაკვს და ტუჩებთან მივუტანე. ცოტა მოსვა, ხველება აუვარდა.

- ჰაერი, ჰაერი! - თქვა მან. სული რომ მოითქვა, ყველა ფანჯარა გავაღე, ოთახში გრილი ჰაერი შემოვარდა, და მხოლოდ ახლა ვიგრძენი, რომ ოთახი ნაფტალინისა და მტვრის სუნით იყო გაჟღენთილი.

- მიშველე! - თქვა მან ისევ და აბორჯდა.

- ნუ გეშინია, გიშველი, ახლა ექიმი მოვა! - ვუთხარი მე და ტახტზე ჩამოვჯექი“ (დუმბაძე, 1987: 103). და ამგვარად, გმირის სულში უფალი საბოლოოდ იმარჯვებს, თითქოს გარდაცვლილი დედის სულში არსებული ღმერთი თემურის სულში დავანდა, ამიტომ მანამდე თუ აბიბოს მოკვლა მიზანი იყო, ახლა თემურიც დედასავით მიტევებასა და ბიბლიურ მცნებებზე ხდება დამოკიდებული, „არა კაც კლა“ ჰქვია კიდევ ქვეთავს სათაურად, თუმცა არა თუ არ კლავს, გადარჩენაში ეხმარება სულთმობრძავ აბიბოს და საკუთარი საქციელით გამოხატავს მცნებას „გიყვარდეს მტერი შენი“. სხვა რითი შეიძლება აიხსნას მტრის გადასარჩენად ამდაგვარი თავგანწირული დახარჯვა: „დილის ექვს საათამდე აბიბოს სასთუმალს ვეჯექი და ტილოებს ვუცვლიდი... ..მერე მთლიანად დავიცალე სიძულვილისაგან და ვიჯექი სრულიად ცარიელი, არაფერი გრძნობა არ მქონდა ამ კაცის მიმართ. ჩემს წინ იწვა არაფერი, ქვა, ხე, თუ კუნძი, არ ვიცოდი, უბრალოდ იწვა რაღაც, რასაც ვერ ვგრძნობდი, მხოლოდ ვხედავდი. მერე მოხდა საოცარი რამ... მე შემეცოდა ის, ჯერ როგორც უბრალოდ ავადმყოფი, მერე, როგორც მეზობელი, მერე, როგორც ახლო მეზობელი, ყურის მეზობელი, და ბოლოს, შემეშინდა კიდევაც, როდესაც შევატყვე, რომ ტირილი მომინდა. ხელი შუბლზე გადავუსვი და სასთუმალი გავუსწორე. მერე მე ავივსე ყელამდე სიბრაღულით ამ კაცის მიმართ, იმხელა სიბრაღულით, რომ მისი ცქერა აღარ შემეძლო და ფეხზე ავდექი.“ (დუმბაძე, 1987: 95-96). ჩვენი აზრით, ეს არის საოცარი პასაჟი, რომელიც რენტგენივით აშუქებს პერსონაჟის სულს და თვალს გადევნებინებს როგორ იდევნება მისი სულიდან ეშმაკი და ხდება ერთგვარი სულიერი განღმრთობა. ამას თავდ თემურიც გრძნობს და ზუსტ სახელს ვერ არქმევს რა მოხდა მასში, მაგრამ შეფასებით კი უზუსტესად აფასებს: „დილით ექიმი მოვიდა, აბიბოს კვლავ ჩაეძინა და მე სახლში ავედი. ტანში რაღაც საოცარ სისუსტეს თუ სიმსუბუქეს ვგრძნობდი. რაღაც დიდი, მძიმე, აუტანლად მძიმე დავტოვე წუხელ აბიბოს ოთახში, თუ დამრჩა, იქნებ დავკარგე კიდევაც და მის ნაცვლად რაღაც საოცრად სუფთამ, გამჭვირვალემ, მსუბუქმა და თბილმა ამივსო სხეული, ეს უჩვეულო რაღაც ახლა ბანგივით მათრობდა“ (დუმბაძე, 1987: 105). დიახ, თემურმა ეშმაკი დატოვა, ბოროტება უკუაგდო და სამაგიეროდ ღვთიური მადლითა და სიკეთით აივსო, ეს კი ყოველგვარ შურისძიებას, ყოველგვარ მტერზე გამარჯვებას აღემატება და ბანგივით ათრობს ამ ყოველივეს შემეცნება თემურს.

სიკეთისა და საყოველთაო სიყვარულის მანიფესტით მთავრდება რომანი, ეს მანიფესტი კი თემურის გულწრფელი მონოლოგია. ეს არის მონოლოგი ადამიანისა, რომელიც განიძარცვა ყოველგვარი ბოროტისაგან, იპოვა სინათლე, თავი დააღწია ბნელს და ამ სინათლიდან დაიწყო სამყაროსა და ადამიანების აღქმა: „- თბილისო, ჩემო თბილისო, შეკრიბე მთელი შენი ქუჩები და მოდიტ დღეს ჩემთან,

რა მოხდა, ერთი საათით მოდით, ბოლოს და ბოლოს, თქვენი შვილი არა ვარ?.. თქვენს ქუჩებში და ჩიხებში არ ავიდგი ფეხი? ჰოდა, მოდით და დამლოცეთ, თქვე დალოცვილებო...

და ვიცი, რომ ყველა მოვა, ყველა და რაც არ უნდა პატარა იყოს ეს ოთახი, მაინც ყველა დაეტევა, ყველა თუ არ დაეტევა, რიგრიგობით შემოვლენ და მომილოცავენ. რა მოხდა მერე? ჩემს დალოცვას და დღეგრძელობას რა უნდა? არაფერი, სულ ორიოდე სიტყვა.

- გაგიმარჯოს, თემურ, ბედნიერად და ჯანმრთელად იყავი. შენს მეგობრებს გაუმარჯოს, მშაკაცის იმედი და ძმობა ნუ მოგიშალს, შენს მარჯვენას გაუმარჯოს, შენი ცხოვრების გზას გაუმარჯოს, შენს ფიქრს გაუმარჯოს, შენს ოცნებას, მამული გიცოცხლოს ღმერთმა და ოჯახი... გაგიმარჯოს, თემურ... მეტი მე არაფერი არ მინდა..." (დუმბაძე, 1987: 106).

ყოველივე აღნიშნულს გათვალისწინებით, ჩვენ ვფიქრობთ რომ, რომანი „მზიანი ღამე“ მკითხველისთვის თვალსაჩინო წარდგინებაა ნათელისა და ბნელის ურთიერთმიმართებისა, ნათელი და ბნელი კი სიმბოლურად უნდა აღვიქვათ რა თქმა უნდა, ისევე, როგორც ღამეში შემოჭრილი მზეა სიბნელეზე სინათლის გამარჯვების ალეგორია და შესაბამისად, კეთილისა და ბოროტის ხილული აღქმა და ობიექტური განსჯა უნდა შეძლოს მკითხველმა ნაწარმოების კითხვისას; ეს ჭიდილი, ეს გამუდმებული შეპირისპირება კი იმდენად მიზანმიმართულად არის შემოთავაზებული მწერლის მიერ, რომ რომანი ბუნებრივად გადაიაზრება ღვთიური და ეშმაკეული საწყისების პარალელების ჭრილში და შესაბამისად, საცნაური ხდება, რომ რომანის მიხედვით - სიკეთე, ნათელია და ღვთიური, ბოროტება კი ბნელი და ეშმაკეული.

### ბიბლიოგრაფია

ახალი აღთქმა. (2000).

დუმბაძე, ნ. (1987). *მზიანი ღამე*. თბილისი.

იაკობ ხუცესი. (2011). *შუშანიკის წამება*. წიგნში: *ქართული მწერლობის საუნჯე*. ტ. I. თბილისი.

*მათეს სახარების განმარტება წმიდა მამათა სწავლების მიხედვით*. (თ.გ.). მოძიებულია ვებგვერდიდან:

[https://www.orthodoxy.ge/tserili/zosime/27\\_44-45.htm](https://www.orthodoxy.ge/tserili/zosime/27_44-45.htm)

სირაძე, რ. (1987). *ქართული აგიოგრაფია*. თბილისი.

*Giorgi Khorbaladze*

*Gori State University*

## THE ETERNAL PROBLEM OF RECIPROCITY OF KINDNESS AND EVIL IN THE NOVEL "THE SUNNY NIGHT" BY NODAR DUMBADZE RESUME

Nodar Dumbadze's literary works are characterized by their rich employment of metaphorical and allegorical elements, and his novel "Sunny Night", which we will start discussing directly from the title, stands out particularly in this regard. "Sunny Night" presents an intriguing oxymoron, instantly inviting readers into a realm where contradictions blend into a poetic whole. The juxtaposition of 'sunny' with 'night' conjures the striking image of light piercing through darkness, this serves a profound metaphorical purpose: it speaks to the pervasive dominance of darkness, symbolizing evil, which often shrouds the world. Yet, within this vast expanse of darkness, the presence of the sun — a representation of light and goodness — emerges, surrounded by the forces of evil. At the heart of the novel lies the thematic struggle between these opposing forces, skillfully depicted by the author in a narrative marked by reciprocity. Ultimately, Dumbadze underscores the triumph of light, emphasizing its inherent superiority amidst the eternal battle against darkness.

The novel vividly portrays the insidious impact of totalitarian regimes on the younger generation, illustrating how they are molded into submission and robbed of their innate courage, how it blocks the paths of goodness and spirituality, limits the communalization of art, and also, mostly in vain, tries to "pick the thorns" with their own hands. The system establishes mechanical stereotypes, beyond which neither art, nor friendship, nor humanity, nor the feeling of homeland, nor kindness should go. And with this novel, the writer appears as a champion of fighting with these stereotypes.

**Key words:** Nodar Dumbadze, Kindness and Evil, Character, Communism, Totalitarianism.

# გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

## Education

ლალი აზმაიფარაშვილი  
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თამარ მურალოვა  
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

### პედაგოგიური პროცესი და მისი სისტემები

**საკვანძო სიტყვები:** პედაგოგიკა, აღზრდა, სკოლა, პედაგოგიური პროცესის სისტემები.

პედაგოგიური პროცესი ჰქვია ურთიერთგანპირობებულ პედაგოგიურ სისტემათა ერთობლიობას, რომელშიც მიმდინარეობს აღსაზრდელის პიროვნებად ფორმირება.

*პედაგოგიური პროცესების მთავარი სისტემებია:*

1. სკოლის სასწავლო-მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, სანიტარულ-ჰიგიენური, მორალურ-ფსიქოლოგიური და ესთეტიკურ-რომანტიკული პირობები;
2. პედაგოგიური და მოსწავლეთა კოლექტივი ანუ შემადგენლობა, მშობელთა აქტივი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ა.შ.
3. სასწავლო-აღმზრდელი პროცესის საკლასო-საგაკვეთილო სისტემა;
4. სკოლისგარეშე საგანმანათლებლო-სააღმზრდელი დაწესებულებათა სისტემა.

ამ სისტემებს შორის ურთიერთკავშირს განსაზღვრავს სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები. პედაგოგიურ სუბიექტებად გეგვლინებიან სახელმწიფო, სკოლის ხელმძღვანელობა, პედაგოგიური კოლექტივი, მშობელთა აქტივი, აღზრდის საქმით დაკავებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ობიექტის როლში კი წარმოგვიდგებიან ისინი, რომლებზედაც ხორციელდება მიზანმიმართული, გეგმაზომიერი პედაგოგიური ზემოქმედება.

პედაგოგიური პროცესის სტრატეგიულ ხაზს მასწავლებლისა და მოსწავლეთა ურთიერთმიმართული მიზნობრივი აქტივობა წარმოადგენს, რაც გულისხმობს პედაგოგიური ზემოქმედების შედეგად აღსაზრდელის შემეცნებით აქტივობას გამოხატულს სწავლებისა და სწავლის, განათლებისა და თვითგანათლების, აღზრდისა და თვითაღზრდის სტიმულში. სწორედ ამიტომ ითვლება „პედაგოგიური ურთიერთგავლენა“ ანუ „ურთიერთზემოქმედება“ მეთაურ, წინამძღოლ, ხოლო „პედაგოგიური ზემოქმედება“, პედაგოგიურ გავლენა“, „პედაგოგიური დამოკიდებულება“ თანმხლებ ცნებებად.

„პედაგოგიურ პროცესს პედაგოგიური სისტემების გარდა, გააჩნია პედაგოგიური კომპონენტები, რომლებიც სპეციალურ პროცესუალური ხასიათით გამოირჩევიან.

სასწავლო-აღმზრდელი პროცესს საზოგადოების განვითარების მოთხოვნებით განპირობებული გარკვეული მიმართულება და გენერალური მიზანი გააჩნია. სწორედ ეს მიმართულება განსაზღვრავს აღზრდის კონკრეტულ მიზანსა და შინაარსს.

ინტელექტუალური და ფიზიკური ძალების მობილიზებასა და კონცენტრაციას სასურველი შედეგის მისაღწევად. მიზნის გარეშე ადამიანის ქცევა და მოქმედება ქაოსურია და უნაყოფო, ძალა, დრო და ენერჯია ფუჭად იხარჯება. ბიბლია გვიხსნის, რომ რწმენის გარეშე ადამიანი ჰგავს მესაჭის გარეშე ქართაგან ატაცებულ ხომალდს, რომელიც აქეთ - იქით ტაღებს ეხეთქება.

ასევე ადამიანი მიზნის გარეშე. ამიტომ საკმაოდ მნიშვნელოვანია მიზნის გარკვევა-დასახვის, მიზნობრივი ქცევა-მოქმედებისა და სწავლების საკითხი პედაგოგიკის თეორიასა და პრაქტიკაში.

აღზრდის მიზანი გარკვეულ კანონს ექვემდებარება. როგორც ზემოთ ვთქვით, იგი ყოველთვის საზოგადოებრივი მოთხოვნებით არის განპირობებული.

პედაგოგიური პროცესის იმავე სისტემის მეორე კომპონენტია აღზრდის ამოცანები, რომლის ქვესისტემებია: გონებრივი აღზრდა და განათლება, მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირება, ზნეობრივი აღზრდა, სულიერობის აღზრდა და ეკოლოგიური და შრომითი აღზრდა, პროფორიენტაციული მუშაობა, ესთეტიკური აღზრდა, ფიზიკური აღზრდა.

გონებრივ აღზრდაში იგულისხმება განათლების შინაარსის, განსაზღვრული ცოდნის ფონდის ათვისება, სააზროვნო ოპერაციების, ფსიქიკური და ინტელექტუალური უნარების განვითარება, მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირება და ა.შ.

ზნეობრივი აღზრდის დანიშნულებაა პიროვნების მორალური სახის ფორმირება, მოცემულ საზოგადოებაში დადგენილი ქცევისა და მოქმედების ნორმებისა და წესების დაუფლება, ზნეობრივი შეგნების, ზნეობრივი გრძნობებისა და ზნეობრივი მოქმედების უნარ-ჩვევების გამომუშავება.

სულიერობის აღზრდის პრობლემამ, საერთოდ ვერ ჰპოვა ასახვა თანამედროვე პედაგოგიკაში, სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის უგულებელყოფას მოჰყვა ის უღმერთობა, ზნეობრივი და სულიერი დეგრადაცია, რომელიც რისხვად ატყდება თავზე დღეს მთელ მსოფლიოს.

ესთეტიკური აღზრდა გულისხმობს სილამაზისა და მშვენიერების, დიადისა და ამაღებულის აღქმისა და გაგების, ესთეტიკური კულტურისა და გემოვნების განვითარებას.

აღზრდის მიზანი განსაზღვრავს პედაგოგიური პროცესის მომდევნო კომპონენტს - განათლების შინაარსი. მასში იგულისხმება სამყაროს შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციები, რომელიც ფილოსოფიურ, საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივ-ჰუმანიტარული, ფსიქოლოგიურ-ლოგიკური, ეთიკურ-ესთეტიკური, საგნებშია გადმოცემული.

პედაგოგიური პროცესის სასწავლო-აღმზრდელობითი სისტემის მესამე კომპონენტია პედაგოგიური პრინციპები, რაც ნიშნავს, იმ ამოსავალ დებულებას, იმ საფუძველს, რომლითაც ხელმძღვანელობენ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში. იგი მაორიენტირებელ ფუნქციას ასრულებს მასწავლებლისათვის და ხელს უწყობს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სწორად და ეფექტურად წარმართვას.

#### **ბიბლიოგრაფია**

ხუხუა, გ. (2009). პედაგოგიკა. თბილისი.

*Lali Azmaiparashvili*

*Gori State University*

*Tamar Muralova*

*Caucasus International University*

**PEDAGOGICAL PROCESS AND ITS SYSTEMS**

**RESUME**

The next component of the same system of the pedagogical process is pedagogical methods, which ensure the achievement of maximum results with minimum costs.

**Key words:** Pedagogy, Education, School, Pedagogical process systems.

## განათლება, ზნეობა და ციფრული ტექნოლოგიები

*საკვანძო სიტყვები:* განათლება, ზნეობა, ციფრული ტექნოლოგიები, აღზრდა.

განათლების და ზნეობის დამოკიდებულების საკითხი მუდამ იყო ადამიანის განსჯის საგანი. როგორია დამოკიდებულება მათ შორის. რა ურჩევნია საზოგადოებას განათლებული და უზნეო, თუ ადამიანი, რომელიც ზნეობრივად სპეტაკია, მაგრამ განათლებული არაა. ეს საკითხი თავისებურად განიხილა ჯერ კიდევ ძველმა ბერძენმა სოკრატემ. მისი ფილოსოფიის ძირითადი საკითხია რა არის სიკეთე. სოკრატე ეთიკის ამოსავალია იმის გაცნობიერება, რომ ადამიანის მთელი ცხოვრება ზნეობრივი ქცევის განხორციელებისკენ სწრაფვია. თუმცა ზნეობრივი რომ იყო და სიკეთისქმედებას ემსახურებოდე, უნდა გქონდეს შესაბამისი განათლება, უნდა იცოდე რა არის სიკეთე და რა არის ბოროტება, საჭიროა გარკვეული ზნეობრივი შეგნება, იგი აზროვნების ფუნქციაა და მის ჩამოყალიბებას ადამიანში ხელს უწყობს სწორედ რომ ცოდნა, განათლება. მათ საფუძველზე ყალიბდება შეგნება, რომელიც ინტელექტუალური მომენტია. ასეთი ცოდნა მხოლოდ ბრძენ ადამიანს გააჩნია, ამიტომ სოკრატე ბოროტების მოსპობის საშუალებად მიიჩნევს სიბრძნის დაუფლებას. ცოდნისა და სიკეთის დამოკიდებულების საკითხი სოკრატესთან გამოიხატება დებულებებით „ცოდნა სიკეთეა“. სოკრატეს ფილოსოფიის მთავარ მოვალეობად მიაჩნია რომ ასწავლოს ხალხს რა არის სიკეთე, სამართლიანობა, ვაჟკაცობა. ბოროტება ყოველთვის წარმოშობა ცოდნის ნაკლებობისგან. ის უშვებდა, რომ ცოდნა და სიკეთე ერთიანობაშია, ამიტომ შესაძლებელია, რომ ზნეობრივი ღირებულებები ვასწავლოთ და ვისწავლოთ. ესაა სოკრატული რაციონალიზმის პრაქტიკული შედეგი, რომელიც იმთავითვე უშვებდა განათლებისა და ზნეობის ერთიანობას. თუმცა, ამ თეორიის ნაკლი ის იყო, რომ დაუშვია ცოდნისა და სიკეთის გაიგივება. ეთიკა უნდა სწავლობდეს სათნოებას, ამას ცოდნა სჭირდება, მაგრამ კიდევ სხვა ფაქტორებია გასათვალისწინებელი. უნდა აღინიშნოს, რომ ზნეობა დროში მდგრადი კატეგორიაა, ცოდნა და განათლება შედარებით არამდგრადი ცნებებია.

ზნეობა ადამიანს ეხმარება სამყაროს შემეცნების ღრმა გააზრებაში, ცოდნა ადვილებს სამყაროს კანონზომიერების დადგენას. ასეთ შემთხვევაში ზნეობრივი ადამიანი არც გარესამყაროს, ბუნებას დააზიანებს და არც სხვა ადამიანს. კონკრეტული საგანში არსებული ცოდნა არაა გლობალური და ხელს გვიწყობს ზნეობრიობის დარღვევაში. შეიძლება ადამიანი იყოს მცოდნე, განათლებული, ქიმიკოსი და მან შექმნას ნარკოტიკის ახალი ფორმულა, რომელიც მილიონობით ადამიანს დააზიანებს. ასეთი ცოდნა უზნეოდ შეიძლება შეფასდეს, მაგრამ იგი ხელს უწყობს მეცნიერების წინსვლას. ადამიანი ბუნებით ინტერესიანია, იგი მუდმივად ეძებს სიახლეებს, აინტერესებს სანამდე შეიძლება ჩაწვდეს სამყაროს განვითარების კანონებს, ატარებს ექსპერიმენტებს, ახდენს მეცნიერების სრულყოფას და ნაკლებად ფიქრობს ზნეობაზე და მეცნიერების განვითარების არაზნეობრივ შედეგებზე. ადამიანს დაბადებიდანვე თან დაჰყვება გარკვეული მიმართულების ნიჭი და შემდეგ გარემო პირობების ზეგავლენით აღწევს ამ ნიჭი რეალიზაცია და ცოდნის ახალ-ახალი მწვერვალების დაპყრობას. ზნეობის ჩამოყალიბება და განვითარება კი ხდება თანდათანობით, აღზრდის შედეგად.

ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე ასწავლიან რა არის კარგი და რა ცუდი, რა არის სიკეთე და ბოროტება, პიროვნების არსს განსაზღვრავს სწორედ ზნეობა. ზნეობა მიმართულებას უნდა აძლევდეს ცოდნას და ლოკალური საგნის ცოდნა არანაირად არ შეიძლება ზნეობრიობაზე მაღლა დავაყენოთ. თუ ცოდნამ ადამიანში ვერ მიიღო სწორი მიმართულება ასეთ ცოდნას ისევ უცოდინარობა სჯობს. ადამიანმა რომ იმოქმედოს ზნეობრივი ღირებულებით, მას ამის ცოდნა სჭირდება. თუმცა, თანამედროვე ადამიანი ე.წ. „ჰომოეკონომიკურ“, საერთოდ არ აზროვნებს ამ კატეგორიებით, მას აქვს გარკვეული სურვილები, მატერიალისკენ სწრაფვა, მომხვეჭილობა, დამგროვებლური უნარები, კარიერაზე ზრუნვა და ა.შ. ამ დროს მორალური ღირებულებები გადადის უკანა პლანზე და მათ ანაცვლებს მცდარი ფსევდოღირებულებები.

თანამედროვე პედაგოგიკისა და ეთიკის მთავარი მიზანი ისაა, რომ პიროვნების აღზრდისთვის ყურადღება უნდა მიექცეს როგორც ცოდნის, ასევე ზნეობრივი ღირებულებების დანერგვის. ცოდნას

ადამიანი იძენს თანდათანობით, აღზრდის სხვადასხვა ეტაპზე. მათ შორის მოიაზრება ეთიკური ცოდნა, მაგრამ პიროვნების სრულყოფილი განვითარებისათვის თეორიასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკულ მაგალითებს, რომლებსაც მოზარდი იღებს პედაგოგისაგან, აღმზრდელისაგან, მშობლისაგან. დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების იმ გარემოში ფორმირებას, სადაც ცოდნა თავადაა ღირებულება და არა დაცინვის საგანი.

თანამედროვე პედაგოგიკის წინაშე მთელი პრინციპულობით დგება საკითხი უწყვეტი განათლების, ადამიანის მიერ ცოდნის დაუფლების აუცილებლობა მთელი ცხოვრების მანძილზე. ეს დღის წესრიგში აყენებს საკითხს სწავლებისა და ზნეობრივი აღზრდის ახალი ფორმების ძიების შესახებ. „ინფორმაციის საუკუნე“ ანუ 21-ე საუკუნე იძლევა ინფორმაციის ამოუწურავი მასალის წვდომის შესაძლებლობას, თითქოს იცვლება განათლების შინაარსიც. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ადამიანის განსწავლულობის საზომი არის არა გარკვეული მონაცემების ფლობა, ინფორმაციის რაოდენობრივი მხარე, არამედ იმის უნარი, რა მონაცემები სჭირდება მას და როგორ დააღაგოს ისინი პრიორიტეტებად. ცოდნა სპეციფიკური რამაა, რომელიც განათლების გზით მიიღება იგი ციფრულ სამყაროში არამდგრადია და მუდმივად განახლებად პროცესშია. განათლების მიღება ადამიანის მუდმივი მიზანსწრაფვაა, რადგან მისი საშუალებით ადამიანი სრულად შეიცნობს იმ სამყაროს, სადაც ცხოვრობს. მას სჭირდება ამ სამყაროში ღირსეული ადგილის დამკვიდრება, რათა დააღაგოს ურთიერთობები სხვა ადამიანებთან და თვითონაც დაცულად იგრძნოს თავი.

ციფრულ ეპოქაში სწავლის პროცესი თავისებურია. უნდა განისაზღვროს თვითონ პიროვნების მიერ, რომ აუცილებელია ვისწავლოთ, თუმცა როგორ ვისწავლოთ და რა ვისწავლოთ ესაა მთავარი. ვინაიდან მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სწრაფად ცვალებადობის ფონზე ინფორმაციის დიდი ნაწილი სწრაფად იცვლება და უფასურდება. ამიტომ აუცილებელი ხდება იმის გაცნობიერება რომ ადამიანმა გამოიმუშაოს უნარი, როგორ გარდაქმნას მიღებული ცოდნა პრაქტიკულ ცოდნად. ასე თანდათანობით ადამიანში გროვდება „ცოდნის ფონდი“, ვისაც ეს ფონდი მაღალი აქვს სწორედ ის სარგებლობს გარკვეული პრივილეგიებით და მაღალი შემოსავლებით. ანუ ეკონომიკის ენაზე რომ ვთქვათ, ხდება ცოდნის კაპიტალიზაცია. თუ ადრე ცოდნა მხოლოდ წიგნების კითხვით მიიღწეოდა, დღეს არსებობს კომუნიკაციის უამრავი საშუალება. სწორედ ამიტომ ინფორმაციული საზოგადოების ზოგად იდეოლოგიას მხოლოდ ის სასწავლებლები, ის ადამიანები მიუახლოვდებიან, რომელსაც უკეთესი თანამედროვე ინფორმაციულ-კომუნიკაციური ინფრასტრუქტურა ექნება. ძველი ბერძენი ფილოსოფოსები და შემდეგში სხვებიც: დეკარტი, ბეკონი, კანტი სამყაროს ცენტრში მიიჩნევდა ადამიანს და ყველაზე ღირებულად სწორედ რომ ადამიანური გონება იყო მიჩნეული ცოდნა უსასრულია. მის შეცნობას არ ყოფნის ერთი ადამიანის სიცოცხლე. ცოდნა კავშირშია განათლებასთან და საზოგადოების მორალურ-ზნეობრივ მდგომარეობასთან. განათლება მუდმივად განიცდის ტექნოლოგიურ პროცესების გავლენას. იგი მუდმივად უნდა ადაპტირდეს მეცნიერულ-ტექნიკურ პროცესთან და არ უნდა ჩამორჩეს მას. განვითარების დღევანდელ ეტაპზე მეცნიერულ-ტექნიკური პროცესი ვითარდება სწრაფი ტემპით, განათლებაკი შედარებით ნელი პროცესია: ტექნიკური ცოდნის განვითარებაში შეინიშნება ჰუმანიტარული ასპექტების იგნორი, ხდება აზროვნების ტექნოკრატია, ფასულობების დეგრადაცია. საჭირო ხდება საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული ცოდნის ერთმანეთთან დაახლოების პროცესი. დაუშვებელია ტექნოლოგიური პროცესების გაფეტიშება და ჰუმანიტარულის უარყოფა. ზნეობის როლის ამალღების გარეშე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ვერ იქცევა სოციალური პროგრესის საფუძვლად.

ციფრული ეპოქის პირობებში იზრდება მოთხოვნილების ისეთ განათლებაზე, რომელიც ადამიანს მისცემს საშუალებას გაუმკლავდეს გამოწვევებს. საჭიროა პრობლემებზე გუნდური მუშაობას და ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღების ფორმების დანერგვა, ახალგაზრდებმა უნდა განავითარონ ის პროფესიები, რომლებიც მათ დასაქმების მეტ საშუალებას მისცემს და არა ის პროფესიები, რომლებიც ნაკლებად შემოსავლიანი ხდება ან საერთოდ ქრებიან. ციფრული საზოგადოება აუცილებლობით მოითხოვს ისეთ ადამიანის აღზრდას, რომელიც მარტო ინტელექტულაურად კი არ იქნება მომზადებული, არამედ შეეძლება ადამიანური ურთიერთობების განვითარებაც. განათლების მთავარი ვექტორი მიმართული უნდა იქნება იქითკენ თუ როგორ დაინერგოს ტექნოლოგიები. ახალ მიღწევებთან შესაბამისობით ყალიბდება ციფრული საზოგადოება. ჩნდება ახალი ტერმინები „ციფრული განათლება“, „ციფრული წიგნიერება“, ციფრული საზოგადოების წარმატების უმაღლესი ფასეულობა უნდა გახდეს ადამიანი თავისი აზროვნებითა და შესაძლებლობებით, ადამიანი რომელსაც შეეძლება ძველი მოდელის მოდერნიზაცია და ახლის შეთავაზება.

ციფრული ეპოქის პირობებში განათლება ახალ დატვირთვას იძენს. საჭირო ხდება ტრადიციული მიდგომების ახალი ფორმებით ჩანაცვლება. როგორ უნდა მოხდეს ეს ყველაფერი საჭიროებს გაკვეთულ კვლევებს, ახლებურ გააზრებას. ფაქტი ერთია, რომ სწავლა უნდა გახდეს უფრო საინტერესო, მიმზიდველი და პრაქტიკული. განათლების თანამედროვე ფორმები ახალ მეთოდებსაც გულისხმობს:

დისკურსი, ადაპტირებული, სიტუაციური სწავლება, სწავლაში გუნდური მონაწილეობის პრინციპის დანერგვა. ციფრული ტექნოლოგიების პირობებში საუბრობენ ინოვაციური განათლების აუცილებლობაზე. იქნება ინოვაციური განათლების ფონდები, რომლებიც ეხმარებიან ადამიანს ციფრული უნარების განვითარებაში და დასაქმებაში.

ამრიგად, განათლებას ციფრული ეპოქის პირობებში საკმაო დილემის პირობებში უხდება განვითარება. ეს ის პროცესია, როცა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვა აუცილებლობით ითხოვს ადამიანური კაპიტალის განვითარებას, მისი ინტელექტუალური და ზნეობრივი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენას.

### **ბიბლიოგრაფია**

არისტოტელე. (1994). *დიდი ეთიკა*. თბილისი.

ზანძვლაძე, მ. (2011). *ეთიკა*. ქუთაისი.

ბერლიავეი, ნ. (2003). *ადამიანის ბედი თანამედროვე სამყაროში*. თბილისი.

ვალე, მ. (2022). *მონტესორის პედაგოგია და ახალი ტექნოლოგიები*. თბილისი.

ვასაძე, ნ. (2000). *პედაგოგია*. თბილისი.

*Manana Bandzeladze*  
*Akaki Tsereteli State University*  
*Darejan Chkhirodze*  
*Kutaisi University*

## **EDUCATION, MORALITY AND DIGITAL TECHNOLOGY RESUME**

At the current stage of development, the issue of education, morals and attitude towards digital technologies is particularly important

The issue of attitudes of education and morality has been discussed even in ancient philosophy.

This topic is discussed in its own way in the philosophy of Socrates, where it is noted that the whole life of a person is a pursuit of goodness, although in order to achieve this, appropriate knowledge and education are needed. Education When talking about the relationship between morality and education, it should be noted that morality is a stable category in time, while education and knowledge are relatively unstable. A moral person conducts himself that way of life, so not to harm the outside world, nature or man with his behavior. However, an educated chemist, when creating a new drug formula is less interested in the moral consequences of his action and simply thinks about the development of science. However an educated chemist creating a new drug formula, is not so interested in the moral consequences of his action and simply thinks about the development of science. Philosophical education, in-depth analysis of events and drawing appropriate conclusions help a person to overcome this negative moment. Education has value if it is guided by morality, the understanding that local knowledge cannot be reduced above morality. Any knowledge on which education is based needs to be given the right direction. The main goal of modern pedagogy and ethics is to educate a person, to pay special attention not only to knowledge, but also to the introduction of moral values. All this is complicated by the rapid development of scientific and technical progress, introduction of new technologies. In these conditions, the criterium of human learning is not the possession of a certain amount of data, but the ability to know what data we need in a certain situation, they need to sort them correctly in the digital world. Knowledge becomes more and more unstable. A person needs to establish a decent place in the world, to arrange relationships with others and to feel safe. The process of the digital age requires the development of human capital, the maximum manifestation of his intellectual and moral process.

**Key words:** Education, Morality, Digital technologies, Upbringing.



## ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დიფერენცირების შესაძლებლობები

**საკვანძო სიტყვები:** ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სკოლა, მოსწავლე, ინკლუზია, აუტიზმი.

ბოლო წლებში პოპულარობით სარგებლობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩვეულებრივ სკოლებში ინკლუზია.

„სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები“ ფართო ცნებაა, რომელშიც მოიაზრება განსხვავებული მოსწავლეები, რომლებსაც სხვადასხვა სახის საჭიროება და პრობლემა აქვთ. მოსწავლეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები მაშინ აქვს, როცა თავისი ასაკის სხვა ბავშვებისაგან განსხვავებით უჭირს ახალი მასალის ათვისება და სპეციალური გარემოს შექმნა სჭირდება იმისათვის, რომ ისწავლოს და აკადემიურ წარმატებებს მიაღწიოს. მკვლევარები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა კატეგორიას მიაკუთვნებენ განსაკუთრებულად ნიჭიერ მოსწავლეებსაც, რადგან მათთვის სწავლის ჩვეულებრივი მოდელი ისევე შეუსაბამოა, როგორც სწავლის დაქვეითებული უნარის მოსწავლეებისათვის. ნიჭიერ ბავშვებსაც განსხვავებული საგანმანათლებლო საჭიროებები აქვთ და განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებენ იმისათვის, რომ მაქსიმალურად შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება.

ხშირად ინკლუზიურ განათლებაში გულისხმობენ მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში. სინამდვილეში ეს ინკლუზიური განათლების მხოლოდ ერთი ასპექტია.

ინკლუზიური განათლების მრავალ საკითხთან დაკავშირებით დიდი ხანია აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ჰეჰირი აღნიშნავდა, რომ: „კვლევების შედეგების მიხედვით, ინკლუზიური განათლება შედეგიანი და წარმატებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მასწავლებლებს გავლილი აქვთ შესაბამისი მომზადება, მომზადებულნი არიან ადეკვატური ცოდნით და რაც მთავარია, სპეციალისტების მხრიდან აქვთ მნიშვნელოვანი ცოდნა“ (Hehir, 2016: 31).

იმისათვის, რომ ინკლუზიური განათლება განხორციელდეს, საკლასო ოთახი და სკოლა მზად უნდა იყოს სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მისაღებად, აგრეთვე აუცილებელია სკოლის ყველა თანამშრომელს ესმოდეს ასეთი ბავშვების მდგომარეობა. საჭიროა შესაბამისი ტრენინგების ჩატარება თანამშრომლებისათვის, რათა ისინი მზად იყვნენ ბავშვებისათვის საჭირო დახმარების გასაწევად.

როდესაც ბავშვს დაუდგენენ გარკვეული სახის უნარის/უნარების დაქვეითებას, საჭიროა, სკოლამ მას სწავლისათვის შესაბამისი პირობები შეუქმნას, ასეთ შემთხვევაში, ბავშვებისათვის არსებობს რამდენიმე არჩევანი:

- სპეციალურ სკოლაში გადაყვანა;
- ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში დატოვება, მაგრამ მისი სპეციალურ კლასში გადაყვანა;

• მოსწავლის ინტეგრირებული სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში; (ამ შემთხვევაში მოსწავლეს ზოგიერთი გაკვეთილი სპეციალურ კლასში აქვს, ზოგიერთი კი - ზოგადსაგანმანათლებლო კლასში);

• ინკლუზიური სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. რაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო კლასში ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლებას ითვალისწინებს.

არჩევანი დამოკიდებულია კონკრეტული ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროებებზე - ზოგიერთი მოსწავლისათვის ადეკვატურია ინკლუზიური და ინტეგრირებული სწავლება, ზოგიერთისათვის კი შეიძლება სპეციალურ სკოლაში სწავლება იყოს სასარგებლო. მოსწავლესთან მიმართებაში შეზღუდული შესაძლებლობა შეიძლება გულისხმობდეს:

1. შეზღუდვას მოქმედებასა და აქტივობაში;

2. შეზღუდვას მონაწილეობის შესაძლებლობაში. უნარშეზღუდულობის დეფინიციამ მთავარი აქცენტი უნარის/უნარების განუვითარებლობა/შეფერხებაზე, დეფიციტზე კეთდება. სწორედ ამ დეფიციტის მიხედვით ხდება უნარშეზღუდულობის ხარისხის განსაზღვრა.

თ. პაჭკორია აღნიშნავდა: „დასწავლის უნარის დაქვეითება, სხვა უნარებისაგან განსხვავებით (მაგალითად მხედველობისა და სმენის დაქვეითებასთან შედარებით), შეიძლება ითქვას, რომ ერთი შეხედვით შეუმჩნეველია და უნარშეზღუდულობის არათვალსაჩინო ჯგუფს განეკუთვნება“ (პაჭკორია, 2010: 40).

დაქვეითებული აკადემიური უნარების მქონე მოსწავლეები, ჩამორჩებიან თანატოლებს ერთ ან მეტ აკადემიურ უნარში. ესენია:

- კითხვის ათვისებასთან დაკავშირებული პრობლემები და დისლექსია;
- წერის ათვისებასთან დაკავშირებული პრობლემები;
- ანგარიშის ათვისებასთან დაკავშირებული პრობლემები;

სკოლაში სწავლობენ ისეთი ბავშვებიც, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ მეტყველების განვითარების, მოტორული კოორდინაციის, ყურადღების კონცენტრაციის, კომუნიკაციის და სოციალური ურთიერთობების, ემოციური რეგულაციისა და ქცევის პრობლემები, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის სწავლასა და სწავლებაზე.

მასწავლებელია ის პიროვნება, ვისაც საშუალება აქვს დააკვირდეს ბავშვს და აღწეროს მისი არასასურველი ქცევა ან პრობლემები სწავლაში.

ანუფრიევის თქმით: „მოტორული მოუქნელობა მნიშვნელოვნად უშლის ხელს ბავშვს გარემოსთან ადაპტაციასა და სწავლაში, მაშინ დგება ასეთი ბავშვის სპეციალისტის მიერ შეფასების საკითხი.“ (Ануфриева, 2012: 12)

აუტიზმის მქონე ბავშვს ხშირად გამოხატული პრობლემა აქვს მეტყველების განვითარებაში და სტერეოტიპული მოქმედებები აქვს. აუტიზმი სამედიცინო დიაგნოზია და საერთო არ აქვს ხასიათის თავისებურებებზე, როგორცაა სიმორცხვე, გულჩათხრობილობა, არაკომუნიკაბელობა. დაუშვებელია „აუტიზტის“ სტატუსის მიწებება იმ ბავშვებისათვის, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზის გამო უჭირთ გარემოსთან შეგუება, ურჩევნიან მარტო თამაში და არ ჰყავთ მეგობრები.

ა. ანუფრიევის თქმით: „არ არსებობს მეთოდი, რომელიც თანაბრად წარმატებული იქნება აუტიზმის მქონე სხვადასხვა ბავშვის შემთხვევაში.“ (Ануфриева, 2012: 18) სასწავლო გეგმაში აუცილებელია სოციალური და კომუნიკაციური ჩვევების ათვისების ჩართვა.

ბავშვი ჰიპერაქტიული და უყურადღებო ბევრი მიზეზის გამო შეიძლება იყოს, თუნდაც მოჭარბებული შფოთვის, შეგუების პრობლემის, დაბალი თვითშეფასების და სხვა. მასწავლებელი უნდა დააკვირდეს ბავშვს როგორც გაკვეთილზე, ასევე თავისუფალ გარემოში - დასვენებაზე, გაითვალისწინოს მისი თანატოლებთან ურთიერთობა და ა.შ.

იმ მოსწავლეებს, რომლებსაც ყურადღებასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ, უჭირთ დავალებისათვის ყურადღების დათმობა, არ უსმენენ, როცა მათ ესაუბრებიან, არ ითვალისწინებენ მითითებებს, უჭირთ ორგანიზება, ადვილად ეფანტებათ ყურადღება და გულმაღვიწყები არიან. ამ პრობლემის მქონე ბავშვებს ახასიათებთ იმპულსური მოქმედება და უჭირთ ერთ ადგილზე მშვიდად გაჩერება, ისინი მოუსვენრად არიან კლასში და ვერ იცავენ წესებს. მათ ავიწყდებათ თარიღები, დავალებები.

დასწავლის დაქვეითებული უნარის მქონე მოსწავლეთა მშობლებისათვის არსებობს რჩევები:

- მიცვტე ბავშვებს საშუალება, დაეხმარონ მშობლებს სახლის საქმეში;
- რჩევების მიცემისას გამოყენებულ იქნას მარტივი მითითებები;
- მეცადინეობისას შევუქმნათ მშვიდი გარემო;
- მოვუწოდოთ ბავშვს თანატოლებთან აქტიური ურთიერთობა;

ზოგი ბავშვი თანატოლებთან შედარებით სწრაფად ვითარდება და ამ დროს მას ხშირად განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულად თვლიან, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ მისი და სხვა თანატოლების განვითარების დონე ერთნაირი ხდება. განსაკუთრებული ნიჭის მქონე მოსწავლეების სწავლებამ შესაძლოა პრობლემები გამოიწვიოს. მათთვის გაკვეთილის თემატიკა, შეიძლება უინტერესო და მარტივი იყოს, მოსწყინდეთ სასწავლო პროგრამით სწავლა, აიცრუოს სკოლაზე გული, რამაც დაბალი მოსწრება გამოიწვიოს. განსაკუთრებული ნიჭის მოსწავლეებისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო პირობების უზრუნველსაყოფად ერთ-ერთი გავრცელებული პრაქტიკაა თანამშრომლობითი სწავლა. ამ მიდგომის არსი ის არის, რომ ისინი რჩევებს აძლევენ თანაკლასელებს და ეხმარებიან მათ.

შეიძლება ნიჭიერი მოსწავლე რამდენიმე საგანში გაკვეთილს უფროს კლასებთან ერთად დაესწროს ან მოსწავლე ლექციებს უნივერსიტეტში დაესწროს. ყოველივე ამას აქვს დადებითი მხარეებიც, მაგალითად:

- სწავლის ეფექტურობისა და შედეგიანობის ზრდა;
- მოსწავლეების ახალ, უფრო ჩამოყალიბებული თანატოლების ჯგუფში შეყვანა;
- მეტი დრო კარიერის ასარჩევად;
- მეტი საშუალებები, აკადემიური კვლევისათვის;

- მოწყენილობის თავიდან აცილება;

დაჩქარებულ სწავლებას უარყოფითი მხარეც გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ბავშვები მაღალი აკადემიური მიღწევებით გამოირჩევიან, შესაძლოა მათ სოციალური უნარები საკმარისად არ ჰქონდეთ განვითარებული, გაუჭირდეთ უფროსი მოსწავლეების ჯგუფში ინტეგრირება.

მშობლებს, შესაძლოა დასჭირდეთ ბავშვის ისეთ სკოლაში მიყვანა, სადაც კარგი პირობებია შექმნილი ნიჭიერი მოსწავლეებისათვის.

ხშირად მშობელი არაობიექტურია შვილის მიმართ და შეიძლება, მან უსაფუძვლოდ მოსთხოვოს მასწავლებელს, რომ მის შვილს მოექცეს, როგორც ნიჭიერს.

მკვლევარები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა კატეგორიას მიაკუთვნებენ განსაკუთრებულად ნიჭიერ მოსწავლეებსაც, რადგან ნიჭიერ ბავშვებსაც განსხვავებული საგანმანათლებლო საჭიროებები აქვთ და განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებენ.

მასწავლებელმა უნდა იცოდეს თანამედროვე მიდგომები ინკლუზიური განათლების სფეროში და გამოიყენოს პრაქტიკაში.

### **ბიბლიოგრაფია**

გაგოშიძე, თ. (2009). *ინკლუზიური განათლების პრინციპები*.

პაჭკორია, თ. (2010). *ვისწავლოთ ერთად ინკლუზიური განათლება*. თბილისი.

Ануфриева, А. (2012). *Как преодолеть трудности в обучении детей*. Москва.

Reynolds, C. (2015). *Effective Teaching*.

Hehir, T. (2016). *New Direction in Special Education*.

*Tsiuri Bakradze*  
Gori State University

## **OPPORTUNITY FOR DIFFERENTIATION WITHIN THE INDIVIDUAL CURRICULUM RESUME**

In recent years, social inclusion has been popular among the students with special educational needs in ordinary schools. In principles of inclusive education are based on fundamental issues such as access to education, protection of children's rights and their social adaptation. The article deals with basic principles of inclusive education and arguments related to the issue. Inclusive education focuses on the individual skills and learning styles of students. For this purpose, the National Curriculum is fitted with the student's educational needs. Therefore, the main weapon of inclusive education is an individual training plan.

**Key words:** Individual curriculum, School, Pupil, Inclusion, Autism.

## **უნივერსიტეტი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ცნობიერების განვითარების კონტექსტში**

**საკვანძო სიტყვები:** ტექნოლოგიური ცნობიერება, პოსტმოდერნული უნივერსიტეტი, გლობალური უნივერსიტეტი, ჰიპერუნივერსიტეტი.

თანამედროვე ინფორმაციული განვითარების პერიოდში უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ცნობიერების განვითარების დასაწყისად სოციალური მედიის (ინტერნეტის) შექმნა და მისი ფართო გლობალური განვითარება შეიძლება ჩავთვალოთ. სოციალური მედიის (ინტერნეტის) გლობალურმა და სწრაფმა განვითარებამ ტრადიციულ საუნივერსიტეტო სივრცეში სრულიად ახალი ცოდნის კერა შექმნა. ცნობილი პროფესორი, რომელმაც შემოიტანა ახალი ტერმინი- „ცოდნის ახალი სივრცე,“ არის დენვერის უნივერსიტეტი, ფილოსოფოსი და რელიგიის სწავლების პროფესორი კარლ ა. რაშკე. ის საუბრობს ცოდნის რევოლუციური განვითარების სამ ფაზაზე, ასევე მნიშვნელოვან წინსვლად თანამედროვე უნივერსიტეტის გაჩენას მიიჩნევს, რომელიც სწორედამ რომ ტექნოლოგიური აზროვნების, მსოფლმხედველობის და ცნობიერის განვითარებამ მოიტანა.

მე-20 ს-ის II ნახევარი მზარდი ინდუსტრიული და ტექნოლოგიური ცვლილებების განვითარებით გამოირჩევა, რომელსაც ცნობილი მეცნიერი ლიოტარი ე. წ. პოსტინდუსტრიული და ტექნოკრატიული ერის დასაწყისად მიიჩნევს. ის არ გამორიცხავს იმ გარემოებას, რომ სწორედ ამ ტრანსფორმაციამ განაპირობა ე. წ. მოდერნისტული პერიოდიდან- პოსტმოდერნისტულ პერიოდზე გადასვლა. ცნობილია, რომ მოდერნისტული პერიოდი დაიწყო განმანათლებლობის ეპოქიდან და თითქმის გაგრძელდა მე-20 საუკუნემდე. უნივერსიტეტის განვითარების თითოეული ეტაპის კლასიფიკაციაში პოსტინდუსტრიული და ინტერნეტის შექმნამდე ეტაპი უკავშირდება ინდუსტრიული ცნობიერების პერიოდს, ხოლო მე-20 ს-ის 90-იან წლებში: გლობალური თანამედროვე განვითარება, ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი სვლა, ბოლონის პროცესის შექმნა - მოგვხსენება, რომ მასში იგულისხმება ტექნოლოგიური ცნობიერების გაჩენის და განვითარების საწყისი ეტაპი. პროფესორ რაშკეს აზრით, საზოგადოების განვითარების ისტორიაში ცოდნის რევოლუციის მოცემული სამი ფაზა დაკავშირებულია უძველესი პრეცივილიზაციური პერიოდის განვითარებიდან მოყოლებული თანამედროვე ეპოქამდე. თანამედროვე ცოდნის განვითარების საწყის ეტაპად მას მიაჩნია ენის გაჩენა, მაშინ როცა განვითარების იმ პერიოდის ადამიანებმა პირველად დაიწყეს ლაპარაკი, კომუნიკაცია. შემდეგი ეტაპი ცოდნის განვითარების დაკავშირებულია დამწერლობასთან, მაშინ როცა პირველად შეიქმნა ანბანი, როცა საზოგადოებამ დაიწყო ინფორმაციის შენახვა დამწერლობით. ამ დროს შეიქმნა სწორედ პირველი ხელნაწერები კაცობრიობის ცხოვრებაზე, მათ ყოველდღიურ აქტიურობაზე. მომდევნო ეტაპი დაკავშირებულია ციფრულ-ინფორმაციულ რევოლუციასთან (Raschke, 2003).

პროფესორ რაშკეს მიერ შემოთავაზებული ცოდნის განვითარების სამი ეტაპი საკაცობრიო ფართო პერიოდს შეადგენს. საზოგადოების განვითარება წლების განმავლობაში მიმდინარეობდა. ის ძირითადად დაკავშირებული იყო ცოდნის სტატუსის შინაარსთან, თუმცა ეს პერიოდი მოიცავს უნივერსიტეტების გაჩენამდე არსებულ ისტორიის ეპოქებს. ცოდნის განვითარების პირველ და მეორე ეტაპი დაკავშირებული იყო ქურუმებთან, ტამრების მშენებლობებთან და რაც მთავარია, განსხვავებული სახით არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომელიც საგრძნობლად განსხვავდება დღეს არსებულ საგანმანათლებლო ცენტრებთან. ყველაზე უმთავრესი კი გახლავთ „ცოდნის მესამე რევოლუცია,“ რომელშიც რაშკე თვლიდა გლობალურ ცოდნას, ის ორიენტირებული იყო მომხმარებელზე. ეს გახლდათ კომპიუტერის გამოგონება, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ კომპიუტერის მიღწევებმა გასცა მის პირვანდელ ჩანაფიქრს და მეტი შესაძლებლობა აღმოაჩინა (Raschke, 2003, p. 13).

ცოდნის დაგროვება და გავრცელება უშუალოდ უკავშირდება უნივერსიტეტს და მისი ჩამოყალიბების იდეას. უძველესი ცოდნა რელიგიური აზროვნებიდან მომდინარე ტექნოლოგიური აზროვნებითა და ცნობიერების პერიოდამდე განიცდიდა ცვლილებას უნივერსიტეტის ტოპოსში. თუმცა, ტექნოლოგიური ცნობიერების განვითარების პერიოდში, ცოდნის შინაარსი და მისი სტატუსი უნივერსიტეტის ტოპოსიდან გადის. ამის გამომწვევი ერთი მხრივ, არის ეკონომიზმი, რომელიც გლობალური ტენდენციებით არის ნაკარნახევი, მეორე მხრივ კი, ციფრული რევოლუციით განათლებაში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ციფრული რევოლუცია კავშირშია კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან და სოციალური ინტერნეტის მიღწევებთან, რომელზე დაყრდნობითაც შეიქმნა ე. წ. „ვირტუალური სივრცე,“ მას მეორენაირად შეიძლება ეწოდოს კიბერსივრცე.

ესპანელი ფილოსოფოსი და მეცნიერი ხოსე ორტეგა ი გასეტი თავის წიგნში „უნივერსიტეტის მისია,“ (1946) აღნიშნავს, უნივერსიტეტები უპირველესად განათლებას სთავაზობს საზოგადოებას. ის მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტის ძირითადი ფუნქცია უნდა იყოს კარგი სპეციალისტის აღზრდა, რომელიც შრომის ბაზარზე პირნათლად აღასრულებს თავის მოვალეობას. ხოსე ორტეგაი გასეტი ერთმანეთისაგან განასხვავებს მეცნიერულ ცოდნას და პროფესიას და თვლის, რომ მეცნიერების შექმნა სულაც არ ნიშნავს კარგი ლაბორატორიების აღჭურვას (Gasset, 1946). უნივერსიტეტის მისიის გასეტისეული მიდგომა მიახლოებით ჩანს ფენიქსის უნივერსიტეტის მოდელში. გასეტი განიხილავს განათლების ისეთ მიდგომას, საითკენაც მიემართება მე-20 საუკუნის უნივერსიტეტები სწავლის, კვლევების, თანამედროვე ცოდნის მიდგომები, ის ხედავს აგრეთვე იმ წინააღმდეგობას, რაც არის თანამედროვე ცოდნის ირგვლივ, ეს ყოველივე კი ნათლად ჩანს ლიბერალურ განათლებასა და ნამდვილ პროფესიონალურ ცოდნაზე ორიენტირებულ სასწავლო კურიკულუმებს შორის. როგორც ჩანს, გასეტი იმ პერიოდისათვის, მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოსათვის, უნივერსიტეტის მისიაზე რეფლექსიის დროს გარკვეულ ტენდენციებს ხედავდა. (გეგეშიძე თ., „უნივერსიტეტის განვითარების ეტაპების ახალი კლასიფიკაციის მცდელობა (ცოდნის სტატუსი და უნივერსიტეტის მომავალი),“ დისერტაცია, თბილისი, 2019, გვ. 88)

მეცნიერულმა რევოლუციამ განსაზღვრა რელიგიური გავლენის შემცირება უნივერსიტეტის და ცოდნის განვითარებაში. თუმცა მნიშვნელოვანი მეტამორფოზა ცოდნის სტატუსმა, პოსტმოდერნისტულ და პოსტინდუსტრიულ პერიოდში განიცადა. როგორც პროფესორი რაშკე მიიჩნევს, რომ სოციალური მედიისა და ინტერნეტის შექმნამ, მისმა გლობალურმა განვითარებამ ცოდნა ვირტუალურ სივრცეში, ე. წ. ჰიპერ სივრცეში მოახდინა, სადაც შეიძლება თამამად ითქვას, რომ არ არსებობს რაღაც განსაზღვრული ტოპოსი.

თანამედროვე ინფორმაციულ და ციფრულ ეპოქაში „ცოდნაში“ იგულისხმება თვითსელექცია. (Raschke, 2003, p. 15) რა იგულისხმება თვითსელექციურობაში? ეს არის ინტერნეტ სივრცე და ვირტუალური სამყარო, რომელშიც გვხვდება სხვადასხვა ხარისხის ინფორმაცია, რომლის გამტარობას ახდენს საგანმანათლებლო უმაღლესი დაწესებულებები, სოციალური ქსელები, ტელევიზია, ავლებს საზღვარს ტრადიციულ ცოდნასა და თანამედროვე ინფორმაციას შორის, ის ხდება თვითსელექციური. (Raschke, 2003, p. 16).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ცოდნის ინფორმაციული გავრცელება უნივერსიტეტებს ანაცვლებს ვირტუალურ სივრცეში, ე. წ. ჰიპერსივრცეში და იქმნება „ვირტუალური უნივერსიტეტები,“ სადაც სწავლა-სწავლების ფუნქციების განაწილება არ ხდება. ასევე, არ არსებობს პირისპირ სწავლება, რომელიც ტრადიციულად ხდებოდა უნივერსიტეტებში სასწავლო პროცესში. ამასთან ერთად, ონლაინ კონტაქტების საფუძველზე, ლექტორსა და სტუდენტებს შორის ინფორმაციის გაცვლა სინქრონულად თავისუფლად შესაძლებელია. ცოდნისა და სხვადასხვა ინფორმაციის მიღება ხელმისაწვდომია ყველა დროში და ყველასათვის, სადაც არსებობს ინტერნეტ ხელმისაწვდომობა. ამისათვის საჭირო არ არის რომელიმე კონკრეტული ადგილი, სადაც შესაძლებელია ის მიიღო. თუმცა, ცოდნის ამ მარტივი ფორმით ხელმისაწვდომობის უკან ყოველთვის დგას მისი ლეგიტიმურობისა და აღიარების საკითხი. ამის ძალაუფლებას ტექნოლოგიური ცნობიერების ეპოქაში, სახელმწიფოსთან ერთად ფლობენ ტრანსნაციონალური კორპორაციები. „ნეთვორქზე დაფუძნებული სწავლება და ახალი ტექნოლოგიები, რომელიც ჩნდება საგანმანათლებლო დაწესებულებებში ცვლის აკადემიურ გარემოს და, განსაკუთრებით, ურთიერთმიმართება სწავლებასა და სწავლას შორის უფრო გამოკვეთილი იქნება, ვიდრე ეს წარსულში იყო.“ (Raschke, 2003, p. 18)

ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა შეცვალა არა მხოლოდ სწავლა-სწავლების ტრადიციული მეთოდი, არამედ უნივერსიტეტები გადაიტანა ე. წ. ვირტუალურ სივრცეში, შეიქმნა დისტანციური სწავლების ჰიპერსივრცე, სადაც განსაზღვრული არ არის სასწავლო პროცესის კონკრეტული ადგილი. აუდიტორიებში ლექტორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა აქტივობა ჩაანაცვლა ვირტუალურმა სივრცემ, სადაც ხდება ცოდნის შექმნა და შექმნა, მისი გადაცემა/ტრანსმისია. უფრო მეტი აქცენტი კეთდება ცოდნის გადაცემაზე და არა ცოდნის შექმნაზე, რადგან გლობალიზაციის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყველაზე მოთხოვნადი გახდა პროფესიული ცოდნა, რომელსაც აქტიურად გამოიყენებს თანამედროვე კორპორაციები. კარლ ა. რაშკე 1990-იან წლებს მიიჩნევს კომპიუტერული ტექნოლოგიების სწრაფი რევოლუციის ხანად, „ჰიპერკურსები შეიცვლიან თავის როლს, მაგრამ არა აკადემიური პერსონალის რუტინას იმ გაგებით, რამდენადაც ის ბუნდოვანია და მეტწილად აქამდე შეუცვლელი შინაარსის, როგორცაა განსხვავება სწავლებასა და კვლევას შორის, ჩვენ ამ ახალ მოვლენას ვუწოდებთ უფრო მეტი სიზუსტისთვის ჰიპერუნივერსიტეტი“ (Raschke, 2003, p. 19).

ტექნოლოგიური ცნობიერების პერიოდში, ტრადიციული უნივერსიტეტის იდეამ ცვლილება განიცადა, რომელიც მოხდა ინდუსტრიული განვითარების საფუძველზე შემუშავებული იდეების გავლენებით. შესაბამისად, ინდუსტრიულ და ტექნოლოგიურ ცნობიერებას შორის მკვეთრი ზღვარი არ არსებობს. ტექნოლოგიების განვითარება ერთი მხრივ, ნაკარნახევი იყო როგორც ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მიღწეული აღმოჩენებით, ასევე ამ აღმოჩენებით დაინტერესებული კორპორაციების მხრიდან, რომლებმაც ცოდნის კომერციალიზაცია დაიწყეს. ამ ყველაფერმა კი განაპირობა ეკონომიკის იდეების სწრაფი განვითარება საუნივერსიტეტო განათლებაში, რომლის მაგალითია ფენიქსის უნივერსიტეტის მოდელი. მოგვიანებით კი მოხდა ტექნოლოგიური ცნობიერების ეტაპზე გადასვლა, საიდანაც ვიწყებთ ტექნოლოგიური ცნობიერების პირველი ეტაპის ათვლას. (Raschke, 2003, p. 21)

მიზანშეწონილია აღვნიშნოთ, რომ ტექნოლოგიური ცნობიერების პერიოდი მოიცავს ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ, კერძოდ, ტექნოკრატიულ იდეებს, რომელიც კავშირშია შრომის ბაზართან. შრომის ბაზარი კი განისაზღვრება ეკონომიკური პოლიტიკის ხედვებით. გლობალიზაციის პერიოდში, სადაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან იდეად მიჩნეულია ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა, უფრო ნათლად ჩანს უნივერსიტეტის კავშირი შრომის ბაზართან, რომელიც განსაზღვრავს როგორც კურიკულუმს, ასევე კურიკულუმში დასახული მიზნებიდან გამომდინარე, შესაბამისი სწავლების მეთოდებს და ტექნოლოგიებს.

ციფრულმა რევოლუციამ და თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების სწრაფმა დანერგვამ არსებული ვითარება რადიკალურად შეცვალა, შედეგად მივიღეთ სულ სხვა ტიპის უნივერსიტეტი, სადაც სწავლა-სწავლების მეთოდები განიცდის ცვლილებას და ტრადიციულ პედაგოგიკა იცვლება ვირტუალური ტუტორიალებით, ონლაინ კომუნიკაციებით და მობილური საგანმანათლებლო აპლიკაციით.

ყოველივე ამის შემდეგ ისმის საკითხი - თუ როგორი უნდა იყოს უნივერსიტეტი, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ჰიპერუნივერსიტეტი თანამედროვე ტექნოლოგიური ცნობიერების კონტექსტში და რა მომავალი ექნება მას? როგორი იქნება ცოდნის დონე, სტატუსი, შემეცნება, რამდენად შესაძლებელია ხელოვნური ინტელექტის განვითარება? ხელოვნური ინტელექტის შემქმნელები და ცნობიერების ფილოსოფიის მკვლევარები, მათ შორის, ინგლისელი ფილოსოფოსი ნიკ ბოსტრომი, ვარაუდობდნენ, რომ ადამიანის გვერდით ხელოვნურ ინტელექტი იქნება სუპერგონება, რომელიც სრულად შეითავსებს სწავლებას, ცოდნის გადაცემა/ტრანსმისიას. „მანამდე არსებული ეპისტემოლოგია ეყრდნობოდა იმ მოსაზრებას, რომ ცოდნა თავისთავად არსებული რამ არის, რომელიც უნდა იქნეს გადაცემული როგორც რადიო სიგნალი, მასწავლებლიდან მოსწავლეზე“ (Raschke, 2003, p. 30).

ნიკ ბოსტრომი იკვლევს ხელოვნური ინტელექტის გავლენას ეგზისტენციალურ რისკებზე და ადამიანის ეთიკაზე. ტექნოლოგიური ცნობიერების პერიოდში ცოდნის სტატუსი განისაზღვრება ფუტურისტული იდეებით, რომელიც თავისთავად გულისხმობს ანდროიდული ცოდნისეული ჰიპერსივრცის შექმნას ჰიპერუნივერსიტეტში, რომელსაც რაშკემ უწოდა „სწავლების დასასრული და რევოლუცია სწავლაში“ (Raschke, 2003, p. 30). ტექნოლოგიური ცნობიერების განვითარება ქმნის სრულიად ახალ საგანმანათლებლო სივრცეებს, თანამედროვე უნივერსიტეტს ე. წ. ჰიპერუნივერსიტეტებს. ამასთან ერთად, ცოდნა უნივერსიტეტის საზღვრებს სცილდება, ცოდნის შექმნა და განვითარება არ წარმოადგენს უნივერსიტეტების პრეროგატივას. მაშასადამე, ის, ვისაც გააჩნია ცოდნა, შესაბამისად აქვს ძალაუფლებაც. როგორც ჟან-ფრანსუა ლიოტარი აღნიშნავს, თანამედროვე ცოდნა იცვლება საზოგადოებასთან ერთად, ვინაიდან ისინი გადადიან პოსტინდუსტრიულ ეპოქაში. (Lyotard, 1979)

ლიოტარი ლაპარაკობს მე-20 საუკუნეზე, ეს არის ის პერიოდი, როდესაც ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ცნობიერება განვითარებას იწყებს, რომელიც გლობალიზაციამ გამოიწვია, რასაც, შედეგად მოჰყვა უახლესი ტენდენციების წარმოშობა საგანმანათლებლო სივრცეში. ეს იყო ე. წ. ბოლონიის პროცესი, როგორც ერთიანი ევროპული სივრცის შექმნა. ამრიგად, ბოლონიის პროცესი ევროპაში, ეს იყო განათლების და მეცნიერების ამერიკანიზაციის ერთგვარი საპირწონე, სწორედაც, რომ ტექნოლოგიური აზროვნებისა და ცნობიერების განვითარების საწყისს ეტაპზე შეიქმნა.

## ბიბლიოგრაფია

- დეკარტი, რ. (1955). *მეტაფიზიკური განაზრებანი*. თბილისი: საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- თევზაძე, გ. (1995). *ანტიკური ფილოსოფია*. თბილისი: მეცნიერება.

- თევზაძე, გ. (2008). *აღორძინების ეპოქის ფილოსოფია*. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.
- ჭაიდეგერი, მ. (2019). *ყოფიერება და დრო*. (გ. თევზაძე, მთარგმნ.). თბილისი: გამომცემლობა Carpe Diem.
- გეგეშიძე თ., „უნივერსიტეტის განვითარების ეტაპების ახალი კლასიფიკაციის მცდელობა (ცოდნის სტატუსი და უნივერსიტეტის მომავალი),“ დისერტაცია, თბილისი, 2019
- Foucault, M. (1972). *The Archeology of Knowledge and Discourse on Language*. (Sheridan Smith A.M. Trans.). New York: Pantheon Books.
- Liotard, J. F. (1979). *La condition Postmoderne*. Paris. France. Les Editions de Minuit.
- Ortega Y Gasset, J. (1946). *Mission of The University*. (Nostrand Howard Lee, Trans.) London and New York. Routledge. Taylor & Francis Group.
- Raschke, C. A. (2003). *The Digital Revolution and The Coming of The Postmodern University*. London and New York. USA and Canada. RoutledgeFalmer. Taylor & Francis Group.

**Natela Beridze,**  
*Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate*  
**UNIVERSITY OF INFORMATION TECHNOLOGY IN THE CONTEXT OF CONSCIOUSNESS  
 DEVELOPMENT  
 RESUME**

The university has gone through a long and difficult path of development during almost a thousand years of its existence. Today's situation, which has been called postmodern, presents the university with different challenges from previous centuries. These are challenges on the way of globalization, starting with the revolution of informational, digital technologies, and ending with current research in the field of artificial intelligence.

The work generally deals with issues of the philosophy of education, in particular, an attempt at a new classification of the stages of development of universities, the status of knowledge and the future of the university. Digital technological marvels since the 90s have created a new dimension that we can call technological consciousness. In this dimension, the main driving idea of the university should be the development of creative skills in students. At the stage of technological awareness in the modern world, universities must equip students with such education and skills that they can adapt to the new economic reality dictated by technology, respond to global challenges with creative approaches.

**Key words:** Technological awareness, Postmodern university, Global university, Hyperuniversity.


**მზია ზანგალაძე**  
 გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
 თამუნა ხეთაგური  
 შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

**დომინაცია და მისი სწავლება**

**საკვანძო სიტყვები:** მიდგომები, სწავლება, მეთოდები, სტრატეგიები, მართვა, დომინაცია.

ქართული ენა არა მხოლოდ ერთ-ერთი ძირითადი სასწავლო დისციპლინაა, არამედ სხვა საგანთსწავლების საფუძველიც. ამიტომ პედაგოგმა მეცნიერულად დასაბუთებულად უნდა იცოდეს, თუ რა უნდა ასწავლოს და სწავლების სხვადასხვა მიდგომების, მეთოდების, ხერხების, სტრატეგიების, გზებისა და საშუალებების ერთობლიობით როგორ უნდა ასწავლოს. აქედან გამომდინარე, დომინაციის სწავლებისას ლექცია საკმარისი არ არის საკითხის დასაუფლებლად, მასთან დაკავშირებული საკითხების სიღრმისეული ცოდნის მისაღებად სასურველი და აუცილებელია პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარება. კოორდინაციის სწავლებაზე გადასვლამდე სუბორდინაციაზე უნდა იქნას

ყურადღება გამახვილებული., გახსენება გაუადვილებს სტუდენტს ახალი მასალის დაუფლებას. ამისათვის გაანალიზდება წინადადება მაგ. **შვილი მშობელს ემალება**, გამოიყოფა წყვილები (**შვილი ემალება; მშობელს ემალება**). ყურადღება გამახვილებულია პირველ წყვილზე, გამოიკვეთება, რომ სახელი (სუბიექტი) დგას მესამე პირში (**ის**), აქედან გამომდინარე ზმნასაც გააჩნია მესამე სუბიექტური პირის ნიშანი ბოლოსართი **ა**. მაშასადამე, სახელი მართავს ზმნას მესამე სუბიექტურ პირში **ა** სუფიქსით. შემდეგ ხდება დაკვირვება სახელის ბრუნვაზე, პირველი სერიის ზმნასთან სუბიექტი სახელობით ბრუნვაშია (**ის-შვილი**). ზმნის მეორე სერიაშიც იმავე ბრუნვაში რჩება, მ.შ. ცალმხრივი მართვაა. აღნიშნული საკითხის ანალიზისას პედაგოგმა შესაძლებელია მიმართოს ინტერაქტიურ მიდგომას, რომელიც მოსალოდნელია იყოს ინდივიდუალური, კონკურენტული, ან -კოლაბორაციული. შემდგომ ამისა მოხდება კოორდინაციის განმარტების გახსენება, რომლის შესახებაც უკვე აქვთ ლექცია მოსმენილი, კოორდინაციის განმარტებისა და მასში მოქცეული სამი კომპონენტის ანალიზისათვის გამოყენებულ იქნება ასოციაციური კავშირების რუკა, როგორცაა



აღნიშნულ განმარტებაში თავმოყრილია ის სამივე კომპონენტი, რაც საურთიერთო მართვისთვისაა დამახასიათებელი.

დაფაზე იწერება წინადადება **კალატოზი აშენებს სახლს**. გამოიკვეთება მასში შემავალი წყვილები, რომელშიც შედის ორპირიანი გარდამავალი ზმნა (ასრულებს) და მასთან სუბიექტურ პირად შეწყობილი სახელი (სტუდენტი). პედაგოგი კითხულობს დაფაზე დაწერილ კოორდინაციის განმარტების პირველ პუნქტს და შესაბამისად ახდენს დაკვირვებას სინტაგმაზე **კალატოზი აშენებს** და ანალიზებინებს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზმნა (**აშენებს**) დგას პირველი სერიის აწმყოს მწკრივში და მასთან წყვილში შემავალი სახელი **კალატოზი** სახელობით ბრუნვაშია. შემდეგ სტუდენტს გადაყავს ზმნა მეორე სერიაში (**ააშენა**), აკვირდება მასთან წყვილში შემავალ სახელს (**კალატოზმა**), რომელმაც მოთხრობითი ბრუნვის ფორმა მიიღო). ე.ი. პირველ სერიაში მდგარი ზმნა მართავს სახელს სახელობით ბრუნვაში **ი** ნიშნით, ხოლო მეორე სერიაში მდგარი ზმნა მართავს სახელს მოთხრობით ბრუნვაში **მა** ნიშნით. მაშასადამე, განმარტებიდან გამომდინარე, პირველ პუნქტთან დაკავშირებით კეთდება დასკვნა, რომ ზმნა მართავს სახელის ბრუნვას. ამის შემდეგ ხდება მეორე პუნქტის ანალიზი-მართავს თუ არა სახელი ზმნის პირს სინტაგმაში **კალატოზი აშენებს**. სახელი (სუბიექტი) მესამე პირითაა გადმოცემული (**ის**). ზმნასაც გააჩნია მესამე სუბიექტური პირის ნიშანი ბოლოსართი **ს**. ე.ი. სახელი მართავს ორპირიანი გარდამავალი ზმნით გამოხატულ შემასმენელს მესამე სუბიექტურ პირში **ს** სუფიქსით. მოცემული სუბიექტური პირის რომლობის პირველი პირის (**ვაშენებ მე**) ფორმით შეცვლისას კი ნათელი მოეფინება, რომ სახელი(სუბიექტი **მე**) მართავს ორპირიანი გარდამავალი ზმნით გამოხატულ შემასმენელს პირველ სუბიექტურ პირში პრეფიქსით **ვ**. კეთდება დასკვნა, რომ ვინაიდან მოცემულმა სინტაგმამ (**კალატოზი აშენებს**) განმარტებიდან გამომდინარე ორივე პუნქტი დააკმაყოფილა, ანუ სახელმა მართა ზმნის პირი და თავის მხრივ, ზმნამ მართა სახელის ბრუნვა გვაქვს დომინაცია.

შემდეგ ხდება აგრეთვე სტუდენტთა დაკვირვება და ანალიზი დომინაციის ისეთ შემთხვევებზეც, როცა:



1. წყვილში შედის სამპირიანი გარდამავალი ზმნა და მასთან სუბიექტური პირი;

2. წყვილში შედის უყვარს ტიპის გარდაუვალი ინვერსიული ზმნა და მასთან პირით შეწყობილი მიცემითში დასმული სახელი: **სძულს ბავშვს**

პედაგოგი ასახელებს აგრეთვე სინტაგმას (**მამშვენებს მე**), სადაც შედის გარდამავალი ზმნა და მასთან პირდაპირ ობიექტურ პირად შეწყობილი სახელი-დამატება. აქ სტუდენტები წინა სინტაგმის მსგავსად (ოღონდ აქ საკითხი ობიექტურ პირთანაა დაკავშირებული) დააკვირდებიან, იმსჯელებენ და დაასკვნებენ, რომ პირდაპირი დამატება მართავს ზმნა-შემასმენელს პირველ ობიექტურ პირში მ პრეფიქსით, თავის მხრივ, ზმნა-შემასმენელიც მართავს პირდაპირ დამატებას მიცემით ბრუნვაში (მე ქალს მამშვენებს), ე.ი. საურთიერთო მართავს.

წინადადებაში **კალატოზი აშენებს სახლს**, არის აგრეთვე მეორე სინტაგმა (**აშენებს მას**), რომელშიც შედის გარდამავალი ზმნა და მასთან პირდაპირ ობიექტურ პირად შეწყობილი სახელი. საურთიერთო მართვის გასაანალიზებლად აქაც ხდება „პირველ რიგში, ზემოთ აღნიშნულ პირველ პუნქტთან დაკავშირებულ საკითხებზე დაკვირვება. (ამ შემთხვევაში შესაძლებელია პედაგოგმა მიმართოს როგორც ინდივიდუალურ, ისე დაწყვილებულ ან ჯგუფური მუშაობის მეთოდს, ვინაიდან ზემოთ განხილული სინტაგმის მსგავსად ანალიზდება). ზოგიერთი სტუდენტის მიერ დაშვებული შეცდომის გამოსასწორებლად ანალიზი კეთდება მოწინავე სტუდენტის მიერ, სადაც გამოიკვეთება, რომ მოცემულ შემთხვევაში ზმნა-შემასმენელი (**აშენებს**) მართავს პირდაპირ დამატებას (**სახლს**) მიცემით ბრუნვაში **ს** ნიშნით. მეორე პუნქტთან დაკავშირებული საკითხის ანალიზისათვის კი საჭიროა პედაგოგის ჩართვა, რადგან წინა სინტაგმებიდან ოდნავ განსხვავებულია, რაც იმაში მდგომარეობს, რომ პირდაპირი დამატებას მესამე პირში ნიშანი საერთოდ არ გააჩნია, მაგრამ მაინც ითქმის, რომ მართავს შემასმენელს მესამე პირდაპირობიექტურ პირში უნიშნოდ, ანუ პოტენციურად აქვე გამოიკვეთება, ვინაიდან პირდაპირი ობიექტი პირველსა და მეორე პირში შესაბამის ნიშანს უჩენს ზმნა-შემასმენელს (მართავს პირში), ამის მიხედვით ითქმის, რომ იგი ზმნას მართავს მესამე პირში, თუმცა პირის ნიშანს ვერ აჩენს. (იგულისხმება, რომ უნიშნობაა III პირის ნიშანი).

კოორდინაციის სრულყოფილი სწავლებისათვის სახელდება პედაგოგის მიერ (შესაძლებელია სტუდენტის მიერაც) სინტაგმა, სადაც შედის ირიბი დამატება და სამპირიანი ზმნით გამოხატული შემასმენელი. მაგ. ფანჯარას სტყორცნა .დაკვირვების საფუძველზე კეთდება ანალიზი, რომ ირიბი დამატება მართავს შემასმენელს მესამე ირიბ ობიექტურ პირში **ს** პრეფიქსით (სტყორცნა). თავის მხრივ, შემასმენელიც მართავს ირიბ დამატებას მიცემით ბრუნვაში **ს** ნიშნით(ფანჯარას). აქ პედაგოგი ჩაერევა საკითხის ნათელსაყოფად და დასძენს: მართალია, სერიების მიხედვით ზმნის ცვლილებისას ირიბი დამატება ბრუნვას არ იცვლის (ყოველთვის მიცემითშია), მაგრამ ი,ს რომ საერთოდ გამოყვანილია სახელობითიდან და ირიბ ბრუნვაში-მიცემითში დგას, ეს გამოწვეულია ზმნა-შემასმენლით. ამიტომ ვამბობთ, როცა წყვილში შედის ზმნა და ირიბობიექტური პირის ფარდი სახელი, სადაც ყოველთვის კოორდინაციაა. აქ მნიშვნელობა არ აქვს ზმნა გარდამავალია ,თუ გარდაუვალი:

მეგობარს სთხოვს (ის მას, მას)	მეზრდება მე
მე მთხოვს	გეზრდება შენ
შენ გთხოვს	

პედაგოგის დახმარებით სახელდება აგრეთვე ისეთი ზმნა, სადაც ზოგჯერ ირიბობიექტური პირის ნიშანი დაკარგულია მაგ.(**3**)ემალეზა. ასეთ შემთხვევაში ვამბობთ, ირიბი ობიექტი ზმნას მართავს მესამე პირში ნულ პრეფიქსით (**3**)ემალეზა დედას.

ბოლოს კოორდინაციის შემთხვევებთან დაკავშირებით სტუდენტები პედაგოგის დახმარებით აკეთებენ დასკვნას: ქართულში კოორდინაციაა, როცა წყვილში შედის:

1. ქვემდებარე და გარდამავალი ზმნით გამოხატული შემასმენელი;
2. პირდაპირი დამატება და შემასმენელი;
3. ირიბი დამატება და შემასმენელი;
4. უყვარს ტიპის ზმნა და მასთან პირით შეწყობილი მიცემითში დასმული სახელი.

ზმნა ყოველთვის ძირითადი კოორდინატია, ვინაიდან იგი კოორდინაციის ღერძია.

შემდეგ ყურადღება მახვილდება კოორდინაციის განმარტების მესამე პუნქტზე, სადაც სახელისა და ზმნის შეთანხმებაზეა საუბარი. პედაგოგის დახმარებით გაიხსენებენ სტუდენტები თუ რა არის შეთანხმება. შესაძლებელია აქ ეფექტურად იქნას გამოყენებული, როგორც ვიზუალიზაციის სქემა (ფლიპჩარტი), ასევე კითხვა-პასუხის მეთოდი ან კითხვა-პასუხის დაფა. სტუდენტები მუშაობენ იგივე წყვილზე (**კალატოზი აშენებს**) და ახდენენ დაკვირვებას სახელის მხოლოდობითისა და მრავლობითის რიცხვის ფორმაზე (**კალატოზი აშენებს-კალატოზები აშენებენ**), სადაც ნათლად ჩანს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახელის რიცხვის ცვლა იწვევს ზმნის რიცხვის ცვლას, რაც იმას ნიშნავს, რომ სინტაქსური ურთიერთობიდან აქ შეთანხმებაა, ამავე დროს ანალიზებენ მართვის საკითხსაც და

ასკვნიან რომ სახელი მართავს ზმნის პირს (**აშენებს ის**). შემდეგ კი ეძლევათ განმარტება-სახელი(კალატოზი), რომელიც მართავს ზმნის პირს და ითანხმებს რიცხვში დიდი კოორდინატია. ხოლო წყვილებში **სახლს აშენებს** და **სახლებს აშენებს** სახელის რიცხვის ცვლამ არ გამოიწვია ზმნის რიცხვის ცვლა ე.ი. არ მოხდა წყვილებს შორის რიცხვში შეთანხმება, სახელი (სახლს) კი მოცემულ შემთხვევაშიც მართავს ზმნის პირს (უნიშნოდ - პოტენციურად). ვინაიდან სახელი(სახლს) მართავს ზმნის პირს, მაგრამ ვერ ითანხმებს რიცხვში მცირე კოორდინატია.

სასურველი სასწავლო მიზნების მისაღწევად სტუდენტებს მიეცემათ როგორც სააუდიტორიო, ისე საშინაო დავალებები:

1. სტუდენტთა მიერ სათანადო ნიმუშების დასახელება და ანალიზი ინდივიდუალურად;
2. ტექსტიდან ახალ მასალასთან დაკავშირებული წყვილების ამოწერა და ანალიზი დაწყვილებული ან ჯგუფური მეთოდით და სხვ.

ამრიგად, ნაშრომში გამოყენებული სწავლების მეთოდები, ხერხები, მიდგომები და სხვა ეფექტურია, რაც ხელს უწყობს მოსმენის, თანამშრომლობის, მასალის ჩაღრმავებისა და დამუშავების; ფაქტებისა და აზრების დიფერენცირების, გაგების, საკუთარი აზრის გამოთქმის, ლოგიკური დასკვნების გაკეთების, დროის რაციონალური გამოყენების, ფუნქციების დანაწილებისა და სხვა უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

### **ბიბლიოგრაფია**

დარჩია, მ. (2015). *ქართული ენის გრამატიკა*. თბილისი.

გამოცდების ეროვნული ცენტრი. (2015). *ეფექტური სწავლება თეორია და პრაქტიკა*.

*ეროვნული სასწავლო გეგმა*. (2018).

კვაჭაძე, ლ. (1996). *თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი*. თბილისი

მასწავლებლის ბიბლიოთეკა. (2015). *ინტერაქტიური მეთოდები*. თბილისი.

**Mzia Zangaladze**  
*Gori State University*  
**Tamuna Khetaguri**  
*International Black Sea University*  
**DOMINATION AND ITS TEACHING**  
**RESUME**

Important issues related to the teaching of the most complex type of syntactic connection - dominance are presented. The teaching management through the subject and transitional verb, as well as through direct and indirect objects and the verb like “loves” which is connected with names in dative case is analyzed; It is shown how important and effective practical teaching is, where one is actively involved in the analysis of the issue using different teaching approaches, methods, strategies, ways and examples which are suggested by their teachers.

**Key words:** Teaching, Approaches, Methods, Strategies, Management, Domination.

## **Implementation of Research Competencies in the Teaching-Learning Process for Career Development (For the Project Proposal in the Higher Education)**

The presented research proposal is aimed for increasing the higher education process, which is the main requirement for the country's wealth success. This research will prepare the groundwork for increasing the relevance of higher education transformation to society by equipping graduates with skill sets to address the modern dimensions of the marketplace. Research as an investment in higher education is fundamental, and even more important for the process of economic growth. The main attention is paid to the usage of „Research and Research in Practice“ by specialism of the subject area. The research results will help graduates acquire the necessary skill sets that the country's economy needs and meet the demands of the labor market. The main attention is paid to:

- Research and application of research in practice for specialty subjects,
- To identify the relationship between the demands of the modern labor market and "research and application of research in practice" with relation to teaching-learning as a key factor in the development of critical and logical skills required for the workplace and the analysis of creativity.

**Keywords:** Reseach and Reseach in practice, Labor market, Modern labor market skills, Demand-supply regulation.

### **Introduction**

#### **What are the aspects of graduates' professional skills creation through the teaching of research and research in practice by disciplines of specialism?**

The modern labor market changes systematically in the labor supplies and demands, requirements of labor markets, and expectations of the developed skills of individual graduates. Today, unemployment is a significant problem to find a job as the requirements of the job market increased according to the fast development of IT. Graduates with a lack the job market requirements or corresponding work experience are unlikely considered with expectations of employment status. The relationship between higher educational institutions (HEIs) and the labor market is an important aspect but the excessive number of graduates does not satisfy the high requirements of the modern market. It means, that HEIs have to stay competitive for effective and the needed knowledge creation with the needed requirement components of the job market. But, on the other side, research requires conceptual understanding and it must be directed to discover and obtain the new approaches with new results for innovation. But, approaches of academics and employers regarding the relationship between HEI and the job market requirements may be considered as inadequate.

The "Research in Higher Education" is considering the situation of graduate employability with lifelong learning but such an approach is longer and Higher Education is unable to form graduates' skills for the job market. A relation of the research on the chosen field of study on finding employment for university graduates and tests the possibility to reach the expectation of job positions by graduates. HEIs have to be able to motivate students by encouraging them to be future-orientated by encouraging students to study research to achieve their future career options.

From a point of view, by the side of the transformation of education indicated some defects, and its aspects are primarily in two directions: curricula and syllabi design which lack merge research components. We need answers to the question: How it is possible to develop and integrate research competencies into knowledge creation through higher education in accordance with labor market requirements that become more competitive after the crisis with COVID-19, also? It is impossible to assess the efficiency with which the education system considers graduates as job seekers.

The approaches suggested by the research can be used for any subject area. Education - Economy - Health is the triangle of social development of the country and to find a real trend for its sustainability through the relationship of the potential of HEI and the competitive job market, has a prospect. in R&I!

Today, it is necessary to use various approaches for students' knowledge creation and professional skills -improvement by subject area of specialism to respond to the competitive job market in prospect. By this approach, the transformation of educational reform has to provide students with active engagement not only in the teaching-learning process, but it has to provide students' creativity and practical skills of research and research in practice knowledge that are the main requirements of competitive job markets. Normally, universities are trying to make educational programs more flexible but it is a fact, that the educational process requires changes in the conditions of fast development of information technologies for which the indicators required by the competitive labor market should be analyzed and their implementation in the learning process

Higher Education Institutions (HEIs) face a more interconnected world, in which knowledge, creativity, research, and innovation are the essential elements of society's development that have to need upgraded systematically and developed processes in time as this process - knowledge creation and an individual's professional skills - are considered to be the most important sources.

From a realistic point of view, in the frame of the modern educational reforms, important changes have to provide the knowledge formation process and how to develop the integration of knowledge, competencies, and employment skills. As the main components of education - Teaching -Learning - research -Research in Practice - have to be considered in the context of an integration process of developing new knowledge that might be realized by considering the statements below according to the coordination between Higher Education and the modern job market requirements:

- An analysis of the knowledge formation and its direction to the right track to the requirements of the competitive job market;
- outcome with its specialized skills of research as needed attributes for graduates' carrier in prospect.

Based on this, statements of the problem are acceptable to consider are as follows:

1. The weak link between higher education and the modern job market requirements in the fast development of IT has to be more flexible and demandable for the transformation of the trends of education;
2. Higher Education Institutions offer students academic programs and pay less attention to the inclusion of the "Research and Research in Practice" components by the main subject area disciplines and the demands of the competitive job market.

The research seeks the credentials for transforming educational trend in the context of the competitive market requirements under an analysis of the higher education institutions' potential in terms of developing research skills for students. In the framework, it's necessary to foster „Research and Research in Practice“ in study programs that link the knowledge of practical research output to the job market's requirements which has to be the essential components for the study programs by the subject area. It means, that improving the relationship between HE and labor market requirements is necessary.

### **Aims and Objectives**

The research aims are to explore the graduates' success in the labor market after finishing their chosen field of study and how the teaching of „Research and Research in Practice“ will influence their success as job seekers. The main aims are as follows:

1. Integration possibilities of students in „Research and Research in Practice“ to develop the student's logical and critical thinking in accordance with the requirements of the competitive job market;
2. Analysis of socio-economic challenges by the competitive market requirements that can drive employment, poverty reduction, and social development;
3. Analysis of the potential of HEIs trends as an innovation product of the activity between HEIs and the competitive job market requirements.

### **Research Methodology**

The research methodology that matches the realization of the objectives considers the activities are as follows:

1. Preparing the questionnaires with the statements/indicators for four categories of respondents: academic personnel/teachers, graduates, MA students, and employers. These indicators will be considered as the elements for the variable - „Research, Research in practice, and the competitive job market requirements“. It is presented as a function of the statements/indicators for each category of respondents, separately;
2. The individual approach will be used;
3. Data processing will be provided for analysis and revealing the approaches of academics, graduates, MA students and employers accordingly to the introduction for teaching „Research and Research in Practice“ by studying subjects area;
4. An assessment of the reliability of the questionnaire statements/indicators will measure using Cronbach's alpha;
5. Likert scale will be used with 5 parameters (Strongly agree (SA), Agree (A), Neutral (N (Do not know)), Disagree (DA), Strongly Disagree (SD));
6. The questionnaire survey will be carry out as an online questionnaire.
7. The demographic information of respondents will be provided by categories and classification.

For academics:

Categories: status, subject area, teaching experience, (years)

For graduates:

Categories: status, subject area, Job seeker (year of specialism)

For MA students:

Categories: status- course year, subject area

### **Expected Outputs and Outcomes**

The research seeks the credentials for transforming educational trend in the context of the competitive market requirements under an analysis of the higher education institutions' potential in terms of developing research skills for students. In the framework, it's necessary to foster „Research and Research in Practice“ in study programs that link the knowledge of practical research output to the job market's requirements which has to be the essential components for the study programs by the subject area. It means, that improving the relationship between HE and labor market requirements is necessary.

1. The outcome of the research has to be considered as one of the interesting credentials for involving "Research and Research in Practice" for the teaching by the subject area of specialization from the bachelor to Ph.D. studying levels; classifying the main approaches for exploration of "Research and Research in Practice" involving and modeling of its

teaching process that form successful specialists and respond to the requirements of the modern competitive job market; Research policy trend's modeling by subject area in context of the job market requirements.

The following outputs of the research will be considered:

2. Generation of an understanding between teachers and students for increasing student-centered teaching, on one hand, and between academics and employers for understanding the need requirements of the job markets, on the other hand;
3. Understanding how the labor market works as graduates have to think about their future careers.
4. Sustainable ties between the universities and employers for more effective collaboration with potential employers and graduates for increasing graduates' competitiveness in the job market;
5. Transformation of education in context of the job market requirements
6. Sustainability of the Higher Education potential in terms of developing research skills for students

## REFERENCES

- Bruning, N., & Mangeol, P. (2020). What skills do employers seek in graduates?: Using online job posting data to support policy and practice in higher education, *OECD Education Working Papers*, No. 231, OECD Publishing, Paris, <https://doi.org/10.1787/bf533d35-en>
- Donnelly, M., & Gamsu, S. (2019). The field of graduate recruitment: Leading financial and consultancy firms and elite class formation. *The British Journal of Sociology*, 70, 1374–1401, <https://researchportal.bath.ac.uk/en/publications/the-field-of-graduate-recruitment-leading-financial-and-consultan>
- Hernández-March, J., Martín del Peso, M. & Leguey, S. (2009). Graduates' Skills and Higher Education: The employers' perspective. *Tertiary Education and Management*. 15 (1). 1-16. <https://doi.org/10.1080/13583880802699978>, [https://www.researchgate.net/publication/233139707\\_Graduates'\\_Skills\\_and\\_Higher\\_Education\\_The\\_employers'\\_perspective](https://www.researchgate.net/publication/233139707_Graduates'_Skills_and_Higher_Education_The_employers'_perspective)
- Hooley, T. (2021). *A mixed bag: Employer Perspectives on Graduate Skills*. Pojects Luminate: <https://luminate.prospects.ac.uk/a-mixed-bag-employer-perspectives-on-graduate-skills>
- Knight, P.T., Yorke, M. (2002). Employability Through the Curriculum. *Tertiary Education and Management*, 8, 261-276 <https://doi.org/10.1023/A:1021222629067> <https://www.qualityresearchinternational.com/esectools/esectpubs/Employability%20through%20the%20curriculum.pdf>
- Lowden, K., Hall, S., Elliot, D., & Lewin, J. (2011). Employers' Perceptions of the Employability Skills of New Graduates. University of Glasgow. The SCRE Centre of Reserach in Education. Published by Edge Foundation. [https://www.educationandemployers.org/wp-content/uploads/2014/06/employability\\_skills\\_as\\_pdf\\_-\\_final\\_online\\_version.pdf](https://www.educationandemployers.org/wp-content/uploads/2014/06/employability_skills_as_pdf_-_final_online_version.pdf)
- Matsouka, K., & Mihail, D. M. (2016). Graduates' employability: What do graduates and employers think? *Industry and Higher Education*, 30(5), 321-326. <https://doi.org/10.1177/0950422216663719>
- Sarkar, M., Overton, T., Thompson, C., & Rayner, G. (2016). Graduate Employability: Views of Recent Science Graduates and Employers. *International Journal of Innovation in Science and Mathematics Education*, 24(3), 31-48
- Mekvabidze, R. (2016). The knowledge triangle as a main educational aspect of learning outcome. *Scientific Papers of Berdyansk State Pedagogical University. Series: Pedagogical sciences*, Issue 2. Berdyansk, 126-132.
- Mekvabidze, R., & Smietanski, R. (2022). Transformation of Education in Context of the Competitive Job Market Requirements: An Analysis of the University potential in Terms of Research skills for Students to the Competitive Job Market Requirements. *European Journal of Transformation Studies*, Vol. 10, No. 1, 155-174.
- Mekvabidze, R., Smietanski, R., & Karczewsky, L. (2022). Graduates, Employers, and Higher Education: Students' skills Development to the Job Market Requirements. *IFORS, Erasmus Scientific Days, 17-18 October, 2022, Marrakech-Morocco. Book of Abstracts 1st edition: Cooperation and Research for Higher Education and Innovation*, p. 67. <https://erasmusplus.ma/erasmus-scientific-days-2022/>; <https://drive.google.com/file/d/1coNHACZpbZtIa2-6HDETeWfNFYLL-Ap/view>
- Restuccia, D., Liu, P., & Williams, Z. (2017). Rebooting jobs: How Computer Science Skills Spread in the Job Market. *Burning Glass Technologies*, [https://www.burning-glass.com/wpcontent/uploads/rebooting\\_jobs\\_2017.pdf](https://www.burning-glass.com/wpcontent/uploads/rebooting_jobs_2017.pdf)
- Spilerman, S. (1977). Careers, Labor Market Structure, and Socioeconomic Achievement. *American Journal of Sociology*, 83(3), 551-593. <http://www.jstor.org/stable/2778145>, DOI: 10.1086/226595
- Tamrat, W. (2022). Graduate Employability and Responsiveness: The Need for Aligning Policy Directions and Institutional Readiness in Ethiopia. In: Nghia, T. L. H., Bui, B. C., Singh, J. K. N., Lu, V. N. (eds) *Graduate Employability Across Contexts: Perspectives, Initiatives and Outcomes*. Springer, Singapore. pp. 147-166. [https://doi.org/10.1007/978-981-19-3959-4\\_8](https://doi.org/10.1007/978-981-19-3959-4_8)

## დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებთან მუშაობა დაწყებით საფეხურზე

**საკვანძო სიტყვები:** მოსწავლეები, აკადემიური მოსწრება, სწავლის უნარი, მოტივაცია.

დღეს საგანმანათლებლო სისტემა ძალიან დიდი გამოწვევების წინაშე გვაყენებს. ბევრი პრობლემაა სასკოლო ცხოვრებაში, განსაკუთრებით პრობლემატურია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დონე და მისი ზრდა-კლების ხარისხი. ძალიან ბევრს საუბრობენ სკოლებში მოსწავლეთა სწავლისადმი გულგრილი დამოკიდებულების შესახებ, ეძებენ გზებს სიმძლავრის დასაძლევად. ალბათ მრავალი მიზეზი მონაწილეობს იმ ფაქტორების ჩამოყალიბებაში, რამაც, შესაძლოა, მოზარდს სწავლისადმი ინტერესი დაუკარგოს.

როჯერ პიერანჯელოსა და ჯორჯ ჯულიანის, სწავლის უნარის მქონე მოსწავლეების სწავლება: „ნაბიჯ-ნაბიჯ გზამკვლევი მასწავლებლებისთვის,“ (2008) გვთავაზობს სტრუქტურირებულ მიდგომას სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეებთან, რა შეიძლება იქნას გამოყენებული სუსტი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისათვის.

დევიდ თ. გორდონი წიგნში, „აკადემიური წარუმატებლობის პრევენცია“, ეხება აკადემიური წარუმატებლობის პრევენციის სტრატეგიებს, მათ შორის ადრეული ჩარევისა და სასწავლო მიდგომების მხარდასაჭერად დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებთან.

მკვლევარმა (Darling-Hammond, 2000), აღმოაჩინა, რომ მასწავლებლის დონის ფაქტორები 60% არის პასუხისმგებელი მოსწავლის მიღწევის კოეფიციენტზე. მკვლევართა და განათლების მესვეურთა აზრით, მოსწავლეთა დაბალ აკადემიურ მოსწრებას უმთავრესად სამი რამ განაპირობებს:

1. სწავლის მიმართ ინტერესისა და მოტივაციის უქონლობა;

2. გარემო, რომელიც არ უწყობს ხელს მოსწავლეთა განვითარებას და არ წახალისებს მათ აკადემიურ მიღწევებს;

3. სწავლის უნარის დარღვევა, რომელიც ხელს უშლის განვითარებაში.

დაბალი აკადემიური მოსწრების განხილვამდე აუცილებელია მისი გამომწვევი მიზეზების გაგება. თუ რა უწყობს ხელს დაწყებითი სკოლის მოსწავლეების დაბალ აკადემიურ მოსწრებას. ამ მიზნით ჩატარდა თვისობრივი კვლევა დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებთან. მათი გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ დაბალი აკადემიური მოსწრების მიზეზია:

➤ სახელმძღვანელოების სირთულე;

➤ გადაჭარბებული მოლოდინი ბავშვების მიმართ;

➤ ყურადღების შემცირება მშობლების მხრიდან;

➤ ზედმეტი სიმკაცრე მასწავლებლების მხრიდან;

➤ გარემო ფაქტორები: ოჯახური გარემო, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და მათი მხარდაჭერა მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსწავლეს აკადემიურ მოსწრებაში;

➤ სწავლის უნარის დაქვეითება: ზოგიერთ მოსწავლეს შეიძლება ჰქონდეს სწავლის უნარის დაქვეითება, რაც ხელს უშლის მათ უნარს გაითავისოს გარკვეული ცნებები;

➤ საფუძვლის ნაკლებობა: მოსწავლეებს, რომლებსაც არ აქვთ მყარი საფუძველი ფუნდამენტურ საგნებში, როგორცაა კითხვა, წერა და მათემატიკა, შეიძლება გაუჭირდეთ სასწავლო პროგრამის დაძლევა;

➤ მოტივაციის ნაკლებობა: მოტივაციის დაბალმა დონემ შეიძლება გამოიწვიოს სწავლისგან განდგომა, რაც გამოიწვევს ცუდ აკადემიურ შედეგებს.

➤ სწავლების მიდგომები: სწავლების არაეფექტური მეთოდები ან ერთიანი მიდგომა შესაძლოა არ მოერგოს მოსწავლეების სწავლის მრავალფეროვან სტილს და საჭიროებებს.

სწავლის უნარის დაქვეითება არის ნევროლოგიური აშლილობა, რომელიც გავლენას ახდენს პირის უნარზე ეფექტურად შეიძინოს, დაამუშაოს, შეინახოს და გამოიყენოს ინფორმაცია. ის პირველ რიგში გავლენას ახდენს კითხვასთან, წერასთან, მათემატიკასთან, მსჯელობასთან და ზოგჯერ სოციალურ ინტერაქციასთან დაკავშირებულ უნარებზე. სწავლის უნარის დაქვეითება არ არის ადამიანის ინტელექტის საზომი; პირიქით, ისინი ტვინის ინფორმაციის სხვაგვარად დამუშავების შედეგია. სწავლის უნარის დაქვეითების გავრცელებულ ტიპებს მიეკუთვნება: 1. დისლექსია: გავლენას ახდენს კითხვაზე და

მეტყველებაზე, იწვევს სიტყვების ამოცნობისა და გაშიფვრის სირთულეებს, აგრეთვე მართლწერის და წაკითხვის გაგების პრობლემებს.

დაბალი შედეგის მქონე მოსწავლეები ხშირად განიცდიან სწავლაში მოტივაციისა და ჩართულობის ნაკლებობას. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს წარუმატებლობის გრძნობით, თემისადმი ინტერესის ნაკლებობით ან გარე ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენენ მათ ცხოვრებაზე. ამ მოსწავლეების მოტივაცია, რომ აქტიურად მიიღონ მონაწილეობა მათ განათლებაში, გადამწყვეტ გამოწვევად იქცევა.

მუდმივმა აკადემიურმა სირთულეებმა შეიძლება დაარღვიოს მოსწავლეების თვითშეფასება და თავდაჯერებულობა. მათ შეიძლება იფიქრონ საკუთარი ძალების უუნარობაზე, წარუმატებლობაზე. იკლებს ინტერესი და სურვილი სასწავლო პროცესში თავიანთი შესაძლებლობების სრულად წარმოჩენისათვის. სახეზე გვაქვს ჩართულობის ხარისხის დაბალი მაჩვენებელი, რაც იწვევს არასრულფასოვნების ნეგატიურ ციკლს. საკუთარი თავის პოზიტიური იმიჯის ჩამოყალიბება აუცილებელია ინიციატივის გამოვლენის, აზროვნების გააქტიურების და აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად.

დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს ხშირად ესაჭიროებათ დამატებითი რესურსები და მხარდაჭერა, როგორცაა სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება, რეპეტიტორობა ან კონსულტაცია. თუმცა, სკოლებს შეიძლება გაუჭირდეთ ამ რესურსების უზრუნველყოფა საბიუჯეტო შეზღუდვების ან მომზადებული პერსონალის ნაკლებობის გამო, რაც ამძაფრებს საკითხს.

ზოგიერთ შემთხვევაში, დაბალი აკადემიური შედეგის მქონე მოსწავლეებზე შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ნეგატიურად განწყობილმა თანატოლთა ჯგუფებმა, რასაც შეიძლება მოჰყვეს სკოლის მიტოვება. თანატოლების ურთიერთპატივისცემის და თანამშრომლობის დინამიკაზე ზრუნვა და საკლასო ოთახში პოზიტიური გარემოს შექმნა აუცილებელია ნეგატიური გავლენის წინააღმდეგ საბრძოლველად.

დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეების მშობლების ჩართვა შეიძლება იყოს რთული. ზოგიერთ მშობელს შეიძლება არ ჰქონდეს რესურსი, დრო ან ცოდნა, რათა აქტიურად შეუწყოს ხელი ბავშვის განათლებას. მშობლებს, მასწავლებლებსა და სკოლას შორის ძლიერი პარტნიორობის დამყარება გადამწყვეტია ამ მოსწავლეების საჭიროებების ეფექტურად დაკმაყოფილებისთვის.

სხვადასხვა პიროვნული და ოჯახური ფაქტორები, როგორცაა სიღარიბე, არასტაბილურობა ან ჯანმრთელობის პრობლემები, შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე. პედაგოგები უნდა იყვნენ მგრძობიარენი ამ გარე ფაქტორების მიმართ და ითანამშრომლონ სხვა დამხმარე სამსახურებთან, რათა შექმნან ჰოლისტიკური მიდგომა მოსწავლეთა კეთილდღეობის მიმართ.

შეფასების ტრადიციული მეთოდები შეიძლება ზუსტად არ ასახავდეს დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების შესაძლებლობებსა და პოტენციალს. მხოლოდ სტანდარტიზებულ ტესტებზე დაყრდნობამ შესაძლოა ვერ დააფიქსიროს მათი პროგრესი ან ზრდა. განხილული უნდა იყოს შეფასების ალტერნატიული სტრატეგიები მათი შესაძლებლობების ყოვლისმომცველი ხედვის უზრუნველსაყოფად.

ინდივიდუალური სწავლების საჭიროების დაბალანსება მრავალფეროვანი საკლასო ოთახის მოთხოვნებთან შეიძლება იყოს რთული პედაგოგებისთვის. პერსონალური ყურადღების მიქცევა აქტიურ მოსწავლეებზე სხვების საჭიროებების უგულვებელყოფის გარეშე მოითხოვს გააზრებულ დაგეგმვასა და სწავლების სტრატეგიებს.

მუდმივი დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები სკოლის მიტოვების უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან, რაც ზღუდავს მათ მომავალ საგანმანათლებლო და კარიერულ შესაძლებლობებს. ამ გამოწვევების ადრეული გადაწყვეტა გადამწყვეტია გრძელვადიანი უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად.

დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეს სასწავლო პროცესის ორგანიზებაში დახმარება ნამდვილად ესაჭიროება. მიუხედავად იმისა, რომ თქვენს კლასში მხოლოდ რამდენიმე ან სულაც ერთი ჩამორჩენილი მოსწავლეა, ამ მოსწავლეთა სასწავლო მოთხოვნილებებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. როდესაც დაბალი მოსწრების მოსწავლეების სწავლებაზე საუბარი სასწავლო პრაქტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს. მასწავლებელი მოსწავლეს უნდა უყურებდეს, როგორც მოზარდს, რომელიც თანდათანობით განიცდის ადაპტაციას და ეგუება სასწავლო მასალის მიწოდების სხვადასხვა ფორმას. (ხუნძაყიშვილი & ბივერი, 2018: 34)

დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები ძირითად უნარებში პროგრესს მაშინ აღწევენ, როდესაც მასწავლებლები სასწავლო პროცესს პირადი ხელმძღვანელობით, სტრუქტურირებულ საკლასო აქტივობების ფორმატში, მჭიდრო ზედამხედველობით აქტიურად წარმართავენ. საკლასო დროის ხანგრძლივი მონაკვეთები, რომლებიც არასტრუქტურირებულ, ანუ თავისუფალი დროის რეჟიმში

აქტივობების ჩატარებას გულისხმობს, ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, მიუხედავად მათი განსხვავებული სწავლის სტილის, ინტერესებისა და მზაობისა. თითოეულ მოსწავლეს უნდა ეძლეოდეს შესაძლებლობა, საკუთარი ნააზრევი მისთვის უფრო მოსახერხებელი ფორმით წარმოაჩინოს. ჩამორჩენილი მოსწავლეთათვის გაკვეთილზე მასწავლებელთან ურთიერთქმედების ინტენსიურობა, მასწავლებლის შეკითხვებზე პასუხების გაცემა და მის შედეგებზე მასწავლებლის რეაქციის გაგება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ასეთ მოსწავლეთათვის ისეთი შეკითხვების დასმა, რომლებშიც გათვალისწინებულია მათი ინტერესები, ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართვას სასწავლო პროცესში იმ შემთხვევაშიც კი, თუ შესასწავლი თემა მათთვის რთულ საკითხებს მოიცავს (Tomlinson, 2017).

ამდენად, მასწავლებელს შეუძლია თავსატეხების, ამოცანების ან ისეთი სააზროვნო შეკითხვების მოფიქრება, რომლებიც მოსწავლეთა ყურადღებას მიიქცევენ. დაბალი მოსწრების მოსწავლეები ისეთ ადგილას უნდა დასვან, სადაც მათი მონიტორინგი და დახმარება არ გაგიჭირდებათ (Brophy & Evertson, 1976; Good & Brophy, 2008; Good, Grouws & Ebmeier, 1983). სასწავლო პროცესის ორგანიზაცია და მიმდინარეობა დაბალი მოსწრების მოსწავლეებისათვის გაკვეთილების ჩატარებისას, სწავლასა და საკლასო ოთახში კარგ ყოფაქცევას იმ შემთხვევაში შეუწყობთ ხელს, თუ სასწავლო პროცესს მასალის გაგების ხშირი შეფასებით წარმართავთ და მცირე სეგმენტებად ანუ მოკლე აქტივობებად დაყოფთ. უარი უნდა ვთქვათ იმ აქტივობების დაგეგმვაზე, რომლებიც მოსწავლეთა 25-30-წუთიანი პრეზენტაციის მოსმენას ან ამავე დროის მანძილზე ინდივიდუალური დავალების ზედიზედ შესრულებას მოითხოვს. ამის მაგივრად, თემატური მეცადინეობების ორი ან სამი უფრო მოკლე ციკლი გამოვიყენოთ. დაბალი უნარების მქონე მოსწავლეების სასწავლო პროცესის ერთი ციკლის მაგივრად რამდენიმე გამოყენებას ბევრი უპირატესობა აქვს: ყურადღების ხანმოკლე დროით კონცენტრირების წყალობით, მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობის შენარჩუნება ბევრად ადვილია, ხოლო პირველი დამოუკიდებელი საკლასო სავარჯიშოს გულმოდგინე მონიტორინგის შედეგად, ცხადი გახდება, შეძლებენ თუ არა მოსწავლეები დავალებების შესრულებას, რაც, თავის მხრივ, საშუალებას მოგვცემს, გაკვეთილის მიმდინარეობა ვაკონტროლოთ და ბავშვებთან სათანადო უკუკავშირი დავამყაროთ. როდესაც დაბალი მოსწრების ბავშვებთან გაკვეთილებს ვგეგმავთ, უფრო ეფექტიანია ერთგვაროვან მასალაში ჩაღრმავება, ვიდრე ბევრი განსხვავებული მასალის სწრაფად გავლა. დავგეგმოთ ბევრი პრაქტიკული მეცადინეობა და გამეორება და დამატებითი ახსნისათვის, მოქნილი ფორმით მოსწავლეთათვის დავალებები შაბლონურ, გამეორებით და უინტერესო სამუშაოს არ უნდა დაემსგავსოს. პირიქით დავალებები და საკლასო განხილვები ყველა მოსწავლეს დაფიქრების, კრეატიულობის, მათი ცოდნის ორგანიზებისა და გამოყენების შესაძლებლობას უნდა აძლევდეს. (ევერსტონი & ემერი, 2014: 316) ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი შეკითხვა, რომელიც დაბალი მოსწრების მოსწავლეებს წერთი თუ ზეპირი დავალებების შესრულებისას გაუჩნდებათ, პრაქტიკულ მოქმედებებში მათ გამოცდილებას შესძენს. მკაფიო კომუნიკაციას მნიშვნელობა ყველასათვის აქვს, მაგრამ განსაკუთრებით - დაბალი მოსწრების მოსწავლეებისათვის. ამიტომ ახალი გაკვეთილების პრეზენტაცია ყურადღებით უნდა დაიგეგმოს. განცალკევებული ან ზედმეტად დამძიმებული კომუნიკაცია დაბნეულობით, იმედაცრუებითა და წარუმატებლობით დასრულდება. მოსწავლეთა მიერ მასალის გაგება ხშირად შევამოწმოთ და მრავალი პროცედურული მითითების ერთმანეთისთვის გადაფარვას უნდა მოვერიდოთ. იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი შედგეს, ყველა მოსწავლეს (და განსაკუთრებით, ჩამორჩენილებს) სასწავლო ლიტერატურა და დავალებები ესაჭიროება, რომელთა მეშვეობითაც მათ წარმატების მიღწევა შეუძლიათ. ამიტომ, დაბალი მოსწრების მოსწავლეებისათვის ხშირად მეცადინეობებში მიღებული ცოდნის შევსება საჭიროა. ახალი სასწავლო პერიოდის გაკვეთილის ჩატარების შემდეგ აღმოვაჩინოთ, რომ რამდენიმე მოსწავლე ახალ მასალას ვერ დაეუფლა. ორივე შემთხვევა მოითხოვს, რომ სასწავლო პროცესი დამატებითი მეცადინეობით შევავსოთ. ამ მიმართებით ორ მოსაზრებას გამოვყოფთ: პირველი - საკლასო აქტივობების გეგმაში ასეთი ტიპის შემავსებელი მეცადინეობა აუცილებლად ჩავსვათ; მეორე - იმ მოსწავლეთათვის, რომლებსაც ცოდნის შევსება ესაჭიროებათ, სასწავლო მასალები მოვიმარაგოთ.

დაწყებით საფეხურზე დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებთან მუშაობა შეიძლება იყოს რთული, მაგრამ მომგებიანი მცდელობა. აქ მოცემული გვაქვს რამდენიმე სტრატეგია და რჩევა, რომელიც დაეხმარებათ ასეთ მოსწავლეებს ეფექტურად მხარდაჭერაში:

➤ ინდივიდუალური ყურადღება: აღიარეთ, რომ თითოეულ მოსწავლეს აქვს უნიკალური ძლიერი, სუსტი მხარეები და სწავლის სტილი. მიაწოდეთ ინდივიდუალური ყურადღება მათი სპეციფიკური საჭიროებების გასაგებად და თქვენი მიდგომის შესაბამისად მორგება.

➤ შეფასება და დიაგნოზი: ჩაატარეთ შეფასებები მათი დაბალი აკადემიური მოსწრების ძირეული მიზეზების დასადგენად. ეს შეიძლება მოიცავდეს მათი კითხვის, წერის, მათემატიკის და შემეცნებითი უნარების შეფასებას. გამოიყენეთ ეს ინფორმაცია პერსონალური სასწავლო გეგმების შესაქმნელად.



➤ მოთმინება და თანაგრძნობა: გამოიჩინეთ მოთმინება და თანაგრძნობა ასეთი მოსწავლეების მიმართ. წახალისეთ ისინი გამოხატონ თავიანთი შეშფოთება და იმედგაცრუება და შექმენით მხარდამჭერი და განსჯის გარეშე გარემო, სადაც ისინი თავს კომფორტულად გრძნობენ კითხვების დასმისას.

➤ დიფერენცირებული ინსტრუქცია: შეცვალეთ თქვენი სწავლების მეთოდები სხვადასხვა სწავლის სტილისა და ტემპის შესაბამისად. გამოიყენეთ ვიზუალური საშუალებების, პრაქტიკული აქტივობებისა და ინტერაქტიული გაკვეთილების ნაზავი, რათა ჩართოთ მოსწავლეები და გახადოთ სწავლა უფრო ხელმისაწვდომი.

➤ მცირე ჯგუფის ინსტრუქცია: დააჯგუფეთ მსგავსი სასწავლო საჭიროებების მქონე მოსწავლეები ერთად მიზნობრივი სწავლებისთვის. ეს საშუალებას გაძლევთ უფრო ეფექტურად გაუმკლავდეთ მათ სპეციფიკურ გამოწვევებს და უზრუნველყოთ უფრო ფოკუსირებული სასწავლო გამოცდილება.

➤ ხარაჩოებით სწავლება: დაყავით რთული ცნებები პატარა, მართვად საფეხურებად. თანდათანობით დაეყრდნონ მათ არსებულ ცოდნას და უნარებს, რათა უზრუნველყონ, რომ ისინი დაეუფლონ ძირითად კონცეფციებს უფრო მოწინავე თემებზე გადასვლამდე.

➤ ხშირი გამოხმაურება: მიაწოდეთ რეგულარული გამოხმაურება, რათა დაეხმაროთ მოსწავლეებს გაიგონ მათი პროგრესი და გაუმჯობესების სფეროები. გამოიყენეთ დადებითი გაძლიერება მათი თავდაჯერებულობისა და მოტივაციის ასამაღლებლად.

➤ ტექნოლოგიის გამოყენება: ინტეგრირებული საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ინსტრუმენტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ სწავლას. არსებობს უამრავი ონლაინ რესურსი, რომელიც შექმნილია იმისთვის, რომ დაეხმაროს მოსწავლეებს, გააძლიერონ თავიანთი უნარები სახალისო და ინტერაქტიული გზით.

➤ მშობლების ჩართულობა: მიაწოდეთ მშობლებს ან მეურვეებს ინფორმირებული მათი შვილის პროგრესისა და საზრუნავი სფეროების შესახებ. წახალისეთ ღია კომუნიკაცია და თანამშრომლობა, რათა უზრუნველყოთ თანმიმდევრული მხარდაჭერის სისტემა როგორც სკოლაში, ასევე სახლში.

➤ რესურსებისა და მხარდაჭერის გუნდი: ითანამშრომლეთ სხვა პედაგოგებთან, სპეციალური განათლების პროფესიონალებთან და მრჩეველებთან, რათა შექმნათ ყოვლისმომცველი დამხმარე ჯგუფი. მათ შეუძლიათ წარმოადგინონ შეხედულებები, სტრატეგიები და ინტერვენციები, რათა დაეხმარონ ამ მოსწავლეებს წარმატების მიღწევაში.

➤ რეალურ სამყაროსთან კავშირები: კლასის შინაარსის დაკავშირება რეალურ სამყაროში არსებულ სიტუაციებთან, რომლებთანაც მოსწავლეებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ. სწავლის რელევანტური და პრაქტიკული გახდომა შეიძლება გაზარდოს მათი ჩართულობა და მოტივაცია. აღიარეთ და აღნიშნეთ ასეთი მოსწავლეების მიღწევები, რაც არ უნდა მცირე იყოს. ეს ხელს უწყობს მიღწევის გრძნობას და ზრდის მათ თავდაჯერებულობას.

➤ ნდობის ჩამოყალიბება: დაეხმარეთ მოსწავლეებს განავითარონ ზრდის აზროვნება, ხაზგასმით, რომ ინტელექტი და შესაძლებლობები შეიძლება განვითარდეს ძალისხმევითა და შეუპოვრობით. წახალისეთ ისინი რისკზე წავიდნენ და შეცდომებს სწავლის შესაძლებლობად მიიჩნიონ.

➤ ინკლუზიური საკლასო გარემო: ხელი შეუწყოს კლასის კულტურას, რომელიც ხელს უწყობს ინკლუზიურობას და ურთიერთპატივისცემას. წახალისეთ მოსწავლეები, დაეხმარონ და მხარი დაუჭირონ ერთმანეთს, შექმენით პოზიტიური და თანამშრომლობითი სასწავლო გარემო.

➤ გრძელვადიანი პერსპექტივა: გახსოვდეთ, რომ პროგრესი შეიძლება იყოს ეტაპობრივი. შეინახეთ გრძელვადიანი პერსპექტივა და ფოკუსირდით მუდმივ გაუმჯობესებაზე. მცირე წინგადადგმულმა ნაბიჯებმა შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი აკადემიური მიღწევები დროთა განმავლობაში.

გახსოვდეთ, ყველა მოსწავლეს აქვს წარმატების პოტენციალი. თქვენი მიდგომის მორგებით, სწორი მხარდაჭერით და პოზიტიური სასწავლო გარემოს ხელშეწყობით, შეგიძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოთ დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების აკადემიურ და პიროვნულ ზრდაზე.

დასკვნა:

დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებთან მუშაობა წარმოადგენს კომპლექსურ გამოწვევებს, რომლებიც მოითხოვს მრავალმხრივ მიდგომას. ის მოიცავს სხვადასხვა სასწავლო საჭიროებების დაკმაყოფილებას, მოსწავლეების მოტივაციას, თვითშეფასების ჩამოყალიბებას, რესურსებისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფას, თანატოლების გავლენის მართვას, მშობლების ჩართვას, პირადი და ოჯახური ფაქტორების გათვალისწინებას, შეფასების მეთოდების ადაპტირებას და ინდივიდუალური სწავლების დაბალანსებას. ამ საკითხების ამოცნობითა და განხილვით, მასწავლებლებსა და დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ იმუშაონ ამ მოსწავლეების აკადემიური შედეგებისა და საერთო კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

## ბიბლიოგრაფია

- ევერსტონი, კ. მ., & ემერი, ე. ტ. (2014). *კლასის მართვა დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისთვის*. თბილისი: გამომცემლობა „უსტარი“.
- მასწავლებელთა განვითარების ეროვნული ცენტრი. (2008). *ნაბიჯ-ნაბიჯ გზამკვლევი მასწავლებლებისთვის*.
- ხუნძაყიშვილი, მ., & ბივერი, ს. (2018). *განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება*. სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
- Brophy, J. E., & Evertson, C. M. (1976). Relationships between Classroom Behaviors and Student Outcomes in Junior High Mathematics and English Classes. *American Educational Research Journal*. Vol. 17.
- Darling-Hammond, L. (2000). Teacher Quality and Student Achievement. *Education Policy Analysis Archives*, 8, 1. <https://epaa.asu.edu/index.php/epaa/article/view/392>
- Good, T. L., & Brophy, J. E. (2008). *Looking in Classrooms*, Pearson/Allyn and Bacon
- Stronge, J. H. (2007). *Qualities of effective teachers*. eBook, English.
- Good, T. L., Grouws, D. A., & Ebmeier H. (1983). *Active Mathematics Teaching*. Publisher Longman.
- Tomlinson, C. A. (2017). *How to Differentiate Introduction in Academically Diverse Classrooms*. 3<sup>rd</sup> ed. Alexandria, VA: Association for Supervision and Curriculum Development.

*Nodar Mirazanashvili, Manana Michitashvili*  
*Gori State University*

## **WORK WITH STUDENTS OF LOW ACADEMIC PERFORMANCE AT THE ELEMENTARY LEVEL RESUME**

In the educational system, the level of academic performance of students and the degree of its growth and decline are particularly problematic. Therefore, meeting the needs of students with low academic performance is very important. Such students often face challenges that require special attention and support from teachers, administrators, and parents. The paper examines some of the key issues and challenges associated with working with students with low academic achievement and aims to identify strategies and approaches with elementary school students that will help students overcome these challenges and set them on a path to academic success.

**Key words:** Students, Academic performance, Learning ability, Motivation.

**გიორგი მძინარაშვილი**  
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## **ფიზიკური მომზადების როლი თავისუფალ ჭიდაობაში**

**საკვანძო სიტყვები:** სპორტი, ჭიდაობა, ფიზიკური, ტექნიკური, სასწავლო.

თავისუფალი ჭიდაობა დიდი პოპულარობით სარგებლობს, როგორც მსოფლიოს დიდ ქვეყნებში ასევე პატარა სახელმწიფოებშიც. ათეულობით მილიონი ადამიანი დაკავებულია ამ სანახაობრივ - ლამაზ და საინტერესო სპორტის სახეობით. დიდ დაინტერესებას იწვევს თავისი დიდი და მდიდარი ტრადიციებით საქართველოს თითქმის ყველა ქალაქსა თუ რაიონში. განსაკუთრებული შედეგებით გამოირჩევა ქალაქი გორი. გორში დაახლოებით 70 წელიწადი კულტივირებს სპორტის ეს სახეობა. გორის საჭიდაო სკოლას ჰყავს ოლიმპიური ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორები, მსოფლიო ჩემპიონები და პრიზიორები სხვადასხვა ასაკში, ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები, საერთაშორისო ტურნირების

გამარჯვებულები. დიდებს ბაძვენ და ემსგავსება მოზარდი თაობა, ეს ძალიან სასიხარულო ფაქტია. ამ ტრადიციებს საფუძველი ჩაუყარეს დამსახურებულმა მწვრთნელებმა: ნუგზარ სხირელმა, მერაბ მუზაშვილმა, ირბეგ ჯიომვილმა, ზურაბ ნარიაშვილმა.

თავისუფალი ჭიდაობის პოპულარობა და მის მიმართ ასეთი დაინტერესება აიხსნება მისი სანახაობრობით, ემოციური ფონით და იმით თუ როგორ გავლენას ახდენს თავისუფალი ჭიდაობა სპორტსმენის (მოჭიდავის) სამოდრაო, ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ნებელობით თვისებებზე.

ყოველ წელს შეიმჩნევა გორის საჭიდაო დარბაზებში ახალი თაობით შევსების პროცესი. მოდიან ჭიდაობის საიდუმლოების დასაუფლებლად ახალბედა ნიჭიერი სპორტსმენები, მომავალი ჩემპიონები.

შედეგის მოსაპოვებლად დიდი ძალისხმევაა საჭირო. ამ უნიკალურ ჯაჭვში ყველა მაქსიმალურად და ეფექტურად უნდა იყოს ჩართული, სისტემატურად მიმდინარეობდეს სწავლება და წვრთნა. უდიდეს როლს თამაშობს მწვრთნელისა და მოსწავლის დამოკიდებულება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა და საქმისადმი ერთგულება, სადაც მწვრთნელი თამაშობს დომინანტის როლს და მისი განათლება, ცოდნა და პროფესიული და პროფესიონალური უნარ - ჩვევები არის ამ შედეგის საწინდარი და საფუძველი, წარმატების ხარისხის მომტანი. მწვრთნელმა მოსწავლეებს უნდა შეაყვაროს ჭიდაობა, განუვითაროს მათ ტაქტიკური აზროვნება, განუვითაროს და სრულყოფილების დონეზე აუმაღლოს ფიზიკური თვისებები: სისწრაფე, ძალა, სიმარჯვე, გამძლეობა და მოქნილობა. პედაგოგი მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს მრავალფეროვანნი და მრავალმხრივები იყვნენ მოსწავლეები ტაქტიკისა და ტექნიკის თვალსაზრისით.

თავისუფალი ჭიდაობით დაკავებულ და დასაქმებულ ადამიანში ხდება მისი ნერვული სისტემის ფუნქციის გაუმჯობესება, რომელიც წარმოისახება მოჭიდავის რეაგირების სისწრაფეში და ორიენტირებაში, ყურადღების ზრდაში და გაწონასწორებაში. თავისუფალი ჭიდაობა სპორტსმენისაგან მოითხოვს არამარტო ფიზიკურ განვითარებასა და სრულყოფას, არამედ გონებრივი შესაძლებლობების და პოტენციალის ზრდას. ჭიდაობის პროცესში, ბრძოლაში იმარჯვებს სწრაფად მოაზროვნე მოჭიდავე, რომელიც როგორც ტექნიკურ-ტაქტიკურად ასევე ფიზიკურად კარგად არის მომზადებული.

იზრდება კონკურენცია ჭიდაობაში, როგორც საერთაშორისო დონეზე ასევე საქართველოში. ეს იწვევს აუცილებლობას, რომ სასწავლო - საწვრთნო პროცესში მისი ეფექტურობის ამაღლების მიზნით ჩართული იყოს თანამედროვე და სრულყოფილი მეთოდები და საშუალებები. ერთ - ერთი მთავარი საკითხი არის მოჭიდავის მუშაობის უნარიანობის ზრდა და ტექნიკური არსენალის გამდიდრება და სრულყოფა. ამ მხრივ სპორტში მოწინავე ქვეყნებში აქტიურად არიან ჩართული როგორც პედაგოგიური მეცნიერებები ასევე შემდეგი დისციპლინები: ფიზიოლოგია, ფსიქოლოგია, ბიოქიმია, ბიომექანიკა, მედიცინა და სხვები.

ფიზიკური მომზადება არის მოჭიდავის სასწავლო - საწვრთნო პროცესის შემადგენელი დიდი ნაწილი და თავისი პრიორიტეტული მნიშვნელობით ქმნის მის საფუძველსა და ბაზას, რომელიც სპორტსმენს ეხმარება ჭიდაობის სრულ დაუფლებაში და წარმატების მიღწევაში, ჭიდაობის სპეციფიკიდან გამომდინარე და მასზე დაყრდნობით წვრთნის პროცესში, სპორტსმენის ყველა ფიზიკური თვისების განვითარება და სრულყოფა საჭირო ხარისხითა და საჭირო დონეზე. რამდენად შრომისუნარიანი და ძლიერი არის მოჭიდავის ორგანიზმი მით უფრო კარგი ხარისხითა და ეფექტით აღიქვამს საწვრთნო დატვირთვას, მალე ეგუება მას და უფრო დიდხანს იმყოფება სპორტულ ფორმაში. ფიზიკური მომზადების გარეშე საწვრთნო ან საშეჯიბრო შეხვედრების ჩატარება და წარმოება შეუძლებელია ეფექტურად, ინტენსიურად და ხანგრძლივად. ამიტომ ფიზიკური მომზადება მთლიანი სასწავლო - საწვრთნო პროცესის წამყვან რგოლს შეადგენს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თავისუფალი სტილის მოჭიდავეები და სხვა ორთაბრძოლის სახეობების წარმომადგენლები, რომლებიც ამ სპორტის სახეობით დაკავების დასაწყისში აღწევენ წარმატებებს და ხშირად დიდსაც, შემდგომში კი მსგავსი დამოკიდებულება ზღუდავს მათ პოტენციურ შესაძლებლობებს. მრავალფეროვანი ვარჯიშებისა და სავარჯიშო კომპლექსების უგულვებლყოფა თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს ხდის შეზღუდულებს, ერთფეროვნებს, არასრულყოფილებს და ამ ყველაფერს მოაქვს არასტაბილური სპორტული შედეგი, და ხშირ შემთხვევაში სპორტული ოსტატობის ვარდნა და წყვეტა. ყველაფერი ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სპორტსმენს სასწავლო - საწვრთნო პროცესისადმი უკარგავს ინტერესს და არ აძლევს საშუალებას მას ბოლომდე გახსნას მოჭიდავის რეალური ბუნებრივი შესაძლებლობები. მწვრთნელი და სპორტსმენები უნდა ზრუნავდნენ ფიზიკური მომზადების მაღალ დონეზე საწვრთნო პროცესის ყველა პერიოდში და ეტაპზე. ამასთან ერთად მოჭიდავის ფიზიკური მომზადება მის კვალიფიკაციის და დონის ზრდასთან ერთად უნდა ხდებოდეს მეტად სპეციალიზირებული, რომ მოხდეს სპეციალური ფიზიკური თვისებების და ჩვევების განვითარება და სრულყოფა.

მოჭიდავის ფიზიკური მომზადება და მისი დონე იცვლება სპორტსმენის სპორტული ოსტატობის ზრდასთან ერთად, ამიტომ მოჭიდავის ფიზიკური თვისებების განვითარების წარმოება უნდა ხდებოდეს სპორტის აღნიშნული სახეობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

### ბიბლიოგრაფია

- მძინარაშვილი, გ. (2006). *თავისუფალი ჭიდაობის ტექნიკური მოქმედებების მოცულობისა და თანამიმდევრობის ექსპერიმენტული დასაბუთება (სწავლების საწყის ეტაპზე)*. ავტორეფერატი. პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.
- მატვევი, ლ. პ. (1987). *სპორტული წვრთნის საფუძვლები*. თბილისი.
- მატვევი, ლ. პ., & ნოვიკოვი, ა. დ. (1979). *ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდოლოგია*. თბილისი.
- Туманян, Г. С. (1985). *Спортивная борьба*. Москва: ФИС.
- Медведь, А. В., & Кочурко, Е. И. (1985). *Совершенствование подготовки мастеров спортивной борьбы*. Минск: Полымя.
- Матвеев, Л. П., & Новиков, А. Д. (1976). *Теория и методика физического воспитания*. Москва: ФИС.

*Giorgi Mdzinarashvili*

*Gori State University*

## THE ROLE OF PHYSICAL TRAINING IN FREESTYLE WRESTLING RESUME

The training process in freestyle wrestling is a multi-year, complex and time-consuming process. In this process, all relevant issues are considered, processed and applied. It is necessary to create all the necessary conditions, taking into account all the effective methods and means. The greater the competition, the greater the demand for the training process. In the process of preparing a wrestler, all aspects of preparation should be taken into account. No aspect of preparation can be ignored - excluded. As the wrestling level, step, rating increases, the demand for physical training increases. If the wrestler's physical training at the previous stages was sufficient for him to achieve results, it may not be enough at the next stage of development. During the production of physical training, it is necessary to take into account all existing and possible components, it is mandatory to check the athletes' data step by step and make possible and preventive changes.

**Key words:** Sport, Wrestling, Physical, Technical, Educational.

ბექა ტოლიაშვილი  
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ქცევითი პრობლემების მიზეზები სასწავლო პროცესში

**საკვანძო სიტყვები:** ქცევა, ქცევითი პრობლემები, ბავშვები, სკოლა, მასწავლებელი, სასწავლო პროცესი.

ცნობილია, რომ ბავშვთა და მოზარდთა ქცევით პრობლემებთან გამკლავება მასწავლებლებს საკმაოდ უჭირთ. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ხერხებს მიმართავენ აღნიშნულ პრობლემის აღმოსაკვეთად, ბავშვთა ქცევითი აშლილობა მაინც სერიოზულ პრობლემად რჩება, როგორც სკოლისთვის ისე, ოჯახისა და მთლიანი საზოგადოებისათვის. ქცევა მაშინ არის პრობლემური, როცა ხელს უშლის ბავშვს სოციალურ ურთიერთობებში, სახიათა თავად ბავშვისთვის და სხვებისთვის, ხელის შეშლელია ბავშვის განვითარებისთვის და როცა ის ხდება არასწორ დროს და ადგილას. ქცევათა უმეტესობა დასწავლილია და ემსახურება გარკვეულ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ნებისმიერი

ქვეა ხორციელდება გარკვეულ კონტექსტში და მას გააჩნია თავისი წინაპირობა და შედეგი. ქვეა იცვლება სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით. ამ ფაქტორების შესწავლით და მათი მანიპულირებით შესაძლებელია ქვეაზე ზემოქმედების მოხდენა.

ქვეითი პრობლემების მოგვარება განპირობებულია კლასის ეფექტური კონტროლით. რაც უფრო მაღალია მასწავლებლის მიერ კლასის კონტროლის დონე, მით უფრო უკეთესი საშუალებები არსებობს ბავშვის ყოველდღიურ საქმიანობაში ჩართვისა და სასკოლო აქტივობების ინიცირებისათვის. კლასის კონტროლი გულისხმობს ბავშვის ქვევის ღრმა გაგებას, ბავშვით გულწრფელად დაინტერესებასა და მათი ფსიქოლოგიური და აკადემიური უნარების განვითარების ხელშეწყობას. კლასის კონტროლი ასევე ემყარება მასწავლებლის მიერ საკუთარი ქვევის გაგებასა და მის გაცნობიერებას, რომ კლასში წამოჭრილი მრავალი პრობლემა არის მისი პირდაპირი შედეგი თუ როგორ რეაგირებს თავად მასწავლებელი პრობლემური ქვევის მქონე ბავშვის მიერ განხორციელებულ ქვევაზე. ბავშვის ქვევა არ უნდა განვიხილოთ იზოლირებულად. ბავშვი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების ცენტრში იმყოფება. მრავალი ეს ფაქტორი თავად მასწავლებლისაგან მომდინარეობს, დანარჩენი კი მომდინარეობს იქიდან, თუ როგორ არის კლასი და საერთოდ სკოლა ორგანიზებული. თუ კლასში ყველაფერი ისე არ არის, როგორც წესი და რიგია, მაშინ ამაში მხოლოდ მასწავლებელი არ უნდა დავადანამაშულოდ, არამედ დაწვრილებით უნდა გამოვიკვილოთ როგორც მასწავლებლის ასევე მოსწავლის ქვევა. მასწავლებლის ქვევა ქვევის ერთადერთი სახეა, რომელიც მასწავლებლის პირდაპირი კონტროლის ქვეშ იმყოფება, იგი არის იარაღი, რომელსაც იგი იყენებს კლასის ქვევაში სასურველი შედეგების შეტანის მიზნით.

მაშინაც კი, როდესაც ამკარაა რომ რომელიმე კონკრეტული პრობლემური ქვევა კლასში ბავშვისაგან მომდინარეობს, მასწავლებელი მაინც კარგად უნდა დააკვირდეს საკუთარ რეაქციას. სანამ ის უშუალოდ მიმართავს რომელიმე კონკრეტულ სტრატეგიას, რომელიც ქვევის შეცვლაზეა ორიენტირებული. მასწავლებელმა უნდა გაარკვიოს, თუ რა მიზეზები დგას ბავშვის ამგვარი ქვევის უკან. სტრატეგიამ, რომელიც სრულიად მისაღებია ერთი რომელიმე ბავშვისათვის, შესაძლოა პრობლემის გამძაფრება ან ღრმა პიროვნული დისსტრესია გამოიწვიოს მეორეში.

როდესაც ხდება ბავშვის პრობლემური ქვევის მიზეზების განსაზღვრა აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული მისი ასაკი. მრავალი პრობლემური ქვევა შეიძლება წამოიჭრას მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვს ჯერ კიდევ არ ჰქონდეს განვითარებული რაიმეს გაკეთების მისაღები ხერხები. ზოგჯერ პრობლემა ისაა, რომ ბავშვებმა უბრალოდ არ იციან, თუ რას მოელიან მათგან. სხვა შემთხვევაში კი მათ შეიძლება ქონდეთ ამის უნარი, მაგრამ არ შეეძლოთ შესაბამისი ქვევის განხორციელება ბავშვმა უბრალოდ არ იცის, თუ როგორ დაელოდოს საკუთარ ჯერს მოითხოვოს რაიმე თავაზიანად ან იყოს წყნარად და შეწყვიტოს საუბარი უფროს ბავშვებში პრობლემები უმეტესად არის გულმავიწყობა, წესების არაშეგნებულად იგნორირება, მოწყენილობა სოციალური პრობლემების ქონა, გაკვეთილის ჩაშლის მცდელობა. არსებობს სხვა მიზეზებიც თუ რატომ უნდა იქნას გათვალისწინებული ასაკი კლასის კონტროლის უკეთესი გაგებისა და გამკლავებისათვის

1. *ზრდასთან ერთად იცვლება ბავშვის მოთხოვნებისა და მოლოდინების ბუნება მასწავლებლის მიმართ.* დაწყებითი კლასების ბავშვები ყველაზე მეტად თანაგრძნობის უნარის მქონენი არიან და ემპათიურ მასწავლებელს ითხოვენ, რომელსაც შეუძლია ეფექტურად გაუმკლავდეს მათ ემოციურ და სოციალურ პრობლემებს. შედარებით უფრო მოზრდილები კი უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ მასწავლებლის მიერ საგნის ცოდნასა და კომპენტეციას.

2. *ასაკის მატებასთან ერთად იზრდება სტატუსისა და პრესტიჟის მოთხოვნილება კლასის თვალში.* მცირეწლოვან ბავშვებს მოსწონთ, როდესაც თანატოლებს მათზე კარგი წარმოდგენა აქვთ და ძალან განიცდიან თუ მასწავლებელი დაამცირებს მათ კლასი წინაშე. ასაკის მატებასთან ერთად, განსაკუთრებით კი მოზარდობის პერიოდში, როდესაც ბავშვი პიროვნული იდენტობის ძიებაშია, ეს მოთხოვნილებები კიდევ უფრო ძლიერდება, ამიტომ კლასის წინაშე მოზარდმა დამცირება შესაძლოა ბევრად უფრო მძიმედ გადაიტანოს, ვიდრე მცირეწლოვანმა. ისინი თანდათანობით ახდენენ საკუთარი თავის გაიგივებას მოზარდის სამყაროსთან და ამ სამყაროში ეძებენ საკუთარ სტატუსს, ამიტომ მათთვის კლასის წინაშე დამცირება ამ სტატუსის დაკარგვასა და თანატოლთა თვალში დამცირებას ნიშნავს.

3. *რაც უფრო იზრდებიან ბავშვები, მით უფრო კრიტიკულები ხდებიან ისინი მოზარდის ქვევების მიმართ.* ასაკის მატებასთან ერთად მოზარდის ქვევას ბევრად უფრო საინტერესო ხდება თავად ქვევის თვალსაზრისი და მათ გაზრდილ ინტერესებს კრიტიკისათვის ფართო სფეროც მოჰყვება. მასწავლებელს, რომელსაც შეუძლია შეესაბამოს ბავშვების მოლოდინებსა და გაანთავისუფლოს ისინი ამგვარი კრიტიკისაგან, პიროვნული ავტორიტეტის დამყარების უკეთესი შანსი აქვს.

4. *უფროსი ასაკის ბავშვები ხშირად საკუთარი წარუმატებლობისა და იმედ გაცრუების გამო მოზარდებს ადანაშაულებენ.* დაახლოებით 12 წლის ასაკიდან, როდესაც ბავშვებს უვითარდებათ აბსტრაქტული აზროვნების უნარი, ისინი ხშირად ახდენენ იმ იდეალიზაციას, რაც სამყაროში ხდება.

ისინი ხშირად ეჭვის ქვეშ აყენებენ ავტორიტეტებს და მათით უკმაყოფილებას გამოხატავენ. ამგვარი ავტორიტეტების როლში კი ხშირად გამოდის სკოლა და მასწავლებლები.

პრობლემური ქცევა შესაძლოა ეხებოდეს არა ცალკეულ ინდივიდებს, არამედ მთელ კლასს. იგი შესაძლოა იყოს წამოწყებული ცალკეული ინდივიდების ქცევით, მაგრამ შემდგომში მათი მთელი კლასი სწრაფად ერთვება. სოციალური ჯგუფები, იმისდა მიუხედავად, ისინი ბავშვებისაგან არის შემდგარი, თუ მოზარდებისაგან, საკუთარ იდენტობას ივითარებენ, რომლებიც გარკვეულ კრიტიკულ ფაქტორებზე და მოკიდებული. ამ ფაქტორებიდან უმეტესობა ის ფაქტორებია, რომლებსაც სოციალური ფსიგოლოგები უწოდებენ ლიდერებს, ვარსკვლავებს, და გარიყულებს. ამ ფაქტორებს ის გამოცდილება ემატება, რომელიც ჯგუფს ჰქონდა წარსულში მასწავლებელთან. ლიდერები არიან ისინი, რომლებიც ჯგუფს გარკვეულ განსაზღვრებას აძლევენ. ისინი როგორც წესი იმ თვისებების მატარებლები არიან, რომლებიც ჯგუფის დანარჩენ წევრებს აღაფრთოვანებენ და რომლებიც ჯგუფს მიმართულებას აძლევენ. ეს ის თვისებებია, რომელთა ქონაც, როგორც წესი, ჯგუფის დანარჩენ წევრებს სურს და რომლებიც მათ პიროვნულ ღირებულებებს გაძლიერებულ განცდებს აძლევენ. ვარსკვლავები (რომლებიც ასევე შესაძლოა ლიდერები იყვნენ) არიან ისინი ვინც გარკვეული პოპულარობით სარგებლობენ. ვარსკვლავი არის მიღებული და აღიარებული ჯგუფის მიერ. შესაძლოა იგი ლიდერის მსგავსად ჯგუფს არ აძლევდეს მიმართულებას მაგრამ იგი ქმნის გარკვეულ სტანდარტებს, რომლებსაც ჯგუფის დანარჩენი წევრები ბაძავენ. გარიყული არის ის ინდივიდი, რომელსაც არ ყავს მეგობრები, რომელიც ჯგუფის მიერ იგნორირებულია და არის დაცვის საგანი დანარჩენებისათვის კლასს შესაძლოა ერთზე მეტი ლიდერი ან ვარსკვლავი ყავდეს და შედეგად წარმოიქმნას ორი ან მეტი ქვეჯგუფი. ერთი ქვეჯგუფი შესაძლოა იდენტიფიცირებული იყოს მასწავლებელთან და იღებდნენ მხოლოდ მათ, ვინც ბეჯითად მუშასობს, ხოლო მეორე ხასიათდებოდეს სკოლისა და მისი ფასეულობების უარყოფით და შესაძლოა ღიად მტრულ დამოკიდებულებაში იყვნენ ყველა იმ ბავშვთან, რომელიც შეეცდებოდა მასწავლებელთან თანამშრომლობას. მიუხედავად ლიდერებისა და ვარსკვლავების გავლენისა, მასწავლებელი არუნდა შეეცადოს ამ გავლენის შემცირებას, არამედ ჯგუფის დინამიკის გაგების შემდეგ მათ უნდა განავითაროს იმგვარი სტრატეგია, რომლითაც იგი მთლიანად კლასის ქცევას გაუმკლავდება. პრობლემა, რომელსაც შეიძლება წააწყდეს მასწავლებელი, როგორც სწავლების ფასილიტატორი არის ის, რომ განვითარების ის დონე, რომელზედაც ბავშვებმა უნდა იფიქრონ და იაზროვნონ, შესაძლოა განსხვავდებოდეს მისი საკუთარისაგან. პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორიის მიხედვით მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის კოგნიტური განვითარება შეგვიძლია განვიხილოთ როგორც კონტინიუმი, ამ კონტინიუმიში შეიძლება გამოიყოს კონკრეტული საფეხურები რომელზედაც ბავშვის უნარი, გადაჭრას პრობლემები და გაიგოს რთული იდეები, მნიშვნელოვან ვარიაციებს აჩვენებს. მაგალითად, ცნობილია, რომ 12 წლამდე ბავშვს უჭირს გაიგოს აბსტრაქტული იდეები. ეს სტადია კონგრეტული ოპერაციების სტადიის სახელით არის ცნობილი. 12 წლის შემდეგ კი იძენს ჰიპოთეზებისა და ცნებების წვდომის უნარს, მიუხედავად იმისა, რომ მას შესაძლოა არც კი ჰქონდეს კონკრეტული გამოცდილება იმ თვისებებისა და ელემენტების შესახებ რომელსაც ეს ჰიპოთეზები და ცნებები შეიცავენ. ეს სტადია ცნობილია, როგორც ფორმალური ოპერაციების სტადია.

კლასის კონტროლის პერსპექტივის მხრივ, უმთავრესად კი შერეული უნარების მქონე ჯგუფების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ის რომ მასწავლებელს შესაძლოა ჯგუფში ყავდეს განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი ბავშვები. მაგალითად, შესაძლოა ზოგიერთმა ბავშვმა უკვე მიაღწია ფორმალური ოპერაციების სტადიას ჯერ კიდევ დაწყებით სკოლაში და სამუშაო, რომელსაც მას სთავაზობენ შესაძლოა იყოს მისთვის არასაკმარისი და არადაამაკმაყოფილებელი სტიმულაცია, ზოგიერთმა კი შესაძლოა ვერასოდეს მიაღწიოს ფორმალური ოპერაციების სტადია და ჰქონდეს პრობლემები აბსტრაქტულ აზროვნებასთან დაკავშირებით მთელი სასკოლო ცხოვრების განმავლობაში, ამიტომ აუცილებელია, რომ მასწავლებელი იყოს ინფორმირებული აზროვნების იმ დონის შესახებ რომელზეც ბავშვი ოპერირებს. შესაძლოა ბავშვს ნამდვილად არ შეეძლოს აღწერილობისა და ახსნის იმდონეზე ფუნქციონირება, რომელსაც მასწავლებელი სთავაზობს და არანაირი გამეორება ამ შემთხვევაში მას არ დაეხმარება. ამიტომ იმისათვის, რომ მასწავლებელმა შეუნარჩუნოს ბავშვს სწავლისადმი ინტერესი, იმგვარად უნდა მიაწოდოს იდეები, რომ ისინი იყოს იმ უნარების შესაფერისი, რომლებსაც იყენებს განვითარების კონგრეტულ სტადიაზე მყოფი ბავშვი სამყაროს შესაცნობად. გარდა ამისა ბავშვის პრობლემურ ქცევას შეიძლება ასევე უკავშირდებოდეს ისეთი ფაქტორი როგორცაა ინტელექტი, კრეატულობა კოგნიტური უნარები, აზროვნება, ენა.

სასკოლო სამუშაოს მოტივაცია მნიშვნელოვნად იქნება განსხვავებული მაღალი და დაბალი უნარების მქონე ჯგუფებში. მაღალი უნარების ჯგუფები სკოლის მიმართ, როგორც წესი, პოზიტიური დამოკიდებულებებით ხასიათდებიან და იდენტიფიცირებას ახდენენ სკოლის მიზნებთან, დაბალი უნარის ბავშვები კი სკოლას ბევრად უფრო უარყოფითად აღიქვამენ და მათში განხორციელებულ

აქტივობას დროის კარგვად მიიჩნევენ. შედეგად ისინი ყურადღების ფოკუსირებას ახდენენ მხოლოდ იმ მასალაზე, რომელიც მათსი დიდ ინტერესს იწვევს. წარმატებისა და წარუმატებლობის კრიტერიუმი განსხვავდება უნარების სხვადასხვა დონისათვის. ბავშვისათვის მუდმივი წარუმატებლობა მეტად დამთრგუნველია. ასეთ შემთხვევაში იგი საკუთარ თვითპატივისცემას იცავს იმით, რომ საკუთარ წარუმატებლობაში ადანაშაულებს სკოლასა და მასწავლებელს, შედეგად კი მათ მიმართ მტრული გრძობები უვითარდება, ამიტომ, როდესაც მასწავლებელი მუშაობს განსხვავებული უნარების მქონე ბავშვებთან, უნდა დარწმუნდეს რომ წარმატების კრიტერიუმი განსხვავდება იმისდა შესაბამისად, თუ რა არის შესაძლებელი ბავშვისათვის განვითარების სხვადასხვა სტადიაზე.

ქვეყნის რელიგიური და მორალური კოდი შესაძლოა იყოს უფრო მკაცრი გარკვეულ კულტურულ ჯგუფებში. ეს უმეტესწილად ეხებათ ბავშვებს მუსლიმანური ოჯახებიდან, სადაც უმეტესწილად გოგონები როგორც ჩაცმის, ისე ქვეყნის მხრივ უფრო მეტი ზეწოლის ქვეშ იმყოფებიან, ვიდრე დანარჩენი ბავშვების უმეტესობა. სკოლა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეროვნებათშორისი ჰარმონიის დამყარების თვალსაზრისით, თუმცა შესაძლოა დროდადრო თავი იჩინოს გარკვეულმა უთანხმოებამ, რამაც შესაძლოა სხვადასხვა კულტურულ ჯგუფებს შორის კონფლიქტი და ძალადობა გამოიწვიოს. ყველაფერი ამის შედეგად წამოჭრილი პრობლემები კი მეტად ფრთხილად უნდა ქნას გადაწყვეტილი მასწავლებლის მიერ, მან საკუთარი ძალისხმევა უნდა მიმართოს იქითკენ, რომ ბავშვებს განუმარტოს ტოლერანტობის აუცილებლობა. განსხვავებული ეთნიკური ჯგუფის ბავშვებს შესაძლოა ჰქონდეთ ენობრივი პრობლემები ამგვარი პრობლემები ნიშნავ იმას, რომ მათ უბრალოდ არ ესმოდათ ის თუ რას ითხოვს მასწავლებელი მათგან. შედეგად შეიძლება ამგვარი ბავშვები გარკვეული ქვეყნითი პრობლემების მქონედ მიიჩნიონ. სინამდვილეში კი მათ მხოლოდ მეტი დახმარება სჭირდებოდათ ენობრივი პრაქტიკის მხრივ.

### **დასკვნა**

მასწავლებელი კლასში მრავალ ფუნქციას ასრულებს, მათ შორის კი მნიშვნელოვანია კლასის მართვა და მისი ორგანიზება. კლასის მართვის უნარი არ არის ადვილად შესაძენი. ქვეყნის მართვა არის საკითხი, რომელსაც ყურადღება, როგორც კლასის ისე სკოლის დონეზე სჭირდება. თუმცა არსებობს ხელშემშლელი ფაქტორებიც, რომელსაც ეხება კლასის მართვა და ქვეყნის პრობლემებს და თუ არ შეგვჩვენს ამ პრობლემების გამკლავების უნარი შესაძლოა ვერ შევძლოთ კლასის მართვა, ამრიგად მასწავლებელმა საკლასო ოთახში შემოსვლისთანავე უნდა მოახერხოს მოსწავლეს ყურადღება გადაატანინოს სასწავლო პროცესზე. არასწორი მართვის პროცესში სასწავლო გარემო არ იქნება ხარისხიანი. ქვეყნის წესები ყველაზე შედეგიანია მაშინ როცა ისინი მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის თანამშრომლობის პროდუქტია. გაკვეთილის მართვის მნიშვნელოვანი ასპექტია მისი სტრუქტურის დადგენა, რაც ყოველდღიური ქვეყნის წესების შემუშავებას და მათ თანმიმდევრულ გატარებას გულისხმობს. ამრიგად კეთილგანწყობილი და მხარდამჭერი გარემო აუცილებელი პირობაა ბავშვის შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენისთვის და შემოქმედებითი აქტიური პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ამიტომ მნიშვნელოვანია როგორც მასწავლებლის დადებითი განწყობა მოსწავლეების მიმართ, ასევე მოსწავლეებს შორის ჯანსაღი ურთიერთობები, გაკვეთილის შეუფერხებლად წარმართვისა და არასასურველი ქცევების თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი კონცენტრირებული იყოს ჯგუფზე, როგორც მთლიანზე, მაშინაც კი როცა მოსწავლესთან ინდივიდუალურად მუშაობს.

### **ბიბლიოგრაფია**

*განათლების ფსიქოლოგია*. (2005). თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი.

ვულფოლკი, ა. (2009). *განათლების ფსიქოლოგია*. თბილისი.

ზიმბარდო, ფ., & გერიგი, რ. (2009). *ფსიქოლოგია და ცხოვრება*. თბილისი.

უზნაძე, დ. (2005). *ბავშვის ფსიქოლოგია*. თბილისი.

ჯანაშია, ნ., & იმედაძე, ნ. (2008). *განვითარების და სწავლის თეორიები*.

*Beka Toliashvili*  
*Gori State University*

## **CAUSES OF BEHAVIOURAL ISSUES IN THE LEARNING PROCESS RESUME**

Among the numerous responsibilities that a teacher has in the classroom, managing and organizing class can be considered as one of the most important one. The ability of leading a class is not easily attained. Thus, management of behavior is a topic that should meticulously be taken into account whether we are discussing an instance of single class, or a whole school. Still, about managing and organizing a class, there are few factors that can act as a stumbling block. If we are unable to deal with this given situation, then, as a result, we might fail to lead the class effectively. For better or worse, a teacher must command the attention of the attention of students and direct it towards the learning process. If a way of leading or managing a class is chosen incorrectly, then the decline in the quality of learning is almost guaranteed. School rules and regulations demonstrate the most efficiency and effectualness whenever they are a product of well-conducted communication and cooperation of a teacher and students. One of the key aspects of leading a classroom successfully, is having a structure for a lesson which includes carefully coming up with a set of rules for day-to-day situations and also their sequential implementation. Thus, supportive and positively disposed environment is a crucial requirement for maximizing students' full potential and for forming an active, imaginative and inventive people. Also maintaining a healthy relationship among students is just as important as a teacher's good natured attitude towards them, for smooth and unproblematic process of learning. This also helps teachers to avoid undesired behavioral issues. Consequently, it must be underlined that a teacher should always be concentrated on a group, as a whole organism, even if they are working with a student individually, we must never forget that we are working with a group and this factor demands more carefulness and empathy from a teacher's part.

**Key words:** Behavior, Behavioral problems, Children, School, Teacher, Educational process.

**რუსუდან ფიფია**  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **ჯეფრი გლანცი წარმატებული მასწავლებლის და პროფესიული განვითარების შესახებ**

**საკვანძო სიტყვები:** წარმატებული სწავლება, პროფესიული დილემები, გზამკვლევი.

მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის ზრუნვა საუნივერსიტეტო სწავლების ადრეული ეტაპიდან უნდა დაიწყოს. თანამედროვე გამოწვევები მასწავლებლის მომზადების და ახალგაზრდა პედაგოგთა საგანმანათლებლო სივრცეში წარმატებული ადაპტირებისთვის მნიშვნელოვან ამოცანად გვესახება. უწყვეტი განვითარებისკენ ორიენტირებული საზოგადოების ჩამოყალიბება დიდადაა დამოკიდებული მასწავლებლის შემოქმედებით და კვლევაზე დაფუძნებულ სასწავლო აქტივობებზე. პედაგოგის აქტიურობასა და ინდივიდუალურ სტილზეა დამოკიდებული მისი შემდგომი პროფესიული განვითარება. ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, თავისი ღია ეკონომიკური და შეზღუდული რესურსებით, მნიშვნელოვანია გლობალურ სოციალურ ტენდენციებში ინტეგრირება, რისთვისაც აუცილებელია განათლების სფეროს სწრაფი ტემპით განვითარება და მასწავლებელთა ახალი ნაკადის მომზადება და მხარდაჭერა როგორც სახელმწიფო პროგრამებით, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო ლიტერატურით. მოსწავლის სწავლის შედეგებზე მოქმედი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი მისი მასწავლებლის ხარისხია, რასაც ამ უკანასკნელის მოტივაცია განაპირობებს. მომავალი მასწავლებლის მომზადება ერთგვარ გამოწვევადაც იქცა გართულებული ყოფის, განვითარებული ტექნოლოგიებისა და სხვადასხვა ტიპის საჭიროებათა ფონზე. უნივერსიტეტის მასწავლებლის განათლების სპეციალობის სტუდენტმა უნდა ისწავლოს ის ძირითადი მიმართულებები,



საითკენაც დღეს მსოფლიოს განვითარებული ე.წ. „გონივრული სკოლები“ მიისწრაფვიან. ქართული განათლების დარგის მესვეურებმა, დიდი ძალისხმევით შედეგად, სცადეს ჩვენი საგანმანათლებლო სისტემის პიროვნებაზე ორიენტირებულ სასწავლო სისტემად გარდაქმნა. დღის წესრიგში დადგა სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა და, შეგვიძლია ვთქვათ, მიუხედავად არსებული ხარვეზებისა, შედეგები ბევრად უფრო პროგრესულია, ვიდრე ძველი სასწავლო სისტემით სწავლების დროს.

სასკოლო სწავლების სისტემისადმი ახლებური მიდგომა მოითხოვს სტუდენტთა თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას. მასწავლებლის მომზადების პროგრამებში მრავალი საგანია, სადაც მომავალი სპეციალისტები პროფესიასთან დაკავშირებულ ფუნდამენტურ ცოდნას იღებენ. ერთერთი მათგანია წიგნიერების და კითხვის სტრატეგიების განვითარება, სადაც მუდმივად ვუსვამთ ხაზს იმ მნიშვნელოვან, ფუნდამენტურ ღირებულებების შემცველ გამოწვევებს, რაც მომავალმა მასწავლებელმა უნდა იცოდეს. საგნის სწავლების პროცესში საინტერესოდ გვესახება კითხვისა და წერის სწავლების თანამედროვე მიდგომების გააზრება ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე, როგორც სამეცნიერო-კვლევით, ისე პრაქტიკის დონეზე და წიგნიერების დარგობრივი ტერმინოლოგიის დაკავშირება ამ სფეროში შექმნილ ძირითად ლიტერატურასთან. უნდა აღინიშნოს, რომ წიგნიერებისა და კითხვის სტრატეგიების დანერგვა და მასთან დაკავშირებული დიაგნოსტიკური კვლევების ჩატარება, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სკოლებში არსებული არასახარბიელო მდგომარეობის გაუმჯობესებას იმ თვალსაზრისით, რომ საუნივერსიტეტო სივრცეში მიღებული გამოცდილებით მისული ახალგაზრდა კადრები შეძლებენ ამ სფეროში არსებულ პრობლემათა დროულ იდენტიფიცირებას და ახალი მეთოდებით სწავლებას.

სტუდენტები სწავლობენ წიგნიერებასთან დაკავშირებული პრობლემებს და მისი მოგვარების უკეთესი ხერხებსა და მეთოდებს. როგორც ცნობილია, სწავლების თეორიების შესახებ წიგნებითა და ლექციებით მიღებული ცოდნა ვერ უზრუნველყოფს თეორიისა და პრაქტიკის უშუალო კავშირის სრულფასოვან გააზრებას. თეორია და პრაქტიკა შეიძლება სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგაც ვერ გახდეს გაცნობიერებული თუ მას პროფესიის არჩევის დასაწყისშივე არ ეცოდინება, რომ „უწყვეტი პროფესიული განვითარება/განათლება არის გზა, რომლის საშუალებითაც ადამიანები სამსახურში ინარჩუნებენ, აუმჯობესებენ და აფართოებენ თავის ცოდნასა და უნარებს, განავითარებენ პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელ პირად თვისებებს“ (საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთშერწყმა ევროპაში). ამ რეალობის გათვალისწინებით, გარდა არსებული გზამკვლე-ვებისა და აქტივობების მეთოდური კრებულებისა, პრაქტიკულ მეცადინეობაზე ერთობლივად ვამუშავებთ ახალ უცხოურ ლიტერატურას, სადაც მრავალი მეთოდური რჩევა და კვლევებია განხილული, შემდეგ კი წარმატებულად ვუზიარებთ მეგობრებსა და კოლეგებს სხვადასხვა სტუდენტურ კონფერენციებზე.

პროფესიონალია მასწავლებელი, რომელსაც შეუძლია პედაგოგიური საქმიანობის დროს წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება, მისი გადაჭრის გზების ძიება და პოვნა, ახალი იდეების, ინოვაციების, სტრატეგიების პედაგოგიურ პრაქტიკაში დანერგვა. პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მარტო წამოჭრილი სიმძნელების დროს კი არ არის საჭირო, არამედ ახალი იდეების, ინოვაციების გამოსაცდელად, საკუთარი ძლიერი მხარისა და პოტენციალის აღმოსაჩენად, საჭირო უნარ-ჩვევების გასავითარებლად და, რაც მთავარია, სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხისა და მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად (ინასარიძე, ლობჯანიძე, რატიანი & სამსონია, 2016: 62-63). სწორედ ასეთი მასწავლებლთა ხელშეწყობისთვისაა შექმნილი წიგნი „101 სწავლება“, სადაც ავტორის თქმით: „ხაზგასმით გამოვყავი სწავლების თეორიული და პრაქტიკული ნაწილის მიმართ თქვენი, როგორც მასწავლებლების სერიოზული დამოკიდებულება და პროფესიული თვალსაზრისით თვითშეფასება. აუცილებელია, ისწავლოთ იმდენი, რამდენიც შეგიძლიათ თქვენს მიერ არჩეული სფეროს შესახებ. სწავლა პროფესიული თვალსაზრისით აგამადლებთ. კარგი პედაგოგისათვის აუცილებელი მოთხოვნაა ფაქტობრივი ცოდნის, უნარებისა და სათანადო დამოკიდებულებების ქონა. არსებითად მნიშვნელოვანია იცოდეთ თქვენი მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებები, გესმოდეთ თუ როგორ სწავლობენ ისინი, პატივი სცეთ და ხელი შეუწყოთ მათ განსხვავებულ შესაძლებლობებს. კარგი პრაქტიკული სწავლების ფუნდამენტი ეფექტური გაკვეთილების ჩატარება და საკომუნიკაციო უნარების განვითარებაა. მნიშვნელოვანია, დაეხმაროთ თქვენს მოსწავლეებს სასწავლო უნარების გამომუშავების პერიოდში. არა აქვს მნიშვნელობა რამდენად მცოდნე ხართ და რა უნარებს ფლობთ, კლასში წარმატებას ვერ მიაღწევთ კლასის სისტემური მართვისა და მოსწავლეებთან ურთიერთთანამშრომლობის გარეშე. მოსწავლეთა შეფასების ამომწურავი სქემის შემუშავება, ტექნოლოგიების, როგორც სწავლების ინსტრუმენტის გამოყენება და სახელმწიფო და რეგიონალური სტანდარტების მიხედვით მუშაობა კიდევ უფრო მეტი გამოწვევაა მასწავლებლისათვის. თუმცა, მიუხედავად ყველა ზემოხსენებული გამოწვევისა, უნდა

იამაყოთ თქვენი პროფესიით. შეიგრძენით მასწავლებლის უფლებამოსილება და ყოველთვის ეცადეთ, გახდეთ უფრო პროფესიონალი. (გლანცი, 2016: 282)

ჯეფრი გლანცის სწავლება 101 არის წიგნი წარმატებული მასწავლებლის და საუკეთესო სწავლების თეორიისა და პრაქტიკის შესახებ. ეს წიგნი კარგი შენაძენია საუნივერსიტეტო სწავლებისთვის, რადგანაც ის დამწყები მასწავლებლისთვისაა განკუთვნილი და მრავალი ისეთი რჩევაა მოცემული, რომლებიც პროფესიაში შემსვლელ ახალგაზრდებს წარმატების აუცილებელ გზამკვლევადად გამოადგებათ. ეს წიგნი დაეხმარება დამწყებ მასწავლებლებს ცოდნის გაღრმავებაში, და პროფესიული მსოფმხედველობის განვითარებასა და დაცვაში.

ჯეფრი გლანცის სახელმძღვანელო ეფუძნება სამ ძირითად პრინციპს პირველი - მასწავლებლობა საპატიო პროფესიაა. იამაყოთ, რადგან თქვენ ხართ მასწავლებელი და თქვენი ზეგავლენა უსაზღვროა! ალბათ იმაზე მეტიც, ვიდრე თქვენ ფიქრობთ. მეორე პრინციპს სწავლების აქტიური მეთოდი წარმოადგენს. წარმატებული მასწავლებლები სცილდებიან გაკვეთილის ტრადიციულ გაგებას. ისინი მოსწავლეთა დაინტერესებას მათი სასწავლო პროცესში ჩართვის გზით ახერხებენ. წიგნში მკითხველის ჩართულობის მიზნით მრავალი ინტერაქტიული აქტივობაა მოცემული. და ბოლოს, მესამე პრინციპი - კრიტიკული აზროვნების გზით პიროვნების ინტელექტუალური თვალსაწიერის გაზრდა და მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლისადმი გახსნილობის ჩამოყალიბებაა.

როგორც წიგნის ავტორი შესავალშივე გვამცნობს: „ეს წიგნი იმიტომ დავწერე, რომ მწამს მასწავლებლობის სულიერი და ინტელექტუალური მოწოდებისა. სწავლება არის როგორც მეცნიერება, ისე - ხელოვნება. მეჯერა, რომ კარგ მასწავლებლებად იზადებიან, მაგრამ ასევე მეჯერა რომ კარგი მასწავლებელი შეიძლება გახდეს. არ არის ადვილი, უპასუხო კითხვას, როგორ გახდეს კარგი მასწავლებელი. (გლანცი, 2016: 16)

ჯეფრი გლანცის სახელმძღვანელო არის ქეისებით, აქტივობებით, დილემების გადაჭრით და რეფლექსიების გზით აგებული მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსი, რომელიც დამწყებ მასწავლებელს დაეხმარება პროფესიული წარმატების მიღწევის რთული გზების გააზრებაში. სტუდენტები ამ წიგნის განხილვისას ცდილობდნენ პარალელების გავლებას მათთვის უკვე ცნობილ სახელმძღვანელოებთან (პერკინსი, თერნზული, მარზანო, ფიქერინგი, ფოლოქი...). როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, სხვადასხვა ლიტერატურაში მასწავლებელთა ეფექტურობის შესახებ თავისი ძირითადი აღმოჩენები ჯეფრი გლანცმა ასე შეაჯამა და მიაწოდა ახალბედა პედაგოგებს: „პედაგოგიური გამოცდილების მიღებასთან ერთად, თქვენ ასევე ისწავლით კრიტიკულ პედაგოგიკას, საგნის სწავლების სტრატეგიებს, სასწავლო ჯგუფების შექმნას, რეფლექსიურ პრაქტიკას, თანასწორ სწავლებას, კვლევას, ტრანსფორმაციული სწავლების პრაქტიკას, წერა-კითხვის უნარების ჩამოყალიბებას - ოპ, იმდენი რამაა კიდევ სასწავლო და გასაკეთებელი... მაგრამ სწავლა არის სწორედ ის, რაც ამ სფეროს ასე მიმზიდველს და ზრდაზე ორიენტირებულს ხდის. ყოველი დღე ახალი და განსხვავებულია. ისინი, ვისთვისაც სწავლება ცხოვრებისეული ზრდის პროცესია, გაიუმჯობესებენ უნარებს და გამუდმებით ისწავლიან. საუკეთესო მასწავლებლები საუკეთესო მოსწავლეები არიან (გლანცი, 2016: 281). ეს სახელმძღვანელო პრაქტიკული დანიშნულების გარდა, მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ ახლავს უახლესი სამეცნიერო და პედაგოგიური რესურსების ანოტირებული ბიბლიოგრაფია, რომელიც არა მხოლოდ დამწყები მასწავლებლებისთვისაა საყურადღებო. აქ მოცემულია სწავლებისთვის აუცილებელი მრავალფეროვანი უახლესი ლიტერატურა, მცირე ანოტაციებით, რაც გაუადვილებს სპეციალობის დაუფლების მსურველთ სწორად და თანმიმდევრულად გაიზიარონ მსოფლიოს საუკეთესო პროფესიონალოთა ნააზრევი და გამოცდილება მასწავლებლის პროფესიის აქტუალური პრობლემების გასააზრებლად.

## ბიბლიოგრაფია

ეროვნული სასწავლო გეგმა. 2018-2024. საგნობრივი პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. თბილისი. [www.mes.gov.ge](http://www.mes.gov.ge)

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. (2018). თბილისი. [www.mes.gov.ge](http://www.mes.gov.ge)

გლანცი, ჯ. (2016). *სწავლება 101. საკლასო სტრატეგიები დამწყები მასწავლებლებისთვის*. თბილისი.

ინასარიძე, მ., ლობჯანიძე, ს., რატიანი, მ., & სამსონია, ი. (2016). *მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი*. ნაწილი II. თბილისი.

Kane, P. R. (Ed.). (1996). *My first year as a teacher*. New York: Signet

Kottler, J. A., & Zehm, S. J. (2000). *On being a teacher: The human dimension*. (2nd Ed.). Thousand Oaks, CA: Corwin.

Feeney Jonson, K. (2001). *The new elementary teacher's handbook*. Thousand Oaks, CA: Corwin.

Kohl, H. (1989). *Growing minds: On becoming a teacher*. New York: Harper & Row.  
Sousa, D. A. (2006). *How the brain learns* (3rd ed.). Thousand Oaks, CA: Corwin.

**Rusudan Pipia**  
*Sokhumi State University*  
**JEFFREY GLANTZ ON BEING A SUCCESSFUL TEACHER AND PROFESSIONAL  
DEVELOPMENT  
RESUME**

The formation of a society oriented towards continuous development depends greatly on the teacher's creativity and research-based learning activities. His/her further professional development depends on the activity and individual style of the teacher.

Teaching 101 by Jeffrey Glantz is a book about the successful teacher and the theory and practice of the best teaching. This book is a good buy for university teaching, as it is aimed at the beginning teacher and contains many tips that young people entering the profession will find an essential guide to success. At the university, taking into account reality, we jointly develop new foreign literature, where many methodological tips and studies are discussed, and then we successfully share it with friends and colleagues at various conferences. Geoffrey Glantz's work is the best help for solving the professional dilemmas of a young teacher, and his analysis is not a ready-made recipe for successful teaching, but a search for ways to understand and solve various problems.

**Key words:** Successful teaching, Professional dilemmas, Guide.

**ზაქარია ქიტიაშვილი, ნინო ჩახუნაშვილი, მარინე გოგენლაშვილი**  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სწავლება ციფრულ ეპოქაში - თსუ-ის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო  
პროგრამის კურსდამთავრებულთა პედაგოგიური საქმიანობის რეფლექსია**

**საკვანძო სიტყვები:** ციფრული კომპეტენცია, სკოლა, მასწავლებელი, რეფლექსია.

ტექნოლოგიების განვითარების სწრაფი ტემპი და გლობალიზაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ზოგადსაგანმანათლებლო თუ უმაღლეს სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესზე. უკანასკნელ ოცწლეულში ინფორმაცია თუ, ზოგადად, კომუნიკაციის ფორმები მჭიდრო სოციალურ კონტექსტს გასცდა და ინტერნეტსივრცეში გადაინაცვლა. შეიცვალა მსწავლელისა და მასწავლებლის სასწავლო აქტივობათა ფორმატი, სალექციო თუ საგაკვეთილო სივრცეს მოეშალა დასაზღვრული ჩარჩოები და ხელმისაწვდომობისა თუ შესაძლებლობების განსხვავებულ საფეხურზე გადაინაცვლა. ეს თავისთავადი, შეუქცევადი პროცესი არც განათლების მკვლევრებსა თუ პოლიტიკის ოფიცრებს დარჩენიანთ შეუმჩნეველი და შესაბამისი მზაობით დახვდნენ განათლების ორგანიზების ფორმებისა თუ შინაარსის ცვლილების ამ ევოლუციურ პროცესს. 2006 წელს ევროპის პარლამენტმა და ევროკავშირის საბჭომ მიიღეს, ხოლო 2018 წელს განაახლეს რეკომენდაცია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის საკვანძო კომპეტენციების შესახებ. ამ რეკომენდაციამ წევრ ქვეყნებს მოუწოდა, რომ “მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სტრატეგიის ფარგლებში განავითარონ პირობები ყველასთვის საკვანძო კომპეტენციების შესაძენად და გამოიყენონ “მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის საკვანძო კომპეტენციების ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო”. აღნიშნული რეკომენდაცია გახდა კომპეტენციაზე ორიენტირებული განათლების, მომზადებისა და სწავლის განვითარებისთვის საჭირო ძირითადი დოკუმენტი, რომელშიც

21-ე საუკუნეში ერთ-ერთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საბაზო კომპეტენციად განისაზღვრა ციფრული კომპეტენციის/წიგნიერების/მოქალაქეობის კომპეტენცია. ამ კომპეტენციით აღჭურვილი ახალგაზრდა თამამად აუწყობს ფებს ცხოვრების თანამედროვე სტანდარტს, ექნება დასაქმების უფრო მაღალი შესაძლებლობა და, რაც მთავარია, შეძლებს ხვალინდელ საზოგადოებაში უმტკივნეულოდ სოციალურ ინტეგრაციას. ციფრული წიგნიერების, ზოგადად, ციფრული კომპეტენციის არსისა და მნიშვნელობის შესახებ ბევრ განმარტებას ვხვდებით სამეცნიერო ლიტერატურაში. მათგან უპირატესად ზემოაღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტის განსაზღვრებას მივიჩნევთ - „**ციფრული კომპეტენცია** გულისხმობს ციფრული ტექნოლოგიების დარწმუნებით, კრიტიკულად და პასუხისმგებლობით გამოყენებას სწავლისათვის, შრომით საქმიანობასა და საზოგადოებაში მონაწილეობისათვის. ის მოიცავს ინფორმაციისა და მონაცემების წიგნიერებას, კომუნიკაციასა და თანამშრომლობას, მედია წიგნიერებას, ციფრული კონტენტის შექმნას (მათ შორის პროგრამირებას), უსაფრთხოებას (მათ შორის ციფრულ კეთილდღეობასა და კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებულ კომპეტენციებს), ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ კითხვებს, პრობლემის გადაჭრასა და კრიტიკულ აზროვნებას.“ ფორმულირებიდან გამომდინარე, მასწავლებლების ზრუნვის საგანს წარმოადგენს, მოსწავლეებმა გაიაზრონ ზოგადი პრინციპები, მექანიზმები და ლოგიკა, რომლებიც საფუძვლად უდევს ციფრული ტექნოლოგიების განვითარებას და იცოდნენ სხვადასხვა მოწყობილობის, კომპიუტერული პროგრამისა და ქსელის საბაზო ფუნქციები და გამოყენება. ციფრული მოქალაქეობის კონცეფცია 3 სფეროდ იყოფა და 10 ციფრულ განზომილებას აერთიანებს.

**„ჩართულობა ონლაინ სივრცეში:** წვდომა და ინკლუზია, სწავლა და შემოქმედებითობა, მედიაწიგნიერება და ინფორმაციული წიგნიერება.

**კეთილდღეობა ონლაინ სივრცეში:** ეთიკა და ემპათია, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, ინტერნეტსივრცეში ტავის წარმოჩენა და ელექტრონული კომუნიკაცია.

**უფლებები ონლაინ სივრცეში:** აქტიური მონაწილეობა, უფლებები და პასუხისმგებლობები, პერსონალურ მონაცემთა დაცვა და უსაფრთხოება, სამომხმარებლო ცნობიერება“. (ლობჟანიძე, სიხარულიძე & ურჩხუხიშვილი, 2022: 11-12)

ევროკავშირის ციფრული მოქალაქეობის მხარდაჭერის მიზნით შემუშავებული აქვს შემდეგი საცნობარო ჩარჩო დოკუმენტები: მოქალაქეებისთვის - DidComp 2.1, განათლების სფეროს სპეციალისტებისთვის DigComp Into Action და DigCompEdu, ხოლო საგანმანათლებლო ორგანიზაციებისთვის DigCompOrg და თვითშფასების კითხვარი SELFIE.

ცხადია, საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრაციის შემდეგ ეროვნულმა საგანმანათლებლო სისტემამ გაიზიარა ევროპული მიდგომები და საკუთარი განათლების სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზა, ძირითადი ღირებულებებისა და ხედვების თვალსაზრისით, მასთან ჰარმონიაში მოიყვანა. მნიშვნელოვან ჩანაწერს ვხვდებით ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში, რომელიც საქართველოს სახელმწიფოში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეებისათვის სავალდებულოდ მიიჩნევა, მათ ჰქონდეთ ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენების, ინფორმაციის მოპოვება-დამუშავებისა და ანალიზის უნარები. ეროვნული სასწავლო გეგმაც სწავლა-სწავლების მიზნად, გამჭოლ უნარად განსაზღვრავს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას მოსწავლეების მიერ. ამ უკანასკნელს კი მოსწავლეებში ციფრული და მედიაწიგნიერების კომპეტენციის გამომუშავებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესით უზრუნველყოფს. ასევე ეს-მა ცალკე გამოყოფს ტექნოლოგიების საგნობრივ ჯგუფს, რათა მოცემული საგნობრივი კონცენტრაციის საშუალებით „ხელი შეუწყოს მოსწავლეებში მედია და ციფრული წიგნიერების დონის ამაღლებას; დაეხმაროს მათ სხვადასხვა დარგისათვის სპეციფიკური ტექნოლოგიების დაუფლებაში და ამ ტექნოლოგიების გამოყენებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებაში.“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2018)

ცხადია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების პოლიტიკითა თუ შინაარსით მოსწავლეთათვის განსაზღვრული ციფრული კომპეტენციის გამომუშავებას, უპირველეს ყოვლისა, თავად პედაგოგთა პროფესიული საზოგადოების ამ უნარ-ჩვევით აღჭურვა უნდა უძღოდეს წინ. ამის გათვალისწინებით, სახელმწიფო მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში, სასწავლო პროცესის დაგეგმვის ნაწილში, მკაფიოდ მიუთითებს, რომ მასწავლებელს უნდა შეეძლოს: „სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება და ციფრული მოქალაქეობის პრინციპების გათვალისწინება;“ აღნიშნულ ჩანაწერს თავის მხრივ ეხმიანება მასწავლებლის განათლების დარგობრივ დოკუმენტი, რომელიც მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის გაწერს შესაბამის რეგულირებას: „ იცის საგანმანათლებლო ბეჭდური და ICT რესურსების მოძიება, შექმნა და სასწავლო პროცესში მიზნობრივად გამოყენება. შეუძლია მოიძიოს, შეარჩიოს, შექმნას და გამოიყენოს

დამხმარე რესურსები და ICT ტექნოლოგიები სასწავლო გეგმის მიზნებისა და კონკრეტული კლასის მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით; შეუძლია მოსწავლეებში ციფრული მოქალაქეობის უნარების განვითარება.“ (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 2018).

**ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკვლევ პრობლემად დაისახა ზოგადი განათლების სისტემის მარეგულირებელ დოკუმენტებში მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის გაწერილი ციფრული კომპეტენციების პრაქტიკული რეალიზების საკითხების შესწავლა-ანალიზი თსუ-ის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა პედაგოგიური საქმიანობის რეფლექსიის საფუძველზე.**

მეოთხეკლასელ მოსწავლეთა წიგნიერების საერთაშორისო კვლევის თანახმად, „იმ მოსწავლეებს, რომლებიც ციფრულ მოწყობილობებს ჩვეულებრივი სასწავლო დღის განმავლობაში სასკოლო დავალებების შესასრულებლად საერთოდ არ იყენებენ, საშუალოდ, საქართველოში 37-46 ქულით უფრო დაბალი შედეგი აქვთ, ვიდრე იმ მოსწავლეებს, რომლებიც ნახევარ საათს ან უფრო მეტს უთმობენ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას სასკოლო დავალებების შესასრულებლად.“ (PIRLS, 2021) სწავლების პროცესში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების დადებით შედეგზე მიუთითებს ასევე 2012 წლის კვლევა, რომლის მიხედვით, „ტექნოლოგიების ჩართვა კითხვის სწავლებაში ზრდის სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის დონეს და გაცილებით ზრდის კითხვაში მიღწევებს.“ (Granito & Chernobilsky, 2012)

ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მასწავლებელთა ციფრული კომპეტენციის მახასიათებლებთან დაკავშირებით საინტერესო მონაცემს გვაწვდის სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა (TALIS, 2018), რომლის მიხედვით: „მასწავლებლები ყველაზე ნაკლებად თავდაჯერებულად გრძნობენ თავს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებაში.“ ამავე კვლევის თანახმად, „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების თვალსაზრისით, გამოკითხვაში მონაწილე მასწავლებლების 58.7% აფასებს დადებითად საკუთარ შესაძლებლობებს, TALIS-ის საშუალო მაჩვენებელი კი არის 66.7%.“ **წარმოდგენილი მონაცემი ცხადად აყენებს დღის წესრიგში როგორც არსებული სამასწავლებლო კადრის გადამზადების, ისე მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებში სწავლების პროცესში ციფრული კომპეტენციისა და ტექნოლოგიების ინტეგრირების საკითხს.**

ეროვნული კვლევების კონტექსტში ყურადღება უნდა გავამახვილოთ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის კვლევაზე „ციფრული მოქალაქეობა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში: გამოწვევები და დანერგვის გზები“, პროექტის ფარგლებში 2022 წელს გამოიცა გზამკვლევი „ციფრული მოქალაქეობა საქართველოს სკოლებში“, ხოლო 2020 წელს ჩატარდა მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა მოსაზრებების კვლევა, რომელიც 2023 წელს გამოიცა სტატიის სახით. აღნიშნული კვლევის შედეგებით, 205 გამოკითხული მასწავლებლის 49,3 % აცნობიერებს ციფრული მოქალაქეობის ცნების მნიშვნელობას, ხოლო მათ ნახევარს არც სმენია ეს ტერმინი. ამასთანავე, ციფრული უსაფრთხოების საკითხებზე საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში კომუნიკაცია ჯერ არ დაწყებულა, ხოლო სასკოლო საზოგადოების წევრები (მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები) არ არიან ჩართულნი სამოქალაქო აქტივობებში, რომლებიც ხელს შეუწყობს ინსტიტუციებში ციფრული მოქალაქეობის კომპეტენციების განვითარებას (Lobzhanidze, Urchukhishvili & Sikharulidze, 2023).

### **კვლევის მეთოდოლოგია**

კვლევა ჩატარდა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიით. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო თსუ-ის მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულების ზეპირი ისტორიების მოსმენა ციფრულ ეპოქაში სწავლების შესახებ ფოკუსჯგუფის მეთოდის გამოყენებით, რათა მონაწილეებს ჯგუფში განეხილათ კონკრეტული შემთხვევები თავიანთი პრაქტიკიდან, მოეხდინათ პრაქტიკის შეფასება-რეფლექსია და დასკვნით ნაწილში შეეჯამებინათ ციფრულ ეპოქაში სწავლების შესაძლებლობები და გამოწვევები სწავლების პროცესის ორივე მონაწილის - მასწავლებლისა და მოსწავლის პერსპექტივიდან.

კვლევის მიზანი იყო თსუ-ის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულების პედაგოგიური საქმიანობის რეფლექსია „მასწავლებელთა ციფრული კომპეტენციების ევროპული ჩარჩოს“ თემატური მიმართულებების მიხედვით. კერძოდ,

1. **პროფესიული ჩართულობა** - ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება კომუნიკაციის, თანამშრომლობისა და პროფესიული განვითარებისთვის;
2. **ციფრული რესურსები** - ციფრული რესურსების მოპოვება, შექმნა და გაზიარება;

3. **სწავლება და სწავლა** - ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მართვა სწავლა-სწავლების პროცესში;

4. **შეფასება** - ციფრული ტექნოლოგიებისა და სტრატეგიების გამოყენება შეფასების გასაუმჯობესებლად;

5. **მოსწავლეთა წახალისება** - ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ინკლუზიის, პერსონალიზაციისა და მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის გასაძლიერებლად;

6. **მოსწავლეთა ციფრული კომპეტენციების ხელშეწყობა** - ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ინფორმაციის მისაღებად, კომუნიკაციისთვის, შინაარსზე სამუშაოდ, რაიმეს შესაქმნელად, საკუთარი კეთილდღეობისთვის და პრობლემების გადასაჭრელად.

ფოკუსჯგუფები ჩატარდა 2023 წლის ნოემბერში. სულ - 3 ფოკუსჯგუფი.

ფოკუსჯგუფების ჩატარების შესახებ ინფორმაცია გაზიარდა საჯაროდ და ხელმისაწვდომი შერჩევის გზით, მასში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 15-მა კურსდამთავრებულმა.

რესპონდენტების განაწილება:

ა) **საგნობრივი მიმართულებების მიხედვით:** ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი - 7, მოქალაქეობის მასწავლებელი - 4, ისტორიის მასწავლებელი -1, ქიმიის მასწავლებელი -1, სპეციალური მასწავლებელი - 1, ინგლისურის მასწავლებელი -1;

ბ) **სქესის მიხედვით:** მდედრობითი სქესის - 12, მამრობითი სქესის -3;

გ) **სამუშაო გამოცდილების მიხედვით:** 6-4 წლიანი სტაჟი - 9 პირი, 3-0-წლიანი სტაჟი - 6 პირი;

დ) **სკოლის ტიპის მიხედვით:** თბილისის საჯარო სკოლაში დასაქმებული -10, თბილისის კერძო სკოლაში დასაქმებული -3, რეგიონის საჯარო სკოლაში დასაქმებული - 2,

ფოკუსჯგუფის შედეგად შეგროვებული მონაცემები დამუშავდა თვისებრივი კონტენტანალიზის მეთოდით, თემატური მიმართულებების მიხედვით.

**ფოკუსჯგუფების შედეგად მიღებულ კვლევის შედეგებს წარმოვადგენთ ერთიანი სახით:**

### 1. პროფესიული ჩართულობა

კომუნიკაციისა და თანამშრომლობის თვალსაზრისით, ძირითად ტენდენციურ ასპექტად ისახება Teams და Messenger ჯგუფების აქტიური გამოყენება სასკოლო სამასწავლებლო და საგნობრივი კათედრების მასშტაბით ინფორმაციის გასაზიარებლად, პედაგოგები ასევე ხშირად იყენებენ Google Drive-ს შექმნილი სხვადასხვა რესურსის (როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეების მიერ შექმნილის) ელექტრონულ საცავად.

*„მაგალითად, მე ბარბარიზმების თემატიკაზე შექმენი ვიდეორესურსი, მერე სკოლის გვერდზეც გაზიარდა და ახლა ხელმისაწვდომია ყველასთვის.“*

*„Teams-ში გვაქვს ყველა მასალა გაზიარებული, ელექტრონული რესურსებით დაწყებული, რესურსების ბანკი, მასწავლებლების და მოსწავლეების მიერ შექმნილი.“*

პედაგოგები აღნიშნავენ, რომ განსაკუთრებით ეფექტურად გამოიყენება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფში (მასწავლებლები, სადამრიგებლო კლასების მშობლები, სხვადასხვა კლასის მოსწავლეები) ინფორმაციის მაქსიმალურად სწრაფად გაზიარებისთვის Messenger-ჯგუფები. სასკოლო პრაქტიკაში ტენდენციურია ელექტრონული ჟურნალების გამოყენებაც, თუმცა პედაგოგები იქვე აღნიშნავენ, რომ: *„მშობლები არ იყენებენ აქტიურად და არ ეცნობიან ელექტრონულ ჟურნალში მოსწავლეთა შეფასებებს, ეს არის პრობლემა.“*

რაც შეეხება პროფესიული განვითარებისა თუ საჭიროებების შესახებ ინფორმაციას, მას სწორედ facebook-ის საგნობრივი მიმართულებების მასწავლებელთა ჯგუფებიდან იღებენ, რადგან განათლების სამინისტროსა თუ სხვა განათლების სივრცის მიერ ინფორმაციის განთავსება, გარდა თავიანთი ვებგვერდებისა, სწორედ ამ ფორმატში ხორციელდება. ასევე, ხშირად იყენებენ Teams-ი, Zoom-ისა და Google Meet-ის პლატფორმებს ონლაინ სივრცეში პროფესიული განვითარების შეხვედრებსა და ტრენინგებზე დასასწრებად.

### 2. ციფრული რესურსები და 3. სწავლება და სწავლა

ამ თემატური მიმართულებების მიხედვით გამოთქმული მოსაზრებანი, ცხადია, პირდაპირ ბმავს ერთმანეთთან, ამიტომ ჯამურად მიმოვიხილათ. დასახელებული კომპონენტის მიხედვით, ცხადია, იკვეთება ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების სიხშირე, მონაწილეების მიერ ყველაზე ხშირად დასახელდა Power Point-ში პრეზენტაციებისა და სხვა თვალსაჩინოებების მომზადებისა და გამოყენების პრაქტიკა. ასევე ხშირია Youtube-არხებიდან კლასის საჭიროებებისა და საგაკვეთილო მიზნის შესაბამისი ვიდეორესურსების გამოყენება. იქვე აღინიშნა, რომ თავად ახალგაზრდობის სახელმძღვანელოებში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ციფრული ტექნოლოგიების როლი: *„სახელმძღვანელოებში ძალიან ბევრი რესურსია და კარგად ვიყენებთ, ეგ ძალიან კარგად მუშაობს გაკვეთილებზე, ტელეფონებში ვაზიარებთ ინტერნეტს და იქვე შედიან, იქვე გვინახავს ბევრი ვიდეო, ადრე ამის ფუფუნება არ იყო ხოლმე.“*

პედაგოგები აქტიურად იყენებენ საგნობრივი მიმართულებების ორგანიზაციების ვებგვერდებზე განთავსებულ ელექტრონულ რესურსებს: „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის ვიდეოებს ვიყენებ ძირითადად, რომელიც მეხმარება.“ / „ბრიტანეთის საბჭოს ელექტრონული რესურსებს ვიყენებ გრამატიკის, ლექსიკისა და სავარჯიშოებისთვის.“ ყველაზე მნიშვნელოვან ტენდენციად გამოიკვეთა საჯარო და კერძო სკოლებში ციფრული კომპეტენციის გამოსამუშავებლად საჭირო ინფრასტრუქტურული რესურსების თვალსაზრისით სერიოზული სხვაობა. საჯარო სკოლის მასწავლებლებს, როგორც წესი, რაოდენობრივი თუ ხარისხობრივი თვალსაზრისით მოთხოვნასა და საჭიროებასთან შეუსაბამო ტექნიკური არსენალით უწევთ სასწავლო პროცესის გამოწვევებთან გამკლავება, როცა კერძო სკოლები ამ თვალსაზრისით გაცილებით უკეთეს ვითარებაში არიან:

**საჯარო სკოლა** - „ახლა ხშირად ვეღარ ვიყენებ მათ, რადგან საკლასო ოთახში პრეზენტაციების გაშვების ტექნიკური საშუალებების გამოყენება ყოველთვის არ არის შესაძლებელი მასწავლებლისთვის.“ / „ვეფირობ, სკოლებში ტექნიკურ-მატერიალური ბაზა სათადადოდ არ არის მოწესრიგებული, კი გვაქვს სკოლაში ნოუტბუქი და პროექტორი, მაგრამ არა ყველა კლასში, ამიტომ რთულია, რომ საგაკვეთილო პროცესში ხშირად გამოიყენო ციფრული რესურსები და ტექნოლოგიები.“ / „სოფლის სკოლაში ვასწავლი და ციფრული რესურსების სკოლაში ჩვენების საშუალება არ მაქვს ამ ეტაპზე“.

**კერძო სკოლა** - „ყველა ოთახში პროექტორია, ვიზუალურ მასალას ვიყენებთ გაკვეთილებზე.“ / „ჭკვიან დაფას“ ვიყენებ, თუ კლასი მცირერიცხოვანია, კომპიუტერიც საკმარისია, ხშირად ვაჩვენებ ხოლმე ნაწყვეტებს ფილმებიდან... / „ახლა გვაქვს ახალი პლატფორმა ალმა, ბავშვმა ყოველთვის იცის რა მიზანზე გადის ეს დავალება, და ამ პლატფორმით მშობლისთვისაც ცნობილია ეს ინფორმაცია“.

აქვე საჯარო სკოლის მასწავლებლები მიუთითებენ, რომ, მართალია, მოსწავლეებს ურიგდებათ სქულბუქები და უმეტესობას აქვს ანდროიდის ტიპის მობილური ტელეფონები, ციფრულ უნარებზე გათვლილ დავალებებს მაინც ნაკლებად უმკლავდებიან და, ხშირ შემთხვევაში, მათზე მუშაობის ობიექტური პირობაც არ გააჩნიათ. მიუხედავად ამისა, კომპლექსური დავალებები, პროექტული სწავლების თავისებურებები გარკვეულ წილად ითხოვს მოსწავლეების მიერ ამ ტიპის სამუშაოების ჩატარების საჭიროებას. საუბრიდან იკვეთება, რომ მასწავლებლის მხრიდან კარგად მართული პროცესის შემთხვევაში, ასეთ სამუშაოში მონაწილეობა მნიშვნელოვან ციფრულ უნარებს უმუშავებს მოსწავლეებს, რაშიც არც თუ უკანასკნელ როლს თამაშობს ურთიერთსწავლება და კოოპერაციული სოციალური ამოცანები. ასევე ამ ტიპის დავალებები აქტიურებს თითქმის ყველა ტიპის მოსწავლეს. „ჯგუფის რომელიმე წევრი შესაძლოა არ გამოირჩეოდეს სიბეჯით და არ უყვარდეს მეცადინეობა, მაგრამ ასეთ ჯგუფურ დავალებებში, რომელშიც ისინი ციფრულ რესურსებსაც კმნიან, ძალიან კარგად აქტიურობენ ხოლმე, რადგან ზოგიერთ ბავშვს ეს უნარები კარგად აქვს განვითარებული. ხედავს რომ ისიც საჭირო და მნიშვნელოვანია ჯგუფური სამუშაოს შესასრულებლად.“

#### 4. შეფასება

ამ თემატური მიმართულების მიხედვით, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ განსხვავებით ონლაინსწავლების პერიოდისაგან, ამ ეტაპზე მაინც უფრო მატერიალური რესურსი გამოიყენება შეფასების მიზნით, თუმცა, ცხადია, ციფრული ალტერნატივებიც სერიოზულ ადგილს იკავებს პრაქტიკაში. ტესტებისა თუ შემაჯამებელი ნამუშევრების მნიშვნელოვანი წილი ქაღალდზე, მატერიალურად იწერება, თუმცა, იმავდროულად, Google Form-იც გამოიყენება ელექტრონული ტესტების შესადგენად. ციფრული საშუალებით შესრულებული გამოკითხვის ფორმატების უპირატესობად მონაწილეები ასახელებენ უკუკავშირის გამარტივებული ფორმით მიწოდების შესაძლებლობას. კერძო სკოლების რესურსები და, შესაბამისად, პასუხისმგებლობები აქაც განსხვავებულია, მათი ელექტრონული უკუკავშირის ფორმები გაცილებით პერსონალიზირებულია და მშობელთა მხრიდან დაინტერესების შემთხვევაში მოსწავლის სასწავლო საჭიროებებზე მორგებული აქტივობების გეგმა-გრაფიკის გაცნობის შესაძლებლობასაც იძლევა. „სემესტრში ორჯერ ვუგზავნი მშობლებს უკუკავშირს-განმავითარებელ შეფასებას საგნობრივი სტანდარტის მიხედვით განსაზღვრული უნარების განვითარების რა დონეზე გადის მოსწავლე, რა არის გამოწვევა და რა უნდა აღმოვფხვრათ და შემდეგ ან მშობელთან ან სხვა მასწავლებელთან ერთად ვგეგმავთ მომავალ სემესტრის აქტივობებს.“

#### 5. მოსწავლეთა წახალისება

ამ თემატურ მიმართულებაზე მსჯელობისას მონაწილეების გამოცდილება გაცილებით მრავალფეროვანი გამოდგა. ტენდენციურია მოსწავლეთა მიმდინარე და შემაჯამებელი კონფერენციები, რომლებზეც სხვადასხვა გზით უწევთ ციფრული კომპეტენციის გამოვლენა - Power Point-ში პრეზენტაციებისა და სხვა თვალსაჩინოებების მომზადება, მოხსენებების Word-ის დოკუმენტში აკრეფა რედაქტირება, მასალის მომზადება ინტერნეტრესურსების გამოყენებით და სხვა. „შემაჯამებელი კონფერენცია წლის ბოლოს, შარშან გვემართა და წელსაც ვაპირებთ. მთელი სკოლა ესწრება და მოსწავლეებისთვის მოტივაციაც არის, რომ მათ ნაშრომს ყველა უყურებს და აფასებს.“

## 6. მოსწავლეთა ციფრული კომპეტენციების ხელშეწყობა

ამ კომპონენტთან მიმართებით პედაგოგები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ციფრული უნარები, მართალია მოსწავლეებს უკეთ აქვთ განვითარებული და, ხშირ შემთხვევაში, „პირადად ზოგჯერ მათგანაც ვსწავლობთ რაღაცებს.“ მაინც შეინიშნება ერთი უმთავრესი ტენდენცია - ისინი თამაშობენ, ეძიებენ მათთვის საინტერესო ინფორმაციას, აქვთ კომუნიკაცია სხვადასხვა თანატოლთან და ციფრული ტექნოლოგიების უამრავი საჭირო ფუნქციითაც კარგად სარგებლობენ, თუმცა სასწავლო შედეგებისა და თვითგანვითარების მიმართულებით აუცილებლად საჭიროებენ დახმარებას. იმისთვის, რომ აღნიშნული ციფრული უნარები სარგებლიანი იყოს თავად მოსწავლეებისათვის, მნიშვნელოვანია, მასწავლებლების აქტიური ჩართულობა და სწავლება-სწავლის პროცესის მიზანმიმართული, ტექნოლოგიურად გამდიდრებული აქტივობებით გაჯერება. ცალკე გამოსაყოფია 2 მთავარი უაღრესად სპეციფიკური ტენდენცია - **სანდო წყაროების იდენტიფიცირება და აკადემიური კეთილსინდისიერება**. ფოკუსჯგუფის მონაწილეების მოსაზრებით, უმთავრესი პრობლემა, რომელსაც აწყდებიან, არის მოსწავლეების მიერ მედიაწიგნიერების კომპეტენციის დაბალი დონე, კერძოდ, ინფორმაციის მოძიების, გადამოწმებისა და ავთენტურობის მოკვლევის უნარ-ჩვევის ფაქტობრივი არქონა. „წარმოდგენა არ აქვთ რას ყვებიან, არ იციან როგორ განასხვავონ სანდო და არასანდო წყაროები.“ შესაბამისად, თვლიან, რომ სასკოლო კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა საგანი თავის ვალდებულებად უნდა თვლიდეს აღნიშნული უნარების საგნის ფარგლებში გამომუშავებას. მსჯელობისას ცალკე ხაზი გაესვა პლაგიატის საკითხს, რასთან დაკავშირებითაც მონაწილეები ასევე ერთიან ტენდენციას გამოკვეთდნენ - ხელოვნური ინტელექტის განვითარებასთან ერთად უკიდურესად გაიზარდა მოსწავლეთა მიერ **ChatGPT**-პლატფორმის მოხმარების სიხშირე, რაც რეალური გამოწვევების წინაშე აყენებს სამასწავლებლო კადრს. „ჩემთანაც იყო 2 შემთხვევა, ამის შემდეგ გადავწყვიტე, რომ ყველა წერილობითი დავალება კლასში შეგვესრულებინა“ / „აკოპირებენ სხვის ნაშრომებს, ან ხელოვნურ ინტელექტს აწერინებენ დავალებებს.“

**სამაგიდე კვლევისა და ფოკუსჯგუფების შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ:**

➤ ციფრული მოქალაქეობა / ციფრული წიგნიერება წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოსთვის სასკოლო კურიკულუმის მნიშვნელოვან ასპექტს, რომელსაც თანაბრად უნდა ემსახურებოდეს ყველა საგანი და, შესაბამისად, სწავლება-სწავლის პროცესს აფუძნებდეს მათ შორის ციფრული რესურსების შექმნა-გამოყენებისა და მოდიფიცირებისთვის საჭირო აქტივობებზე;

➤ საერთაშორისო თუ ეროვნული კვლევების შედეგად ცალსახად დასტურდება ციფრული წიგნიერების უნარებით მასწავლებელთა პროფესიული საზოგადოების აღჭურვის საჭიროება როგორც მათი გადამზადების, ისე მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებში ციფრული წიგნიერებისა და ტექნოლოგიებით სწავლების კომპონენტის ინტეგრირების გზით;

➤ პროფესიული კომუნიკაციისა თუ განვითარების მიზნით პედაგოგები აქტიურად იყენებენ სხვადასხვა ინტერნეტპლატფორმასა თუ ვებგვერდს და ცხადად ხედავენ ციფრული კომპეტენციის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს საკუთარი თუ კოლეგების პროფესიული განვითარების თვალსაზრისით;

➤ როგორც საერთაშორისო, ისე ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევითაც ნათლად დასტურდება რაოდენობრივი თუ ხარისხობრივი სხვაობა საჯარო და კერძო სკოლებს შორის მოსწავლეებში ციფრული კომპეტენციის გამომუშავების თვალსაზრისით. კერძო სკოლები, როგორც წესი, ტექნიკური რესურსებისა თუ მასწავლებლების მიერ სწავლებაში ამ პროცესების აქტიურად ჩართვის მიმართულებით ბევრად აღემატებიან საჯარო სკოლის შესაძლებლობებს.

➤ მოსწავლეთა ციფრული უნარები, ზოგადად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია, თუმცა პროფესიული ზრდისა და თვითგანვითარების მიზნით მათი გამოყენების ხარისხობრივი მაჩვენებლები არსებითად ჩამორჩება სასურველს. ფაქტია, რომ აუცილებლობით საჭიროა მოსწავლეთა ციფრული წიგნიერების განვითარების მიმართულებით მასწავლებლების აქტიური ჩართულობა და ფასილიტაცია;

➤ პედაგოგები ძირითადად კომპლექსური დავალებებისა და პროექტული სამუშაოების ფორმატში ცდილობენ მოსწავლეთა ციფრული კომპეტენციების განვითარებისათვის ხელშეწყობი პირობების შექმნას, რაც სკოლების მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გათვალისწინებით ობიექტური, სასურველი ცვლილებების შესაძლებლობას ნაკლებად იძლევა;

➤ მოსწავლეებში ციფრული წიგნიერების კომპეტენციის ზრდასთან ერთად თავს იჩენს მედიაწიგნიერების დაბალი ხარისხის პრობლემა, რაც დამოუკიდებლად მოძიებული ინფორმაციის სანდოობისა და ავთენტურობის ასპექტზე აისახება;

➤ მოსწავლეებში ციფრული მატარებლებისა და ტექნოლოგიური ინსტრუმენტების ფლობის ხარისხის მატებასთან ერთად თავს იჩენს აკადემიური კეთილსინდისიერების - პლაგიატის პრობლემა,



რაც პედაგოგებს მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აყენებს, მოითხოვს რა მათგან შეფასების ინსტრუმენტებისა და სასწავლო მიზანზე გამსვლელი დავალებების მნიშვნელოვან მოდიფიცირებას.

### ბიბლიოგრაფია

- ევროკავშირის საბჭო. (2018). *ევროკავშირის საბჭოს 2018 წლის 22 მაისის რეკომენდაცია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის საკვანძო კომპეტენციების შესახებ*. (2018/C 189/01)
- ლობჯანიძე, ს., სიხარულიძე, მ., & ურჩუხიშვილი, გ. (2022). *ციფრული მოქალაქეობა საქართველოს სკოლებში*. თბილისი: მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2018 წლის 3 მაისი). *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ*.
- საქართველოს მთავრობა. (2004 წლის 18 ოქტომბერი). *საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის დადგენილება №84 „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ*.
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. (2020). *საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის ბრძანება №67/ნ „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის №1014 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ*.
- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. (2018). *„მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 10 ივლისის №622/ი ბრძანება, თბილისი*.
- შეფასებისა და გამოცდების ცენტრი (NAEC). (2023). *წიგნიერების საერთაშორისო კვლევის შედეგები საქართველოში*. თბილისი.
- შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. (2020). *სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა*. თბილისი.
- Granito, M., & Chernobilsky, E. (2012). The Effect of Technology on a Student's Motivation and Knowledge Retention. *NERA Conference Proceedings 2012*. Paper 17.
- Lobzhanidze, S., Urchukhishvili, G., & Sikharulidze, M. (2023). Digital citizenship in Georgia's teachers, students and parents. *Problems of Education in the 21st Century*. 81(5), 667-686. <https://doi.org/10.33225/pec/23.81.667>

*Zakaria Kitiashvili, Nino Chakhunashvili, Marine Gognelashvili*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

## TEACHING IN DIGITAL AGE – A REFLECTION ON THE TEACHING ACTIVITY OF THE GRADUATES OF TSU TEACHER PREPARATION PROGRAM RESUME

The aim of the research is to reflect on the teaching activity / pedagogical process conducted by the graduates of TSU (Ivane Javakhishvili Tbilisi State University) Teacher Preparation Program (60ECTS) in the digital age in accordance with the thematic directions of DigCompEdu (The European Framework for the Digital Competence of Educators).

**With regard to the usage of digital technologies for supporting communication, collaboration, and professional development among teachers**, a practice of resource and experience sharing was observed among teachers and subject departments at schools.

Various subject-oriented and professional teacher groups and forums in social networks were identified as chief means of resource acquisition, creation, and sharing.

**Digital technologies and strategies were more actively employed in the processes of teaching, learning, and evaluation during the Pandemic**; currently, however, necessary technology, equipment, and internet are not always available at public schools to integrate digital technologies within the teaching process. Besides, teachers claim many students lack access to high quality internet and digital technology at homes.

Digital technology facilitates the personalisation and differentiation of the educational process and supports the adaptation of resources to students' needs. It also simplifies, for example, the practical implementation of home learning. Teachers participating in the research noted that most students are good at using information and communication technologies, however, poor knowledge of online safety and media literacy as well as incompliance with the principles of academic integrity remain continued challenges.

**Key words:** Digital competence, School, Teacher, Reflection.

ნელი ჭამპურიძე  
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სასკოლო კურიკულუმის სოციალური ასპექტები

**საკვანძო სიტყვები:** ხალხური თამაშები, ადაპტაცია, სამოქალაქო ცნობიერება, კულტურული თვითმყოფადობა, სასკოლო კურიკულუმი.

ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად “ბავშვთა განთლება მიმართული უნდა იყოს ბავშვის პიროვნების, მისი ნიჭის, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმალურად განვითარებისაკენ. განათლებამ უნდა მოამზადოს ბავშვი თავისუფალ საზოგადოებაში აქტიური ცხოვრებისათვის, ჩაუნერგოს მშობლებისადმი, თავისი ენისა და კულტურული თვითმყოფადობის, ენისა და ფასეულობებისადმი პატივისცემა, ასევე სხვათა კულტურული ტრადიციებისა და ფასეულობებისადმი პატივისცემა”. (ბავშვის უფლებათა კონვენცია, თ.გ) სწორედ დემოკრატიულმა ღირებულებებმა, ბავშვთა უფლებების დაცვამ უნდა მოახდინოს ეროვნული ძალების მობილიზება. ქართულმა სულიერებამ და კულტურამ დემოკრატია უნდა მიმარჯვოს კულტურული იდენტობის ასაღორძინებლად და არა „კულტურული სუიციდის გზით წაიყვანოს საზოგადოება“. თანამედროვე განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ჩვენმა მომავალმა თაობა იმავე ენაზე იმეტყველოს, რა ენაზეც მეტყველებს მთელი სამყარო, მაგრამ უნდა იმეტყველოს, როგორც საკუთარი კულტურის შვილმა და არა როგორც ანონიმურმა და უფესვებო არსებამ“ (ფირალიშვილი, 2007) - ასეთია განათლებაში ნაციონალიზმის, როგორც ეროვნული იდენტობის არსის გაგება თანამედროვე ფილოსოფოსთა ნააზრევში. განათლების უფქვია არის პერსონისა და საზოგადოების უნარი სრულფასოვნად მიიღონ მონაწილეობა იმ საკომუნიკაციო სივრცეში, რომელიც სამყაროს რაობას განსაზღვრავს. „კულტურა არ არის მხოლოდ ეგზოტიკა... კულტურა პერსონას საკუთარი თავისა და საკუთარი გარემოცვის მნიშვნელობას უდასტურებს და ამით საკუთრივ ადამიანურ სახეს აძლევს მას“ (ფირალიშვილი, 2007: 157-159). ბავშვობის ასაკში უნდა ჩაეყაროს საფუძველი საზოგადოებაში საკომუნიკაციო სივრცის ფორმირების უნარის განვითარებას. ცხადია ეროვნული ღირებულებების, ეროვნული იდენტობის საფუძველი ადრეულ ასაკიდან იწყებს აღმოცენებას. ხალხური თამაშების, როგორც სასწავლო რესურსების გამოყენება ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სასკოლო კურიკულუმის, ქართული ენისა და ლიტერატურის თემატურ ჩარჩოში კულტურული იდენტობისა და ეროვნული ღირებულების შენარჩუნების საფუძველია და ბავშვის კონვენციით მონიჭებული უფლება.

ჩვენს ნაშრომში დავეყრდენით ბავშვთა ფსიქოლოგიის, კულტუროლოგიის და კულტურის ისტორიის კლასიკოსთა (დიმიტრი უზნაძის, იათამზე კოტეტიშვილისა და იოჰან ჰაინრიხი) შეხედულებებს ბავშვთა თამაშობებისა და კულტურული იდენტობის შესახებ, ასევე ბავშვის უფლებათა კონვენციის ძირითადი დებულებების განმარტებებს.

ბავშვი თამაშით ვითარდება და იმეცნებს სამყაროს, მისი განათლება სოციალურ ინტერაქციასა და გამოცდილებას ემყარება. ხალხის ყოფის მრავალი დამახასიათებელი მომენტი დაუყოვნებლივ რეზონირებს ბავშვთა თამაშობებში. ხალხური თამაშობების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში კულტურული მრავალფეროვნების

გათვალისწინების სოციალური ასპექტები. ოჯახის, თემის და სკოლის სასწავლო გარემოს ურთიერთობა აყალიბებს ბავშვის განვითარებას. დაწყებითი განათლების კურიკულუმებში ხალხური თამაშების ადაპტირებული ვარიანტების შეტანა ბავშვის ფიზიკური, ზნეობრივი და ინტელექტუალური ფორმირების პროცესის სწორად წარმართვას უწყობს ხელს. ბავშვთა ფსიქოლოგიურ სამყაროში მეტწილად ყოველდღიურ ცხოვრებაში დანახული და გაგონილი აისახება, კეთილშობილი განცდებისა და ესთეტიკური განვითარების წყარო ხდება. ოჯახის მნიშვნელობა, თაობათა ერთობის უდიდეს სიკეთე, ზღაპრებისა და ნანების აუცილებლობა, მშობლებისა და შვილების ერთმანეთთან თუ შრომა-გარჯასთან მიმართების მნიშვნელობა, ქართულ ხალხურ საბავშვო თამაშობებში თავმოყრილი პრინციპები და პრიორიტეტები დემოკრატიული ღირებულებების მქონე საზოგადოების ფორმირების საფუძველია. კულტურათა ურთიერთგამდიდრება და ურთიერთშერწყმა ეროვნული სახის დაუკარგავად, მათი ინოვაცია და სხვა კულტურული ელემენტებით შევსება მრავალფეროვნად და საინტერესოდ წარმოგვიდგენს სამყაროს.

სასწავლო და შემეცნებითი მასალის ადაპტირების ტრადიცია უძველესი დროიდან იღებს სათავეს. ყოველი ტექსტი იქმნება კონკრეტულ ეპოქაში, კონკრეტული მიზნით, იცვლება ეპოქა, საზოგადოება ითხოვს „გადაკაზმულ“ ამბავს, რიტუალსა და ქმედებას. თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში, პედაგოგიური და შემეცნებითი თვალსაზრისით მხატვრული, ისტორიული ტექსტების, ფოლკლორული ნიმუშების ადაპტაცია თანდათან მკვიდრდება. ადაპტირებული ხალხური თამაშობების გამოყენება ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ინკლუზიური საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბების საქმეში მნიშვნელოვან ნაბიჯად მიგვაჩნია.

ფოლკლორი ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში, მის ეროვნულ კონსოლიდაციაში. იაკობ გოგებაშვილი განმარტავს: „თვით კერძო ადამიანი მხოლოდ მაშინ იმოსება შესაბამისი ძალ-ღონით, როდესაც იგი იზრდება ისე, როგორც მოითხოვს მისი თავისებური აგებულება-ფიზიკური და ფსიქიური“. (გოგებაშვილი, 1990: 215) დიმიტრი უზნაძე წიგნში „ბავშვის ფსიქოლოგია“ აღნიშნავს, რომ ბავშვის თამაშის ვითარება იმაზე დამოკიდებული, თუ რა გარემოში უხდება მას ცხოვრება. თამაში მომავალი ცხოვრებისათვის საჭირო ძალების მოსამზადებელ სკოლას წარმოადგენს. (უზნაძე, 2005: 152) საგულისხმო მოსაზრება აქვს თამაშისა და სათამაშოს მნიშვნელობაზე აკაკი წერეთელს, „ჩემს თავგადასავალში“ ის წერს: „ქართველების ოდენი სხვადასხვაგვარი სათამაშო თითქმის არც ერთ ხალხს არა აქვს და ყოველგვარი სათამაშოც უთუოდ ისეთია, რომელიც ჭკუაგონებასა და სხეულს წვრთნის, ავარჯიშებს“ (წერეთელი, თ.გ.)

კულტურის ისტორიის გამოჩენილი წარმომადგენელი იოჰან ჰაიზინგა (1872 – 1945) თავის შემაჯამებელ ნაშრომში „Homo ludens“ („კაცი მოთამაშე“) სრულიად ახლებურად წარმოაჩინა გვიანდელი შუა საუკუნეების კულტურა და ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრება. ამ ნაშრომში ჰაიზინგა ამტკიცებს, რომ კულტურაში მონაწილეობს და არსებით როლს ასრულებს თამაშის ელემენტი; მეტიც, თამაშის ეს ელემენტი სწორედ კულტურის მაცოცხლებელი სული, მის გარეშე კულტურა ვერ იარსებებს, ხოლო თამაშის სულის დაკნინება კულტურის დაკნინებასაც ნიშნავს. ჰაიზინგა ამტკიცებს, რომ კულტურაში მონაწილეობს და არსებით როლს ასრულებს თამაშის ელემენტი; მეტიც, თამაშის ეს ელემენტი სწორედ კულტურის მაცოცხლებელი სული, მის გარეშე კულტურა ვერ იარსებებს, ხოლო თამაშის სულის დაკნინება კულტურის დაკნინებასაც ნიშნავს. იოჰან ჰაიზინგას თუ ვერწმუნებით თამაში კულტურაზე ძველია. ჰაიზინგასთვის თამაში განასახიერებს თავისუფლების იმ ფერმენტს, რაც კულტურას ქმნის – ანუ ადამიანთა ცხოვრებას რაღაც უფრო მეტად აქცევს, ვიდრე თვითმენახვის, სასიცოცხლო სივრცის მოპოვებისა და გვარის გადარჩენისთვის ბრძოლაა. იოჰან ჰაიზინგას შეხედულებით ნამდვილი, წმინდა თამაში თავისთავად არის კულტურის ერთ-ერთი საფუძველი და მისი მონაწილე თამაში, როგორც ასეთი, სცილდება წმინდა ბიოლოგიური თუ წმინდა ფსიქიკური მოღვაწეობის საზღვრებს. იგი საზრისის მქონე ფუნქციაა. „თამაში კულტურაში დაგვხვდება როგორც მოცემული სიდიდე, რომელიც წინ უსწრებს კულტურას და შემდეგ თან ახლავს მას დასაბამიდან აწმყომდე. თამაში ყველგან წარმოგვიდგება როგორც ქცევის გარკვეული, „ჩვეულებრივი“ ცხოვრებისა ან განსხვავებული რაგვარობა.“ (ჰაიზინგა, 2004)

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნული სასწავლო გეგმა გამოყოფს პრიორიტეტულ თემებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის სამოქალაქო ცნობიერების ჩამოსაყალიბებლად. საგანი - ქართული ენა და ლიტერატურა დაწყებით საფეხურზე (V-VI კლასები) პრიორიტეტული თემა: „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა“ თემატური ჩარჩოში, რომელიც მოიცავს სავალდებულო თემატიკას წარმოდგენილია **თამაში, გართობა, სპორტი, დღესასწაულები**. (საგანი - ქართული ენა და ლიტერატურა. დაწყებითი საფეხურის (V-VI კლასების) გზამკვლევი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, 2022) თამაშით სწავლება სწავლის პროცესს სასიამოვნოს ხდის. ეს, თავისთავადაც, ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესისადმი ბავშვების მუდმივი ინტერესის ფორმირებას. თამაშით სწავლების მეთოდები პროცესს სახალისოსა და საინტერესოს ხდის და უზრუნველ-

ყოფს მაღალხარისხიანი ცოდნის მიღებას. იმას, რაც დაიზუთხა, ივიწყებს რამდენიმე დღეში; ის, რაც თამაშში აითვისა, ბავშვს მთელი ცხოვრება ახსოვს. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სასკოლო კურსკულუმის ქართული ენისა და ლიტერატურის თემატურ ჩარჩოში, ხალხური თამაშობების ადაპტირებული ვარიანტების შეტანა ხელს შეუწყობს ეროვნული ტრადიციებისა და კულტურის დაცვასა და შენარჩუნებას, ბავშვის ფიზიკური, ზნეობრივი და ინტელექტუალური ფორმირების პროცესის სწორად წარმართვას.

#### **ბიბლიოგრაფია**

*ბავშვის უფლებათა კონვენცია*. (თ. გ.). მოძიებულია ვებგვერდიდან:

[https://www.unicef.org/georgia/sites/unicef.org.georgia/files/2019-03/CRC\\_ge.pdf](https://www.unicef.org/georgia/sites/unicef.org.georgia/files/2019-03/CRC_ge.pdf), 2023.10.10.

გოგებაშვილი, ი. (1990). *რჩეული თხზულებები*.

საგანი - ქართული ენა და ლიტერატურა. დაწყებითი საფეხურის (V-VI კლასების) გზამკვლევი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. (2022).

უზნაძე, დ. (2005). *ბავშვის ფსიქოლოგია. სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია*. თბილისი.

ვირალიშვილი, ზ. (2007). *ქართული კულტურა და განათლების ევროპული იდეა*. ნაციონალიზმი და განათლება.

ჰაიზინგა, ი. (2004). *HOMO LUDENS, კაცი მოთამაშე, კულტურის თამაშში წარმოშობის შესახებ*. თბილისი.

წერეთელი, ა. (თ.გ.). *ჩემი თავგადასავალი*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://poetry.ge/poets/akakitsereteli/prose/zooan-chemi-tavgadasavali>. 2023.10.10

*Neli Champuridze*

*Gori State University*

### **SOCIAL ASPECTS OF THE SCHOOL CURRICULUM OF THE PRIMARY LEVEL OF GENERAL EDUCATION RESUME**

Based on the existing rich scientific research on folk games and on the basis of the analysis of the individual issues we have processed, the social aspects of considering cultural diversity in the curricula of the primary level of general education have been highlighted. The relationship between the family, the community and the learning environment of the school shapes the child's development. The inclusion of adapted versions of folk games in the primary education curriculum helps to properly guide the process of physical, moral and intellectual formation of the child.

**Key words:** Folk games, Adaptation, Civic awareness, Cultural identity, School curriculum.

## **ТИПОЛОГИЯ ИГР И ОСОБЕННОСТИ ИХ ПРИМЕНЕНИЯ В ПРОЦЕССЕ ОБУЧЕНИЯ РУССКОГО КАК ИНОСТРАННОГО**

**Ключевые слова:** русский язык как иностранный, игра, игровые технологии, классификация игр.

**Введение.** В данной статье представлена типология целевых обучающих лингвистических игр, призванных способствовать совершенствованию учебного процесса при обучении русскому как иностранному в школах и вузах на элементарном и базовом уровне владения языком.

Цель нашей статьи является стремление выделить структурные принципы дидактических игр, их обучающие возможности и функции, дабы помочь преподавателям русского языка как иностранного превратить общение с обучающимися эмоционально и психологически комфортным, а занятие сделать увлекательным и полезным. Кроме того, обучающие игры являются прекрасной возможностью для повторения и закрепления изученного материала.

Лингвистическую обучающую игру методисты определяют как эффективное средство воспитания и обучения, вид учебной деятельности, который способен стимулировать, мотивировать и поддерживать интерес к дисциплине, развивать и закреплять навыки речи, помогает практиковаться в непринуждённой, позитивной атмосфере.

**Методы.** Для решения задач исследования мы использовали метод изучения аспектов использования игровых технологий, способствующих мотивированному и успешному изучению русского языка как иностранного. Классификация игр нами строится на методическом подходе — изучении навыков, формирующих тип игры.

**Результаты и обсуждение.** История обращения к игровым технологиям в процессе обучения не нова. Социальные и психологические аспекты игры освещали многие известные ученые за рубежом: З.Фрейд, Г.Х.Гадамер, Э.Берн и др. В России – Д.Б.Эльконин, Л.С.Выготский, А.Н.Леонтьев. В исследованиях этих ученых было обращено внимание на влияние игры в целом на усвоение нового материала и стимулирование познавательных процессов, применение полученных знаний на практике, социологическую функцию, поскольку игра формирует коммуникативные навыки. Далее обучающий потенциал игры стал объектом внимания ряда известных советских методистов: Н.Н. Богомоловой, С.А. Смирновой, С.А. Шмакова. Наконец, Г.А. Китайгородская подчеркнула огромное значение игры конкретно в обучении языков, а именно в РКИ: « Учебно-ролевая игра – это развернутая форма осмысленной коллективной профессионально направленной игровой познавательной деятельности (под руководством преподавателя в соответствии с требованиями дидактических принципов), направленной на овладение умениями иноязычного общения на основе смоделированных предметных (игровых) действий в процессе выполнения проблемных задач и принятия решений в условиях игрового поля» (Китайгородская, 2009: 132).

Позднее изучением потенциала обучающих игр в процессе обучения иностранным языкам занимались Е.И. Пассов, Л.С. Крючкова, Л.Н. Федотова.

В разное время в методику обучения иностранному языку детей на раннем этапе весомый вклад внесли лингвисты Г.А.Чесновицкая, Н.В. Имедадзе, Н. Павлович, Н.В. Агурова. С их точки зрения, обучение языкам должно основываться на взаимодействии наглядности, игры, движения и музыки. А учитывая динамичность детей этого возраста, при обучении лексики должно использоваться множество разнообразных игр.

Другого мнения придерживались Е.И. Матецкая и С.И. Гоздецкая, пытающиеся создать языковую среду в самом же начале обучения иностранному языку, минимизируя использование родного языка. Эти исследователи считают, что обучение рисованию, пению и физической культуре можно на иностранном языке, что лишь обогатит лексический запас детей.

Более или менее полная классификация дидактических игр по русскому языку была предложена Л. В. Петрановской в книге «Игры на уроках русского языка». За основу был взят метод изучения навыков, формируемый тем или иным видом игры. Петрановская выделила 7 групп игр: 1) учебная (любое соревнование, нацеленное на самое быстрое выполнение задания); 2) комбинаторная (всевозможные кроссворды, филворды, анаграммы); 3) аналитическая (требующая логического мышления); 4) ассоциативные игры (противоположные аналитическим); 5) контекстные игры (работа с текстом); 6) развивающие фантазию и изобретательность творческие задания; 7) самые любимые детьми ролевые игры.

Позднее екатеринбургский исследователь А.Э. Массалова предложила новую классификацию игр, подчеркивая преобладающую роль группы игр с лингвострановедческой и лингвокультурологической направленностью на любом языковом уровне:

1). лингвистические игры, способствующие формированию и развитию собственно языковой компетенции;

– идентификация звукобуквенных комплексов («фонетические» игры);

– выстраивание словообразовательных цепочек («словообразовательные» игры);  
– подбор синонимов/антонимов для правильного установления лексической сочетаемости;  
– установление морфологических особенностей слова, восстановление структуры предложения или реконструкции синтаксических единиц;

2) ролевые игры, нацеленные на развитие коммуникативной компетенции (участие в заданных коммуникативных ситуациях);

3) игры с лингвострановедческой и лингвокультурологической составляющей, направленные на развитие лингвокультурологической компетенции;

4) креативные игры, способствующие развитию профессиональной креативности (игры-проекты) (Массалова, 2019).

Одна из интересных классификаций обучающих игр последних лет принадлежит челябинскому лингвисту Шестаковой Е., разделяющей игры по форме (напр. игра-упражнение, игра-соревнование, игра-путешествие), по количеству участников (парные, групповые, коллективные), по наличию сюжета (ролевые и неролевые), фонетические, лексические и грамматические с точки зрения уровней языка, по виду использованного дидактического материала (предметы, аудио- и видеоматериал, настольные игры) (Шестакова, Исаева, Ульянова, 2021).

Опираясь на опыт коллег, мы попытались составить общую характеристику предложенным играм и составить список удачных, на наш взгляд, игр, которые можно использовать для работы с уровнями А1-А2.

Итак, чтобы обучающая игра с методической точки зрения была полезной и приемлемой, она должна иметь: 1) цель (т.е., выигрыш); 2) критерии для определения победителя; 3) правила игры; 4) обеспечивать обратную связь.

На начальном уровне при минимальном лексическом запасе учащимся трудно играть в коммуникативную игру, отвечающую вышеперечисленным критериям, но на последующих языковых уровнях арал игр расширяется.

Мы предлагаем следующую классификацию игр с методическим комментарием к каждой группе.

#### **1. Лингвистическая группа.**

Игры этой группы формируют фонематический слух, закрепляют правильное произношение звуков; активизируют лексику по подбору антонимов и синонимов, развивают навыки монологической и диалогической речи; формируют умения словообразования, построения синтаксических конструкций.

**2. Группа ролевых игр.** Главное достоинство этой группы игр заключается в формировании предметно-профессиональных и коммуникативных умений.

**3. Игры с лингвокультурной и лингвострановедческой составляющей.** Включение в занятия по иностранному языку игр с такой окраской будет способствовать межкультурной коммуникации, систематизации знаний о стране изучаемого языка.

**4. Креативные игры.** Под ними мы подразумеваем проектную работу, развивающую навыки ведения дискуссии, отстаивания своей точки зрения, умения слушать, логично излагать свои мысли. Материал можно оформлять в виде презентаций, используя видео-материал, фото, картины, схемы, карты, тем самым давая возможность учащимся проявить свои творческие способности.

Суммируя вышеизложенное, можно сделать следующее заключение:

- обучающая лингвистическая игра, используемая в процессе обучения РКИ, способна превратить процесс обучения в креативное занятие, увлекающее даже весьма слабых учеников;

- помимо основной дидактической направленности – закрепить основные языковые знания – игры развивают логическое мышление и внимание;

- особое внимание следует уделять лингвострановедческим играм, которые не только развивают языковые компетенции, но и знакомят со значимыми фактами русской истории, воспитывают интерес и уважение к русскому народу, его культуре и традиции;

- дидактические игры в РКИ, дающие возможность обучающимся свободно высказываться на чужом языке, способствуют адаптации к российским социокультурным условиям и формированию коммуникативной компетенции;

- игры в РКИ можно использовать в аудиторное, и внеаудиторное время;

Как послесловие, в помощь учителям, репетиторам, студентам и просто заинтересованным лицам, можно порекомендовать следующее:

- учитель РКИ, проводящий игру, сам должен быть личностью креативной, чтобы суметь настроить учащихся на предлагаемую игру;

- предлагаемая игра должна соответствовать языковому уровню учащихся, а правила просты и понятны;

- занимательность не должна превалировать над обучением в игре;

- игра должна вестись учителем тактично, чтобы не умерить эмоциональный пыл;

- по окончании игры обязательно следует подвести итоги, а оставшимся в минусе объяснить, что игра имела обучающие цели, а потому проигравших быть не может, мотивируя таким образом положительное отношение к русскому языку как школьной дисциплине.

### **Библиография**

- Акишина, А. А. (2011). *Русский язык в играх*. Москва.
- Китайгородская, Г. А. (2009). *Интенсивное обучение иностранным языкам: теория и практика*. Москва.
- Клементьева, Т. Б. (2019). *Играй и запоминай русские слова!* Пособие-игра по русскому языку. Москва.
- Коньшева, А. В. (2008). *Игровой метод в обучении иностранному языку*. Санкт-Петербург.
- Массалова, А. Э. (2019). *Игры на уроках русского языка как иностранного [Текст]: учебно-методическое пособие для профессионально ориентированного обучения*. Екатеринбург.
- Петрановская, Л. В. (2009). *Игры на уроках русского языка*. Часть I. Москва.
- Шестакова, Е. В., Исаева Л. Р., Ульянова Е. П. (2021). *Применение игровых технологий при организации учебного процесса обучения РКИ. Современное педагогическое образование*. Москва.
- Штельтер, О. (2012). *В этой маленькой корзинке. Игры на уроке русского языка*. Санкт-Петербург.

*Natela Khinchagashvili*

*Gori State University*

### **TYPOLOGY OF GAMES AND FEATURES OF THEIR APPLICATION IN THE PROCESS OF LEARNING RUSSIAN AS A FOREIGN LANGUAGE RESUME**

This article discusses the problem of teaching Russian as a foreign language, particularly using games as one of the main methods of learning Russian, the role of didactic play in the formation of language, speech and communicative competence. The work presents classifications of educational games. The use of games contributes to motivating students and consolidate the basic lexical and grammatical material.

**Key words:** Russian as a foreign language, Game, Gaming technologies, Classifications of games.